

ქართულ ხელნაერთა აღწერილობა

(საქართველოს ეროვნული არქივის
ხელნაერთა ფონდი)

I

შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს:
ქეთევან ასათიანმა, თამარ გაბუნიაშვილმა, თეონა გელაშვილმა,
მაკა კირვალიძემ, ვერა შენგელიამ, მანანა ჭუმბურიძემ

რედაქტორები:

ქეთევან ასათიანი
მიხეილ ქავთარია
დალი ჩიტუნაშვილი

შესავალი და საძიებლები დაურთო
ქეთევან ასათიანმა

კორექტორი:

მარიამ ჯანიკაშვილი

დამკაბადონებელი:

ვიოლა ტულუში

წიგნში გამოყენებული მასალა დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Materials used in the book are preserved in the National Archives of Georgia

© ყველა უფლება დაცულია

© All rights reserved

ISBN 978-9941-0-9527-6

 საქართველოს Ministry of
იუსტიციის Justice of
სამინისტრო Georgia

www.justice.gov.ge



საქართველოს National
არქივები Archives of
Georgia

www.archives.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში ქართულ ხელნაწერთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი კოლექციაა დაცული. აქ ხელნაწერების თავმოყრა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლიდან დაიწყო.

თავდაპირველად, მოპოვებულ ხელნაწერებს ცენტრალური არქივი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სიძველეთსაცავს აბარებდა, 1923 წლიდან კი ამ ყველაფერმა საისტორიო არქივის ხელნაწერთა ფონდში დაიწყო თავმოყრა.¹ საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ცენტრარქივის ქუთაისის განყოფილების მიერ თავის დროზე მოპოვებული ხელნაწერები 1922 წელს გახსნილ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში ინახებოდა და დარჩა კიდევაც ამავე მუზეუმს.² ამიტომ ეროვნულ არქივში დაცული ხელნაწერები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ტაძრებიდანაა: წმიდა თეოდორე ტირონის, სტეფანწმინდის, ბოდორნის, ძალისის, ოძისის, ყანჩაეთის, ერთაწმინდის, თორტიზის, ბერშუეთის, ვარიანის, გორიჯვრის, ურბნისის და სხვა ეკლესიებიდან.

კოლექციის განსაკუთრებულ ნაწილს შეადგენს პეტერბურგიდან ჩამოტანილი ხელნაწერები, რომელთა საქართველოში გადმოტანა და დაბინავება მეტად საშური საქმე იყო. შედეგად, ეროვნულ არქივში ინახება IX-X საუკუნის უძველესი ტრადიციის მატარებელი ქართული ხელნაწერები (ანბანდიდი სახარება, ფსალმუნი, ნევემირებული ძლისპირი ...), რომლებიც ადრე რუსეთის სიძველეთსაცავებში იყო განთავსებული.

ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდი მზარდი კოლექციაა, რომელიც შექმენისა თუ შემონირობების გზით მუდმივად მდიდრდება. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია 2015 წელს ეროვნული არქივის მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ დღემდე უცნობი ნუსხა (XIX ს.).

¹ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, I, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. IX-X.

² იქვე.

ზოგადად, ხელნაწერთა აღწერილობებზე და ერთგვარ საერთო სტანდარტებზე ზრუნვა საქართველოში საკმაოდ ადრიდან დაიწყო. სამეცნიერო წრეებისთვის კარგად არის ცნობილი თედო ჟორდანიას, მოსე ჯანაშილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის აღწერილობები.

1939 წლიდან ხელნაწერთა აღწერილობების ახალი ტალღა წამოვიდა, რომელსაც საფუძვლად ივანე ჯავახიშვილის მიერ შექმნილი საგანგებო ინსტრუქცია დაედო და ამ დროიდან მოყოლებული, ვიდრე 70-იან წლებამდე სწორედ ამ ინსტრუქციის საფუძველზე ხდებოდა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობების შექმნა. აღწერილობის მთავარი მიზანი ხელნაწერთა ძირითადი მონაცემების ხაზგასმა იყო.³

1973 წელს ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალ სიმაღლეზე ავიდა. ელენე მეტრეველის რედაქციით გამოსული საეკლესიო მუზეუმის (A კოლექცია) ხელნაწერთა პირველი 100 ხელნაწერის აღწერილობა მოცულობით ბევრად დიდი აღმოჩნდა აქამდე შექმნილ სხვა აღწერილობებთან, ვინაიდან ახალი პრინციპები, რომლებიც აღწერთა ამ ჯგუფმა შეიმუშავა, ითვალისწინებდა ხელნაწერის სამეცნიერო აღწერილობის შექმნას, რაც გასცდა მშრალ საკატალოგო ინფორმაციას და აღწერილობა სამეცნიერო ნაშრომის რანგში აიყვანა.

ეროვნული არქივის (მაშინ ცენტრალური არქივის) ხელნაწერთა აღწერილობის პირველი ტომი გამოვიდა 1949 წელს (NN1-340 ხელნაწერი), ხოლო მეორე - 1950 წელს (NN341-714), სარგის კაკაბაძისა და პოლე გაგოშიძის ავტორობითა და კორნელი კეკელიძის რედაქტორობით. მესამე ტომი, რომლის შემდგენელი ნინო თარხნიშვილია, ციალა კახაბრიშვილის რედაქტორობით, დასრულდა 1997 წელს (NN715-820), თუმცა ჯერ კიდევ გამოუცემელია. აღწერილობებში არ არის შესული ეროვნული არქივის მიერ ბოლოს მიღებული ხელნაწერები.

არქივის ხელნაწერების ამ პირველ აღწერილობებში საკმაოდ ბევრი უზუსტობაა გაპარული, რომლებიც გამოსწორებასა და დახვეწას მოითხოვს: ხშირ შემთხვევაში ხარვეზები დათარიღებებსა და ხელნაწერთა რაობების განსაზღვრაშია დაშვებული; აღწერილობებს აკლია აუცილებ-

³ ამ პრინციპებით შედგენილი პირველი აღწერილობები იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, რომელშიც შედიოდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია) (6 ტომი, გამოიცა 1946-53 წლებში). მოგვიანებით მოყვა სხვა ფონდების აღწერილობებიც.

ბელი სამეცნიერო აპარატი (ტექსტების რედაქციულობის განსაზღვრა, ანდერძ-მინანერები, ბიბლიოგრაფია, ...), რაც ღირებული მასალისა და ინფორმაციის დაფარვას იწვევს.

2014 წელს ეროვნულ არქივში მუშაობა დაიწყო ქართულ ხელნაწერთა ახალი აღწერილობების შექმნაზე.

ხელნაწერთა აღწერილობების პრინციპების მიღებისას, რასაკვირველია, უმთავრესად დავყვარდებით საქართველოში უკვე კარგად დამკვიდრებულ ტრადიციას: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების აღწერილობები, ქართულ ხელნაწერთა სინური კოლექციის აღწერილობა, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციის კატალოგი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა ახალი აღწერილობა, ასევე, მონაცემთა ბაზებს და იმ თანამედროვე ინსტრუქციებს, რომლებიც უხვად არის გავრცელებული ინტერნეტსივრცეში. კერძოდ, ლედსის უნივერსიტეტის მიერ მიღებულ სტანდარტებს, ბოდლეს ბიბლიოთეკის მიერ შემუშავებულ აღწერის პრინციპებს და ა.შ.

აღწერილობა იყოფა შემდეგ ძირითად ნაწილებად:

- ტექნიკური აღწერილობა
- შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა
- ანდერძ-მინანერები
- ტექსტებთან დაკავშირებული შენიშვნები
- ზოგადი ბიბლიოგრაფია

ტექნიკური აღწერილობა: შეიცავს კონკრეტულ ხელნაწერთან დაკავშირებულ დანვრილებით მონაცემებს (ფურცელთა რაოდენობა, ზომები – ყდის, ქალაღდის, ტექსტის; სტრიქონებს შორის მანძილი, სტრიქონების რაოდენობა, არშიების ზომები; პაგინაცია, ხელი, ყდა, გაფორმებები, მინიატურები, საზედაო გრაფემები და მარგინალიები).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა: კრებულის შემთხვევაში გამოტანილია კრებულში შემავალი ყველა დამოუკიდებელი ტექსტი დასაწყისით, ნაკლულობის შემთხვევაში – დასასრულით, შენიშვნებითა და ბიბლიოგრაფიით. ერთი თხზულების შემცველ ხელნაწერში, საჭიროების შემთხვევაში, გამოტანილია მასში შემავალი ყველა თავი.

ანდერძ-მინანერები: გადმონერილია უკლებლივ ყველა ანდერძი თუ მინანერი, გაკეთებულია კლასიფიკაცია და გამოვლენილი ისტორიული პირების, შესაძლებლობის ფარგლებში, იდენტიფიკაცია.

ტექსტებთან დაკავშირებული შენიშვნები: ამ ნაწილში შესულია ისეთი სახის შენიშვნები, რომლებიც ეხება ტექსტებს, მის შედგენილობას, რედაქციულობას და ა.შ.

ზოგადი ბიბლიოგრაფია: მითითებულია წარმოდგენილ ხელნაწერთან დაკავშირებული ძირითადი გამოცემები.

დიდი მოცულობის გამო ახალი აღწერილობების პირველ ტომში მხოლოდ IX-XIX საუკუნეებში დაწერილ-გადაწერილი 100 ხელნაწერი შევიდა.

ეს, ძირითადად, არის სასულიერო და საერო ხასიათის ცალკეული თხზულებები და კრებულები, ქართული ორიგინალური და ნათარგმნი კრებულები, ასომთავრულით, ნუსხურიითა და მხედრულით შესრულებული ხელნაწერები.

აღწერების შედეგად მიღებული უმთავრესი სიახლეები, რომლებიც პირველად შევიდა სამეცნიერო მიმოქცევაში შემდეგში მდგომარეობს:

- ეროვნულ არქივში გამოვლინდა პალიმფსესტური ფურცლების საკმაოდ დიდი რაოდენობა. პირველ ასეულში ასეთი ფურცლების შემცველი ხელნაწერებია NN6 და 26. ამათგან N6 ხელნაწერის ქვედა ფენის ამოკითხვა (რომელიც ზედა ფენის მსგავსად ნუსხური ტექსტია) ამ ეტაპზე შეუძლებელია, ზედა ფენა კი გამოკრებილ სამოციქულოს წარმოადგენს.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ხელნაწერს წარმოადგენს N26. ის შეიცავს როგორც ორფენიან, ისე სამფენიან პალიმფსესტურ ფურცლებს, რომელთა ქვედა ფენა ასომთავრულია და, სავარაუდოდ, IX-X საუკუნის ხელნაწერთან უნდა გვეკონდეს საქმე, ხოლო შუა და ზედა ფენა ნუსხურებია და XII-XIII, XIV-XV საუკუნეების ხელნაწერს წარმოადგენს. ამჟამად, ხელნაწერი ნომინირებულია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის რეესტრში შესატანად.

- აღწერის დროს აღმოჩნდა ანდრია პირველწოდებულის ცხოვრების ამსახველი კიდევ ერთი მანამდე უცნობი ხელნაწერი, რომელიც შესულია XVIII საუკუნის ნუსხაში – გამოკრებილნი საკითხავნი და ცხორებანი (1446/53). ხოლო 1734 წელს უთრუთ აბაზაძის დაკვეთითა და სუამის ნაცვლიშვილის ქაიხოსროს მიერ მოსკოვში გადაწერილმა ხელნაწერმა კრებულის კიდევ ერთი საკმაოდ საინტერესო მოდელი გამოავლინა: ხელნაწერი თავიდან ბოლომდე დაკავშირე-

ბულია მხოლოდ წმინდა ნინოსთან და მასში შედის წმინდა ნინოს როგორც „ცხოვრება“, ასევე მსახურებათა ნაწილი.

- აღმოჩნდა არა ერთი ანდერძი თუ მინაწერი, რომელიც პირველად იხილავს დღის შუქს და, შესაბამისად, სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოვა. მათ შორის აღსანიშნავია ლევან II დადიანის კარზე მოღვაწე ცნობილი ისტორიული პირის – მერაბ ქორთოძის სრულიად უცნობი ანდერძი.

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ სიახლეებისა, რომლებსაც საზოგადოებას ხელნაწერთა ახალი აღწერილობებით ვთავაზობთ.

ხელახლა გადაინომრა და აიკინდა ორმოცამდე ხელნაწერი, მათი ნაწილი გადათარილდა და მოხდა სათაურების დაზუსტება; ცალ-ცალკე იქნა აღწერილი ერთ ხელნაწერში გაერთიანებული სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტები, რის გამოც გაიზარდა ხელნაწერთა საერთო რაოდენობა.

ამჟამად მუშაობა დაწყებულია აღწერილობების მეორე ტომზეც.

განსაკუთრებულ მადლობას მოვასხენებთ თანამშრომლობისთვის ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორ – ბატონ გაგა შურლაიას, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ თანამშრომელს – ქალბატონ ლელა შათირიშვილს.

პირველი ტომის მასალა აღწერეს:

ქეთევან ასათიანი: 11, 12, 22, 26

თამარ გაბუნია: 15, 16, 17, 19, 28, 29, 30, 60, 67, 69, 70, 71, 76, 77, 80, 81, 85, 89, 90, 96, 99

თეონა გელაშვილი: 1, 3, 4, 5, 7, 9, 18, 20, 23, 24, 25, 27, 34, 35, 36, 37, 38, 40, 41, 43, 46, 47, 72, 73, 75, 83, 94, 95, 97

გიორგი გველესიანი: 53, 54, 64, 75

მაკა კირვალიძე: 6, 7, 8, 10, 21, 26, 48, 49, 53, 79, 86, 87, 98

ვერა შენგელია: 13, 14, 31, 32, 39, 42, 44, 51, 52, 55, 56, 57, 58, 59, 66, 82, 84, 88, 91, 92, 100

მანანა ჭუმბურიძე: 2, 33, 45, 50, 61, 62, 63, 65, 68, 74, 78, 93.

მარხვანი [XVIII]

1446/1

ტიქნიკური აღწერილობა:

150 ფ. ზომები: ყდა – 300×209, ქალაღი – 287×199, ტექსტი – 202×125, სისქე – 41, სტრიქონებს შორის მანძილი – 8; არშიები: ზედა – 33, ქვედა – 49, მარჯვენა – 50, მარცხენა – 28. ქალაღი. მელანი – შავი, წითელი. ხელნაწერს აქვს მუყაოს ახალი, რესტავრირებული ყდა. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. სათაურები და საზედაო გრაფემები – მთავრულითა და წითელი მელნით. ტექსტი ნაწერია ორ სვეტად. სტრიქონების რაოდენობა – 28. აღრიცხვა – რვეულებრივი, აღნიშნულია მთავრული გრაფემებით ერთი რვეულის დასასრულსა და მეორის დასაწყისში; ტექსტი იწყება მე-14 (იდ) და მთავრდება 39-ე (ლთ) რვეულით; სრული სახითაა მოღწეული: იდ, იე, ივ, კ, კა, კვ, კზ, ლა, ლზ, ლჭ კჭ რვეულები; ლზ (37) რვეულის შემდეგ მოდის კჭ (28), რაც გადამწერის შეცდომა უნდა იყოს, ტექსტი გრძელდება. განკვეთილობის ნიშნები: ••; ••; ••. ხელნაწერი ნაკლულია თავში, ბოლოსა და შუაში; ფრაგმენტების სახითაა 102-104, 111-124, 126-132, 150 ფურცლები; აკლია შემდეგ ფურცლებს შორის: 24-25, 57-58, 64-65, 87-88, 97-98, 100-101, 104-105, 106-107, 110-111, 129-130, 132-133. გადამწერი – პავლე (96v). [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს თელათგორის (ქართლი) წმიდა თევდორეს ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] უკუეთუ შაბათსა განიკურნოს იგი, რაათა შეისმინონ იგი. და მას ჟამსა ჰრქუა იესუ კაცსა მას, რომელსა ჴელი განჭმელ ედგა ... (1r).

1. პირველსა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა. წმიდათა ხატთა. უფალო ღალადყავსაჲ, დასდებულნი აღდგომისანი და აღმოსავლურნი და მარხვათანი, ბ გუერდი. ყოველი სასოებაჲ – ღმრთეებისა ბუნებითა გარეშეუწერელ ხარ ... (1r-2r).

2. შაბათსა პირველისა შვდღეულისასა, რაათა მწნე და მტკიცე ვიყვნეთ მართალსა შინა სარწმუნოებასა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, ჩუენდა წინამდებარე არს ღღეთა ამათ შინა ღღითიღღე მარხვისათჳს ზრახვად ... (2r-8r).
3. პირველსა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა. წარდგომამ: კურთხეულ ხარ შენ, ღმერთო, მამათ. დასდებელი: რამეთუ სიმართლით ესე. ებრაელთა მიმართ ებისტოლუე პირველი – ძმანო, სარწმუნოებით მოსე გ[ა]ნ-რა-მწყსნა, უვარ-ყო სახელისდებად ... (8r-9v).
4. პირველსა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა, რაათა გამოვზარდო[თ] სული ხედვათა მიერ სულიერთა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, ვინაეთგან ყოველი დასაბამი ძნელ არს, დაწყება მარხვისა შეცვალებისათჳს ჭამადთასა ... (9v-10v).
5. [...] მეორესა ორშაბათსა [ხუ]ჭდრნი. უვალობღითსა. დანთქენ – [...] სახიერ წყალობისა წყარო ... (10v-12v).
 - 5.1. მეორესა ორშაბათსა შვდღეულისასა ოხითა, ჳმამ ბ გუერდი – რომელმან დაჳბაჳდნა მხოლომან გულნი ჩუენნი, მოიჳსენე, რამეთუ მიწანი ვართ ... (12v-13r).
 - 5.2. მეორესა ორშაბათსა მწუხრი, დ გუერდი. ვითარმედ გხად. – ვისმე ემსგავსე შენ, უბადრუკო, დაჳსნილო სულო ჩემო ... (13r-14v).
 - 5.3. ორშაბათსა მეორისა შვდღეულისასა, რაათა არა გყუარდენ სოფლისა ამის საშუჭბელნი სურვილისათჳს საუკუნეთა კეთილთასა. გუაკურთხენ – ძმანო და მამანო, სარბიელსა წმიდათა მარხვათასა წინამდებარედ აქუს ღუანლი მარხვისა ... (14v-16r).
6. სამშაბათსა მეორესა ცისკრად ხუჭდრნი. ბ. ვიხილეთ – სულთქუმით ცრემლეოდე, სულო, და ინანდი, რამეთუ მოსლვა ღმრთისამ მოახლებულ არს ... (16r-18r).
 - 6.1. მეორესა შვდღეულისა სამშაბათსა განთიად. ოხითა. ბ გუერდი – ღირსად გალობად შენდა ვერ შემძლებელ ვართ ... (18r-18v).
 - 6.2. სამშაბათსა მწუხრი. ა. ზეცისა გან. – ქრისტე ღმერთო, რომელიცა მოხუჭდ ცოდვილთათჳს ცხორებად ... (18v-20r).

- 6.3. სამშაბათსა მეორისა შვედულისასა სულიერისა დღესასწა-
ულიათს, რაათა მივემთხვენეთ სასუფეველსა ცათასა. გუა-
კურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, ვითარცა სოფელსა შინა
იქმნებ[ი]ან კრებაანი აქა და იქი წლითინწლად ... (20r-21r).
7. **ოთხშაბათსა ცისკრად ხუჭდრნი. განძლიერდასა. უფლისა მიერ
ღმრთისაჲ** – ჯუარსა ზედა განიპყრენ ჳელნი შენნი, ქრისტე, და წყევა
იგი პირველისა მამისა აღვოცე, სიტყუაო ღმრთისაო ... (21r-22v).
- 7.1. **ოთხშაბათსა მეორესა შვედულისასა განთიად. ოხითა. ჳმაჲ ა
გუერდი** – ღმერთო მაღალო, რომელი ცათა შინა დამკვდრებულ
ხარ, რომელმან დაჰბადენ ყოველნი სულნი, გუაცხოვნენ ჩუენ ...
(22v-23r).
- 7.2. **ოთხშაბათსა [...] მწუხრი [...], ა გუერდი. სუფევს ღმერ-
თი** – ვედრებითა მოციქულთათა ღირს-გუყვენ, მაცხოვარ,
აღსრულებად მარხვისა ... (23r-24r).
- 7.3. **ოთხშაბათსა მეორისა შვედულისასა, რაათა დავიცვათ სული
ჩუენი განმხრწნელთა ვნებათაგან. გუაკურთხენ, მამაო** –
ძმანო და მამანო, ვიმარხეთ რაჲ პირველი იგი შვედული, სხუ-
ჭბრ რაჲმე აღუჩნდით ურთიერთას ... (24r-v).
8. **პარასკევსა მეორესა მწუხრი. შემდგომად პარასკევთა წმიდათა
მარხვათასა მწუხრი. უკუეთუ არა იყოს ჳსენებაჲ წმიდათა ორ-
მეოცთა, ანუ წინამორბედის თავის პოვნა და ანუ დღესასწაული
ხარებისა, უფალო ღაღადყავსაჲ; უქცევთ ათთა მუჭლთა ზედა ...
(25r).**
- 8.1. **პარასკევსა მწუხრი. წარდგომაჲ, ფსალმუნი: წყალობადმან
შენმან და ჳეშმარიტებაჲ. დასდებელი: თმენით დაუთმე
უფალსა და მომხ. დაბადებისა საკითხავი** – და იყო ნოე ხუ-
თასის წლის და შვნა ნოე სამ ძე: სემ, ქამ და იაფეთ ... (25r-26r).
- 8.2. **პარასკევსა მეორისა შვედულისასა ერთობისათს და
სიყუარულისათს და მწნედ ტვრთვად ტკივილთა [...]** და
მიმთხუჭვად სასუფეველსა ცათასა – ძმანო და მამანო, მიხა-
რის თქუენტს გლახაკსა ამას ... (26r-27r).

9. შაბათსა მეორესა ხუჭდ[რნი] ოთხფსალმუნნი, ღალადყავსა, დ გუერდი – ვედრებაჲსა. მრავალთა მ[ა]თ ჭირთა მოთმინებითა მოწა-მეთა ბევრეულნი მბრძლონი უსჯულოთანი დასცნეს ... (27r-29r).

9.1. შაბათსა მეორისა შვდეულისასა მოქალაქობისათვს კეთილ[ი]-სა და წსენებისათვს [...] და მერმესა მოსაგებე[...]. გუაკურ-თხენ, მამაო – ძმანო და მამანო, მნებაჲვს უწყებაჲ სიყუარუ-ლისა თქუენისა ... (29v-33r).

10. მესამესა კვრიაკესა[...]ნგნ ყოველი მო[... ...]და საქმე [...], გუა-კურთხენ, მამაო – [ძმანო და] მამანო, შვილნო, ვითარცა [...]ლსა თქუენსა უფალსა [...]აც თვსა მსახურებისა საქმე, ეგრეთვე მეცა თანამდევ ვართ თქუენდა ... (33r-35v).

10.1. [მეო]რესა კვრიაკესა, რაათა მშვდობით, [მ]ყუდროებით აღ-ვასრულებდ[...][...]დღეთა მარხვისათა სასოებითა [...] სახა-რებისათა. გუაკურთხენ, მამაო – ... [ძმანო და მ]ამანო, კეთილ არს მარხვა [...]ჩნდეს თვსებაჲ თვსი, რომელ [...]დებჲა სიმშვდე, მყუდრო ... (35v-37r).

11. ორშაბათსა ხუჭდრნი, უგალობდითსა – ეტლთა სიმრავ. რომელსა ღმრთებერ მოწყალებაჲ გაქუს, სინანული ჩემი შეინირე ... (37r-38v).

11.1. მესამესა შვდეულისასა ორშაბათსა განთიად, ოხითა დ – რამეთუ უძღურ ვართ ჩუენ და დაღონებულ ცოდვათა ჩუენ-თაგან ... (38v-39r).

11.2. ორშაბათსა მესამესა მწუხრი – წმიდანო მარტ. მარხვითა ვნე-ბანი ბოროტნი სულთა ჩუენთაგან განვიოტნეთ, ძმანო ... (39r-40v).

11.3. ორშაბათსა მესამისა შვდეულისასა მადლობისათვს და მოთ-მინებისა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, რომელ-თა-ესე სანთელად მგზებარედ გუაქუს სიყუარული უფლისაჲ ... (40v-42v).

12. სამშაბათსა მესამესა ხუჭდრნი. მეოხებითა გ გუერდი – კლდე განაპო. მიშვილა სახიერმან ზეცათა მამამან ემბაჲზისა მიერ და შემამკო კეთილად ... (42v-44r).

12.1. სამშაბათსა მესამესა შუადღე. ოხითა. გ გუერდი – მაცხო-ვარი დამჰსნელი ჩუენი შენ ხარ, უფალო ... (44r-45r).

- 12.2. **სამშაბათისა მესამესა მწუხრი ბ. მამისგან შობ.** – მაღლითა მარხვისათა, უფალო, სულთა განათლებასა ღირს-მყუენ მორნ-მუნენი ... (45r-46v).
- 12.3. **სამშაბათისა მესამესა შვდეულისასა მარხვისათვს არა ხოლო ჭამადთაგან, არამედ ყოველთა ვნებათაგან. გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, განვაგრძვე სწავლა პატიოსანთა სასმენელთა თქუენთა ... (46v-48v).
13. **ოთხშაბათისა მესამესა ხუჭდრნი, განძლიერდასა** – მოსავთა შენ-თა გ. ჯუარს-ვაცუნეთ(!) ჩუენთვს ჯუარცმულისა თანა და ჯორცთა ვნებაანი მოვაკუდინნეთ ... (48v-50r).
- 13.1. **ოთხშაბათისა მესამესა შუადღედ, ოხითა ა გუერდი** – არსე-ბაჲ კეთილთა საქმეთა ჩუენთა არა არს, უფალო, ხოლო შენ მონყალე ხარ და კაცთმოყუარე ... (50r-50v).
- 13.2. **მესამესა ოთხშაბათისა მწუხრი. ა გუერდი** – სუფევს ღმერთი. მოციქულნო მაცხოვრისანო, მნათობნო ყოველთა კაცთანო ... (50v-51v).
- 13.3. **ოთხშაბათისა მესამესა [...]** შინა ამიერ განსლვისა ჩუენისათვს, რაჲთა კრძალულად დავიცვნეთ საცნობელნი და გონება უჯეროთა გულისთქმათაგან. **გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, წმიდისა ამის მამისა მოძღურისა აქა ყოფასა არა ჯერ-არს ჩუენდა ზრახვად ... (51v-53r).
14. **ხუთშაბათისა მესამესა შვდეულისასა ხუჭდრნი, მესმასა** – სმენა მესმა ძლიერი. მნათობაჲდ გამოსჩნდით თქუენ ეკლესიისა სამყა-როსა, მოციქულნო ... (53r-54v).
- 14.1. **ხუთშაბათისა მესამისა განთიად, ოხითა, გ გუერდი** – უკე-თუ უსჯულოებათა ჩუენთაებრ მომაგებდე, კაცთმოყუარეო ... (54v-55r).
- 14.2. **ხუთშაბათისა მესამესა მწუხრი. ა გუერდი** – ჭეშმარიტო სიტკობეპაო, რომელმან ოდესმე ... (55r-57r).
- 14.3. **ხუთშაბათისა მესამესა, რაჲთა მაღლობით მოვითმენდეთ მწუხარებაჲთა მომავალთა ჩუენ ზედა. გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, საქმეთა ჩუენთა ვხედავ, ვითარ ბოროტ არიან ... (57r-v).

15. **პარასკევსა მესამესა ხუჭდრნი, ღამითგანსა, დ გუერდი** – რო-მელმან ღამისგან. განმკურნე მე, უფალო, ცოდვათა ჩემთა მიერ მონყლული მწარედ ... (58r-59r).
 - 15.1. **პარასკევსა მესამესა შუადღე. ოხითა. დ გუერდი** – სიტყვთ დაამტკიცენ ყოველნი დაბადებულნი, ყოვლად ძლიერო ღმერთო ... (59r-60r).
 - 15.2. **პარასკევსა მესამესა მწუხრი. დ გუერდი** – მსაჯულო ყოველთაო, მოსლვასა შენსა საშინელად ... (60r-61v).
 - 15.3. **პარასკევსა მესამესა მოთმინებისათჳს განსაცდელთასა და მარხვისათჳს. გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, გუშინ შფოთმან მომიცენა და დღეს დაწყნარებაჲმან ... (61v-62r).
16. **შაბათსა მესამესა ხუჭდრნი, ოთხფსალმუნნი, ღალადყავსა დ** – შთავარდი. სისხლთა წუჭთითა მორწყენით გულნი ქრისტეს მორნმუნეთანი ... (62r-64r).
17. **მესამესა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა თაყუანისცემა ჯუარი-სა. ჩუჭულებისაებ[რ] ფსალმუნებაჲ. უფალო ღალადყავსაჲ. უქცევთ ი-თა მუჭლთა ზედა და ვიტყვთ დასდებელთა აღდგომი-სათა გ-თა და აღმოსავლურთა გ-თა და პატიოსნისა ჯუარისაჲთა დ-თა, მუჭლი ბ-გზის, ჳმაჲ ა გუერდი** – გიხაროდენნი. გიხაროდენ, ცხოველსმყოფელო ჯუარო, ქრისტიანეთა შესავედრებელო ... (64r-v).
18. **სამშაბათსა მეოთხესა მწუხრი** – მოგიციმიე. მოვედით, თაყვანის-ვსცეთ ძელსა ცხორებისა ჩუენისასა ... (65r-66v).
 - 18.1. **სამშაბათსა მეოთხესა საშინელისა მისთჳს სასჯელისა და მერმისათა მოსაგებელისა. გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო და შვილნო, უკეთუ უნდოსა ამის სწავლისა ჩემისაგან ... (66v-73v).
19. **ოთხშაბათსა მეოთხესა შუადღედ. ოხითა** – ჯუარსა შენსა თაყუა-ნის-ვსცემთ, მეუფეო ... (73v-74r).
 - 19.1. **ოთხშაბათსა მეოთხესა მწუხრი. ჩუეჭულებისაებრი ფსალ-მუნებაჲ. ა. წმიდანო მარტჳ.** – წყლითა მარხვისათა სულნი ჩუენნი განვიბანეთ, ძმანო, ბრწყინვალედ ... (74r-76r).

- 19.2. **ოთხშაბათსა შუა მარხვისასა, ვითარმედ აღვსებაჲ ესე სახე არს მერმისა მის და საუკუნოსა აღვსებისა –** ძმანო და მამანო, აჰა ესერა, მარხვანი წარვლენ და უხარის სულსა მონვენისათჳს აღვსებისა ... (76r-77v).
20. **ხუთშაბათსა დ გუერდი –** ეტლთა მ. მოვედით, დღეს, მორწმუნენო, გულითა გონებითა წმიდათა ... (77v-80v).
- 20.1. **ხუთშაბათსა მეოთხესა განთიად, ოხითა –** ჯუარსა შენსა თაყუანის-ვსცემთ, მეუფეო ... (80v-81r).
- 20.2. **მეოთხესა ხუთშაბათსა მწუხრი დ –** მოგიცემიეს. შემდგომად სანადელისა ღირს-ქმნილნი ესე ამბორის-ყოფად ... (81r-82v).
- 20.3. **ხუთშაბათსა მეოთხესა მადლობისათჳს და წესიერებისა. გუაკურთხენ –** ძმანო და მამანო და შეილნო, მოგიწოდ თქუენ სწავლად და მნებაჲს, რაჲთამცა მრავალსახე და თითოფერი სიტყუაჲ მაქუნდა ... (82v-84v).
21. **პარასკევსა მეოთხესა ხუჭდრნი დ გუერდი, ღამითგანსა –** სამგ-ზის სანატ. განწმედილთა სულითა და ბაგითა, ძმანო, ცხორებისა ჩუენისა ძელსა ამბორს-უყოთ ... (84v-86v).
- 21.1. **პარასკევსა მეოთხესა შვდელისასა განთიად, ოხითა, ჳმაჲ ა –** რომელი მალლით უხილავად გუბრძვანან ჩუენ ... (86v-87r).
- 21.2. **პარ[ასკევსა დ მწუხრი. გ გუერდი მჯდომარე]** (87r-88v).
22. **ოთხშაბათსა მეხუთესა ხუჭდრნი დ გუერდი. განძლიერდასა –** არავინ არს. დასჯილი ცოდვითა, რომელმან-ესე განგარისხე, სახიერ ... (88v-90r).
- 22.1. **ოთხშაბათსა ე განთიად. ოხითა ა –** წყალობანი იგი წმიდათა შენთანი, რომელ შენთჳს თავს-ისხნეს, მიიხუჭნ ... (90r-90v).
- 22.2. **ოთხშაბათსა ე მწუხრი. უკუეთუ სინმიდის განახლებაჲ იყოს, პირველად სტიქარონნი ორგზის და ზედა ესე ოთხნივე და მერმე ანდრიას გალობანი და თუ განახლებაჲ არა იყოს, პირველად მწნეონნი და ზედა ედემი და მერმე ანდრიასნი. სტიქარონი –** რბიოდე შენ, სულო ჩემო, გზასა ამას მარხვისასა შემკული კეთილად ... (90v-91r).

დასდებელნი სინანულისანი. უფალო ღალადყავსაჲ – მინდა
ცრ. დაინთქნეს. ყოველი ცხორებაჲ ჩემი მეძავთა და მეზუერეთა
თანა წარეგების ... (91r-94r).

- 22.3. **ოთხშაბათსა მეხუთესა შვდელისასა, რაჲთა განვიწმიდნეთ**
თავნი თვისნი ყოვლისაგან შეგინებისა სინანულისა მიერ
ღმრთივმონიჭებულისა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მა-
მანო, შეგანუხნა თქუენ წყლულებამან ფერვისა ჩემისამან ...
(94r-95v).
23. **ხუთშაბათსა ე ხუჭდრნი გ. მესმასა – მესმა, უფალო. მარხვითა**
მოქალაქობდეს ღმრთივგანათლებულნი ქრისტეს მოციქულნი ...
(95v-96v).
- 23.1. **გალობანი სინანულისანი თქმული წმიდისა ანდრია იერუ-**
სალჭმელისანი კრიტელ მთავარეპისკოპოსისანი. უგალობ-
დითსა. ზ გუერდი – შემნე და მწსნელ და მფარველ მეყო მე
მაცხოვარებაჲდ ჩემდა ესე ღმერთი ჩუენი ... (97r-109r).
- 23.2. **გალობანი წმიდისა შიოსნი – ზღუაჲ მენ. იესუ ღმერთო,**
ზეცით მოჰმადლე უღირსსა სულსა სულისა შენისა საცნაური
მადლი ... (109r-110v).
24. **ხუთშაბათი [...]** ავაზაკი გგმობდა და ავაზაკი ღმრთად გხადოდა
 [...]ივე შენ თანა ჯუარცმულ იყვნეს, არამედ, მწსნელო ჩემო, მეცა
 ... (111r-v).
25. **ხუთშაბათისა მეხუთესა გ[ან]თიად. ოხითა. ს [...]** ... (112r-113v).
26. **[... ...] არს ჩუენდა [... ...]ებითა და გულსმოდგინ[... ...] ვიქმოდით**
ცხორებასა ჩუენ [...]. [გ]უაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო,
[...]საქმისა ჟამი არს ... (113v-116v).
27. **[პარასკევსა ე. შუადღე ოხითა – [...]** ... (116v-118r).
28. **[პარასკევსა ე შვდელისასა, ვითარმედ არაჲ ჯერ-არს, რაჲთა გა-**
ნულოთ კარი ეშმაკსა შეწყნარებად ბოროტთა გულისსიტიყუათა.
მამაო, გუაკურთხენ] ... (118r-120v).
29. **[შაბათსა ხუჭდრნი. ღალადყავსა. ზ გუერდი]** – სოფლი[სა ზღ. მსგა-
 ვსად] ქვათა [რჩეულთა გო]რვიდეს ... (120v-123v).

30. **შაბათსა ე შვდელისასა, რაათა გულსმოდგინედ წინააღუდგეთ ბრძოლასა უკეთურთა ეშმაკთასა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო**, ვინათგან დღ[ეთა] [მათ] მარხვისათა შემოვლენ ჩუენდა ამბავნი სოფლიოთა საქმეთანი ... (123v-131v).
31. **შაბათსა ე მწუხრი შემდგომად ფსალმუნებისაჲ უფალო ღალადყავსაჲ, დასდებელნი აღდგომისანი** ... (132r-133v).
32. **ორშაბათსა ბზობისასა შუადღე ოხითა. ა გუერდი – ესე არს დღე საშინელი, რომლისა მწუხრსა მიწევენად არა მოველით** ... (134r-v).
- 32.1. **ორშაბათსა მეექუსესა მწუხრი – ყოველი სასოებაჲ. მრავალთა ცოდვათაგან და გულისთქუმათა ბოროტთა სული ჩემი გლახაკი მოუძღურებულ არს** ... (134v-137r).
- 32.2. **ორშაბათსა ბზობისასა სწავლა წმიდისა თეოდორესი. მამაო, გუაკურთხენ – ძმანო და მამანო, დღეთა ამათ შინა წმიდათა ყოველთავე თანა – მაც სწავლა** ... (137r-140r).
33. **სამშაბათსა ბზობისასა შუადღე. ოხითა. ა გუერდი – უძღვევლი ზღუდე მოგიცემიეს მორწმუნეთა და უბინო იგი დედა შენი ქალწული, ქრისტე ღმერთო** ... (140r).
- 33.1. **სამშაბათსა მეექუსესა მწუხრად ბ. მამისაგან შობ. – მრავალთა მტრისა ბრძოლათაგან ვნებული გული ჩემი მკუდარ იქმნა და სამარესა შინა დაწსნილობისასა მდებარე არს** ... (140r-141v).
- 33.2. **ბზობისა სამშაბათსა სწავლა საშინელისა მისთვის, გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, რომელი-იგი პირუელსა მას სწავლ** ... (141v-143r).
34. **ოთხშაბათსა ცისკრად ხუჭდრნი. განძლიერდასა დ. – ბუნებით ლ. მადლითა შენითა, კაცთმოყუარე, განანათლე გონებაჲ ჩუენი** ... (143r-145r).
- 34.1. **ოთხშაბათსა ბზობისასა შუადღე, ა გუერდი – წყალობაჲ შენი, უფალო, ყავ ჩუენ ცოდვილთა თანა და ნუ მიმცემ ჩუენ უსჯულოებათა ჩუენთათჳს** ... (145r-v).
- 34.2. **ოთხშაბათსა მეექუსესა მწუხრი. გიხაროდენნი – რაჟამს ნიაღ იორდანესა იქცეოდე, ქრისტე, ჳორცითა, მეუფეო** ... (145v-147v).

34.3. **ოთხშაბათსა მეექუსესა შვდელისა წსენებისათვის სიკუდილისა. გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, რამცა იყო ესრეთ კეთილ და სარგებელ სულისა ... (147v-149v).

წყდება: [.....]თა ჩუენთა. სამნათელო[... ..]ნი იგი შენნი ბრწყინ[...]ჩუენსა გამოაბრწ[.....]ვალთა საც[...] განღმრთობილ ... (150v).

ანდერძ-მინანერები:

ანდერძი:

ნუსხური: „ქრისტე, შეინყალე ცოდვილი **პავლე**“ (96v, ქვედა არშია, ტექსტის ხელით).

მინანერები:

1. მხედრული: ქ. ღვინობისთვის [...] (121r, ქვედა არშია).
2. გვიანდელი მხედრული: 44v (მარცხენა ზედა არშია), 60v (მარცხენა არშია), 74v (მარცხენა ქვედა არშია).
3. აღმოსავლური მინანერები: 76r, 77v, 78r.

ტიქსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. ტექსტი აღდგენილი 1448/4 ხელნაწერის მიხედვით.
2. ტექსტის ბოლოს, 113r-დან შემოდის სტილიზებული საზედაო გრაფემები.
3. საგალობლების ავტორებიდან გაირჩევა მხოლოდ ერთი – **არსენი** (3v).
4. ცხრაოდიან სისტემაზე ტრადიციულად განყოფილი მარხვანი შეიცავს მცირე ზომის საგალობლებსაც: წარდგომები, იბაკოები, სტიქარონები.
5. ტექსტისათვის დამახასიათებელია α მეტობა.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. გაბიძაშვილი ენრიკო, ლიტურგიკა და ჰიმნოგრაფია, ბიბლიოგრაფია, თბილისი, 2011, გვ. 147.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 2.
3. ტრიოდონი, რომელ არს სამსაგალობელი, ტფილისი, 1901.

ეფრემ ალექსეევი, სახსოვარი ნიშნი [XIX ს-ის I ნახ.]

1446/2

ტიქნიკური აღწერილობა:

29 ფ. ცარიელი ფურცლები – 5v, 7v, 8r, 20v, 22v, 23r-v. ზომები: ყდა – 163×96, ქაღალდი – 157×90, ტექსტი – 115×65, სისქე – 10; სტრიქონებს შორის მანძილი – 6. არშიები: ზედა – 14, ქვედა – 24, მარჯვენა – 18, მარცხენა – 13. ქაღალდი – ცისფერი. მელანი – შავი, ყავისფერი. ხელნაწერს აქვს მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, საკუთარი სახელები და ზოგიერთი საზედაო გრაფემა მთავრულით. აქვს ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 8/12/15. ხელნაწერი არის ძველი რესტავირებული, აკინძული და მუყაოს ყდაში ჩასმული; დაზიანებული ადგილები შევსებულია გამჭვირვალე ქაღალდით. ფურცლები დალაქავებულია; ერთი გვერდის (22v) ზედა მხარე მოხეულია. ხელნაწერს ახლავს ღვთისმშობლის მცირე ზომის მინიატურა რუსული წარწერით, ჩასმული მრგვალ მედალიონში. მინიატურის ზომა – 34×34. 1r-ს ტექსტი ჩასმულია უბრალო შავი ფერის ჩარჩოში. ავტორი – მღვდელი **ეფრემ ალექსეევი, დედოფალ მარიაამის (გიორგი XII-ის თანამეცხედრე)** მოძღვარი (1v). [XIX] დათარიღების საფუძველი – ხელნაწერში შეტანილი მასალის შინაარსი. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია სოფელ **ახალქალაქის (შიდა ქართლი) თეოდორე ტირონის** ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: წელსა 1803 ქალაქიდამ წამოველ **რუსეთისაკენ** მისის უნმიდესობის შენდობით. მაისის ია წელსა ჩყგ. დედოფალს ვეახელ **სტავრაპოლს**. მაისს კთ, იუნის იზ მოვედით **ბელაღოროდს** (7v).

ტიქსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

ხელნაწერი შეიცავს შემდეგი სახის ჩანაწერებს:

1. სამეფო ოჯახის წევრების და მღვდელმთავრების მოსახსენებლები (2r-5r).
2. **ეფრემ ალექსეევის** პირადი და საეკლესიო ხარჯების სია და სხვადასხვა სახის ჩანაწერი (შემოსავალ-გასავალი, საეკლესიო ინვენტარის, ხატებისა და სამოსის დანვრილებითი აღწერა) (7v-12v).
3. საღებავების დამზადების წესები (13r-20r).
4. **მარიამ დედოფლის** ბრძანებით დასაყენებელ წირვათა ნუსხა თვეების მიხედვით (27v-29v).
5. ხელნაწერს ერთვის მოსახსენებელი, რომლის თავდაპირველი სია შესრულებულია ასომთავრული გრაფემებით, ხოლო შემდეგ პარალელურად მიწერილია მხედრულით. მეფის ძეთა სიაში, რომელშიც **მიხაილა** მოხსენიებული, მხედრულად წაუწერიათ **მირიან**.

მოგვაქვს მოსახსენებელი მთლიანად:

კუჭთაში მოიხსენე:

დედოფალი მარიამ

მეფის ძენი:

მიხაილ, ჯიბრაილ, ილია, ოქროპირ, ირაკლი

მეფის ასულნი:

თამარ, ანნა

მეფის ძენი:

დავით, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ

მეფის ასულნი:

სოფია, ნინო, რიფსიმე, გაიანე

მეფის სძალნი:

ელენე, ქეთევან, ეკატერინე, ელენე

გრიგოლ, ესტატე, ზაქარია

იმერეთის მეფისა

დედოფალი დარია

ძენი მეფისანი:

**ვახტანგ, მირიან
მეფე იმერთა სოლომონ
დადიანი გრიგოლ**

ყოვლად სამღუდელონი:

კათალიკოსი ანტონი, მთავარეპისკოპოსი იუსტინე, ბოდბელი იოანე, ტფილელი არსენ, ახტალელი იოაკიმ, რუსთველი სტეფანე, ურბნელი იულიოს, ნეკრესელი ამროსი, სამთავნელი ღერვასი, ნინონმიდელი მიხაილ, ხარჭაშნელი ნიკოლაოს, ნიქოზელი ათანასი.

არქიმანდრიტი დოსითეოს, იკორთელი გამალიელ, დავითგარეჯელი ილარიონ, ნათლისმცემლისა ნიკიფორე, მღვიმისა მონასტრისა პაფნოტი, ჯვარისა ათანასი, დაუჯდომლისა გერასიმე, მღუდელმონაზონი ნიკოლაოს, მღუდელი ფილიპე, მღუდელი ეფრემ, მღუდელი ელევთერ, მღუდელი აბრაამ, მღუდელი ქრისტესია, მღუდელი იოსებ, მღუდელი გიორგი, მღუდელი ონისიმე, მღუდელი იოანე, მღუდელი იოანე, მღუდელი პეტრე, მღუდელი პეტრე, მღუდელი იოსებ, მღუდელი იოსებ, მღუდელი ლეონტი, მღუდელი ტიხონ, მღუდელი იოანე, მღუდელი ბესარიონ.

დიაკონი ეგნატი, დიაკონი იოსებ, დიაკონი დავით, დიაკონი იოანე (2v-5v).

შენიშვნა: მოსახსენებელს ახლავს შემდეგი სახის განმარტება:

ამათ გარდა, **ბატონიშვილი ალექსანდრე** გავარდნილი იყო და იმის ცოლი და შვილი **ირაკლი** დაიჭირეს რუსებმა **ერევანში 1828 წ. (2v).**

მინაწერები:

მხედრული: „ეს უბით სატარებელი ან შინ საქონი სახსოვარი ნიგნი არის ნაქონი და ნანერიც მღუდლის **ეფრემ ალექსევისა**, რომელიც გა[რ]დაიცვალა დეკანოზობაში“ (1r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 2.

კონდაკი, იოანე ოქროპირის ჟამისწირვა [XV]

1446/3

ტიქნიკური აღწერილობა:

2 კეფი. გრაგნილი. ზომები: I კეფი – 855×235; II კეფი – 702×235. ეტრატი, მელანი – ყავისფერი. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. საზედაო გრაფემები და ტექსტების გარკვეული ნაწილი – სინგურით. განკვეთილობის ნიშნები: ლ; ლ; ლ; ლ. თავნაკლული, ეტრატი უხეში, დალაქავებული. კიდები შიგადაშიგ დაზიანებული. კეფები გადაკერებულია წითელი ძაფით და დახვეულია საგანგებო ჯოხზე. ხელნაწერს ახლავს საუცხოოდ შესრულებული საზედაო გრაფემები, გაფორმებული დეკორაციული ელემენტებით. კერძოდ, I კეფის რ: „გ“ (150×65), „ლ“ (160×55), „გ“, თავზე დეკორირებული ჯვრის გამოსახულებითა და მთავრული მინაწერით „ჯუარი ქრისტესი“ (145×60), „ვ“ გველეშაპის გამოსახულებით (160×70). I კეფის რ: „მ“ (45×25), „ო“ (50×25), „ლ“ წმიდა მარინეს გამოსახულებითა და შესაბამისი მთავრული წარწერით: „წმიდა მარინე“ (98×35), „შ“ (86×32). I კეფის ვ: „წ“ (65×12); „მ“ (80×40), ყ (70×40). II კეფის ვ: „გ“ (95×35), „მ“ (50×40), „წ“ (65×15), „გ“ (95×45), „რ“ (70×42), „ო“ (93×60). [XV] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს გრაკალში მცხოვრები ნიკოლოზ ამილახვრის მიერ.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: წმიდისა საკურთხეველისა შენისა და თანამდებისა თაყვანისცემისა დიდებისა მეტყუჴლებისა შეწირვად შენდა. შენ, მეუფეო, შეწინრე პირთაგანცა ჩუენ ცოდვილთა სამწმიდაა გალობაა და მომხედენ ჩუენ სიტკობებითა შენითა, მოგვიტევენ ჩუენ ყოველნი ცოდვანი ჩუენნი ნეფსითნი და უნებლიეთნი ... (I კეფი, რ).

წყდება იოანე ოქროპირის ზიარების წინა ლოცვაზე (დასასრული არ იკითხება).

მინაწერები:

ნუსხური:

1. „[...] [შეუნდვენეს ღმერთმან“ (I კეფი, r, ზედა არშია).
2. „შეუნდვენეს ღმერთმან **ზაქარიას დევიძეს** ცოდვანი მისნი, დღეგრძელობით მეუღლესა მისსაჲ“ (I კეფი, r, მარცხენა არშია).
3. „ღმერთო, შეინყალე სული **მერაბის იაშვილისა**“;
 „ღმერთო, შეინყალე **სალირ** მას მეორედ მოსლვასა“;
 „ღმერთო, შეინყალე **გიორგი** მას მეორედ მოსლვასა“;
 „ღმერთო, შეინყალე **მანასე**, ქრისტე ღმერთო, მას მეორედ მოსლვასა“ (I კეფი, r, მარცხენა ქვედა არშია).
4. „**კრავას** შვილი **მამუკა** შეინყალოს და შეუნდნეს ცოდვანი მისნი ღმერთმან, ამინ და კირიელესონ, მისა მეუღლესა **თამარსაცა** შეუნდნეს ღმერთმან, ამინ“ (I-II კეფი, r, ტექსტის ხელით, კეფების გადაბმა).
5. „ღმერთო, შეინყალე სული **რატის გორიჭასშვილისა**“ (II კეფი, r, მარცხენა არშია).
6. „მოიწსენე, უფალო, მონა შენი **გოგინა** და მისი შვილი **ელენე**, ამინ“ (II კეფი, v, მარცხენა არშია).
7. „მოიწსენე, უფალო, **ხარჭაშნელი მათეოზ**“ (II კეფი, v, მარცხენა არშია).

მხედრული:

8. „[...]ღმერთ[მან]. მისა მეუღლეს **თეთრუა** ღმერთმან შეუნდვენეს“ (I კეფი, v, მარცხენა ზედა არშია).
9. „**აშოთ[ან** შ(ეუნდვე)ღმერთო“ (I კეფი, v, მარცხენა ზედა არშია).
10. „ქ. სულსა **ნასყიდასა ნინილძესა** შეუნდნეს ღმერთმან, ამინ მეუღლეს“ (II კეფი, r, მარცხენა არშია, განსხვავებული ხელითა და შავი მელნით).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. კონდაკი, თბილისი, 1899.
2. ლოცვანი, თბილისი, 2007.
3. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 2.

mxdred

მარხვანი [XVIII]

1446/4

ტიქნიკური აღწერილობა:

442ფ. ზომები: ყდა – 289×204, ქალაღი – 277×202, ტექსტი – ა) 200×130, ბ) 213×153, გ) 227×157, სისქე – 98/83; სტრიქონებს შორის მანძილი – 8/6/5. არშიები: ზედა – 35/32/31, ქვედა – 46/43/21, მარჯვენა – 49/38/26, მარცხენა – 20/25/18. ქალაღი. მელანი – შავი, წითელი. ხელნანერს აქვს ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა, რესტავირებული. დამწერლობის სახეობა – ნუსხური, საზედაო გრაფემები – მთავრულით. სტრიქონების რაოდენობა – 21/25. აღრიცხვა – რვეულებრივი. განკვეთილობის ნიშნები: – •; •; ••; •••. ხელნანერი ნაკლულია, ინყება ნაკლული ა რვეულით (5 ფ.), არასრულია ასევე შემდეგი რვეულები: ე – 7 ფურცელი; იჟ – 7 ფურცელი; კა – 7 ფურცელი; კბ – 6 ფურცელი; ლგ – 7 ფურცელი; მგ – 7 ფურცელი; მდ – 5 ფურცელი; მვ – 7 ფურცელი; მთ – 7 ფურცელი; ნე – 7 ფურცელი და ხელნანერი მთავრდება ნვ არასრული რვეულით – 5 ფურცელი. აკლია შემდეგ ფურცლებს შორის: 176-177, 429-430, 433-434. ფურცლები კარგად არის შემონახული. კიდებზე ხშირად მითითებულია ხელნანერში ჩართული საგალობლების ავტორები. გაირჩევა რამდენიმე ხელი: 1) უცნობი გადამწერი – 1r-12v; 2) უცნობი გადამწერი – 13r-384v; 3) იესე ტლაშაძისა – 385r-443v. [XVIII ს-ის I ნახ.] მომგებელი – ბატონისშვილი სიმონი (6r, 11v, 19r, 49v, 54r). გარკვეული პერიოდი ხელნანერი ეკუთვნოდა სპირიდონ მღვდელს (129r). დათარიღების საფუძველი – სიმონ ბატონისშვილისა (1683-1740) და იესე ტლაშაძის (XVIII ს-ის I ნახ.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდი. ხელნანერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს სტეფანნმიდის ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. ინყებიან წმიდანი მარხვანი მეზუჭრისა და ფარისევლისასა. უფალო ღალადყავსაჲ. დასდებლნი აღდგომისანი, ჳმისანი ა – ეჰაჲ, დიდებული. ნუმცა ვილოცავთ ფარისევლისაებრ, ჳ ძმანო, რამეთუ რომელმან აღიმალლოს თავი თ[კ]სი, დამდაბლდეს ... (1r-6v).

2. კვრიაკესა უძლებისასა მწუხრი. უქცევთ უფალო ღალადყავსაჲ ათთა მუჭლთა ზედა და ვიყვთ სამთა აღდგომისათა წმისათა და სამთა აღმოსავლურთა და სამთა უძლებისათა, წმამ ა – სასწაულთა მოქმედი. ქუეყანა წმიდაჲ ცხორებისა მერწმ[უ]ნა, ხოლო მე ვთესე ცოდვა და მოვიმკე უღებებაჲ და საქმეთა ჩემთა ბოროტთა მჭელეულნი და ზვნნი არაჲ განვლენენ კალოსა სინანულისასა ... (6v-12v).
3. ჯორციელისა პარასკევსა მწუხრი ვ. წსენებაჲ შესუწნებულთა ქრისტეანობით აღსრულებულთა მართლმადიდებელთა. უფალო ღალადყავსაჲ. დასდებელნი წმიდათანი სამნი წმისანი და შესუწნებულთანი სამნი. მარხვათაგან დ გუერდი. ედემნი სამნი. დიდებაჲ. ვგოდებ. დ გუერდი. უფალო ღალადყავსაჲ, წმამ გ – დიდ არს ძალი მონამეთა შენთა, ქრისტე, რამეთუ საფლავსა შინა მდებარე არიან და სულთა უკეთურთა განდევნიან ... (12v-19v).
4. კვრიაკესა ჯორცითა აღებაჲსა წსენებაჲ მეორედ მოსლვისა. მწუხრი. უფალო ღალადყავსაჲ. ათთა მუჭლთა ზედა უქც. და პირველად ვიყვთ აღდგომისათა წმისათა სამთა და აღმოს[ავ]ლურთა სამთა და მეორედმოსლ[ვ]ისათა სამთა ბ გუერდი. ყოველი სასოებაჲ – ოდეს მოხვდე დიდებით, მსაჯულო სიმართლისაო, და დასჯდე საყდართა ზედა განსჯად ყოველთავე დაბადებულთა ... (19v-20v).
 - 4.1. სერობისად გალობანი მეორედმოსლვისანი. უგალობდითსა ბ გუერდი. შემნე და მწ. – დღესა განსაკრთომელსა უცხოთა მოსლსა შენისასა ... (20v-24v).

შენიშვნა: ახლავს შემდეგი მინაწერი: ტექსტის ხელით: „თეოდორე სტოდიელი თარგმანილი არსენისაგან“ (20v, მარცხენა არშია).
 - 4.2. ჯორციელისა კვრიაკესა მწუხრი. დასდებელნი სინანულისანი დ-ნი. მზგეფსისაგან ბ. მამისგან შობ. – რაბაჲმი დასაბაჲმი სინანულისა შევწირთ შენდა შემოქმედისა ჩემისა ანუ ვითარი სახე მოვილოთ შემწედ ჩემდა ... (24v-25v).
 - 4.3. ცისკრად ხუჭდრნი უგალობდითსა ა – მონებისა. ბრწყინავს წინადღესასწაული ესე მარხვსა და მოღუაწებისა ... (25v-27v).

5. **ყველიერისა ორშაბათსა მწუხრი ბ. მამისგან შო.** – რომელნი-ესე მოვიწინით ასპარეზსა წმიდათა მარხვათასა, რომელნი-ესე განგვწესნა ქრისტემან ღმერთმან იმარხნა რაჲ ორმოცნი უდაბნოს ... (27v-28r).
6. **სამშაბათსაჲ ცისკრად ხუჭდრნი. მეოხებითსა დ გუერდი** – სასწაულად. სარგებელი ესე მარხვსა, არედ ცხოველსმყოფელად მოგუცვა, ვინაცა, ძმანო, სარწმუნოებით შევიტკობთ ... (28r-30r).
 - 6.1. **სამშაბათსა მწუხრი, ჳმაჲ, ა გუერდი** – მონევ. მონვენასა ამას ყოვლად უბიწოსა მარხვსასა გევედრებით, სახიერ ... (30r-v).
7. **ოთხშაბათსა ცისკრად ჴუჭდრნი. განძლიერდასა დ.** – ბუნებით ლმ. განიპყრენ რაჲ მკლავნი ჯუარსა ზედა და მოჰკალ სიკ[უ]დილითა შენითა წყევა ... (30v-33r).
 - 7.1. **ყველიერისა ოთხშაბათსა შუადღედ. ოხითაჲ. ჳმაჲ გ** – მეუფეო ყოვლად ძლიერო, რომლისგან ეშინის და ძრწიან ყოველნივე ... (33r-34r).
 - 7.2. **ოთხშაბათსა მწუხრი ა გუერდი. გიხაროდენნი** – მწარედ ვგოდებ და მწუხარე ვარ საშინელისა მისთვის სამსჯავროსა ... (34r-v).
8. **[ხუთშაბათის ხვედრნი] სტიქარონი დ გუერდი** – არაჲ დააკლ. აღმოგბრწყინდა ს[უ]ლნელი არე მარხვსა წმიდისა და ყუავილი სინანულისა, ძმანო ... (34v-35v).
 - 8.1. **ხუთშაბათსა ცისკრად ხუჭდრნი. მესმასა ბ გუერდი** – რაჟამს წინასწარმეტყუელმან. გამოაბრწყინვეს სოფელსა შინა ნათელი ღმრთისმეცნიერებისა ... (35v-38v).
9. **პარასკევსა ხუჭდრნი გალობაჲ ბ გუერდი** – სული მაცხ. და-რაჲ-ემსჭ[უ]ლავ, მწსნელო, ჯუარსა ზედა, ლახ[უ]რითა განიგმირაჲ წმიდაჲ გუჭრდი შენი ... (38v-41v).

შენიშვნა: ახლავს მინაწერი ტექსტის ხელით: „ესე მუჭლი თუ ძლისპირზედ არ მოვიდეს, მე უბრალო ვარ, დედას ესრე ეწერაჲ“ (39v, მარცხენა ზედა არშია).

 - 9.1. **ყველიერისა პარასკევსა შუადღე, ოხითა ა გუერდი** – მომეც ჩუენ, უფალო, შეწვენა ჭირსა შინა ... (41v-42r).

10. ყველიერისა შაბაჲთსა წსენებაჲ წმიდათა მამათა. მწუხრი. უფალო ლაღადყავსაჲ. უქცევთ ვ მუხლთა ზედა და ვიტყვთ გალობათა წმიდათა მამათასა ბ-ბ გზის, დ გუერდი – მოვედითნი. მოვედით, მორწმუნენო, ყოვლად ქებულთა მამათა გალობით შევასხმიდეთ ანტონის, მწნედ მოლუანესა ... (42r-49v).
- 10.1. ყველიერისა შაბაჲთსა სამხრად ფსალმუნი: შენ გესვდ. დასდებელი: შენდამი ლაღადებ. ჰრომაელთა მიმართ – ძმანო, მშკდობაჲსა შეუდეგით და აღშენებაჲსა ... (49v-50r).
11. ყველიერისა კვრიაკესა ადამის ექსორიობაჲ. მწუხრი. უქცევთ ათთა მუჯლთა ზედა და ვიტყვთ აღდგომისათა სამთა და აღმოსავლურთა სამთა, ადამის ექსორიობისათა სამთა ბ გუერდი – ყოველი სასოებაჲ. ურჩებაჲმან სამოთხით განწადა პირველშექმნილი და ფუფუნებისგან დაკლებულ იქმნა იგი ევას სიტყვთა ... (50r-54r).
- 11.1. ყველიერისა კვრიაკესა. წარდგომაჲ დ გუერდი. აღუთქუდა. დასდებელი: განცხადებულ არს. ჰრომაელთა მიმართ – ძმანო, ან უმახლობელეს არს ჩუენდა ... (54r-v).
- 11.2. ყველიერისა კვრიაკესა მწუხრი. უფალო ლაღადყავსაჲ. უქცევთ ათთა მუჯლთა ზედა. დასდებელთა სინანულისათა წმასა ზედა მსგეფსისა. ზეცისა განწ. – მოინია ჟამი ესე საღმრთოჲსა ღუანლისა ... (54v-55v).
- 11.3. სწავლანი სულიერნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე სტოდელ წინამძღურისა თვსთა მოწაფეთა მიმართ. იკითხვებიან დიდთა მარხვათა შინა შემდგომად სერობისა ლოცვსა. ისმენენ ყოველნი ძმანი ზედგომით, მღუმრიად და ლმოზიერად. ყველიერისა კვრიაკესა მწუხრი. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, სახიერი ღმერთი ჩუენი მომცემს ჩუენ ცხორებაჲსა და წლითინლად მომიყუანებს და მომიყუანა ჩუენ ჟამსა ამას მარხვასასა კაცთმოყუარებით ... (55v-57r).
12. პირველსა ორშაბაჲთსა ხუჭდრნი. უგალობდითსა. ბ განაპო სი. – ზ, ვითარი-მე დანყებაჲ ვყო დღეს გლოვისა ცოდვათა მათ ჩემთასა, რომელმან ბოროტად გარდავიჭადენ ჟამნი ... (57r-58v).
- 12.1. ორშაბაჲთსა ა შვდეულისასა განთიად. ოხითა ა გუერდი – უფალო, უფალო, რომლისაგან ძრნიან ყოველნივე ... (58v-59v).

- 12.2. **ორშაბათსა მწუხრი. უფალო ღალადყავსა, გ გუერდი –** მჯდომარ. ყოვლითა ცოდვითა შევიგინე მედგარი, ყოველთა უღთთა ... (59v-61v).
- 12.3. **ორშაბათსა პირველისა შუდეულისასა მარხვასათს და უვნი-
ბელობისა, რომელი თქუა დაწყებასა მარხვასათსა. გუაკურ-
თხენ, მამაო –** ძმანო და მამანო, მარხვასა ესე ჟამი ყოველსავე ნელინადსა შინა შეერთებული მსგავს არს ნავთსაყუდელსა რაჲსამე ... (61v-63v).
13. **პირველსა სამშაბათსა ხუჭდრნი მეოხებითა დ. –** მომეც ჩუ-
ენ, უფალო. განიფრთხვე და განიღვძე, სულო, სულთ-ითქუშმდ,
ცრემლეოდე და მარხვთა ტვრთი ცოდვათა განაგდე ... (63v-65v).
- 13.1. **სამშაბათსა ა შუდეულისასა განთიად. ოხითა ა –** რამეთუ
მწირ ვართ და წარმავალ ქუეყანასა ზედა ... (65v-66v).
- 13.2. **სამშაბათსა მწუხრი. უფალო ღალადყავსა ბ –** მამისაგან შო.
რომელმან ესე საქმლისა მიერ განვიხსენით სამოთხით ... (66v-
68r).
- 13.3. **სამშაბათსა ა შუდეულისასა ჳსენებისათს სიკუდილისა
და სიტყვსგებისა ს[ა]ქმეთა ჩუენთასთს წინაშე საშინელისა
მის სამსჯავროსა. გუაკურთხენ, მამაო –** ძმანო და მამანო,
ყოველსა ჟამსა და ყოველსა დღესა სარგებელ არს ჳსენება
სიკუდილისა ... (68r-70v).
14. **ოთხშაბათსა ხუჭდრნი განძლიერდასა –** ეჰა, ბერნი. ეჰა, ქრისტეს
მორწმუნენო, ჯუარს-ვაცუნეთ ჳორცნი ჩუენნი მარხვთა და განვი-
ფრთხოთ ვედრებად უფლისა და შეუდგეთ ჩუენ ჩუენთს ჯუარ-
ცმულისა მეუფისა კუალსა ... (70v-72r).
- 14.1. **ოთხშაბათსა ა შუდეულისასა განთიად. ოხითა ჳმა დ –** შენ
უნცი აგებულეზა ჩუენი, შენ უნცი უძღურეზა ჩუენი, კაცთმო-
ყუარე ... (72r-v).
- 14.2. **ოთხშაბათსა მწუხრი დ მწნეონი –** ყოველივე ცოდვა ვქმენ
მე და ყოველთა უმეტესად განგაარისხე შენ, ღმერთო ჩემო,
სახიერ ... (72v-74r).
- 14.3. **ოთხშაბათსა ა შუდეულისასა მოკუდინებისათს ვნებათასა
და სამკაულისათს სულიერისა. გუაკურთხენ, მამაო –** ძმა-

ნო და მა[მა]ნო, მოწვევული ჟამი ესე მარხვსა ჟამი არს შრო-
მათა ... (74r-77r).

15. **ხუთშაბათსა ა ხუჭდრნი. ცისკრად მესმასა გ გუერდი** – რაჟამს
ესმა. მარხვსა მიერ განათლდი, ჟ სულო, და ივლტოდე შენ ბნე-
ლისაგან ცოდვისა და მოგეცეს შენ შენდობაჲ ცოდვათა მადლითა
სულისა მის წმიდისა ცხოველსმყოფელისათა ... (77r-78v).
- 15.1. **ხუთშაბათსა ა შვდეულისასა განთიად. ოხითა გ** – ხილულთა
და უხილავთა მტერთაგან გვკსნენ ჩუენ, უფალო ... (78v-79r).
- 15.2. **პირუელ ხუთშაბათსა მწუხრი დ** – მოგიცემი. გამოგვბრწყინ-
და ჩუენ დღეს მკურნალად სულთა ჩუენთა მარხვაჲ მცხინვარე
ელვარებითა ... (79r-81r).
- 15.3. **ხუთშაბათსა პირველისა შვდეულისასა განსუენებისთვს
უხრწნელისა მის სამკვდრებელისა ჩუენისათვს სათნოებათა
სამკაულითა. გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, სო-
ფლისა ამის კაცნი რაჟამს სახლთა მრავალსასყიდლისათა
აღმაჰრთებდენ ... (81r-83r).
16. **პირუელსა პარასკევსა ხუჭდრნი. ბ გუერდი** – შენდა აღვი. უდე-
ბობასა მას ჩემსა ჴედავს მტერი, ისწრაფის წარწყმედად სულისა
ამის ჩემისა და უხარის მას შთასლვა ჩემი ჯოჯოხეთად, გარნა შენ,
ჟ ქრისტე ღმერთო, არცხვნე მას და მივსენ მე მისგან ... (83r-84v).
- 16.1. **პარასკევსა პირველისა შვიდეულისასა განთიად. ოხითა ვმაჲ
ა გუერდი** – მრავალშეცოდებულსა ამას ცხორებასა ჩემსა და
უნანელსა გონებაჲსა მსწრაფლ ენიენ ... (84v-85v).
17. **პირველსა შაბათსა წმიდათა მარხვათასა ვსენებაჲ წმიდისა და
დიდებულისა თეოდორე მონამისა. მწუხრსა ზედა ვფსალმუნებთ
ჭირის კანონსა ...** – მამისაგან შობ. შენ ნიჭად განმდიდრებულად
ქრისტემან ღმერთმან მოგცა სოფელსა, წმიდაო **თეოდორე** ... (85v-
89r).
- 17.1. **პარასკევსა მწუხრი. გალობანი წმიდისა თეოდორესნი, დ
გუერდი** – ეტლთა მფ. მძლავრთა მიმართ და მდევართა განენ-
ყვე შენ, მონამეო **თეოდორე** ... (89r-91r).

- 17.2. პარსკვესა პირუელისა შვდეულისასა საღმრთოსა მოქალაქობისათჳს. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, ყოვლად ჯერ-არს ჩუენდა ზრახვად სულიერისათჳს ... (91r-93v).
- 17.3. გალობაანი წმიდისა ღმრთისმშობელისანი, დ გუერდი – ქვეყანასა მენ. გარემოცულ მრავალთა განსაცდელთაგან შენდა მოვივლტი ჰ, დედოფალო, და ვითხოვ წყალობაჲსა ... (93v-95v).
- 17.4. სხ[უ]ანი გალობაანი წმიდისაჲ თეოდორესნი. უგლობდითსა. დ გუერდი – ქუეყანასა მენ. უწყი ტრფიალებჲჲ შენი ღმრთისაჲ მიმართ ... (95v-99r).
- 17.5. პირველსა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა წმიდათა ხატთა. უფალო ღაღადყავსაჲ. დასდებელნი აღდგომისანი და აღმოსავლურნი და მარხვათანი ბ გუერდი. ყოველი სასოებაჲ – ღმრთეებისა ბუნებითა გარეშეუწერლ ხარ შენ, ჰ, მეუფეო ... (99r-100r).
18. შაბათსა პირველსა შვდეულისასა. რაჲთა მწნე და მტკიცე ვიყ[უ]ნეთ მართალსა შინა სარწმუნოებაჲსა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, ჩუენდა წინამდებარე არს დღეთა ამათ შინა დღითიდლე მარხვსთჳს ზრახვად ... (100r-107v).
19. კვრიაკესა მწუხრი. არაჲ ვფსალმუნებთ. უფალო ღაღადყავსაჲ. უქცევთ ათთა მუჭლთა ზედა და ვიტყვთ ოთხთა დასდებელთა სინანულისათა, მსგეფსისათა და სამთა მარხუათასა – მოგიცემიესნი. მომეც ღმობიერებაჲ და ბოროტთაგან უცხო ყოფა და სრულიადი მოქცევა ... (107v-108v).
- 19.1. პირველსა კვრიაკესა წმიდათა მარხუათასა, რაჲთა გამოუზარდოთ სული ხედვათა მიერ სულიერთა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, ვინაჲთგან ყოველი დასაბაჲმი ძნელ არს, დაწყებაჲცა მარხვსა შეცვალებისათჳს ჭამადთასა ... (108v-109v).
20. მეორესა ორშაბათსა ხუეჭდრნი. უგალობდითსა დ – დანთქენ. მხოლოო სახიერ, წყალობისა წყაროო, ტარიგო ღმრთისაო, აღმღებელო ცოდვათა სოფლისათა, მივსენ მეცა ცოდვათა უფსკრულთაგან ... (109v-111v).

- 20.1. მეორესა ორშაბათსა შუადღისასა ოხითა. ჳმაჲ, ბ გუერდი – რომელმან დაჰბადნა მხოლომან გულნი ჩუენნი, მოიჴსენე, რამეთუ მინანი ვართ ... (111v-113r).
- 20.2. მეორესა ორშაბათსა მწუხრი. დ გუერდი – ვითარმედ გხად. ვისმე ემსგავსე შენ, უბადრუკო, დაჴსნილო სულო ჩემო ... (113r-114r).
- 20.3. ორშაბათსა მეორესა შვდეულისასა, რომელ არაჲ გჳყუარდენ სოფლისა ამის საშუჴბელნი სურვილისათჳს საუკუნეთა კეთილთასა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, სარგებელსა წმიდათა მარხუათასა წინამდებარედ აქუს ღუანლი მარხვსა ... (114r-116r).
21. სამშაბათსა ცისკრად ხუჴდრნი ბ – ვიხილეთ. სულთქმით ცრემლოოდე, სულო, და ინანდი, რამეთუ მოსლგაჲ ღმრთისა მოახლებულ არს ... (116r-118r).
- 21.1. მეორესა შვდეულისა სამშაბათსა განთიად და მეექუსესა ჟამსა, რომელ არს შუადღისა. ოხითა ბ გუერდი – ღირსად გალობად შენდა ვერ შემძლებელ ვართ, არამედ ვედრებით ვითხოვთ შენგან ... (118r-v).
- 21.2. სამშაბათსა მწუხრი ა – ზეცისა განწეს. ქრისტე ღმერთო, რომელიცა მოხუჴდ ცოდვილთათჳს, ცხორებაჲდ სინანულით მოქცევაჲდ შენდა ... (118v-120r).
- 21.3. სამშაბათსა მეორესა შვდეულისასა სულ[იე]რისა დღესასწაულისათჳს, რაჲთა მივემთხვენეთ სასუფეველსა ცათასა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, ვითარცა სოფელსა შინა იქმნებიან კრებაანი აქაჲ და იქი წლითინლად, რომელთა შინა მირბიედ კაცნი ... (120r-121v).
22. ოთხშაბათსა ცისკრად ხუჴდრნი დ – უფლისა მიერ ღმრთისა. ჯუარსა ზედა განიპყრენ ჴელნი შენნი, ქრისტე, და წყევა იგი პირველისა მამისა აჰჳოცე, სიტყუაო ღმრთისო ... (121v-123r).
- 22.1. ოთხშაბათსა ბ-სა შვდეულისასა, განთიად მეექუსესა ჟამსა დღისასა. ოხითა. ჳმაჲ ა გუერდი – ღმერთო მაღალო, რომელი ცათა შინა დამკვდრებულ ხარ ... (123r-v).

- 22.2. **ოთხშაბათსა ბ-სა მწუხრი. ა გუერდი** – სუფევს ღმერთი. ვედრებითა მოციქულთათა ღირს გუყუენ, მაცხოვარ, აღსრულებად მარხვსა ... (123v-125r).
- 22.3. **ოთხშაბათსა მეორესა შვდეულისასა, რაათა დავიცვათ სული ჩუენი განმხრწნელთა ვნებათაგან. გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, ვიმარხეთ რაჲ პირველი იგი შვდეული, სხუ-ჭბრ რაჲმე აღუჩნდით ურთიერთას შემქნარ და განყვთლებულ ... (125r-126v).
23. **ხუთშაბათსა ბ ხუჭდრნი. მესმასა დ გუერდი** – მესმა, უფალო. მთრვალობაჲ იგი ბოროტი, გულისთქუმათა სულთა ჩუენთაგან განვდევნოთ და ღვინო ღმობიერებისა მარხვსა მიერ დღეს ვიჭუმით ... (126v-128r).
- 23.1. **ხუთშაბათსა ბ შვდეულის[ა]სა ოხითა, ჳმაჲ ა** – დაცემულნი ესე აღმადგინენ ჩუენ, შეცთომილნი ესე მომაქციენ ... (128r-130v).
- 23.2. **ხუთშაბათსა მეორისა შვდეულისასა რაათა არაჲ აღმოვაცენნეთ ეკალნი და კუროს თავნი ვნებათანი, არამედ, რაათა ტევანნი სათნოებათანი გამოვიხუნეთ. გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, რაჲ ვთქუა, ანუ რაჲსა ვიტყოდი უახლესსა წმიდათა მიერ თქუმულისა ... (130v-132v).
- შენიშვნა:** ხელნაწერშია: აღმოვატენნეთ.
24. **პარასკევსა მეორესა ხუჭდრნი. ღამითგანსა. დ გუერდი** – რამეთუ სხუაჲ შენსა. ნეფსით თვისით ძელსა მას ზედა ჯუარისასა აჰმალღდი, ქრისტე, და გევედრები მე, დაცემული ესე, მღვმით ვნებათათ აღმადგინე ... (132v-134v).
- 24.1. **პარასკევსა ბ შვდეულისასა, განთიად შუადღისა ოხითა** – ღამე და დღე შეგივრდებით შენ, უფალო, რაათა მოგუცე შენდობაჲ ... (134v-135r).
- 24.2. **პარასკევსა ბ მწუხრი შემდგომად პარასკევსა წმიდათა მარხუათასა. უკეთუ არაჲ იყოს წსენებაჲ წმიდათა ორმოცთა ანუ წინამორბედის თავის პოვნა და ანუ დღესასწაული ხარებისა ... უფალო ღალადყავსაჲ** – შენ სიტყუაჲ ან განვიღვიძოთ ჩუენ, ძმანო, ძილისაგან მძიმისა ... (135r-v).

- 24.3. პარასკევსა მწუხრი. წარდგომაჲ ა. ფსალმუნი: ლთ, ჳმაჲ ა, წყალობაჲმან შენმან და ჭეშმარიტ. დასდებელი: თმენით დაუთმე უფალსა და მომ. დაბადებისა საკითხავი – და იყო ნოე ხუთასის წლისა და შვნა ნოე სამ ძე: სემ, ქამ და იაფეთ ... (135v-136v).
- 24.4. პარასკევსა მეორესა შვდეულისასა ერთობისათჳს და სიყუარულისათჳს და მწნედ ტვრთვად ტკივილთა სათნოებისათა და მიმთხუეჭვად სასუფეველსა ცათასა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, მიხარის თქუენთჳს გლახაკსა ამას ... (136v-138r).
25. შაბათსა ბ ხუჭდრნი, ოთხფსალმუნნი. ღაღადყავსა, დ გუერდი – ვედრებაჲსა ჩემსა. მრავალთა მათ ჭირთა მოთმინებითა მოწამეთა ბევრეულნი მბრძოლნი უსჯულოთანი დასცნეს და მრავალთა მათ და აურაცხელთა კეთილთა შენთა ღირს იქმნნეს მიმთხუეჭვად, მგსნელო ... (138r-140v).
- 25.1. შაბათსა მეორესა წმიდათა მარხუათსა. პავლე ებრაელთა მიმართ – ძმანო, ეკრძალენით ნუუკუჭ სადამე იყოს ვისმე თქუენგანსა თანა ... (140v-141r).
- 25.2. მეორესა შაბათსა მწუხრი ჩუჭულეებისაბერ წესი ღამისთევისა. ყოველივე აღდგომისა ითქუას. უფალო ღაღადყავსა, გ გუერდი – მჯდომარე. ქრისტე ღმერთო, მესამესა ამას მსგეფსსა ყოვლად უბინოთა წმინდათა მარხუათსა ... (141r-v).
- 25.3. მეორესა შაბათსა შვდეულისასა მოქალაქეობისთჳს კეთილისა და ჳსენებისათჳს სიკ[უ]დილისა და მერმისა მისთჳს მოსაგებელისა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, მნებაჲგს უწყებაჲ სიყუარულისა თქუენისა ... (141v-147r).
26. კვრიაკესა მეორესა მწუხრი. უფალო ღაღადყავსა. უქცევთ ათთა მუჭლთა ზედა და ვიტყვთ ოთხთა დასდებელთა სინანულინათა მსგეფსისათა და სამთა მარხვათაგან გუნდი მარტულთა ა – მოვედით, ძმანო, ყოველნი შეუვრდეთ ღმერთსა სინანულით და ცრემლით და სულთქმით ღაღად-ვყოთ მისა მიმართ ... (147r-148r).
- 26.1. მეორესა კვრიაკესა მარხუათასა, რაჲთა მშვდობით და მყუდროებით აღვასრულებდეთ დღეთა მარხვასათა სასოებით საუკუნესა ცხორებისათა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და

მამანო, კეთილ არს მარხუაჲ, უკუეთუ აქუნდეს თვსებაჲ თვისი, რომელ არს მშკდობაჲ ... (148r-149r).

27. **ორშაბათსა ხუჭდრნი, ა გუერდი. უგალობდითსა** – ეტლთა სიმრავლ. რომელსა ღმრთებრ მონყალეზაჲ გაქუს, სინანული ჩემი შეინირე ... (149r-151r).
- 27.1. **მესამისა შვდეულისა ორშაბათსა განთიად. ოხითა დ** – რამეთუ უძღურ ვართ ჩუენ და დაღონებულ ცოდვათა ჩუენთაგან, განკურნე შემუსრილებაჲ ჩუენი ... (151r-152r).
- 27.2. **ორშაბათსა გ მწუხრი** – წმიდანო მარტვ. მარხვთა ვნებაანი ბოროტნი სულთა ჩუენთაგან განვიოტნეთ, ძმანო ... (152r-153v).
- 27.3. **ორშაბათსა მესამესა შვდეულისასა მადლობისათვს და მოთმინებისა. გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, რომელთაესე სანთლად მგზებაჲრედ გუაქუს სიყუარული უფლისაჲ ... (153v-156r).
28. **სამშაბათსა მესამესა ჯუჭდრნი. მეოხებითსა გ გუერდი** – კლდე განაპო. მიშვილაჲ სახიერმან ზეცათა მამამან ემბაჲზისა მიერ ... (156r-158r).
- 28.1. **მესამესა შვდეულისა სამშაბათსა, შუადლისასა ოხითა, გ გუერდი** – მაცხოვარი და მჯსნელი ჩუენი შენ ხარ, უფალო, და ჴელისა ამჴყრ[ო]ბელი დღესა ჴირისასა ... (158r-159r).
 - 11.2. ვ. ფერისცვალება უფლის ჩუენისა იესუ ქრისტესი ... (72v-74r).
 - 11.3. ზ. წმიდისა მოლუანე მონამისა **დომენტიანესი** ... (74r-v).
 - 11.4. ი. წმიდისა **ლავრენტი მთავარდიაკონისა** ... (74v-75r).
 - 11.5. იდ. წინადღე წმიდისა ღმერთშემოსილისა მიცვალება წინასწარმეტყველისა **მიქიასი** ... (75v).
 - 11.6. იე. დაძინება ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა ... (76r-v).
 - 11.7. კვ. წმიდათა მონამეთა **ანდრიანე** და **ნატალიასი** ... (76v-77r).
 - 11.8. კთ. თავისკუეთა წმიდისა **იოანე ნათლისმცემელისა** ... (77r-78v).
 - 11.9. ლ. წმიდათა მამათა **ალექსანდრე, იოანე** და **პავლე ახლისა** ... (78v-79v).
 - 11.10. ლა. დადება სარტყლისა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა ... (79v-80r).
12. **განგება მარხვათა და ზატიკთა**
- 12.1. **მეზუჭრისა და ფარისევლისასა** – ოხითა. აღდგომისა. იბაკოე. უფალო, ყოვლისამპყრობელო ... (80r-v).
 - 12.2. **უძღებისა კვრიაკესა ოხითა. აღდგომისა. იბაკოე** – მამულსა დიდებასა შენსა განუდეგ ... (80v-81v).
 - 12.3. **ჯორციელისა კვრიაკესა** – ოდეს-იგი მ[ოგ]იყუანებდენ შენ, სულო ჩემო, ყოვლისა სოფლისა განკითხვისა სამსჯავროსა ... (81v-83r).
 - 12.4. **ყუელიარისა(!) შაბაფთა. ოხითა. ღმერთო, მამათა ჩვენთაო. იბაკოე** – ვითარცა ღმრთისა მსახურებისა ქადაგთა ... (83r-v).

- 12.5. ყუელიარისა(!) კვრიაკესა. ოხითა. იბაკოა. არა დაკლ. – უს-
ნავლელთა მსწავლელთ და სიბრძნისა მომცემელო ... (83v-85r).
- 12.6. პირველსა შაბაფთსა წმიდათა მარხვათასა. წმიდისა თეო-
დორესი. იბაკოა – [ს]არწმუნოებაჲ ქრისტესი ვითარცა ჯაჭუი
შეიმოსე ... (85r-v).
- 12.7. პირველსა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა – უხრწნელსა
ხატსა შენსა თაყუანის-ცემთ(!), ქუელისმოქმედ ... (85v-87r).
- 12.8. კვრიაკესა თაყუანისცემა პატიოსნისა ჯუარისა ... (87r-v).
- 12.9. ხუთშაბაფთსა მარიამ მეგვპტელისაჲ ... (87v-88r).
- 12.10. შაბაფთსა წმიდისა ლაზარესი ... (88r-91r).
- 12.11. ბზობისა კვრიაკესა... (91r-92r);
- 12.12. დიდსა ოთხშაბაფთსა, სამშაბაფთსა და ოთხშაბაფთსა ... (92r-93v).
- 12.13. დიდსა სამშაბაფთსა ... (93v-94r).
- 12.14. დიდსა დ ... (94r-v).
- 12.15. დიდსა ე ... (94v-96v).
- 12.16. დიდსა პარასკევსა ... (96v-97r).
- 12.17. დიდსა შაბათსა ... (97v-99r).
- 13.1. წმიდასა და ღმრთივბრწყინვალესა აღვსებაჲსა ... (99r-104v).
- 13.1. მესამესა კვრიაკესა ... (104v-105v);
- 13.2. მეოთხესა კვრიაკესა ... (105v-106r);
- 13.3. მეოთხესა ოთხშაბაფთსა ... (106r-107v).
- 13.4. მეოთხესა კვრიაკესა ... (107v-108r).
- 13.5. მეექუსესა კვრიაკესა ... (108r-v);
- 13.6. მეექუსესა ხუთშაბაფთსა ამაღლებაჲ ... (108v-110v);
- 13.7. ჴ კვრიაკე ... (110v-111v).
- 13.8. თ კვრიაკესა ... (111v-112v).
- 13.9. ... აღსავალნი ჴმაჲ დ. იხარებს ეკლესია ... (112v-113v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. გაბიძაშვილი ენრიკო, ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, ბიბლიოგრაფია, თბი-
ლისი, 2011, გვ. 179.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა
აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ
აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 5.

კონდაკი [XIV]

1446/9

ტიქნიკური აღწერილობა:

4 კეფი. გრაგნილი; ზომები: I კეფი – 360×205, II კეფი – 630×205, III კეფი – 540×205, IV კეფი – 400×205; ტექსტი: I კეფი – 324 ×133, II კეფი – 600×133, III კეფი – 530×133, IV კეფი – 385×133; სტრიქონებს შორის მანძილი – 7; არშიები: მარჯვენა – 42, მარცხენა – 41. ეტრატი. მელანი – შავი, წითელი. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. საზედაო გრაფემები და ტექსტის გარკვეული ნაწილი – სინგურით. განკვეთილობის ნიშნები – •; ••; •••. თავბოლონაკლული, ეტრატი დალაქავებული და დაზიანებულია; [XIV]. დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს ძალისის ეკლესიიდან (ქართლი).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: ... სადა იგი მიხედავს ნათელი პირისა შენისა [...]ვე ფეშხუმ ს... წმიდისა (Ir).

დასასრული: და თქუა: ვისნავლე სულითა შენითა წმიდათაჲ [...] კუალად მედვეს [...] ..ანო კერძო საკურთხეველი (IIIv).

მინაწერები:

ნუსხური:

1. „[...] შეუნდნეს ღმერთმა, დედა-მამათა შეუნდნეს ღმერთმა“ [...] მამა (Ir, მარცხენა არშია).
2. „[...] სასა [...] შენ ქრისტე ღი[...] მისა მ[...] შენ, ღმერთო“ (Ir, მარცხენა არშია).
3. „სულსა [...] შენ ღმერთმან [...] ამინ“ (IIr, მარჯვენა არშია).
4. „ლუკას შეუნდეს ღმერთმან, ელიას და მის მეუღლეს ამაისულის შეუნდნეს ღმერთმან, ამინ“ (IIv, მარჯვენა არშია).

5. „სულსა ლაშქარასა შეუნდნეს ღმერთმა [...], შეუნდნეს ღმერთმა [...]მა, შეუნდნეს ღმერთმა“ (IIr, მარჯვენა არშია).
6. „სულსა **ჯარიასსა** შეუნდნეს ღმერთმან, ამინ. სულსა **დავითასსა** შეუნდნეს ღმერთმან, ამინ“ (IIIr, მარცხენა არშია).
7. „კუალად **ოჩიაშვილსა გიორგის** შეუნდნეს ღმერთმან, ამინ. მისსა მეუღლესა **ნინოს** შეუნდნეს ღმერთმან, ამინ. მათსა შვილსა **ქერაბინს** შეუნდნეს ღმერთმან, ამინ“ (IIIr, მარცხენა არშია).
8. „მამასა შეუნდნეს ღმერთმან, ამინ“ (IIIr, მარცხენა არშია).
9. „**მაისას** ცოდვანი მისნი შეუნდნეს ღმერთმან, ამინ“ (IIIr, მარცხენა არშია, ნითელი მელანი).

მხედრული:

10. „ძუქუსა შეუნდნეს [...] ცოდვათგან მისთა [...]“ (IIr, მარცხენა არშია).
11. „სულისა **გიორგისა** შეუნდნეს ღმერთმა, ამინ. და მისასა მეუღლესა **მაისა**[...] შეუნდნეს ღმერთმან. ვარ[...] ძესა **ზაქარიას** შეუნდნეს ღმერთმან [...]. ღმერთო, უშველე მათ, შეუნდნე ღმერთმან“ (IIr, მარცხენა არშია).
12. „ქ. **ზურ**[...] ცოდვანი მათნი შეუნდნეს ღმერთმან, ამინ“ (IVr, მარჯვენა არშია).
13. „ღმერთო, უშველე გი[ორგ]ი(!) უშველე, ღმერთო“ [... ...] (IIv-IIIr კეფის გადაბმა).
14. „**ვარძიელისა** შვილსა შვენიერა ყოველსა **რაჟდენს** შეუნდნეს ღმერთმან. მის მამა-ბიძათა შეუნდნეს ღმერთმა. მის და-ძმათა შეუნდნეს ღმერთმა. მისსა გამდელსა **მზექალსა** შეუნდნეს ღმერთმან, ამინ“ (IIIr, მარცხენა არშია).
15. „ქ. ღმერთო, უშველე მონასა შენსა **ბაინდურასა**, მუნ განკითხვისასა ცოდვანი მისნი შეუნდნეს ღმერთმან მის ძე[... ...] შეუნდნეს [ღმერთმან]“ (IIIr, მარჯვენა არშია).
16. „მზისა თანდარსა დღეგრძელობა მისა მეუღლესა, ამინ. **თომ[ა], დავით, გვარლი**, მათი ცოდვანი მისნი შეუნდნეს ღმერთმა. ღმორაშვილს შეუნდნეს [...] (IVr, მარცხენა არშია).
17. „ქ. **ფარემუზსა** და **გიორგისა** ცოდვანი მისნი შეუნდნეს ღმერთმან“ (IVr, მარჯვენა არშია).
18. „ქ. ბიაშვილსა ...ნ... შეუნდნეს ღმერთმან. მისა ცოლ-შვილთა შეუნდნეს ღმერთმან. **რჩეულიშვილსა, ბეჟანიშვილსა, წალაძესა** შეუნდნეს ღმერთმან. მისა მეუღლესა შვენიერსა შეუნდნეს ღმერთმან, ამინ“ (IVr, მარჯვენა არშია).
19. „ქ. გვარად **დავითიშვილებსა სარიჯ[სა], გოდერძისა, ზაქარიასა** ძალითა ძალო ცოდვანი შეუნდნეს ღმერთმან, ამინ“ (IVr, მარჯვენა არშია).

ტექსტუალური დაკავშირებული შენიშვნები:

რჩეულიშვილის გვარის მოხსენება ამტკიცებს, რომ ეს ხელნაწერი თავდაპირველად ჯავახეთის ერთ-ერთ მონასტერში იყო მოთავსებული. მოსახსენებლებიც ჯავახური უნდა იყოს. XVII საუკუნეში ხელნაწერი ქართლში წამოუღიათ.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგომიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 7.

ჟამნი [XVIII]

1446/10

ტიქნიკური აღწერილობა:

126 ფ. ცარიელი გვერდი – 122r. ზომები: ყდა – 144×93, ქალაღი – 136×86, ტექსტი – 109×73, სისქე – 25, სტრიქონებს შორის მანძილი – 7; არშიები: ზედა – 7, ქვედა – 20, მარჯვენა – 6, მარცხენა – 5. ქალაღი. მელანი – შავი, ყავისფერი, წითელი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ყავისფერი ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 14. აღრიცხვა – რვეულბრივი; განკვეთილობის ნიშნები – •, •, •. ხელნაწერი თავბოლონაკლულია, დაზიანებული, ზოგიერთი ფურცლის მხოლოდ ფრაგმენტია შემორჩენილი და ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელია. აკლია შემდეგ ფურცლებს შორის: 87-88, 91-92, 111-113. ხელნაწერი შედგება ნაბეჭდი და ხელნაწერი ნაწილისაგან. [XVIII]. დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

ნაბეჭდია:

1. [თუესა იანვარსა] ... – [...] მდინარეო, [...] რულით [ნა]თლისღებად [...] ვასთანა და ნუ [...] ლვით თქვენ ვითარცა [...] მოთხეს ოდესმე შიშველნი გი[...] ...] და თქვენდა მოვიდა რათა ... (1r-5r).
- 1.2. თუესა ფებერვალსა აქვს დღე ოცდარვა, დღეთა აქვს ჟამი ია და ლამეთა ჟამი იგ. სამ წელ ოცდარვა და მეოთხეს წელს ოცდაცხრა – ა წმიდისა მონამისა ტვრიფონისი, ბ მირქმა უფლისა ... (5r-7r).
- 1.3. თუესა მარტსა აქვს დღე ლა, დღეთა ჟამი იბ და ლამეთა ჟამი იბ – ა წმიდისა მონამისა ევდუკიასი, წმიდისა მონამისა თეოდოტესი. გ წმიდისა მონამისა ევტრაპისი (7v-10r).
- 1.4. თუესა აპრილსა აქუს დღე ლა, დღეთა აქუს ჟამი იგ და ლამეთა ჟამი ია – ა ღირსისა დედისა ჩვენისა მარიამ მეგვიპტე-

ლისა, ბ ღირსისა მამისა ტიტესი, გ ღირსისა მამისა ნიკიტასი (10r-11v).

- 1.5. თუესა მაისსა აქუს დღე ლა, დღეთა აქუს ჟამი იდ და ლამეთა ჟამი თ – წმიდისა წინასწარმეტყუელისა იერემიასი, ბ აღმოყვანება ნაწილთა წმიდისა მამისა დიდისა ათანასესი, გ წმიდისა მოწამისა ტიმოთესი ... (12r-14r).
- 1.6. თუესა ივნისსა აქვს დღე ლ, დღეთა აქვს ჟამი იე და ლამეთა ჟამი თ – ა წმიდისა მოწამისა იუსტინესი, ბ წმიდისა მამისა ნიკიფორესი, გ წმიდისა მოწამისა ლუკიანესი ... (14r-16v).
- 1.7. თვესა ივლისსა აქუს დღე ლა, დღეთა აქუს ჟამი იდ და ლამეთა ჟამი ი – ა წმიდათა უვეცხლოდ მკურნალთა კოზმან და დამიანესი, ბ სამოსლისა დადება ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა ... (16v-19v).
- 1.8. თვესა აგვისტოსა აქვს დღე ლა, დღეთა აქვს ჟამი იგ და ლამეთა ჟამი ია – ა გამოჩინება პატიოსნისა ჯვარისა და შვიდთა ძმათა მაკაბელთა, ბ აღმოყვანება ნაწილთა წმიდისა სტეფანესი. გ ღირსთა მამათა ისაკ დალმატი და ფევსტოსი ... (20r-23v).

შენიშვნა: სათვეო ნაწილი მთავრდება შემდეგი ანდერძით: „განსრულდა ძალითა ღმრთისათა თორმეტივ თვე“ (23v, ქვედა არშია, ნაბეჭდი).

2. „ოხითა იბაკო მარხვათა და ზატიკთანნი, ჯორციელისა კვირიაკესა. მეორედ მოსლვა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ოხითა – ოდეს-იგი მიგიყვანებდენ შენ, სულო ჩემო, ყოვლისა სოფლისა განკითხვისა მას სამშჯავროსა და გასწრაფობდენ საშინელებით ცეცხლისფერნი ანგელოზნი ... (24r-47v).

შედის: ყველიერისა შაბათსა ოხითა „ღმერთო მამათა“ იბაკოთ ეს (24v); ყველიერისა კვირიაკესა ოხითა კვირაძლისა. იბაკო (25r); პირველისა შაბათსა მარხვათასა, წმიდს მოწამის **თევდორესი**. ოხითა (25v); პირველსა კვირიაკეს მარხვათასა ხატთაყვანისცემა ოხითა „უხრწნელსა ხატს შენსა“. სადილის მეექუსეს ჟამში ჰპოეთ. იბაკო. ესე (26r); მესამესა კვირიაკესა მარხვათასა ოხითა [... ...] მსგეფსისა. ოთხშაბათისა თ (20r); [.....] ხუთშაბათსა. იბაკო (26v); მეხუთესა შაბათსა ოხითა (27r); მეექვსესა შაბათსა ოხითა (21v); კვირიაკესა ბზო-

ბისასა ოხითა (28r); დიდსა ორშაბათსა ცისკრად. ოხითა „ჰა ესერა სიძე ზე“ ით შუალამის ლოცვაში ის ერთი მუჭლი სამჯერ თქვით. იბაკო ეს (28v); დიდსა სამშაბათსა ცისკრად ოხითა, „აჰა ესერა“. იბაკო (29r); დიდსა ოთხშაბათსა ცისკრად ოხითა „აჰა ესერა“ იბაკო (29r); დიდსა პარასკევსა ოხითა, „რაჟამს დიდებულნი“ იბაკო (29v); დიდსა შაბათსა ოხითა (29v); აღდგომის კვირიაკესა ოხითა (31v); კვირიაკეს თომას გვერდის განხილვისასა ოხითა (34r); მესამესა კვირიაკესა ოხითა „რაჟამს შთაჲედ საფლავას, შვენიერმან იოსებ“. იბაკოთ ესე (34v); მეოთხესა კვირიაკესა გარღვეულისა ოხითა კვირაძლისა. იბაკო ესე (35r); მეხუთესა კვირიაკესა ოხითა კვირაძლისა. იბაკო ესე (36r); მეექვსესა კვირიაკესა ოხითა კვირაძლისა იბაკო ესე (36v); მერვესა კვირიაკესა სულიწმიდის მოსლვის ოხითა ამ კვირის ოთხშაბათი პარასკევი იქნება (37r); მეცხრესა კვირიაკესა ყოველთა წმიდათასა ოხითა ამ დღეს აღების ღამე არის სულის მარხვისა (38v).

3. „[...]შობელისანი, რომე[... ..]ების – [...]აო, გიხაროდენ, რომლისა მიერ განახლდების დაბადებული ...“ (47v-62v).

ჟამნი მცირე სერობისა. მეუფეო ზეცათაო, წმიდაო ღმერთო. მამაო ჩვენო, მოვედით თაყვანის-ვცეთ. მიწყალე სრულიად, სულ ზეით თავს ჰპოვეთ – ღმერთო, შეწვენასა ჩემსა მოხედენ, უფალო, შეწვენად ჩემდა ისწრაფე ... (63r-v).

4. **სხვადასხვა ლოცვა** (64r-65v).

ლოცვა მგზავრობისათვის (64r), ლოცვა მტერთა მიმართ შებმისა (64r), ლოცვა ამისივე (64v-65v).

ხელნაწერია:

5. „ლოცვა ძილსა შინა დაცემისა ერისკაცისა. მრავალმოწყალეო – ყოვლად დიდებულო, უბინოო და შეუგინებელო უფალო ...“ (66r-v).
6. „პარაკლისი ღმრთისმშობელისა. ახლად თარგმნილი, სავედრებელი – მოვედით, თაყვანი-ვჰსცეთ გ. უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისა ...“ (67r-80v).

აქვე: გალობანი წმიდისა ღმრთისმშობელისანი.

7. **„სახარებანი აღდგომისანი, ათერთმეტნი საცისკრონი: სახარება მატთესია:** მას ჟამსა შინა ხოლო ათერთმეტნი იგი მონაფენი წარვიდეს გალილიას ...“ (81r-82v).
 - 7.1. **სახარება მარკოზისა** – მას ჟამსა შინა აღდგა იესო პირველსა მას შაბათსა და ეჩვენა პირველად მარიამს მაგდალინელსა (82v-84r).
 - 7.2. **სახარება ლუკასი** – ხოლო ერთსა მას შაბათსა ცისკარს მსთვად მოვიდეს საფლავსა მას ... (84r-85v).
 - 7.3. **სახარება ლუკასი** – მას ჟამსა შინა ხოლო პეტრე აღდგა და მირბიოდა საფლავად ... (85v-88r).
 - 7.4. **სახარება ლუკასი** – მას ჟამსა შინა აღდგა იესო მკვდრეთით და დადგა შორის მონაფეთა თჳსთა ... (88r-89r).
 - 7.5. **სახარება იოანესი** – ერთსა მას შაბათსა მოვიდა მარიამ მაგდალინელი განთიად ... (90r-91r).
 - 7.6. **სახარება იოანესი** – მას ჟამსა შინა მარიამ დგა გარეშე საფლავსა მას თანა და ტიროდა ... (91r-92r).
 - 7.7. **სახარება იოანესი** – და ვითარცა შემწუხრდა დღე იგი ერთი შაბათისა მის ... (92r-93v).
 - 7.8. **სახარება იოანესი** – მას ჟამსა შინა გამოუცხადა თავი თჳსი მონაფეთა თჳსთა ... (93v-94v).

8. **სახარება და სამო[...]** წმიდათა ღმრ[...]. **სახარება ცისკრისა ღ[...]** ბელისა, **სახარება ლუკასი** – მათ დღეთა შინა აღდგა მარიამ და წარვიდა მთად კერძო ... (95r-96v).

9. **გ [...]** ისთა და ქრისტე [....] საზიარო (96v-99v).
 - 9.1. **განგება წმიდათა მოციქულთა საზიარო-სახარება ცისკრისა. თავისაგან მატთესა** – მას ჟამსა შინა ამისა შემდგომად გა-მოიჩინა უფალმან სხვანი სამეოცდაათნი ... (99v-105r).

- 9.2. **განგება წმიდათა ქალწულმონამეთა და სახარება ცისკრისა მარკოზისაგან წმიდისა სახარებისა საკითხავი** – მას ჟამსა შინა მისდევდა იესუს ერი მრავალი... (105r-110r).
- 9.3. **განგება მონამეთა საზიარო-სახარება ცისკრისა ამ ღამის ცისკრის სახარება, შვედული შაბათისა წარიკითხეთ წირვისა** – ჰრქვა უფალმან თვსთა მონაფეთა ... (110r-111v).
- 9.4. **განგება მღვდელმონამეთა საზიარო** – ჟამსა შინა იოანეს რა ესმენს საპყრობილესა შინა საქმენი ქრისტესნი ... (111v-113r).
10. **ოთხშაბათსა** – ფსალმუნი: ადიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარნა სულმან ჩემმან (113v-115r).
11. **ხუთშაბათსა** – ფსალმუნი: ყოველსა ქვეყანასა განჯდა ჳმაჲ და ვიდეთ სოფლისათა ... (115r-117r).
12. **პარასკევსა** – ფსალმუნი: განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი ... (117v-124v).

მინაწერები:

1. **მხედრული:** „[...]რდა და მიბრძანა: თავის დღეში შენ შორიდგ[ან] პიჯვარის დანერა არ მოიშალო, მაშინათვე მივედი ახლო და იმ ნიადაგ გამ[ე]ცვნა და აღმოსავლეთის მხარეს დაესვენა. მშვენიერი ყმანვილი ბძანდებოდა და სულ თეთრი მიტკლის კაბა ეცვ[ა]. მივ[ე]დი და დავ[ე]მხე, მუხლებზედ დაუწყე კოცნა და მე ვტიროდი, დანაშაული მაქ მეთქი. მიბძანა დაბალის ხმით ... ხარო, სად გაიზარდეო. ვტიროდი და ვკოცნიდი მუხლებზე და ახლო უჯექ, სულ მუხლებ წინ დაჩოქილი და მერე მიბძანა, ბევრს რასმე გასწავლიო, მაგრამ არ გაიგონებო. ვითომ ამითვინ მიჯავრდებოდა, რომ რატომ სამღთო წერილი არ გესმისო. ახლა აღარვინ გებრალეობდეთ ყვე[ლ]ასა, მაგ საზეპიროები არ ვ[ი]ცი ზეპირათა და რა ვქნა, დიდს ფ[ი]ქრში შევ[ე]დი და ზრუნვაში“ (125r-v).
2. **მხედრული, განსხვავებული ხელით:** „ლევანს უ[ნ]ერს [...] თო [...] ოცდაორის წლისა ავ[ა]თ გახდეს, ასი წელიწადი იცოცხლოს. ლუკას უნერს ცხრის წლისა(?) ოც [...] გახდეს [...]“ (126v).

ტიქსტუტან დაკავშირებული შინიშვნები:

1. ნიგნი ნანილობრივ ნაბეჭდი და ნანილობრივ ხელნანერი. ხელნანერულ ნანილში ორი ხელი გაირჩევა: 1) 52r, 60r-68v, 70r-110v, 112r-v, 114r-117av; 2) 55r-v; 3) 53r-v.
2. ნაბეჭდი ნანილი უნდა იყოს ჟამნი, გამოცემული ვახტანგის სტამბაში 1722 წელს.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნანერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 6.
2. ქართული ნიგნი, ბიბლიოგრაფია, ტომი I, 1629-1920, თბილისი, 1941, გვ. 30-31.

ზატიკი [XVI]

1446/11

ტიქნიკური აღწერილობა:

284 ფ. ზომები: ყდა – 205×144, ქალაღი – 196×148, ტექსტი – 140×90, სისქე – 65; სტრიქონებს შორის მანძილი – 7; არშიები: ზედა – 18, ქვედა – 44, მარჯვენა – 30; მარცხენა – 27. ქალაღი. მელანი – შავი, წითელი. კოლენკორგადაკრული შინდისფერი ყდა, რესტავრირებული. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. სტრიქონების რაოდენობა – 20. აღრიცხვა – რვეულებრივი, პირველ 20 და ბოლო 9 ფურცელზე აღრიცხვა არ გაირჩევა ფურცლების დაზიანების გამო. იწყება გ (მე-3) რვეულით, შემდეგ გრძელდება თანმიმდევრობით 8-8 ფურცლიანი რვეულებით და სრულდება ლე (25-ე) რვეულით. განკვეთილობის ნიშნები – •; ••; •••; ••••. ხელნაწერი თავბოლონაკულია. ზოგიერთი ფურცელი დაზიანებულია იმდენად, რომ ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელია, შიგადაშიგ – ჭიანჭამი. ზოგან ტექსტი შევსებულია გვიანდელი, XVIII საუკუნის ხელით – 6r-10v, 14r-v (გვერდის ნაწილი), 21r-22v. ტექსტის ძირითადი ნაწილის გადამწერი – ელია (64v). [XVI] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია ოძისის ეკლესიიდან (ქართლი).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] ეკლესიასა შენსა და მიერ გილაღადებს: გარდამოუვლინენ ერსა შენსა, სახიერ, მონყალებანი შენნი და მშკობაჲ შენი სოფელსა მოჰმადლე და სულთა ჩუენთა დიდი ნყალობაჲ ... (1r).

1. **გალობანი აღვსებისანი უგალობდითსა ჴმაჲ ა** – აღდგომისა დღე არს, განბრწყინდებოდეთ აწ, ერნო. პასქაჲ უფლისაჲ, პასქაჲ, რამეთუ სიკუდილისაგან ცხორებაჲდ და ქუეყანისაგან ცად მიმართ ქრისტემან ღმერთმან მცვალნა ... (12v-17v).

1.1. **ხოლო აქათაგან იწყებენ ზატიკნი[ი]. ორშაბათსა აღვსებისასა. მწუხრი. მჯდომარე. გ გუერდი** – ვითარცა ცხვარი ნებსით თვისით დაიკალ – პასექი ეგე დიდი და დიდებული, რათა იჴსნე

სოფელი მტრისა მონებისაგან, ამისთვის ვაქებთ ვამაღლად, მრავალმონყალე ... (17v-21v).

- 1.2. **ორშაბათს ცისკრად იბაკო და გამოავლინე. აღვსებისა ბრძანეთ და აქებდით ეგრეთ, ვითარცა დიდსა კვრიაკესა სწერია, ეგრე ბრძანეთ.**

ორშაბათსა მწუხრი. დასდებელნი აღდგომისანი. წმად გ – ჯუარითა შენითა, ქრისტე მაცხოვარ, დაწსნდა ძალი სიკუდილისა და ეშმაკისა საცთური განქარდა ... (21v-23r).

- 1.3. **აღვსებისა სამშაბათსა ცისკრად. უგალობდითსა. წმად გ** – რომელმან წამისყ. რომელმან წყალთა ზედა დაჰკიდა სიბრძნით ქუეყანაჲ, ნებსით ძელსა დამოეკიდა და წყარონი შენდობისანი გუჭრდით მოგუმაღლნა ... (23r-28r).

- 1.4. **სამშაბათსა აღვსებისასა მწუხრი. წმად დ** – მწნეთა. ჯუარს-ეცუ რაჲ, მწსნელო, სამოთხე განულე ადამიანთა და მკუდართა რაჲ თანაშეირაცხე ცხორებაჲ, მოჰკალ სიკუდილი და აღსდგე და შეაერთენ ზეცისა ძალთა ქუეყანისანი ... (28r-33r).

- 1.5. **აღვსებისა ოთხშაბათსა მწუხრი. ა გუერდი** – გიხაროდენტა. სამსჭუალითა რაჲ შეემსჭუალე ჯუარსა, ძელისა მიერ წყევაჲ აჰწოცე, მწსნელო, და რაჟამს საფლავსა დაიდევ, საუკუნითა-განნი მკუდარნი აღადგინენ ... (33r-42r).

- 1.6. **აღვსებისა ხუთშაბათისა მწუხრი. წმად ბ გუერდი** – ყოველი სასოებაჲ. დღე მაცხოვარებისაჲ, პასექი დიდი და საღმრთოჲ, რომლისაგან ვიწსნენით წელთაგან მოშურნისა ეშმაკისათა, გალობით ვაქებდეთ ... (42r-52r).

- 1.7. **აღვსებისა პარასკევისა მწუხრი. წმად გ გუერდი** – მჯდომარე. დღეს დიდებულსა ქრისტეს ღმრთისა აღდგომასა სულიერად ვდღესასწაულობდეთ, მორწმუნენო, სულისა და გულისა ბრწყინვალედ სიხარულითა ... (52r-57v).

- 1.8. **შაბათსავე აღვსებისასა გალობანი. წმად დ გუერდი** – ქუეყანასა მწ. დაჰბერეთ ნესტუსა საღმრთოჲსა სიონს შინა და უგალობდით გალობითა ღმრთივშუწნიერთა ... (57v-61v).

2. **ახალკვრიაკესა უფალო ღალადყავსა, ჳმაჲ ა** – შენ სიტყუაჲ. ყოველთა დღესასწაულთა უდიდებულესი, ბრწყინვალედ შუწნიერი და გვრგვინშემოსილი ახალკვრიაკე, რომლისაგან მოგუწცა ჩუენ სიხარული ... (61v-81v).
 - 2.1. **ახალკვრიაკესა ორშაბათსა ხუჭდრნი უგალობდითსა ა** – მარჯუწნაჲ შენი. ძღვეისა გალობითა უგალობდეთ ღმერთსა მომკლველსა სიკუდილისასა და მის თანა აღმადგინებელსა კაცთა ნათესავისასა და უკუდავებისა და უხრწნელებისა მომნიჭებელსა ... (81v-83v).
 - 2.2. **სამშაბათსა მოიხილე ჳმაჲ ა** – ზეშთა ბუნებისა. უგალობდეთ, ერნო, ქრისტესა ღმერთსა და უღალადებდეთ: რომელი ჯუარსეცჳ ჩუენთჳს და დაამჳუ მტერი – თავი ბოროტთაჲ (83v-85v).
 - 2.3. **ოთხშაბათსა. განძღიერდასა. წინა საუკუნეთა** – წმიდაო წმიდათაო, რაჲთა წმიდაჲ ჰყვნე დაბადებულნი შენნი, ძელსა ზედა ჯუარისასა ნებსით აჰმალღი და შეიწირე ვითარცა კრავი მსხუერპლად მამისა და სიხარულითა საღმრთოთა განგუაახლენ მადიდებელად შენდა ... (85v-87r).
 - 2.4. **ხუთშაბათსა ხუჭდრნი მესმასა. საღმრთოსა სა. ჳმაჲ ა** – პასექთაჲ. ჩუენ განწირულთა ამითჳს სიკუდილად მოხუჭდ, ყოველთა ცხოვრებაო, ქრისტე, და შეჰმუსრე ფლობაჲ ჯოჯოხეთისაჲ ... (87r-89r).
 - 2.5. **ჰარასკევსა ხუჭდრნი. ღამითგანსა ჳმაჲ ა** – საცთურთა. ერმან მედგარმან ჰურიათამან ქრისტე ჯუარსა შეგმსჭუალეს მსგავსად ძვრისმოქმედთა. ხოლო შენ, მჳსნელო, სულგრძელებით თავს-იდევ, რომლითა იჳსნენ ერნი და ნათესავნი ... (89r-90v).
 - 2.6. **შაბათსა ხუჭდრნი. ღალადყავსა. ჳმაჲ ა. შთაჳდა იონა** – აღმადგინნა ჩუენ ჯოჯოხეთით უფალმან და არღარა ვართ შესაჭმელ სიკუდილისა, რომელი-იგი შემუსრა წამისყოფით ძღიერმან და მტკიცემან ბრძოლასა შინა ... (90v-92v).
3. **აღვსებითგან ყოველთა დღეთა აღდგომისა დასდებულნი ითქმიან: უფალო ღალადყავსაცა და [ა]ქებდითსაცა. წყალობითა ღმრთისაჲთა ბერძულსაცა და ქართულსა ჩუენსა მსგეფ[ს]ა შინა ურიცხჳ სწერია. მოიძიე და სტიქარონთა ზედა მოურთვედი.**

- 3.1. **მესამესა კვრიაკესა აღვსებითაგან მენელსაცხებლეთაჲ და იოსებ მართლისა. უფალო ღალადყავსა, ჳმაჲ ბ** – მამისაგან შობილსა. გამოჩნდა ნათელი ბრწყინვალე აღმობრწყინვებული საფლავით – ქრისტე ღმერთი ჩუენი, ჳოჯოხეთი მოაოჭრა და ეშმაკი შეკრა ... (92v-121v).
- 3.2. **ორშაბათსა გ. ზ. ხუჭდრნი. უგალობდითსა. ჳმაჲ ბ** – მოვედით, ერნო. აჰმალღდი, ქრისტე, ნებსით ჳუარსა ზედა და ძლიერებით მთავრობაჲ ჳოჯოხეთისაჲ სიკუდილითურთ დაეცა და მრავალჟამისა კრულნი სიმწნით გამოიყვანენ ... (121v-123r).
- 3.3. **სამშაბათსა ბ. ზ. მუხლსა. ჳმაჲ ბ** – ვიხილეთ ჩუენ, ქრისტე. რომელმან ჳელითა შენითა დაჰბადე ადამი ხატად შენდა, ყოვლადძლიერო, ჳელნი განიჰყრენ ჳუარსა ზედა ... (123r-125r).
- 3.4. **ოთხშაბათსა გ. ზ. ხუჭდრნი. განძლიერდასა ბ** – აყუავნაჲ. გიხილეს რაჲ ნებსით ვნებად დაბადებული ჳუარითა, შეძრწუნდეს და შეიცვალნეს და მკუდარნი აღდგეს სამარეთაგან და ძრწოლით გაქებდეს შენ, ქრისტე მაცხოვარ ... (125r-126v).
- 3.5. **ხუთშაბათსა გ. ზ. ხუჭდრნი. მესმასა. ჳმაჲ ბ** – მოხუჭდ ჩუენ. ჳუარსა ზედა აჰჳედ, მჳსნელო, შემოსილი ძალითა და შთახედ ჳოჯოხეთად, სულითა საღმრთოჲთა, მონყალე, გამოიჳსენ ჰყრობილნი და შენ თანა აღადგინენ ... (126v-128v).
- 3.6. **ჰარასკევსა გ. ზ. ხუჭდრნი. ღამითგანსა. ჳმაჲ ბ** – იესუ, მთავარი მშჳდობისა მო. უსჳულოთა ჰურიათა კრებულმან ოდესმე შენ ძელსა შეგმსჳულეს, მჳსნელო, და მოგაკუდინეს, არამედ სიკუდილითა შენითა მოჰკალ სიკუდილი ... (128v-130v).
- 3.7. **შაბათსა ხუჭდრნი, ჳმაჲ ბ** – ღელვათა ცოდ. აღმოსცენდეს იერუსალჳში წმიდისა შენისაგან, მჳსნელო, ათორმეტნი მოციქულნი, რომელთა უგალობდეთ და გალობით ვადიდებდეთ ... (130v-133v).
4. **მეთხესა კვრიაკესა განრღუჭულისაჲ. ჳმაჲ ა** – შენ სიტყუაჲ. აღხუჭდ რაჲ, ქრისტე, ქალაქად იერუსალჳმდ, მიინიე ნყალსა მას ცხოვართა საბანელსა, სადა სხდეს უძღურნი და იხილე კაცი იგი განრღუჭული ... (133v-147r).

- 4.1. **ორშაბათსა დ. ზ. ხუჭდრნი უგალობდითსა** – რომელმან წამისყ. აჰყედ რაჲ სიმაღლესა, წარმოსტყვენე ტყუჲ ჯოჯოხეთის შეპყრობილთაჲ, უფალო, ყოვლად ძლიერო, და თანა აღადგინენ აღდგომითა საფლავით ღმრთეებით მესამესა დღესა ... (147r-148v).
- 4.2. **სამშაბათსა დ. ზ. ხუჭდრნი მოიხილესა. ჳმაჲ გ** – მოიხილედღეს. ჳმა-ვყოთ გალობით და აღვიტყუჲლნეთ ჳელნნი ჩუჲნნი სიხარულით, ერნო, რამეთუ ცხორებისმომცემელი ღმერთი მკუდრეთით აღდგა ... (148v-150r).
- 4.3. **ოთხშაბათსა შუაზატიკისასა განზოგებაჲ ზატიკთაჲ. სამშაბათსა დ. ზ. მნუხრი, უფალო ღაღადყავსა, ჳმაჲ ა** – შენ სიტყუაჲ დაუსაბ. რომელი პირუელ მთასა ზედა **სინასა** ეტყოდა ღრუბლითა და ნისლითა სჯულისმდებელსა **მოსეს**, დღეს ტაძარსა შინა სჯულიერსა, დგა ვითარ კაცი ხილული, ასწავებდა და მოუწოდდა ერსა მას ... (150r-163r).
- 4.4. **ამასვე დღესა სხუანი გალობაინი, ჳმაჲ დ. ზ.** – ღმრთისაჲ უგ. წარმართნო, იხარებდით, ხოლო ჰურიანი გოდებდით, რამეთუ მჳსნელმან ჩუენმან ჯოჯოხეთი შემუხრა, სენნი განსდევნა და მკუდარნი აღადგინნა ... (163r-173r).
- 4.5. **ხუთშაბათსა დ. ზ. და შუაზატიკისასა ხუჭდრნი. ჳმაჲ გ** – ქრისტე ღმერთო, ცანი. ემსგავსე შენ, მხოლოჲ, უაღრესი არსებათაჲ გამოუთქუმელითა შეერთებითა კაცთა და ჯუარცუმაჲ წორციელად დაითმინე და შეირაცხე მკუდართა თანა და მესამესა დღესა ბრწყინვალედ აღსდევ ... (173r-175r).
- 4.6. **პარასკევსა შუაზატიკისასა ღამითგანსა** – ჩუჲნებით ესა. შეკრულმან ნეფსით თჳსით. ქრისტე მრავალმონყალე, და ჯუარსა დამსჭუალულმან, შეკრულნი საკრეველითაგან ურჩებისათა გამოიჳსნენ და რაჟამს დაიდევ საფლავსა, საფლავითგან აღადგინენ მკუდარნი ... (175r-177r).
- 4.7. **შუაზატიკისა შაბათსა ღაღადყავსა** – სიღრმეთა. სიტყჳსა ქადაგნი ცისკიდეთა წარავლინე სწავლად, რომელი-იგი ესმა და იხილეს. განემზადენით, ტომნო ყოველთა ნათესავთანო, შეწყნარებად ან საღმრთოჲთა მათ მნათობთა თქუჲნთა ... (177r-179v).

5. **მეხუთესა კვრიაკესა სამარიტელისაჲ, ჳმაჲ დ, მჳნეონი** – ქრისტე ღმერთი ესრეთ ეტყჳს სამარიტელსა, ვითარმედ: უკუეთუმცა იცოდე შენ ნიჭი ღმრთისაჲ და თუ ვინ არს, რომელი გეტყჳს: მომეც მე წყალი სასუმელად, შენმცა ითხოვე მისგან, მოგცამცა წყალი ცხოველი ... (179v-187v).
- 5.1. **ორშაბათსა ე. ზ. ხუჭდრნი, ჳმაჲ დ, უგალობდითსა** – დანთქენ. საკრველთა მათ მიერ, რომელთაგან შეიკარ, შეჳკარ ძალი მტერისაჲ, მომსრველი, კაცთმოყუარე, და ჯუარითა მშჳდობა ყავ განყოფილთა შორის, მჳსნელო ... (187v-189v).
- 5.2. **სამშაბათსა ე. ზ. მხოლოსა, ისმენდინ** – აღამალა მოსე, ქრისტე ღმერთო ყოველთა მეუფეო, ოდესმე გუჭლი სახედ ჯუარცუმისა შენისა, რომელი ჯუარს-ეცუ ჩუენთჳს ... (189v-191v).
- 5.3. **ოთხშაბათსა ე. ზ. ხუედრნი, განძლიერდასა** – არა სიბრძ. აჳჳედ, მაცხოვარო, ჯუარად, რაჲთა ცხორებად აღმიყვანო და გუჭრდით მოიწყალ, რაჲთა უკუდავებისა წყაროჲ განმილო, ამისთჳს უგალობ სახიერებასა შენსა ... (191v-193r).
- 5.4. **ხუთშაბათსა ე. ზ. ხუჭდრნი, მესმასა დ. სიყუარული ნ.** – აჳმალღი რაჲ ჯუარსა ზედა, მთანი და ბორცუნი ქუეყანითურ შეძრუნდეს, რამეთუ იხილეს მათ უბრალოდ დასჯაჲ შენი ნეფსით, ჩუენთჳს, სულგრძელო ... (193r-194v).
- 5.5. **პარასკევსა ე. ზ. ხუჭდრნი, ღაღადყავსა** – ნანილ ჩემდა. შეკრულმან, მეუფეო, და სამსჭუალითა ძელსა შემსჭუალულმან განმჳსენ საკრეველთაგან ცოდვისათა და სიყუარულსა შენსა შემშჭუალე მე, სახიერ ... (194r-196r).
- 5.6. **შაბათსა ე. ზ. ხუჭდრნი დ. ფსალმუნნი, ჳმაჲ დ. ღაღადყავსა** – შთავარდე მე. ჯუარსა შეგსჭუალეს შენ ჳურიათა და იგნე რაჲ, მაცხოვარ, დასცენ იგინი, რამეთუ რომელთაცა მეუფებაჲ შენი ნეფსით უარყონ ... (196r-197v).
6. **მეექუსესა კვრიაკესა შობითგან ბრმისა. უფალო ღაღადყავსა. ჳმაჲ ა** – შენ სიტყუაჲ. რომელი ქალწულისაგან ჳორცითა განჳკაცენ, ქრისტე კაცთმოყუარეო, და მოჳმადლე ნათელი შობითგან ბრმასა მას ... (197v-206v).

- 6.1. **სხუანი გალობანი ბრმისანი, უგალობდითსა, ჳმაჲ, გ გუერდი** – წამისყოფითა. წინასწარმეტყუელისა **მოსესი** არაჲ ისმინეს ჰურიათა და ქრისტესა ღმერთსა ურჩ ექმნეს, რომელმან თუალნი შობითგან ბრმასა მას აღუხილნა და ჩუენ გუასნავა ქებაჲ თჳსი ... (207r-210v).
- 6.2. **ორშაბათსა ვ. ზ. ხუჭდრნი უგალობდითსა. ჳმაჲ ა გუერდი** – ჯუართა შენითა ცხოველითა, უფალო, წყევისა მისგან ძელისა ვიწსნენით შენ მიერ, ამისთჳს ვაქებთ წყალობათა შენთა და შენ მხოლოსა გიგალობთ, რომელიცა დიდებულ ხარ ... (210v-211v).
- 6.3. **სამშაბათსა ვ. ზ. მხოლოსა ჳმაჲ ა. გ გუერდი** – იხარებდით წარმ. ვითარცა აღამაღლა **მოსე** გუჭლი, ეგრეთვე შენ აჰმადლდი, უფალო, სიმადლესა ჯუარისასა, რაჲთა ზუავისა მტერისა გესლი მაკუდინებელი კაცთაგან განჰჳადო ... (211v-213r).
- 6.4. **მეექუსესა სამშაბათსა მწუხრი წინადღე ამადლებისაჲ. უფალო ღაღადყავსა, ჳმაჲ, ა გუერდი** – საფლავსა ზედა. რომელი-იგი პირუელად **მოსეს** ღრუბლით გამო ჰზრახვიდა მთასა ზედა **სინასა**, ესე დღეს მთისგან ზეთისხილთაჲსა ღრუბლითა ნათლისაჲთა აღვიდა მამისა თანა ... (213r-219v).
- 6.5. **მეექუსესა ხუთშაბათსა ამადლებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. უფალო ღაღადყავსა. ჳმაჲ ა** – შენ სიტყუაჲ. მთავარნი ანგელოზთანი განკურვებულ იყვნეს უცხოთა მას აღსლვასა შენსა, ქრისტე, ჳორცითა და ესრეთ იტყოდეს: რაჲ არს ხილვაჲ ესე, რამეთუ ხატთა კაცისათა იხილვების ... (219v-229r).
- 6.6. **სხუანი გალობანი ამისვე დღესასწაულისანი, დ გუერდი** – ეტლთაჲ მფ. ყოველთა ადამიანთა სიხარულით აღიტყუჭლენით ჳელნი დღეს, რამეთუ ქრისტე ჳელითა საღმრთოჲთა ნესტჳსაჲთა ამადლდა, ვითარცა წერილ არს ... (229r-232v).
- 6.7. **ხვალისგან ამადლებისა ხუჭდრნი. ჳმაჲ დ ღამითგანსა** – უღმრთოთა ვერ. აჰმადლდი ზეცად ქრისტე, ცათა დაუკლებლო და ღმრთისა მამისა თანა და სულისა წმიდისა მარადის მოსაყდრეო, და მგალობელნი შენნი მოციქულნი აკურთხენ, კაცთმოყუარე ... (232v-234r).
- 6.8. **ამადლებისა შაბათსა ხუჭდრნი. ღაღადყავსა, ბ გუერდი** – სოფლისა ზღუაჲ. აღავსე დიდებით ცაჲ და ქუეყანაჲ, მჳსნელო,

აჰმალღი რაჲ დიდებით და ჯორცნი, რომელნი ჩუენგან მიიხუჰნ აღიყვანენ ... (234r-236r).

7. **მეშუღესა კურიაკესა წმიდათა მამათა ნიკელთა. ბ გუერდი** – ყოველი სასოებაჲ. ყოველივე სულისა გონიერებაჲ შეკრიბეს და სულითა წმიდითა განათლებულთა წმიდაჲ სარწმუნოებაჲ მართალი აღმოთქუჰს ნეტართა მამათა ... (236r-245r).
- 7.1. **ორშაბათსა ზ. ზ. ხუჭდრნი, უგალობდითსა, ჳმაჲ ა** – მარჯუჰსნა. ანგელოზთაგან უცნაური საიდუმლოჲ, ქუეყანად მოსლვისა შენისაჲ ზეცად აღსლვასა შენსა ბრწყინვალედ ისწავეს, მჳსნელო და ჳმობდეს: ესე არს მეუფე ... (245r-246v).
- 7.2. **სამშაბათსა ზ. ზ. მხოლოსა, ჳმაჲ ბ** – ვიხილეთ ჩუენ. მკუდრეთით აღდგომისა შენისა შემდგომად, ორმეოც დღე, უფალო, ქადაგთა შენთა თანა ექცეოდე და ჰზრახევდ და აღუთქუ სულისა მოვლინებაჲ და მერმე აღმჳედრდი ქერ[უ]ბინთა და წინაშე მათსა აღმალღი ზეცას ... (246v-248v).
- 7.3. **ოთხშაბათსა ზ. ზ. ჳმაჲ გ, განძლიერდასა** – მოსავთა შენ. დაშჯილი იგი და ურჩებითა განხრწნილი კაცთა ბუნებაჲ, სახიერ, უმაღლეს ჰყავ შენ ანგელოზთა და ჳელმწიფებათა. აჰმალღი ზეცად ... (248v-250r).
- 7.4. **ხუთშაბათსა ზ. ზ. მესმასა დ** – იესუ მჯდომარ. ბუნებით შეუხებელი ღმერთი შესახებელ ჩემდა იქმნა, რაჟამს შემიმოსა, რომლითა ყოვლითურთ განმბრწყინვა, ამაღლებითა თვისითა ამამღლა მე უმაღლეს ძალთა და მთავრობათა და განმალმერთო მე ... (250r-251v).
- 7.5. **პარასკევსა ზ. ზ. ღამითგანსა ბ გუერდი** – შენდა აღვიმ. მძლავრი სიკუდილი საღმერთოჲთა ძალითა მოჰკალ, მეუფეო, და აღსდევ ვითარცა ღმერთ ხარ ... (251v-253r).
- 7.6. **შაბათსა ზ. ზ. ღალადყავსა, გ გუერდი. ღალადყავ ჳ.** – დღესასწაულსა ამას უქმნელობისასა ვიშუჰბდეთ, რაჲთა ღირსვიქმნეთ უბიწოთა ქცევითა მაღლსა სულისასა ... (253r-256r).
- 7.7. **პირველ მარტკლიისა შაბათსა ჳსენებაჲ ყოველთა სულთა ქრისტიანეთაჲ. ჳმაჲ ა** – შენ სიტყუაჲ. ზეცისა სასუფეველსა დაანესენ, ქრისტე, სულნი, რომელ მისცვალენ საწუთროჲსა ამისგან, საუკუნესა მას საშუჰბელსა, განსუჰნებაჲ მიანიჭე ... (256r-259v).

- 7.8. **კვრიაკესა მეერგასესა მოსლვაჲ სულისა წმიდისაჲ წმიდათა მოციქულთა ზედა. ჳმაჲ ა** – შენ სიტყუაჲ. განახლდებიან ენანი ღმრთისა დიდებისა სიტყუად უცხოთა ჳმითა ცეცხლის სახედ ხილვისა და სარწმუნებლად და ურწმუნოთა და სასწაულად წარმართთა, რომელი აღასრულა სულმან წმიდამან ... (259v-269r).
- 7.9. **სხუანი გალობანი ამისვე დღესასწაულისანი, იამბიკონი ხუთთავნი თანა ხუთსიტყუანი სწორნი, უგალობდითსა, ჳმაჲ დ. ზ. საღმრთოჲ მანნის** – ამცნო სიტყუამან თაყუანისსაცემელმან, საყუარელნო, განუშორებელ იყვენით, ვიდრემდის მჯდომარემან მამისა თანა მოგივლინო მადლი სულისა წმიდისა ... (269v-272v).
8. **ორშაბათსა ხუჭდრნი მერვისა შუდეულისასა. მონებისა მისგან. ჳმაჲ ა** – ზეცათა სუფევისა მკვდრნო და მხილველნო ღმრთისა დიდებისანო, რომელთა მოგცა სულმან წმიდამან ჳელმწიფებაჲ დათრგუნვად ეშმაკი და შეკრვად და განწსნად ცოდვათა. მეოხ გუჳყვენით ცხორებად ჩუენდა ... (272v-274v).
- 8.1. **სამშაბათსა ხუჭდრნი მხს. ღმერთო, ჳეშმარიტ.** – ღმერთო სახიერო, წარგვძელუ გზასა წრფელსა, რომელნი გალობით ღმრთისგმეტყუჳლებთ შენ. გუაცხოვნენ შემსხმელნი შენნი, რომელი ზეცით გარდამოჳჳედ, სულო ნუგეშინისმცემელო ... (274v-275v).
- 8.2. **ოთხშაბათსა ჳ. ზ. გმოსავთა შენთა** – ძალთა ცისათა დამამტკიცებელმან სულმან წმიდამან ცად გამოაჩინნა დღეს მოციქულნი და ექმნა მათ ბრწყინვალედ ნუგეშინისმცემელ ... (276r-277r).
- 8.3. **ხუთშაბათსა ჳ. ზ. ხუჭდრნი, მესმასა, ჳმაჲ დ** – იესუ მჯდომარე. ჳეშმარიტისა მის აღთქუმისა პაემანი აღესრულა და ბრწყინვალე მადლი მეერგასისაჲ მოწევენილ იქმნა ... (277r-279v).
- 8.4. **პარასკევსა ჳ. ზ. ხუჭდრნი ღამითგანსა** – რომელმან შეიმოს. განუშორებლად გამომავალსა მამისაგან და ძისა თანა განსუჳნებელსა სულსა, ყოვლად სახიერსა წმიდასა ნუგეშინისმცემელსა, დიდებისგმეტყუჳლებდეთ ... (279v-280r).
- 8.5. **შაბათსა ჳ. ზ. ხუჭდრნი** – სოფლისა ზღუაჲ. პირველად ანგელოზთა მიანიჳე სინმიდე და ელვარე ჳყვენ იგინი ბრწყინვალეობითა ღმრთეებისაჲთა, სულო ყოვლად წმიდაო ... (280r-282r).

8.6. **კვრიაკესა წმიდისა დასდებელი.** – ზეცისაჲ. მოვედით, მოყუარენო დღესასწაულისანო, და ქრისტეს მონამეთა საცსენებელსა ღირსად ქებით, პატივს-ვცემდეთ, ვლალადებდეთ: მაცხოვარ, ღირს-გუყვენ მათ თანა ჩუენცა, მკვდრყოფად ზეცისა სასუფეველსა ოხითა მათითა გვედრებით ... (282r-284v).

დასასრული: ... მვედარნო ქრისტესნო, უძღვევლნო, ძალითა სძლიეთ საცთურსა, ძალითა მით ჯუარისაჲთა და მიიღეთ თქუენ მადლი უოხჭნოსა ცხოვრებისაჲ და მძლავრთა სიქადულსა არაჲ შეჰშინდით, გუჭმათა მიერ სატანჯუელთა შინა იხარებდით [.....] მიერ და ან ძუალნი თქუენნი იქ [.....] მკურნალ სენთა ჩუენტა, მეოხ გვეყავ ... (284v).

ტიქსტუბთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. შიგადაშიგ არშიებზე მითითებული საგალობლების ავტორები: **იოსებ** (23r, 28v, 34r, 81v, 83v, 112r, 121v, 123r, 125r, 128v, 187v, 191v, 210v, 215r, 241r, 276r); **იოანე** (116r, 201v); **თეოფანე** (241r); **გერმანე** (262r, 264r).
2. მსახურებები განყოფილია ტრადიციულ ცხრაოდიან სისტემაზე. შესაბამისად მეტ-ნაკლები სისრულით ჩართულია შემდეგი ოდები: უგალობდითსა, განძლიერდასა, მესმასა, ღამითგანსა, ღალადყავსა, კურთხეულარსა, აკურთხევდითსა, ადიდებდითსა; ასევე შემდეგი საგალობლები – აქებდითსა, გამოავლინე, სხუანი, სტიქარონნი, იბაკონი, იკოსი, წარდგომანი.

მინაწერები:

1. ნუსხური, ტექსტის ხელით: „ღმერთო, შეინყალე ცოდვილი ელია“ (64v, ქვედა არშია).
2. ხელნაწერს შიგადაშიგ გვიანდელი ხელით აქვს დართული ტექსტთან დაკავშირებული მხედრული (იხ. 96v, 133v, 179v, 181v, 197v, 200v, 236r, 259v, 264v) და ნუსხური (162v) მინაწერები.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. გაბიძაშვილი ენრიკო, ბიბლიოგრაფია, თბილისი, 2011, გვ. 107.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 1.

კონდაკი [XVIII]

1446/12

ტიქნიკური აღწერილობა:

76 ფ. ზომები: ყდა – 188×140, ქალაღი – 180×138, ტექსტი – 145×95, სისქე – 19; სტრიქონებს შორის მანძილი – 5; არშიები: ზედა – 22, ქვედა – 15, მარჯვენა – 15, მარცხენა – 20. ქალაღი. მელანი – შავი, წითელი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ლურჯი ფერის ყდა. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. საზედაო გრაფემები მთავრულით. სტრიქონების რაოდენობა – 19/20. აღრიცხვა – რვეულებრივი. ერთი რვეულის ბოლოსა და მეორის დასაწყისში, ორივეგან ქვედა არშიაზე, აღრიცხვა იწყება ა (პირველი) რვეულიდან; შემორჩენილია მხოლოდ 4 ფურცელი, შემდეგ გრძელდება თანმიმდევრობით და სრულდება – იბ (მე-12) არასრული რვეულით (6 ფურცელი). განკვეთილობის ნიშნები – ♫, ♫; •, ♫. ხელნაწერი ნაკლულია, ფურცლები დაზიანებული, დალაქავებული, ზოგან მხოლოდ ფრაგმენტების სახით შემორჩენილი, აკლია შემდეგ ფურცლებს შორის: 1-2; 3-4; 20-21; 27-28; 53-54; 63-64; 64-65; 66-67; 67-68; 74-75; 75-76. [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია **ყანჩათის** ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...]ლად დამიცვენ ჩუენ მ[...] შენსა საღმრთოთა შენთა საიდუმლოთა. გუაკურთხენ, მეუფეო ... (1r).

წყდება: ... მიწყალე მე, ხოლო. და ვითარცა შემოიყვანებდენ პირველგანმედილნი. ან ძალნი ცათანი სრულ იქმენ. ვყოფთ მეტანიასა გ ვიდრემდის დაიშუ ... (76v).

მინაწერები:

1. ტექსტის ხელით: „მოიხსენე, ღმერთო, სვიმონა მოხ[...]**შვილი** და ცოდვანი მისნი შეუნდვენ“ (18r, ქვედა არშია).
2. ტექსტის ხელით: „მოიხსენე, ღმერთო, **ბერუკა აბაშიძე**“ (18v, ქვედა არშია).

3. ნუსხურით: „მოიხსენე, ღმერთო, **იოვანე ბაზლადე**, მეუღლე მისი **პატარ-ქალი მარეტიძის** ქალი და ცო[დვ]ანი მ[ის]ნი შე[უნდ]ევ, კირიელისონ“ (20r, ზედა არშია).
4. მხედრულით: „მოიხსენე, ღმერთო, **ხვარამზე[...]**“ (21r, ქვედა არშია).
5. ნუსხური: „მოიხსენე, ღმერთო, **დავით ბაზლადე** და ცო[დვ]ანი მისნი შეუნ-დევ, ამინ“ (54v, ზედა არშია).

ტიქსტებთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. კონდაკში შესულია **იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და გრიგოლ ღმრთისმეტყველის** ჟამისწირვები. წინ უძღვის წირვის ზოგადი წესი.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 8.
2. კონდაკი, თბილისი, 1899, რეპრინტი.

[იაზონის და მედას აზხაპი] [XVII]

1446/13

ტიქნიკური აღწერილობა:

18 ფ. ცარიელია – 5v, 16v. ზომები: ყდა – 224×173, ქალაღი – 214×154, ტექსტი – 151×98, სისქე – 90; სტრიქონებს შორის მანძილი – 8. არშიები: ზედა – 30, ქვედა – 40, მარჯვენა – 46, მარცხენა – 20. ქალაღი. მელანი – შავი და წითელი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – კალიგრაფიული მხედრული. შეიმჩნევა განკანონების ხაზები. აღრიცხვა – რვეულებრივი, იწყება ბ (მე-2) რვეულით და მთავრდება გ (მე-3) არასრული რვეულით. სტრიქონების რაოდენობა – 15/19. განკვეთილობის ნიშნები: •, ♣, თავბოლონაკლული, ფურცლები – კარგად შემონახული. რესტავრირებული. საზედაო გრაფემები – გამშვენებული, შესრულებული წითელი საღებავით, დეკორირებული; წარმოდგენილი სხვადასხვა დეკორის, მითიური ცხოველის ან ფრინველის სახით. [XVII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1923 წელს **შალვა ერისთავისგან სოფელ ოძისიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] შენდა და ან შენცა, ფრიად საყვარელო, მიწვევულ ხარ ჰასაკსა ჭაბუკობისა შენისასა. და, აჰა, მწედარი გმირ, ახოანი და საკვირველყოფად სცხადდები, ბრწყინვალე ყოვლითურთ სიბრძნითა და გუაროვნებითა ... (1r).

წყდება: ... აღუთქუა მათ პელეი მეფემ თვით წარსვლა ლაშქრითურთ თვისით და ძვირისყოფისა მათისათვის ერთად მიგება და მათ თაყვანისცეს მას და გამოვიდენ პალატიტგან მისით, მხიარულ იქმნეს ფრიად და ჩაჯდა საჩქაროდ **ჰერკულეს** ხომალდსა და წარვიდა მალე თელამონ მეფისა მიმართ და ევედრა (15r).

1. ასევე ანტიკური შინაარსის, თუმცა სხვა ხელნაწერის ფრაგმენტია. ხელნაწერის ძირითადი ნაწილისაგან განსხვავდება ხელითა და ფორმატით (17r-18v).

დასაწყისი: „მაშინ იაზონ, ჭიხელმან გმირმან შეკრებულთა თანა მეგობართა განიზრახა წარმოტაცებად მისი მუნითგან ...“ (17r)

დასასრული: „... ქალაქითა სახელ იდებოდნენ და ...“ (18v)

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ასათიანი ვალერი, ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში, თბილისი, 1996.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 9.

სულხან-საბა ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“, 1810 წ.

1446/14

23 ფ. ზომები: ყდა – 217×17, ქალაღი – 158×164, ტექსტი – 155×108, სისქე – 9, სტრიქონებს შორის მანძილი – 8; არშიები: ზედა – 30, ქვედა – 25, მარჯვენა – 46, მარცხენა – 13. ქალაღი. მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული ნაცრისფერი მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. შეიმჩნევა განკანონების ხაზები. აქვს ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 15/21. აღრიცხვა – რვეულებრივი და გვერდობრივი; რვეულებრივი აღრიცხვა აღნიშნულია მხედრული გრაფემებით. შემორჩენილია მხოლოდ სამი რვეული: ე(მე-5), ჭ (მე-8), ია (მე-11) არასრული რვეულები. ხელნაწერს აკლია თავსა და შუაში, ასევე შემდეგ ფურცლებს შორის: 1-2; 2-3; 7-8; 12-13; 14-15; 15-16; 16-17; 17-18; 18-19; 22-23. გადამწერი – რეკტორი **დავით ალექსიძე** (23r), 1810 წ. (23r).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] და ღამე გაუნყვეტლად ენთება მისს საფლავზედ, მაგრამ კანდლები სულ დაფერილი, ბროწეული შუა გახეთქილი რომ იყოს, სულ ყველა ასე იყო. ოთხი პორფირის სვეტი ტრაპეზის სალხინებელზედ და ოცდაორი ფერადის მარმარილოს მაღალი სვეტი... (1r-23r).

ანდერძები: „აღვჰსწერე ესე წიგნი გარდანუსხვით მე, კეთილშობილმან ალექსის ძემან, სრულიად კახეთის სამეფოს რეკტორმან, სიბრძნის-მოყვარემან **დავითმან**. ვინც წარიკითხოთ, ჩემთვის შენდობა ჰყავით. ესე წიგნი ოდესმე კაცს შეაქცევს, თვარა უკეთესის წიგნის წერა იყო უფრო ჩემგან შესაბამი. თთვესა ენკენისთვესა, რომელ არს სეკდემბერი ა, წელსა ჩყი, ქორონიკონს უჟჭ, **დავით**“ (სახელი ხელრთვით) (23r).

შენიშვნა: თავდაპირველად ეწერა ჩყჭ, შემდეგ წაშლილია და დანერილია ჩყი.

ტექსტის დამატებითი შენიშვნები:

1. ტექსტს დართული აქვს სქოლიოები უცხო სიტყვათა განმარტებებით (8v); ერთგან ნასწორებიცაა (2v).
2. ტექსტი გამოცემულია (იხ. ქვემოთ). ჩვენი ტექსტი მისდევს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ნუსხას (H 93), რომელიც გამოცემაში მითითებულია, როგორც B რედაქცია.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. სულხან-საბა ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“, სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბილისი, 1940.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 8.

[ტროადის აღება] [XVIII]

1446/15

ტიქნიკური აღწერილობა:

10 ფ. ცარიელია – 10r-v. ზომები: ყდა – 227×180, ქალაღი – 223×172, ტექსტი – 152×117; სტრიქონებს შორის მანძილი – 3; არშიები: ზედა – 23, ქვედა – 30, მარჯვენა – 35, მარცხენა – 15. ცისფერი ქალაღი. მელანი – შავი, წითელი; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა; დამწერლობის სახეობა – მხედრული; საზედაო გრაფემები მთავრულით. აქვს ჭვირნიშანი. შეიმჩნევა განკანონების ხაზები. სტრიქონების რაოდენობა – 17. განკვეთილობის ნიშნები – ♀; ♀. ხელნაწერი რესტავრირებულია, ფურცლები კარგად არის შემონახული; თავბოლონაკლულია, აკლია შემდეგ ფურცლებს შორის: 6-7. [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს შალვა ერისთავისგან (სოფელი ოძისი).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] მოსახსენებელ უკუნისამდე მეორესა ძესა მისა ეწოდა ფარიზ, რომელსა სახელ ედვა ალექსანდრე უსწავლულესი იყო ესე სხვათა ხელოვნებათა შიგან მშვილდოსნობისათა... (1r-9v).

თხზულება შედგება შემდეგი თავებისაგან:

1. აღშენებისათვის ტროადისა (1v-6v).
2. რჩევანი განწესებისათვის, რათა ფარიზ გაგზავნოს საბერძნეთსა (8r-9v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 8-9.

[ქილილა და დამანა] [XVIII]

1446/16

ტიქნიკური აღწერილობა:

7 ფ. ზომები: ყდა – 227×185, ქალაღი – 217×175, ტექსტი – 199×175, სისქე – 3; სტრიქონებს შორის მანძილი – 8; არშები: ზედა – 20, ქვედა – 20, მარჯვენა – 10, მარცხენა – 18. ქალაღი. მელანი – შავი და წითელი. კოლენკორ-გადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, სათაურები და ზოგიერთი გრაფემა წითელი მელნით. აქვს ჭვირნიშანი. შეიმჩნევა განკანონების ხაზები. სტრიქონების რაოდენობა – 18/19. განკვეთილობის ნიშნები – •, ♄. ხელნაწერს აკლია თავში, შუასა და ბოლოში. ფურცლები – კარგად შემონახული, რესტავრირებული. [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეო-გრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს შალვა ერისთავისაგან სოფელ ოძისიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] დაცვით ბრძანებისა მისისა, მაშ, ქალი იგი რათ ჰყოფს უარს, მან ჰკადრა ბრძანებით ესრეთ, რომელ ვინცა შეუდგების, იგი არა ღირს ინოდებისო... (1r).

წყდება: ... გარდომ უბრძანა ყოველივე სოფელსა შინა მოიპოვების და უკეთუ არა ესრეთ, მაშ, დამბადებელმა რად შექმნაო. **ბაქირმა** მოახსენა სადიდებელად თვისად(?). **გარდომ** ჰკითხა: ვითარ იდიდებისო?“ მან მოახსენა: დაცვით [...] (1r-7v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 8.
2. ჰუსეინ იბნ ალი ქაშეფი, ქილილა და დამანა, სპარს. თარგმნ. მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ტექსტი ორიგინალს შეუდარა, გამოკვლ., კომენტ. და ლექსიკონი დაურთო მაგალი თოდუამ, ქუთაისი, 2006, გვ. 123.

სიბრძნე ბალავარისა [XIX]

1446/17

ტიქნიკური აღწერილობა:

40 ფ. ზომები: ყდა – 235×180, ქალაღდი – 220×173, ტექსტი – 161×130, სისქე – 6; სტრიქონებს შორის მანძილი – 8; არშიები: ზედა – 16, ქვედა – 26, მარჯვენა – 26, მარცხენა – 13. ქალაღდი. მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 19. აღრიცხვა – ფურცლობრივი. ხელნაწერი რესტავირებულია, ფურცლები კარგად არის შემონახული. აკლია შემდეგ ფურცლებს შორის – 31v-32r. აქვს მარტივი თავსამკაული და გაფორმებული საზედაო გრაფემები. [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **თეიმურაზ ლაშაურისაგან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: „სიბრძნე ბალავარისა“ თქმული მამისა ისაკისა ძისა სოფრონ პალესტინელის მიერ. მივედ ოდესმე ქვეყანასა იოპეთს და მუნ ვჰპოე მე წიგნი ესე ინდოეთა მეფისა საწიგნესა, რომელსა შინა წერილ არიან საქმენი ამის სოფლისანი – იყო ვინმე მეფე ქვეყანასა ინდოეთისასა, ადგილსა, რომელსა ჰქვიან ბოლა ... (1r).

წყდება: ... უკეთუ ვერ დაუდგამ ან ცეცხლსა შენსავე აღნთებულსა და კვალად დაშრეტადსა და მას საუკუნესა ვითარ დაუდგნე ცეცხლსა დაუშრეტელსა და ვითარ მოითმენ ბნელსა მას გარესკნელსა. ან დასცხერ ბოროტისაგან და ცოდვისა და ესრე სახედ წინააღუდგებოდა გულისსიტყვათა. ხოლო ასული იგი მეფისა [...] (40r).

ტიქსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. სრული ტექსტი იხ. ასევე **1446/285**. ამ კრებულში მოთავსებული „სიბრძნე ბალავარისა“ სიტყვასიტყვით მისდევს ჩვენს ტექსტს. ერთი რედაქციაა,

პალეოგრაფიული ნიშნებიც ერთ ქრონოლოგიურ მონაკვეთსა და ერთ სკოლაზე მიუთითებს.

2. ტექსტი მოკლე რედაქციისაა.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 9-10.
2. ქართული ლიტერატურის ისტორია, კორნელი კეკელიძე, თბილისი, 1941, 463-467 გვ.
3. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბილისი, 2004.
4. ექვთიმე თაყაიშვილი, „ბალავარიანის“ ქართული რედაქციები, ტფილისი, 1883-1895.
5. ილია აბულაძე, „ბალავარიანის“ ქართული რედაქციები, თბილისი, 1937.
6. ილია აბულაძე, „ბალავარიანის“ ქართული რედაქციები, თბილისი, 1957.

კრებული [XIX]

1446/18

ტიქნიკური აღწერილობა:

46 ფ. ზომები: ყდა – 234×170, ქალაღი – 220×178, ტექსტი – 174×140, სისქე – 8; სტრიქონებს შორის მანძილი – 8; არშიები: ზედა – 16, ქვედა – 21, მარცხენა – 25, მარჯვენა – 24. ქალაღი. მელანი – ყავისფერი. რესტავირებული; ახალი კოლენკორგადაკრული ყავისფერი ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 18/19/21. აღრიცხვა – ფურცლობრივი, არაბული ციფრებით. ხელნაწერი თავბოლონაკლულია, აკლია ასევე შემდეგ ფურცლებს შორის: 1-2, 2-3, 14-15, 22-23, 36-37, 41-42. ფურცლები დალაქავებულია. შეიმჩნევა რამდენიმე ხელი: 1) ფფ. 1-2, 23-24; 2) ფფ. 3-15 (12r-ს შუა ნაწილიდან 12v-ს ნახევრამდე ხელი სხვაა); 3) ფფ. 15-22, 37-46; 4) 35-36. [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ნილკანში** მცხოვრები **თეიმურაზ ლაშაურისაგან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. კითხვა-მიგება (1r-14v).

დასაწყისი: [...] **მონ.:** სანამდის ღი [.....] რა იყოს? **მოძღ.:** მანამდისინ ღმერთი იყო მამა, ძე და სული წმიდა, ამათის [...] ბრძანებით დაიბადა ცა და ქვეყანა, ანგელოზნი და კაცნი ყოველი ხილული და უხილავი ... (1r).

წყდება: ...რა არის წირვაო და რასათვის დღეყოფად ვდღესასწაულობთ მსხვერპლის შეწირვასო, მათცა ვასწავლიდეთ, ვითარმედ ღმერთმან პირველად არა რასაგან არსად ... (14v).

2. ფსალმუნით სიტყვსება მაჰმადიანთა მიმართ (15r-22v).

დასაწყისი: მორწმუნისა გარეშე მოკლა, ვითარცა წმიდა ღუთისა შეირაცხების და თუ შენ მან მოგაკვდინა, შეითი იქნებოა, რომე-

ლი მონამედ გამოითარგმანების ესე ყოველივე ლუთისა მოძულისა არიან საქმენი ... (15r).

წყდება: ... ვევედრების ღმერთსა და ითხოვს მათთვის თავ... ქცევასა, ვითარცა იქცევის ურმის თვალი ნუმპეთა ზედა გზათა ... (22v).

3. **კითხვა-მიგება (23r-32v).**

დასაწყისი: მონ. ჯოჯოხეთში ეშმაკები რა იქმნენ? **მოძღ.** იტანჯებთან და იწვიან. **მონ.** სადამდინ უნდა იტანჯნენ? **მოძღ.** უკუნითი უკუნისამდენ ... (23r).

4. **ჰსწავლა შვიდის საიდუმლოსი შემოკლებულად თქმული (32v-36v).**

დასაწყისი: **მონ.** რომელი არს შვიდი საიდუმლო, რომლისათვისცა იტყვიან წმიდანი მამანი, ვითარმედ, რომელსაც ქრისტიანეს შვიდი საიდუმლო არა ჰსწამს და ან არ იცის, ის ჭეშმარიტი ქრისტიანე არ არისო ... (32v).

წყდება:... თუ ვითარ მშუნიერად შემზადა: იმავე ერთისა მიწისაგან ან როგორ სხვარიგად სისხლი, სხვა რიგად ძარღვი, სხვარიგად ძვალი, სხვარიგად ნაწევარი, გული, ფილტვი და ღვიძლი, ანუ თუ ვითარ შთაბერა ... (36v).

5. **მაჰმადიანთა მიმართ (37r-46v).**

დასაწყისი: [მო]წყალე ექნები, ნუ აცადებ ბოროტის მოქმედთა მათ, არამედ განრისხენ და უმოწყალოი იქმენ მათ ზედა და ნუ დამშვიდნებიო ... (37r).

წყდება: და შეესხა ფრთენი და აფრინდა, მესამედ ცად და მუნ დაჯდა, რომელნი ჩანს ვარსკვლავნი იგი, მთიები ცისკრისა, იგი დიაცი (!) არსო, ხოლო ანგელოზთა დასცვივნეს ფრთენი და ერთსა ბნელსა ჯურღმულსა ... (46v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 10.

ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა [XIX]

1446/19

ტიქნიკური აღწერილობა:

56 ფ. ცარიელი ფურცელია – 113v. ზომები: ყდა – 360×230, ქალაღი – 346×224, ტექსტი – 290×160, სისქე – 20; სტრიქონებს შორის მანძილი – 8; არშიები: ზედა – 32, ქვედა – 32, მარჯვენა – 35, მარცხენა – 28; ქალაღი. მელანი – ყავისფერი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონთა რაოდენობა – 25/28. აღრიცხვა – გვერდობრივი, ნუმერაცია – არაბული ციფრებით. ხელნაწერი რესტავრირებულია, ფურცლები კარგად შემონახული. ხელნაწერი გადანერილია რამდენიმე ხელით; თავსამკაული – კალიგრაფიული მხედრულით შესრულებული სათაური ჩასმულია ხაზოვან ჩარჩოში თავზე ჯვრით. ტექსტის დასასრული ჩასმულია მარტივ წნულ ჩარჩოში. [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1929 წელს **ნილკანში** მცხოვრები **თეიმურაზ ლაშაურისგან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

ისტორია **ალექსანდრე მეფისა** მაკედონისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და ყოვლისა სამჭრეთისა და თვთმპყრობელისა მეფეთმეფისა (1r-56r).

თხზულება შემდეგი თავებისგან შედგება:

1. იტყვიან ძედ ყოფად მისა მაკედონის მეფისა ფილიპესად, არამედ არა არს ესრეთ და ცრუ არს ესე ყოველივე. იგი არს ძე ეგიპტის მეფისა ნექთალიმისა, ფილიპეს ცოლისა და დედოფლისა, აღმპიადეს მიერ შემთხვევით ესევეითართა ვითარმედ – იყო მეფე ეგიპტისა **ნექთალიმ**, მისნობისა და ვარსკვლავთმრიცხველობისა ჯელოვნებით განსწავლილი ... (1r-9v).

2. ათინის ქალაქი დიდი ყოველი ქვეყნიერისა სამკაულითა შემკულიყო და ეპყრათ იგი ათორმეტთა რიტორთა და ყოველთა ელინის ქუჭყანათა ზედა ჯელმნიფობდენ და ჰვლოზდენ სიმართლით მმართველობითა – და ესმათ რა მათ, ვითარმედ ალექსანდრესა ჰნებავს მოსულა ათინის ქალაქად ... (9v-32r).
3. აქა ინყების მეფისა ირაკლისა და დედოფლისა სერამიდასი ძეგლთათვს და ძვალთა თავთა კაცთათვს და შიშველთა მართალთათვს – ხოლო შევიდნენ ქუეყანასა უცხოთა რომელიმე და შვენიერსა ფრიად ... (32r-33v).
4. თქმულნი ადამისა და ევასთვს და შიშველ კაცთათვს, რომელ არიან დამწერლობის შიშველ-მართალნი – და კ(უალა)დ ალექსანდრე ეტყოდა ფილასოფოსთა მათ, ვინათგან ... (33v-42r).
5. თქმული მეფეთა და მთავართათვს და დედაკაცთა მაზნანისათა და კერიმინეთე მერსილონისა მეფისათვს, რომელი ფლობდა მრავალთა მათ მწიოკლთა წარმართთა ზედა ვითარცა ალექსანდრე დაატყვევნა და ვანდაკია დედოფლისათვს – ხოლო ესმათ რა ესე გარეშეთა მათ მეფეთა ძლევა ... (42r-56r).

ტიქსტიან დაკავშირებული შენიშვნები:

1. ხელნაწერი შეიცავს **არჩილის** თარგმანის ტექსტს, თითქმის სიტყვასიტყვით, მცირე ვარიანტული სხვაობებით მისდევს ცნობილ N1446/123 ხელნაწერს. თუმცა ამ ნუსხისგან განსხვავებით წინამდებარე ტექსტი სრულია.
2. ძალიან ახლოს დგას ტექსტი 1446/28-სთან. ხელნაწერში გამოორებულია ის შენიშვნაც კი, რომელიც 28-ში **როქსანას** გოდებაშია ჩანერილი: „აქ დაიხატოს ალექსანდრეს ცხედრის წაღება“. შესაბამისად, N1446/19 უფრო გვიან არის გადაწერილი, სავარაუდოდ, N1446/28 ხელნაწერიდან.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 10.
2. ალექსანდრიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა, თბილისი, 1980.

კრებული, 1734 წ.

1446/20

ტიქნიკური აღწერილობა:

45 ფ. ცარიელი ფურცელი – 45v. ზომები: ყდა – 210×165, ქალაღი – 193×154, ტექსტი – 140×112, სისქე – 15. სტრიქონებს შორის მანძილი – 8. არშიები: ზედა – 29, ქვედა – 27, მარჯვენა – 25, მარცხენა – 11. ქალაღი, მელანი – შავი, წითელი. ტყავგადაკრული ხის ყავისფერი ყდა, ალაგ-ალაგ გადაქექილი და ფერგადასული. როგორც ზედა, ასევე ქვედა ყდის შუაში მოთავსებულია რომბის ფორმის ორნამენტი. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 15. აღრიცხვა – რვეულებრივი. რვეულის ბოლოს, ქვედა არშიაზე აღინიშნება საზებს შორის მოქცეული მხედრული გრაფემებით. სულ 5 რვეულისაგან შედგება. ბოლო რვეულში 4 ფურცელია. განკვეთილობის ნიშნები – •, •, •—. ფურცლები დალაქავებულია. გადამწერი – **სუამის ნაცვლისშვილი ქაიხოსრო** (44v); დამკვეთი – **უთრუთ აბაზაძე** (44v). გადანერის ადგილი – **მოსკოვი** (44v). 1734 წ. (44v). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **პოლ. კარბელაშვილისაგან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. **დასაწყისი: იანვარსა იდ. ცხორება და მოქალაქობა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსი, გვაკურთხე, მამაო** – მათ ჟამთა ოდეს იწამა წმინდა და ყოვლად ქებული და დიდებული მთავარმონაშე გიორგი კაბადუკიელი მასვე ჟამსა შინა და მასვე ქალაქსა შინა კაცი ვინმე იყო თანაზიარი და მეგობარი წმინდისა მონამისა, ესე კაცი იყო კეთილად მორწმუნე. და შვილი მდიდართა და წარჩინებულთა. და იყო იგი ძლიერი და წარჩინებული და განთქმული ბრძოლათა შინა და წყობათა შინა, რომლისა სახელი ზაბილონ ... (1r).

შენიშვნები: 1. „ცხოვრება“ წარმოადგენს არსენ ბერის (XII) მეტაფრასულ რედაქციას.

2. იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნი-
გნი III (მეტაფრასული რედაქციები XI-XIII), დასაბეჭდად მოამზადეს
ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, გ. კიკნაძემ და ც.
ქურციკიძემ, თბილისი, 1917, გვ. 52-83.

2. გალობანი წმიდისა ნინოსნი (29v-44v).

ა) თვესა იანვარს წმიდის დედისა ჩვენისა ნინოსი ჴმაჲ დ (29v-33v).

დასაწყისი: მწნოენი. აღზრდილი უბინებით, მტკიცე სარწმუნოე-
ბითა, მოძღვარი ქართლისა, სანატრელი ნინო, მკვევალი ყოველთა
მწსნელისა ... (29v).

ბ) გალობანი წმინდისა ნინოსანი, რომელთა თავნი იტყვით ქებით უგალობთ [...] [...] ნინოს არსენი ჴმაჲ (33v-38r).

დასაწყისი: [...] ასულითა, ქრისტე, აღახვენ მონებად ბაგენი ჩემნი
ქალწულისა დედისა და მოციქულისა და ქადაგისა შენისა ნინოს
შესხმად ... (33v).

გ) სხვანი გალობანი წმიდისა ნინოსნი, უკეთუ [...] ...] ჰყოფდე ესე გალობანი ბრძანენ – (38r-44r).

დასაწყისი: ზღვა უვალი. განმინათლენ ცნობანი, ყოველთა განმა-
ნათლებელო, სამებაო წმიდაო, რათა ნათელმყოფელსა შენ მიერ
ჩვენსა ნინოს სიტყვანი ღირსნი სულიერნი მიუძღვანე ... (38r).

ანდერძ-მინანერძი:

ანდერძი:

„ბრძანებითა ღმრთისა დაუსაბამოსათა და დაუსრულებელისათა ცხოვ-
რება ესე წმინდისა და ღირსისა ქართველთ განმანათლებელისა ნინოსი
სამეუფოსა ქალაქსა **მოსკოს** დავანერინე მე **უთრუთ აბაზაძემ** სულისა
ჩემისა საოხებლად წმინდისა და ნეტარის ნინოს მადლითა და მეოხე-
ბითა. ღმერთო, წარმართე ჴელთა ესე წერილი მე ცოდვილმა ახალ-
მოსწავლემ **სუამის ნაცვლის შვილმა ქაიხოსრომ** აღვსწერე და ვინც
წაიკითხოთ, ღმრთის გულისათვი პატრონსაცა და დამწერსაც შენდობა
უბძანეთ. დაინერა ქრისტეს აქათ **ჩლლდ**“ (44v).

მინაწერები:

1. რუსული, მხედრული: „წმ. ნინო დაიბადა 261 წ. იერუსალიმში მივიდა 275 წ. იერუსალიმიდან ეფესოში წავიდა 281 წ. აქ დარჩა 292 წ. აქედან ჩავიდა ჯავახეთამდე 5 წ. 295 წ.“ (თავფურცელი v).
2. მხედრული: „აღწერილი სალომე უჯარმელისაგან“ (1r, მარჯვენა არშია).
3. მხედრული: „მღუდლის პ. ლ. კარბელოვისა ჩყუბ იანვ. დ-სა“ (1r, ზედა არშია).
4. მხედრული: „1870-1734=145 145 წელიწადია რაც ეს წიგნი დაწერილა“ (44v, ქვედა არშია).
5. მხედრული: „ბრძანებითა ღთისათა დაუსაბამოსათა და დაუსრულებელი-სათა ცხოვრება ესე წმინდისა და ღირსისა ქართველთ განმანათლებელისა **ნინოსი**. ია მჯდომარესა იხილეს რა მონაფეთა“ (45r).

რუსული მინაწერები:

6. „П. Карабелов“ (თავფურცელი, V).
7. „Собственность священника П. Карабелова, 1892“.
8. „4 январь“ (1r).
9. აქვე ფანქრით: „Рукопись эту...“.

ტიქსტუბთან დაკავშირებული შენიშვნები:

ხელნაწერს ახლავს **პოლიევქტოს კარბელაშვილის** მიერ შესრულებული ტექსტებთან დაკავშირებული მინაწერები.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 21.
2. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი 1, თბილისი, 1960, გვ. 122.

სახარების ფრაგმენტი [XVI]

1446/21

ტიქნიკური აღწერილობა:

5 ფ. ფრაგმენტი. ზომები: ყდა – 184×140, ქალაღი – 177×118, ტექსტი – 127×93, სისქე – 1; სტრიქონებს შორის მანძილი – 5. არშიები: ზედა – 1, ქვედა – 1, მარჯვენა – 16, მარცხენა – 1. ქალაღი. მელანი – შავი, წითელი. მუყაოს ახალი მონაცრისფრო ყდა. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. ორ სვეტად ნაწერი. სტრიქონების რაოდენობა – 18/20. აღრიცხვა – რვეულებრივი, შემორჩენილია მხოლოდ ლვ (36-ე) რვეული, ზედა არშიაზე, აღრიცხვის აღმნიშვნელი გრაფემა ჩასმულია სამ ხაზში. განკვეთილობის ნიშნები – ❖, ❖, ❖. რესტავირებული. ფურცლები საკმაოდ დაზიანებულია, ზოგან მცირე ნაწილების სახითაა შემორჩენილი. ტექსტის დასასრული სტილიზებული, სინგურიტა და შავი მელნით შესრულებული ვარსკვლავებით არის შემკული. გადამწერი – **ნიკოლოზ არჩვაძე** (3r). მთარგმნელი – **გიორგი მთაწმინდელი** (3r). ხელნაწერი მხოლოდ ფრაგმენტული სახითაა მოღწეული. ხუთივე ფურცელი დაზიანებულია, სრულ ფურცელს არც ერთი არ წარმოადგენს. [XVI] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია **1924** წელს ქართლის ერთ-ერთი ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [... ...]ო თავი თვის ზღვად. ხოლო სხუანი მოწაფენი ნავით მოვიდოდეს, რამეთუ არა შორს იყვნეს ქუეყანისაგან ... (1r).

დასასრული: [... ..]ს [...]ლ დეს მ[...] ყოფა ვიდრე მ[...] იგი [...]ამათ თ[...] დაანე [...] უწყლ[...] ნამე[...]ჲ ... (5v).

ანდერძ-მინაწერიები:

ანდერძები:

1. **გადამწერის:** „ამისა მწერ[ა]ლსა **არჩვაძესა ნიკოლოზს** და მეუღლესა მისსა **მ[ა]რიხს** ცოდვანი მათნი შეუნდვნეს ღმერთმან და მათ თანა დე-

და-მამათა ცოდვანი მათნი შეუნდვენს ღმერთმან, ამინ. ვინცა შენდობაა ბრძანოთ, შეგინდოს თქუენცა ღმერთმან“ (3r).

2. **მთარგმნელის (გიორგი მთაწმინდელისა):** „ესე საცნაურ იყ[ა]ვენ ყოველთა, რამეთუ წმიდაა ესე ოთხთავი ჩუენ ახლად გვითარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმ[ა]თა ვიეთმე სულიერთა და ბერძულთა(!) სახარებათა შეგვიმონმებია ფრიადითა გამონულილვითა და ვინცა ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერა, ღმრთისათვის სიტყუათა ნუ შესცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია ეგრე დაწერეთ.

დიდება და მდალი(!) ღმერთსა ყოველთა კეთილთა მიზეზსა, სრულ იქმნა წმიდაა ესე ოთხთავი თ[ა]რგმნილნი **გიორგი მთაწმინდელისანი**“ (3r).

მინანერები:

1. გვიანდელი მხედრული: „იანვრის იბ დღესა დაიბადა ვაჟი **იასონი**“ (1r, ზედა არშია, უკუღმა, სახელი გადაშლილია).
2. ტექსტისგან განსხვავებული ნუსხურით: „ესე წმიდა სახარებაა **დავითისია**. ღმერთმან უშველოს [...]“ (3r, სვეტებს შორის, ბოლოში).
3. მხედრული: „ღმერთო, შეინყალე [...]შამუკას [...]“ (3r, ქვედა არშია).
4. მხედრული: „[...] ...] ღმერთო, შეინყალე] ცოდვილი [...], ვინცა შენდობა ბრძანოთ [შეგინდოს] ღმერთმან. ამინ. უფალო [...]“ (3v, მთელ გვერდზე).
5. მხედრული: „ჩემს სა წელსა“ (4r, ზედა არშია, უკუღმა).
6. მხედრული: „აბრამთ **გიორგი**“ (5v, ზედა არშია).
7. უმნიშვნელო შინაარსის მინანერები (3r, ზედა არშია).

ტექსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. შემორჩენილია მხოლოდ იოანეს სახარების ბოლო თავი (21, 7-25) (1r-2v), ასევე სახარებათა კითხვის განგების ფრაგმენტები (4r-5v), ასევე გადამწერისა და მთარგმნელის ანდერძები (3r).
2. ტექსტი **გიორგი მთაწმინდელის** რედაქციისაა.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 13.
2. ბიბლიოგრაფია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, თბილისი, 2009, გვ. 121.

ზატიკი [XVIII]

1446/22

ტიქნიკური აღწერილობა:

86 ფ. ზომები: ყდა – 205×155, ქაღალდი – 190×135, ტექსტი – 140×95, სისქე – 38; სტრიქონებს შორის მანძილი – 5; არშიები: ზედა – 17, ქვედა – 34, მარჯვენა – 28, მარცხენა – 26. ქაღალდი, მელანი – შავი, წითელი. კოლენ-კორგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. საზედაო გრაფემები და სათაურები – წითელი მელნით. სტრიქონების რაოდენობა – 22/24. აღრიცხვა – რვეულებრივი. შემორჩენილია ა, ბ, გ, ვ, ზ, ჭ, თ, ი, ია, იბ, იგ და იდ რვეულები. აქედან სრული არის მხოლოდ ვ, ზ, იბ, იგ და იდ რვეულები, დანარჩენი ყველა ნაკლებია (ა – 6 ფურცელი; ბ – 7 ფურცელი; გ – 6 ფურცელი; ჭ – 4 ფურცელი; თ – 6 ფურცელი; ი – 3 ფურცელი; ია – 7 ფურცელი). განკვეთილობის ნიშნები: •, •, ••, ••. ხელნაწერი თავბოლონაკლებია, აკლია ტექსტის შიგნითაც. შიგადაშიგ ჩართულია სხვა ორი ხელნაწერის ფრაგმენტი (ა. ფფ. 80, 81-82; ბ. ფფ. 83, 84, 85, 86). ფურცლები – დაზიანებული, დალაქავებული, კიდევებმომოცვეთილი. [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს ერთანმიდის ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. დასაწყისი: [დიდსა შაბათსა მწუხრი] – [...]დდგომილნი და მადლობით ვლალადებთ: ესე არს დღე უფლისაჲ, რომელ ქმნა ყოველთა მეუფჴმან ... (1r-2v).
 - 1.1. წმიდასა დიდსა კვრიაკესა ღამისთევად გალობანი. ბ გუერდი – რომელმან დაფარა. ქრისტე, მჴსნელო ჩუენო, მოკუდავთ ქებასა და საფლავსა შინა შთასლვისა შენისა გალობასა გილადებთ ... (2v-5v).
 - 1.2. ბრწყინვალესა კვრიაკესა ცისკრად გალობანი ორნი: ერთი აღდგომისა და ერთი ღმრთისმშობლისი. წმანა ა, უგალობ-

დითსაჲ – აღდგომისა დღე არს, განბრწყინდებოდეთ, ან, ერნო ... (6r-8v).

- 1.3. **კვრიაკესა მწუხრი დასდებელნი აღდგომისანი. ჳმაჲ ბ** – პირველ საუკუნეთა მამისგან შობილსა ღმერთსაჲ, სიტყუასა განხორციელებულსა ქალწულისა მარიამისაგან, მოვედით, თაყუანის-ვსცეთ ... (9r-10v).
 - 1.4. **სერობისად გალობანი. ჳმაჲ ბ** – ლელვათა დანთ. დავით მგალობლისა თანა ძღვევისა გალობითა მადლობით უგალობდეთ მაცხოვარსა ... (10v-12r).
 - 1.5. **ორშაბათსა მწუხრი, დასდებელნი აღდგომისანი. ჳმაჲ გ** – [...] ითა შენითა, ქრისტე მაცხოვარ, დაჰჴსნდა ძალი სიკუდილისა და ეშმაკისა საცთური განქარდა ... (12r-14v).
 - 1.6. **ცისკრად [...]სა ბრძანეთ ვგრეთ, ვითა ორშაბათს გაგვ[...]. სამშაბათსა მწუხრი, დასდებელნი აღდგომისანი, ჳმაჲ დ** – ცხოველსმყოფელსა ჯუარსა შენსა დაუცხრომელად თაყუანის-ვსცემთ, ქრისტე, და მესამესა დღესა აღდგომასა შენსა ვადიდებთ ... (14v-16r).
 - 1.7. **სერობისად გალობანი, უგალობდითსაჲ, ჳმაჲ დ** – ზღჴსა მის მენამ. ძელისა მიერ, უფალო, დაჰჴსენ წყევალ იგი ხისა მის და მოჰჴკალ სიკუდილი სიკუდილითა ... (16r-17v).
 - 1.8. **ოთხშაბათსა მწუხრი, უფალო ღალადყავსა, დასდებელნი აღდგომისანი, ჳმაჲ, ა გუერდი** – პატიოსნისა ჯუარისა შენისა მიერ, ქრისტე, ეშმაკი სირცხვლეულ ჰყავ ... (17v-18v).
 - 1.9. **სერობისად გალობანი** – ეტლთა სიმრავლ. ცხორებისა და აღდგომისა და უხრწნელობისა ... (18v-19r).
 - 1.10. **ხუთშაბათსა მწუხრი, დასდებელნი აღდგომისანი. უფალო ღალადყავსა, ჳმაჲ, ბ გუერდი** – ძღვევაჲ [...] ქრისტე, ქუეყანით ჯოჯოხეთისა და ჯუარსა ზედა ამაღლდი ... (19r-v).
2. **[სამშაბათსა ცისკრად]** – [...]თა მჴსნელმან იესუ, არამედ ჩუენთჴს საცხორებელ ყო იგი ... (20r-21r).

- 2.1. **სამშაბათსა მწუხრი. უფალო ღალადყავსაჲ. მწნეონნი დ** – შეახე რაჲ მაცხოვრისა გუჭრდსა, ყოვლად დიდებულო ... (21r-22r).
- 2.2. **სამშაბათსა [... ..] წინაჲ [...]** – წმიდაო, წმიდათაო, რაჲთა წმიდაჲ ჰყვენე დაბადებულნი შენნი, ძელსა ზედა ჯუარისასა ნებით აჰმალღდი ... (22r-23v).
- 2.3. **ოთხშაბათსა ცისკრად გალობანი, უგალობდითსა, ბ გუერდი** – უკლეველად ზღუაჲ. განგებისა შენისა საიდუმლო მიუწნდომელ არს, ღმერთო ... (23v-25r).
- 2.4. **ახალკურიაკესა ოთხშაბათსა მწუხრი, უფალო ღალადყავსაჲ, ბ გუერდი** – ყოველი სასოებაჲ. დღე ახალკურიაკე, დღე ნათლითა შემოსილი და დედოფალი დღეთა ... (25v-26v).
- 2.5. **სერობისად ხუჭდრნი** – საღმრთოჲსა საჰმი. განწირულთა ამათესს სიკუდილად მოხვედ ყოველთა ცხორებაო, ქრისტე, და შემუსრე ფლობაჲ ჯოჯოხეთისა ... (26v-27v).
- 2.6. **ხუთშაბათსა [.....] წარდგომაჲ, ბ გუერდი** – ანგელოზთა დღის. თომაჲ ჳმაჲ-ყო დღეს შენდა მომართ, ქრისტე, ღმერთო ... (27v-29v).
- 2.7. **ახალკურიაკესა ხუთშაბათსა მწუხრი, ჳმაჲ ა** – წმიდანო მარტკლნო. შემდგომად საფლავით შენისა საშინელისა აღდგომისა, ქრისტე, ვითარცა-იგი ბეჭედნი არა დაიჰსნენ ... (29v-31v).
- 2.8. **ცისკრად გალობანი პარასკევსა, გ გუერდი** – ღმერთსა, რომელმან დაან. წინასწარმეტყუელისა დავითის თანა ვღალადებთ ... (31v-32v).
- 2.9. **პარასკევსა მწუხრი, უფალო ღალადყავსა და სტიქარონი და შაბათსა ცისკრად ყოველივე უცვალებელად ახალკურიაკესა ბრძანე.**
- 2.10. **სერობისა გალობანი პარასკევსა** – შთაჳდა იონაჲ. [...] ჯოჯოხეთით უფალმან და არღარა ვართ შესაჭმელ [... ..] იგი შემუსრაჲ წამისყოფით ... (32v).
- 2.11. **[პარასკევსა ცისკრად]** – [...] თომა მარჩბივმან ურწმუნობაჲ იკადრაჲ შესანევენელად ჩუენ მორწმუნეთა ... (33r-34v).

3. **აღვსებითგან მესამესა კვრიაკესა მენელსაცხებლეთა დედათა და იოსებ მართლისა. უფალო დაღადყავსაჲ. დასდებელნი აღდგომისნი, ჳმაჲ გ –** პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილსა, ღმრთისაჲ სიტყუასა, განწორციელ[...] ქალწულისა მარიამისგან ... (34v-35v).
- 3.1. **[გ კვრიაკესა მწუხრი]** – [...]ყრიან და საღმრთოჲ სუდარი. რასა იცილობთ და სცთებით, ბილწნო ჰურიანო? ... (36r-37v).
- 3.2. **კვრიაკესა მენელსაცხებლეთასა. მწუხრი, უფალო დაღადყავსაჲ –** ჰ, სასწაული საკვ. ჰ, მზრახველო, ყოვლად შუ[შ] ნიერო, შენ, იოსებ ნეტარო ... (37v-39r).
- 3.3. **სერობისად ჳუჭდრნი** – მოვედით, ერნო, უგალ. აღმაღლდი, ქრისტე, ნებსით ჳუარსა ზედა და ძლიერებით მთავრობაჲ ჳო-ჯოხეთისა და სიკუდილითურთ დაეც ... (39r-40r).
- 3.4. **ორშაბათსა ცისკრად, ნარდგომაჲ** – ვითარმედ გხადოდით. ვითარმე გაქებდე, ბრძენთმთავარო იოსებ სანატრელო, რომელი ქერაბინთა ემგავსე ... (40r).
- 3.5. **ორშაბათსა ცისკრად გალობანი** – განაპო სიღრმე. ჳუარც-მასა შენსა პატივის-ვსცემთ, ქრისტე, და დაფლვასა შენსა თაყუანის-ვსცემთ ... (40r-41v).
- 3.6. **[მენელსაცხებლეთა ცისკრად]** – [...] დედანო, რომელნიცაჲ ღირს იქმნენით მსახურებად ღმრთივგუამოვანთა მათ ჳორცთა ... (42r-v).
- 3.7. **[სამშაბათსა ცისკრად]** – [...] საფლავსა და ლოდი მოაგორვაჲ, ხოლო მეუფჳ მყის შთაჳდა ჳოჯოხეთად ... (43r-v).
- 3.8. **[ოთხშაბათს მწუხრი]** – [...] ქადაგებდეს ქრისტესა, აღდგომილსა მკუდრეთით ... (44r-v).
- 3.9. **სერობასა გალობანი, ჳმაჲ ბ** – მოხუჭდ ჩუენდა. ჳუარსა ზედა აღჳედ, მჳსნელო, შემოსილი ძალითა და შთაჳედ ჳო-ჯოხეთად ... (44v-45v).
- 3.10. **ხუთშაბათსა ცისკრად გალობანი, ჳმაჲ დ** – გიგალობთ შენ, უფალო. გიგალობთ შენ, უფალო ღმერთო ჩუენო, რამეთუ გა-მოუბრწყინდი შენ მენელსაცხებლეთა დედათა ... (45v-46v).
- 3.11. **პარასკევსა მწუხრი [...] უნდა და შაბათნი [...].**

პარასკევსა სერობისად გალობანი [... ...] – ლეღვამან ცოდვსა. აღმოსცენდეს იერუსალჴმ წმიდისა შენისაგან, მჴსნელო, ათორმეტნი მოციქულნი ... (47r-48v).

4. **[...] განრღვეულისა მწუხრი, უფალო ღალადყავსაჲ [... ...], ჴმაჲ გ.** – ჯუართა შენითა, ქრისტე მაცხოვარ, დაჴჴსნდა ძალი სიკუდილისაჲ ... (48v-49v).
- 3.1. **[განრღვეულისა კვრიაკესა]** – ცხორებაჲდ სულთა ჩუენთათჴს, რომელნი მართლმადიდებლობით ღმრთისმშობლაჲდ აღგიარებთ შენ ... (50r-v).
- 4.2. **წარდგომაჲ [... ...], მეორე წარდგომაჲ განრღვეულისა, ჴმაჲ, დ გუერდი** – ვითარმედ გხადოდით. ქრისტე ღმერთო, განრღვეული იგი არაჲ თუ საბაჲნელმან განკურა, არამედ სიტყუაჲმან ... (50v).
- 4.3. **გალობანი განრღვეულისასა ცისკრად, ჴმაჲ გ** – რომელმან წამისყოფი. აღდგომასა ქრისტესსა დღეს, მორწმუნენო, განვენყუნეთ გალობად სიხარულით (50v-55r).
- 4.4. **კვრიაკესა დ მწუხრი, უფალო ღალადყავსაჲ, მჴნეონნი დ** – კრებაჲ ყოვლად ღმრთივბრწყინვალე და პასექი შუენიერი ... (55r-v).
- 4.5. **[განრღვეულისა ცისკრად]** – [...]გან განთავისუფლდეს. გიხილარაჲ, მაცხოვარ, წყვდიადშემოსილმან ჯოჯოხეთმან ... (56r-v).
- 4.6. **ორშაბათს ცისკრად აკურთხევდითსა, ჴმაჲ, გ გუერდი** – ანგელობთა დღ. ყოველთა ღმერთი მოხვედ რაჲ სტოვასა შინა სოლომონისასა და იხილე განრღუჴული, უბრძანე შენ აღებაჲ ცხედრისა ... (56v).
- 4.7. **ორშაბათსა ცისკრად. გალობანი. ჴმაჲ გ გუერდი** – ღმერთსა, რომელმან დაან. გალობით უგალობდეთ საკრველთმოქმედსა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა ... (56v-59v).
- 4.8. **ორშაბათს სერობისად ხუჴდრნი, ჴმაჲ გ** – მოიხილე დღეს. ჴმაჲ ვყოთ გალობით და აღჴყუენუნეთ ჴელნი სიხარულით, ერნო ... (59v-60v).

- 4.9. **სამშაბათსა ცისკრად, ა გუერდი** – მვსნელსა ჩუენსა. მვსნელსა ჩუენსა, ღმერთსა დიდებით დიდებულსა, რომელმან სენნი ჩუენნი აღიხუნა ... (60v-61v).
- 4.10. **[განრღვეულისა ცისკრად]** – აკურთხევდითსაჲ. რომელმან ივსნენ ყრ. რომელმან სიკუდილითა შენითა ... (62r-63r).
5. **ოთხშაბათსა შუაზატიკისასა განზოგებაჲ ზატიკთა. სამშაბათსა მწუხრი, უფალო ღალადყავსაჲ, ჳმაჲ დ** – ნათელი დაუ. წარმოდგაჲ ერგასისთა დღეთა განზოგებაჲ, რომელსა შინა ქრისტემან ღმერთმან ... (63r-64v).
- 5.1. **სერობისად ხუჭდრნი. განძლიერდასა** – ეჰა, ბერწო სულ. განზოგებაჲ წარმოგვდგა დღეს სახარულევეანი ... (64v-65v).
- 5.2. **ოთხშაბათსა ცისკრად გალობ. ჳმაჲ დ გუერდი** – ზღვსა მის მენამულის. დიდნი ქუჭლისმოქმედებაანი, ქრისტე, მოგუცნეს ... (65v-69v).
- 5.3. **შუაზატიკსა ოთხშაბათსა მწუხრი. მწნეონნი** – იხარებდით დღეს ბრწყინვალედ ცანი ქუეყანასა თანა, რამეთუ ქრისტე გამობრწყინდა ჳორციითა ... (69v-70v).
- 5.4. **სერობისად ხუჭდრნი. მესმასა გ** – ქრისტე ღმერთო, ცაანი კ. ემსგავსე შენ მხოლო უაღრესი არსებაჲთა გამოუთქმელითა ... (70v-72r).
- 5.5. **გალობანი ხუთშაბათსა ცისკრად** – ზღუჲა უვალი. წარმართნო, იხარებდით, ხოლო ჰურიანი ჰგოდებდით ... (72r-76v).
- 5.6. **ხუთშაბათს შუაზატიკისასა მწუხრი** – მ[...], აღდგომისა ბრწყინვალისა და სულისა მოფენისა განზოგებისა ... (76v-77v).
- 5.7. **სერობისად ხუჭდრნი, ღამითგანსა [...]** – ჩუჭნები. შეკრულმან ნებსით თვსით ქრისტე მრავალმონყალე, და ჯუარსა დამსჭუალულმან ... (77v-79r).
- 5.8. **პარასკევსა ცისკრად გალ, გ გუერდი** – წამისყოფითა. აღდგომისა ნათლითა ელვარეკმნილნი სულითა ... (79r-v).

წყდება: გიხაროდენ შენ, მთაო ჩრდილოვანო, ქრისტეს დედაო, გიხაროდენ შენ, სანმისო, რომელმან შეიწყნარე ... (79v).

მინაწერები:

1. **გვიანდელი მხედრული:** „რომელმან შემომოსე სამოსლად და განანათლენ სულნი ჩვენნი, მხოლოო მრავალმონყალეო“ (86v, ზედა არშია).
2. **გვიანდელი მხედრული:** „სიმრავლე მკვდრებითურთ ზღვასა მენამულსა სილ[...] შთაითხინეს სიმტკიცითა მკლავისათა ქრისტეს [...] ისრაელს დაძლევსა გალობასა, ახლად [...]“ (86v, ქვედა არშია).
3. უმნიშვნელო მინაწერები: 39, 40, 70, 78.

ტიქსტუბთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. ხელნაწერში, ერთი ძირითადის გარდა, ორი სხვა ხელნაწერის ფრაგმენტია ჩართული: 1) ვნების სახარების საკითხავი იოანეს თავიდან [XV-XVI] (80r-82v). 2) ლიტურგიკული შინაარსის კრებულის ნაწილი [XVI-XVII] (83r-86r).
2. ზატიკი გიორგი მთანმინდელის შემდგომი რედაქციის უნდა იყოს. ხელნაწერში, ძირითად დღესასწაულთა გარდა, წარმოდგენილია სადაგი დღეების მსახურებებიც. თითოეული მსახურება მდიდარია სხვადასხვა ტიპის საგალობლებით, მათ შორის სტიქარონებით.
3. ხელნაწერი ფრაგმენტულად არის მოღწეული. მართალია, მხოლოდ ნაწილობრივ, მაგრამ მაინც შემორჩენილია შემდეგი მსახურებები: დიდი შაბათი, აღდგომის კვირიაკე, ახალკვირიაკე, მენელსაცხებლე დედათა და იოსებ არიმათიელის კვირიაკე, განრღვეულის კვირიაკე და განზოგება.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 11.
2. ხევსურიანი ლილი, ზატიკის ორი ძველი ქართული რედაქცია, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, 1/2008, გვ. 223-348.
3. გაბიძაშვილი ენრიკო, ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2011, გვ. 147.

ლოცვანი [XVII]

1446/23

ტიქნიკური აღწერილობა:

7 ფ. ზომები: ყდა – 216×154, ქალაღი – 200×130, ტექსტი – 130×92, სისქე – 5; სტრიქონებს შორის მანძილი – 3; არშიები: ზედა – 19 ქვედა – 30, მარჯვენა – 26, მარცხენა – 10. ქალაღი. მელანი – შავი, ნითელი. რესტავრირებული მუყაოს ყავისფერი ყდა. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. სტრიქონების რაოდენობა – 22. აღრიცხვა – რვეულებრივი, შემორჩენილია მხოლოდ ლვ (36-ე) და ლზ (37-ე) არასრული რვეულები. განკვეთილობის ნიშნები: •, ••. თავბოლონაკლული, აკლია შემდეგ ფურცლებს შორის – 1-2; 3-4; 5-6. ფურცლები კიდებმოხეული, დაზიანებული და დალაქავებულია. [XVII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია **ერთანმინდის** ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] ჩემი და ყოველნი ასონი ნებითა შენითა და ნმიდაჲ მყავ მეყოვლისაგან ბოროტისა და ცოდვისა დამიცევ მე უმანკოდ და უბინოდ ... (1r).

წყდება: ... განსრულებულ მყავ მე უბინოსა შინა სარწმუნოებისა, დამამტკიცე მე სიყუარულსა ზედა შენსა ... (7v).

ტიქსტის შედგენილობა:

1. **ლოცვაჲ ღამისა ა ჟამისაჲ** – რომელნი-ესე ჟამსა შინა დღისასა ხედვითა დაბადებულთა შენთაჲსა ... (1r-v).
2. **ლოცვაჲ ღამისაჲ ბ ჟამისაჲ** – შენ, სამარადისოდ დაუმწუხრებელო ნათელო, ღმერთო ჩუენო, რომლისა თანა არა არს ცვალებაჲ, არცა აჩრდილი ქცევისა აწინდელსა ამას ჟამსა ღამისასა ... (1v).

3. **ლოცვა ღამისა ე ჟამისა** – უფალო ღმერთო ჩუენო, მამაო საუკუნეთაო, რომელსა არცა დასაბამი გაქუს, არცა დასასრული ... (2r).
4. **ლოცვა ღამისა ვ ჟამისა** – და ანცა განზოგებასა ღამისასა მონვენინი, უფალო ... (2r-v).
5. **ლოცვა ღამისა ზ ჟამისა** – გმადლობთ შენ, უფალო ღმერთო ჩუენო, აღმადგინებელსა ჩუენსა სარეცელთაგან ჩუენთა და სიტყვთა ქებისათა აღმავსებელსა ... (2v).
6. **ღამისა ჴ ჟამისა** – მეუფეო საუკუნეთაო, ღმერთო ნმიდაო და მოუკლებლო, რომელმან სთქუ ბნელისაგან ნათელი გამობრწყინვებად ... (2v).
7. **ლოცვა ღამისა იბ ჟამისა** – უფალო, შენი არს დღე და შენი არს ღამე, შენ დაამტკიცე ნათელი და მზე და შენ შეჰქმნენ ყოველი შუჭნიერება ქუეყანისა ... (3r-v).
8. **ლოცვა დღისა ბ-სა ჟამსა** – მამაო ნმიდაო, რომელმან შემდგომად აღსრულებისა შჯულიერისა მის ღამისა სიმართლისა და დიდებისა შენისა მზე ... (4r).
9. **ლოცვა დღისა გ ჟამისა** – ღმერთო მონყალო, რომელი ნუგეშინის-მცემ ჩუენ ყოველსა ჟამსა ნუგეშინისმცემელობითა ყოლად ნმიდისა სულისა შენისათა ... (4v).
10. **ლოცვა დღისა დ ჟამისა** – ღმერთო, ნუგეშინისცემისაო, სულო ჭემარიტებისაო, ნმიდათა მოციქულთა შენთა სათნო ყოფილთა უფლისა ... (4v).
11. **ლოცვა დღისა ე ჟამისა** – უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან მოსდრიკენ ნმიდანი და გარდამოჴედ ქუეყანად სიმრავლისათვს მონყალებათა შენთასა ... (5r-v).
12. **ლოცვა დღისა ვ ჟამისა** – ღმერთო და მამაო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესო, გუამოვნისა მის სიბრძნისა და ძალისა შენისაო ... (5v).
13. **ლოცვა დღისა ზ ჟამისა** – უფალო ჩუენო, რომელმან ძელისა მიერისა და სჯულებისა ჩუენისათვს ... (6r).
14. **ლოცვა დღისა ჴ ჟამისა** – მეუფეო, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო ... (6v).

15. **ლოცვაჲ დღისა თ ჟამისა** – მეუფეო, უფალო იესუ ქრისტე, ცხორებო ყოველთაო, რომელმან გამოუთქმელითა და კაცთმოყუარებითა ... (7r).
16. **ლოცვაჲ დღისა ი ჟამისაჲ** – უფალო, იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, რომელმან სახიერებითა (7v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. გაბიძაშვილი ენრიკო, ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2011, გვ. 133.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 14.

მარხვანი (ნაწყვეტი) [XVII]

1446/24

ტიქნიკური აღწერილობა:

1 ფ. ზომები: ყდა – 360×243, ქალაღი – 340×233, ტექსტი – 338×187, სისქე – 3; სტრიქონებს შორის მანძილი – 6; არშიები: ზედა – 19, ქვედა – 12, მარჯვენა – 18, მარცხენა – 3. ქალაღი. მელანი – შავი, ნითელი. მუყაოს რესტავრირებული ყავისფერი ყდა. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. სტრიქონების რაოდენობა – 44/45. განკვეთილობის ნიშნები – ♀, ♂, •. თავბოლონაკული. ფურცელი დაზიანებული, დალაქავებული და კიდევბმოხეულია. [XVII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ერთაწმინდის** ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: იწყებინ წმიდანი მარხვანი მეზუჭრისა და ფარისეველისა კვრიაკით და სრულ იქმნებინ დიდსა შაბათსა. მწუხრი, უფალო ლაღადჰყავსა, დასდებელნი აღდგომისანი სამნი, რომელიცა ჳმა იყოს და ესე მარხვათაგან. ეჰა, დიდებული სკვ. ჳმაჲ ა, დასდებელი ბ გზის – ნუმცა ვილოცავთ ფარისეველისაებრ. ჰ ძმანო, რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, დამდაბლდეს ... (1r).

დასასრული: ... დიდითა მით სიმდაბლითა, ვერ იკადრებდა თუალთა ახილვად მეზუჭრე იგი, მეუფეო, ამისთვისცა ღირს [ყავ] იგი ცოდვათა შენდობისა, მოჰმადლე, ქრისტე მაც [...] (1v).

ტიქსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. რთულად წასაკითხი ადგილები აღდგენილია 1446/4 ხელნაწერის მიხედვით.
2. 1r ტექსტი აღდგენილია გვიანდელი ხელით.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. გაბიძაშვილი ენრიკო, ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, ტომი IV, თბილისი, 2009, გვ. 121.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 15.

სადღესასწაულო (ნაწყვეტი) [XVI]

1446/25

ტიქნიკური აღწერილობა:

2 ფ. ზომები: ყდა – 299×218, ეტრატი – 290×195, ტექსტი – 240×149, სისქე – 6; სტრიქონებს შორის მანძილი – 3; არშიები: ზედა – 23, ქვედა – 30, მარჯვენა – 35, მარცხენა – 28. ეტრატი. მელანი – ყავისფერი, შავი. კოლენ-კორგადაკრული მუყაოს მუქი ლურჯი ფერის ყდა. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. სტრიქონების რაოდენობა – 37. აღრიცხვა – ფურცლობრივი. განკვეთილობის ნიშნები – ♀, •, ♀•. ხელნაწერი თავბოლონაკლულია. ფურცლები დალაქავებული, კიდებმოხეული. აკლია 1-2 ფურცლებს შორის. [XVI] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ერთანმინდის** ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] შვილთა შეგინყნარებს თქუენ ღმერთი, რამეთუ ვი[... ..] მამამან, ხოლო უკეთუ შორს ხართ სწავლაჲსაჲ [...]რნი, ვიდრემე ხართ და არა შვილნი და კუალად ... (1r).

წყდება: ... იქმენ შემნე და მფარველ ყოველთა, რომელნი ღირსად გხადიან [...] და საცთურნი სოფლისანი შენ, გაბრიელ წინამძღ... (2v).

ტიქსტის შედგენილობა:

1. **დღესა დაუჯდომელთასაჲ [... ..] – ადიდებს სული ჩემი ღმერთსა. დასდებელი: რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა [.... ..]სტოლე პავლესი – ძმანო, აქუნდა, პირველსა მასცა [... ..] წმიდაჲ იგი სოფლიოჲ ... (1r-v).**
2. **გალობაჲ ღმრთისმშობელისა, ფსალმუნი დ. [...]ბდით უფალსა გალობითა ან. ებრაელთა მიმართ ებისტ. – [...] იგი ერთისაგან არიან ყოველნი ძისა ... (2r).**

3. თუესა მარტსა კვ. კრებაჲ გაბრიელ მთავარანგელოზთა, უფალო დაღა-
დყავსა, წმია დ – მოგიცემი. პირუელ საუკუნეთაჲ დამბადებელმან ყო-
ველთამან ნათლად გამოგაჩინა შენ ... (2v).

ზომადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა
აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ
აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 15.

სახარება [IX-X, XII-XIII, XIV]

1446/26

ტიქნიკური აღწერილობა:

183 ფ. ცარიელია – 1v. ზომები: ყდა – 232×158, ეტრავტი – 219×145, ტექსტი – 165×115, სისქე – 50; სტრიქონებს შორის მანძილი – 6; არშიები: ზედა – 16, ქვედა – 20, მარჯვენა – 19, მარცხენა – 20. ეტრავტი. მელანი – შავი, ყავისფერი. კოლენკორგადაკრული მუყაოს მოყავისფრო ყდა, გაფორმებული ოქროსფერი, ყვავილოვანი ორნამენტებით. დამწერლობის სახეობა – ნუსხური, საზედაო გრაფემები – მთავრულითა და ზოგან სინგურით. შიგადაშიგ კარგად შეიმჩნევა განკანონების ხაზები. ტექსტი ნაწერია ორ სვეტად. სტრიქონების რაოდენობა – 23. აღრიცხვა – რვეულებრივი. იმის გამო, რომ ხელნაწერი ნაკლულია, რვეულების მხოლოდ ნაწილია სრულად შემორჩენილი. შესაბამისი წარწერები გაირჩევა მხოლოდ ზ, ლ, იბ, იდ, კე, კვ, კზ, კთ, ლ, ლა, ლბ, ლგ რვეულებზე, უმეტესად არის ახალი რვეულის ზედა არშიაზე ნუსხურითა და ქარაგმის ნიშნით, მეორე ნაწილში აღნიშნულია როგორც რვეულის დასაწყისი, ასევე დასასრული. განკვეთილობის ნიშნები – •, ∴, ∵, ¶ . ხელნაწერი პალიმფსესტია, პალიმფსესტური ფურცლებია: 8, 9, 22, 30, 35-38, 42, 44, 45, 48, 52, 54, 55, 58, 59, 61-63, 65, 66, 69, 70-72, 74-78, 87, 88, 91-99, 109, 117, 118, 123-128, 130-133, 135, 136, 139, 141, 142, 151-154, 160, 163, 164, 166-169, 172, 183. პალიმფსესტურ ფურცლებში ორი და ზოგან სამი ფენაც შენიშნება. შუა ფენის ძირითადი ნაწილი ნაწერია ნუსხურით. ამათგან ამ ნუსხურით ნაწერში განირჩევა ორი სხვადასხვა ხელი. ერთით ნაწერია სახარებათა დასაწყისში მოთავსებული საძიებლები და შედარებით გვიანდელი ხელია [XVI-XVII], ხოლო მეორე ხელით ნაწერია ტექსტის ძირითადი ნაწილი და დაახლოებით [XII-XIII] საუკუნეში უნდა იყოს გადაწერილი. შუა ფენის ნუსხური გვიჩვენებს, რომ ძველი ხელნაწერის ეტრავტის საკმაო ნაწილი ჩამოჭრილია. რამდენიმე გვერდზე ქვედა – მესამე – ფენა ნაწერია ასომთავრულით. უხეში დათარიღებით ეს ფენა [IX-X] საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს. ხელნაწერი ნაკლულია, დაზიანებული, დალაქავებული, რესტავრირებული. ახლავს შემდეგი მინიატურები: **წმიდა მათე მახარებლის** (3r), **წმიდა მარკოზ მახარებლის** (72v), **წმიდა იოანე მახარებლის** და **წმიდა პროხორესი** (118v). სახარებათა დასაწყისი გაფორმებულია თავსამკაულებით. ზედა ფენის გადამწერი და ში-

გადაშიგ გამცხოველებელი – გიორგი (183v); მომგებელი – ბერი ესტატე (4r, 72r). [XIV]. დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **თორტიზის** ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. მათეს სახარების საძიებლები (1r-2v).
2. სახარება მათეს თავი – წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი: აბრაჰამ შვა ისაკ, ისაკ შვა იაკობ, იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი ... (4r-69v).
3. ესე თავები არს მარკოზის სახარებისა (69v-71r).
4. მარკოზის სახარება (72v-110v).
5. [ლუკას სახარება] (111r-116v).
6. ესე თავები არს იოანეს სახარებისა (116v-117v).
7. [იოანეს სახარება] (118v-163r).
8. ზა[ნ]დუკი საწელიწადო გამოკრებისა სახ[ა]რებისა წინადაგებულსა კურიაკესა აღვსებისასა (163v-183r).

ანდერძ-მინაწერიები:

ანდერძები:

1. ნუსხური, ზედა, საძიებლის ხელით, მათეს სახარების ბოლოს: „ესე წმიდა სახარება თორმეტ მარჩილად მიყიდია, ძმანო ჩემნო“ (69v).
2. ნუსხური, ზედა ტექსტის ხელით: „დიდება ღმერთსა მად[... ..] კურთხეულ არს [... ..] უფალო ღმერთო, დ[... ..]“ (183r).
3. ნუსხური, ზედა ტექსტის ხელით: „[მ]ათე, მარკოზ და ლ[უკა] და იოანე, შეიწყალე გიორგი [...] მწერალი“ (183v).
4. ნუსხური, ზედა ტექსტის ხელით: „უწყით, წმინდანო მახარებელნო, მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე, რამეთუ დიდად გავისაჯე მე, ცოდვილი გიორგი, მეოხ მეყვენით აქაცა და მას საუკუნესა [...], ამინ“ (183v, პირველ სვეტზე).

მინანერები:ა) *ასომთავრული*

1. „**ბერსა ესტატეს** შეუნდვენ ღმერთმან, ამინ“ (4r, ზედა არშია).

ბ) *ნუსხური*

2. „ღმერთო, შეიწყალე **გიორგი**“ (1v, მეორე სვეტის ქვედა არშია).

3. ნუსხური: „[...]ისათვის [...]ბათა ბაკურა [...] შე[გ]კნდვენ, უფალო ღმერთო“ (10v, პირველი სვეტის ზემოთ).

4. ნუსხური, ზედა ფენა: „ღმერთო და სახარებევ, პირო მხთისაო, შენ შეიწყალე **ფოცხვერასშვილები**, სრულ ერთობით დაიცევ, ამინ, ამინ, ამინ, ამინ, ამინ. წმიდაო ღმერთო“ (72r).

5. ნუსხური, ქვედა ფენა: „შეიკაზმა წმიდა ესე ოთხთავი ჴელითა ფრიად ცოდვილისა გავზელისა ძისა, მღდელმონაზონისა **ესტატესითა** და შეუნდვენ ღმერთმან, უფალო ღმერთო“ (72r).

6. „[ცოდვილსა და სანყალობელსა **კიმაურსა მიქელს** და მისთა დედა-მამათა და ძმათა შეუნდვენ, უფალო ღმერთო, ამინ“ (117v, მეორე სვეტის ზედა არშია).

გ) *მხედრული*

7. „ნებითა და შეწვევითა, ქ. ვინყოთ სამხთოთათა წერილი, ვახსენოთ წმინდა სამება. თვესა ივნისის ჩვიდმეტსა ღირსის **მარინის** წამება. ლალი [ქ]ბძოდა ლონბრიოზ, არა ჩნდა დღე-ღამება“ (71v, მთელ გვერდზე).

8. „ღმერთო შეიწყალე **ხუცისშვილის პატრკაცის** სული“ (72v, ზედა და ქვედა არშია).

9. „ქ. ნებითა და შეწვევითა მხთისათა, მამისა და ძისათა და სულისა წმინდისათა მოგყიდე ეს სახარება **კოზმან** კაცმან შენ **ჯანიბეგს [...]**“ (115v, ქვედა არშია).

10. „ქ. ესე სული შე მი(!) მიხსნე და აცხოვნ და მიხსენ შენ, უფალო ქრისტე მეუფეო და წმინდაო მღთისშობელო, და ამინ და კირიანებულ(!)“.

ქ. ესემცა რისხავს და სახარება, ვინცა ნახოს და კარგა არ მამიხსენოს და არც დამლოცოს და შემიმს(!) ქე სახარება და, დიად, მართალია, ჭეშმარიტი არის, [...] შეიწყალე **ჯანიბეგ** [...]“ (117v, მეორე სვეტზე, ქვედა არშია).

11. „წმიდაო იოანე, მეოხ ეყავა მონასა შენასა [...]“ (118r, ზედა არშია).

ტიქსტუქსტან დაკავპირეპული შინიშვნეპი:

1. ხელნაწერის ზედა და შუა ფენა წარმოადგენს გიორგი მთაწმინდელის მიერ რედაქტირებულ სახარებას.
2. შეიცავს როგორც ოთხთავის ტექსტს, ისე სახარებათა საძიებლებს.
3. ხელნაწერი ნაკლულია, განსაკუთრებით აკლია მარკოზისა და ლუკას სახარებებს. ტექსტის საკმაო ნაწილი გაცხოველებულია.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 15-16.
2. გაბიძაშვილი ენრიკო, ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, თბილისი, 2009, გვ. 121.
3. საეკლესიო მოხატული ხელნაწერი წიგნები, ქართულ ხელნაწერთა კოლექცია (IX-XIX), შემდგენელი მ. ჭუმბურიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი, თბილისი, 2011, გვ. 30-35.
4. ქართული მოხატული ხელნაწერები და ისტორიული საბუთები, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალა, თბილისი, 2016.

თჳანი [XIII]

1446/27

ტიქნიკური აღწერილობა:

73 ფ. ზომები: ყდა – 257×207, ეტრატი – 247×232×190/198, ტექსტი – 175/180×125, სისქე – 24; სტრიქონებს შორის მანძილი – 4; არშიები: ზედა – 14/2, ქვედა – 32/5, მარჯვენა – 19/43, მარცხენა – 22/46. ეტრატი. მელანი – ყავისფერი, წითელი. რესტავრირებული, მუყაოს ნაცრისფერი ყდა. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. სტრიქონების რაოდენობა – 29. აღრიცხვა – ფურცლობრივი. განკვეთილობის ნიშნები – •, •, •. თავბოლონაკლული, ფურცლები დალაქავებული, დაზიანებული და კიდებმოხეული. ზოგიერთ ადგილას ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელია. [XIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი სხვადასხვა დროს ეკუთვნოდა დიაკონ შიო ოთარაშვილსა და სვეტიცხოვლის ტაძარს. ეროვნულ არქივში ხელნაწერი შემოსულია 1924 წელს თორზიტის ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] ყოველთა მეუფესა [...] და ჳსნად ევედრ[... ...] მისისაჲ მრავალ მო[... ...]შობელი თვსგან ყოფად მოჳმადლა მას სახიერებით. პორფირი დღეს დაიქუსვის საშოსა შენ[სა ...]მეუფეჳმან და ღმერთმან ყოველთამან შთაიციუას და კაცთა გამ[...]ნდეს და დასცეს მბრძოლი ჩუენი მტერი მამათა ჩუენთა ღმერთმან ყოვლად ძლიერმან ... (1r).

ტიქსტის შედგენილობა:

1. მასვე დღესა წმიდისა მამისა ჩუჳნისა პატაპისი ჳმაჲ ა – წმიდანო მარტვ. მამაო პატაპი, ჳორცთა აღძრვანი მოძღურებითა დასწუჳნ ... (1v-4r).
2. თუესა დეკენბერსა თ მუცლადღებაჲ წმიდისა ანაჲსი – რაჳამს-იგი მუცლად-ილო წმიდაჲ ღმრთისმშობელი მარიაჲ, ვითარცა ახარა მას ანგელოზმან უფლისამან და ეგრეთვე ნეტარსა იოვაკიმს. და

ვსენებაჲ წმიდათა უქრთამოთაჲ კოზმან და დამიანესი და წამებაჲ წმიდათა მონამეთაჲ სოსითე [...] ისაკისა და პატაპისი – ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი პატაპ[...], იყო თებაიდიტ ეგკპტისაჲთ. მონაზონებისა ცხორებაჲ აღილო და ჟამნი მრავალნი უდაბნოთა შინა ... (4r-v).

3. **[თუესა დეკენბერ]სა თ მუცლადლება წმიდისა ანნაჲ[... ...]** – რომელი მყოფ არს მაღალთა შინა ღმერთი ჯერ[... ...] მოხედვაჲ კაცთაჲ და გარდამოსლვაჲ ზეცით ... (4v-8r).

4. **თუესა დეკენბერსა [ი] წმიდათა მონამეთა მინაჲსი, ერმოგინესი და ევგრაფოჲსი** – ესე წმიდაჲ მონამე მინა იყო მაქსიმიანეს ზე მეფისა ... (8r-9r).

5. **თუესა დეკენბერსა ი წმიდათა მონამეთა მინა, ერმოგენი და ევლრაფოჲსი. ჳმაჲ ა** – წმიდანო მარტ. მონამეო მწნეო, მინა, გუჭმანი იგი მოუთმენელნი: თუალთა აღმოწდაჲ და ენისა მოკუჭთაჲ ... (9r-15v).

შედის: 1. სხუანი გალობანი წმიდათა სამთა ყრმათათჳს და დანიელ წინასწარმეტყუელისა; 2. ქრისტეს შობისა წინა კურიაკესა ვსენებაჲ წმიდათა მამათმთავართაჲ.

6. **თუესა დეკენბერსა ია წმიდისა მამისა ჩუენისა დანიელ მესუჭტისაჲ, დ გუერდი** – ვითარმედ გხადო. ვითარმედ სახელ-გდვათ შენ, დანიელ, მოლუანედ უძლეველაჲ ... (15v-18r).

7. **თუესა დეკენბერსა იბ წმიდისა მამისა ჩუენისა და საკვრველთ-მოქმედისა სპირიდონისი, რომელი იქმნა ეპისკოპოს ტრიმიტუნტას** – ესე იყო დიდისა კოსტანტინეს ზე და კოსტანტი ძისა მისისა ... (18r-19r).

7.1. **თუესა დეკენბერსა იბ წმიდისა და საკვრველთმოქმედისა მამისა ჩუენისა] სფვრიდონისი, უფალო ღალადყავსა ა** – ზეცისა განწე. სულისა ბრწყინვალეებითა ყოვლადბრწყინვალემან ბრძენმან მამათმთავარმან, არიოზ მზაკოარისა გმოზაჲ უჩინოყო ... (19r-22v).

8. **თუესა დეკენბერსა ივ წმიდათა დიდებულთა მონამეთა ევსტრატისი, ევქსენტისი(!), ევგენისი, მარდარისი და ორესტისი** – ესენი იყვნეს დეოკლიტიანეს და მაქსიმიანეს ზე უშჯულოთა მეფეთა მთავრობასა ლუსიაჲსსა ლიმიტინელთა ზედა [...] ამასვე დღესა წმიდისა მონამისა კურიენისი და წმიდისა მონამისა ლუკია ქალწულისა, რომელი იყო სიკილიაჲთ ქალაქით სურაკოსით ... (22v-24r).

- 8.1. **თუესა დეკენბერსა იგ წმიდათა მონამეთა ევსტრატი, ავქსენტი, ევგენი, მარდარი და ორესტისი და წმიდისა მონამისა ლუკიაჲსი. უფალო ღალადყავსა, ჳმაჲ ა – ზეცისა განწ. საკვრველი ევსტრატი დღეს ღუანლითშემოსილი მოგვწოდს ჩუენ გალობად დღესასწაულსა თგსსა [...]** ამასვე დღესა წმიდათა მონამეთა ფილიმონისი, აპოლონისი, იპატისი და მათთანათაჲ ... (24r-28v).
9. **თუესა დეკენბერსა იდ წმიდათა მონამეთა თვრსო, ლევკი და კალინიკოჲსი –** ესენი იყვნეს დეკოზ(!) მეფისა ზე და კომბრიკ მთავრისა ... ამასვე დღესა ჳსენებაჲ დიდისა მის ძრვისაჲ ... (28v-30v).
- 9.1. **თუესა დეკენბერსა იდ წმიდათა მონამეთა თვრსო, ლევკი და კალინიკისი. უფალო ღალადყავსა, დ – მწნეონნი.** თვრსო, მხნეო მონამეო, ფარი უღმრთოთაჲ შეჳმუსრე, ხოლო მშკლდები მათი და საჭურველი დასწვ ... (30v-33r).
10. **თუესა დეკენბერსა იე წმიდისა მღუდელმონამისა ელევთერისი –** ესე იყო ქალაქისა ჳრომისა ნათესავთა წარჩინებულთაჲ, ყრმაჲ ჳსაკითა ... (33r-34v).
- 10.1. **თუესა დეკენბერსა იე წმიდისა მღუდელმონამისა ელევთერისი. უფალო ღალადყავსა, ჳმაჲ დ – მოგიცემიეს.** ჳურ პატიოსან იქმენ სულისა წმიდისა, მამაო, და სული შენი განსწმიდე, ნეტარო ... (34v-37v).
11. **თუესა დეკენბერსა ივ წმიდისა მონამისა მარინაჲსი –** ესე იყო მარკიანეს ზე მეფისა ნათესავისაგან მთავართაჲსა ... (37v-39v).
- 11.1. **თუესა დეკენბერსა იზ წმიდათა სამთა ყრმათა ანანია, აზარია და მისაელისი, დანიელ წინასწარმეტყუელისაჲ –** ვითარცა გუაუწყებენ პირუელ აღწერილნი მოსაჳსენებელნი, იყვნეს ესენი წმიდისაგან ქალაქისა იერუსალჳმისა ძენი ეზეკია მეფისანი [...] ამასვე დღესა წმიდისა პატემოთისა და კოპრისი და ალექსანდრესი, რომელნი ინამნეს ივლიანეს ზე განდგომილისა ... (39v-40r).
- 11.2. **თუესა დეკენბერსა იზ წმიდისა წინასწარმეტყუელისა დანიელისი და წმიდათა სამთა ყრმათა: ანანია, აზარა და მისაელისა. დ მწნეონი –** დანიელ ღმერთშემოსილმან გული უბინოჲ მოიგო და ყო იგი სავანედ წმიდად სულისა ... (40r-46r).
- 11.3. **მეორესა კვრიაკესა პირუელ ქრისტეშობისა წმიდათა მამათა. დაბადებისა საკითხავი –** ესმა აბრაჳამს, რამეთუ წარი-

ტყუზნა ლოთ ძმისწული მისი და აღირაცხნა თჳსნი სახლისა ნაშობნი მისნი სამას ათვრამეტნი ... (46r-47r).

- 11.4. **მეორესა კურიაკესა პირველ ქრისტეშობისა წმიდათა მამათა და სამთა ყრმათა და დანიელისი, გ გუერდი** – ყოველი სასოებაჲ. გამოჩნდა დიდებული მამათმთავართა ჳსენებაჲ, აღვსებული ნათლითა და ბრწყინვალეებითა ... (47r-50r).
12. **თუესა დეკენბერსა იჳ წმიდისა ფლოროჲსი ამასელ ეპისკოპოსისაჲ** – ესე იყო მეფობასა იუსტინიანე ახლისასა და ტიბერისსა და მავრიკისსა, კონსტანტინეპოლის შინა ... (50r-v).
- 12.1. **თუესა დეკენბერსა იჳ წმიდისა მონამისა სევასტიანესი და მის თანათაჲ. ჳმაჲ ა** – წმიდანო მარტ. სისხლთა შენთა წმიდათა პორფირი, მრავალ სასყიდლისაჲ შეიმზადე და მით შემოსილი მკვდრ იქმენ ზეცა ... (50v-52r).
13. **თუესა დეკენბერსა ით წმიდისა მონამისა ვონიფანტესი. ჳმაჲ მ** – [...] გსურდა დიდებისა საუკუნოჲსა, დიდებულო ვონიფანტე ახოვანო, ვინაჲცა ტკივილნი მწარენი დაითმინენ უშიშითა გონებითა ... (52r-54r).
- 13.1. **თუესა დეკენბერსა კ წინაღლე ქრისტე შობისაჲ. ჳმაჲ გ გუერდი** – ანგელოზთა დღეს წინავიდოდეთ, ძალნო ბეთლემისათა ... (54r-55r).
- 13.2. **მასვე დღესა წმიდისა ეგნატი ღმერთშემოსილისაჲ. ჳმაჲ დ. მწნონი** – ღმრთისმეტყუელებისა თავად და თანამკვდრად მსახურად მოციქულთა კუალსა შეუდგე, ეგნატი, აღმოსვლით რაჲ გამოხეჭდ ... (55r-57v).
14. **თუესა დეკენბერსა კა წმიდისა მონამისა ივლიანაჲსი** – რომელი იყო ქალაქით ნიკომოდიით მაქსიმიანეს ზე მეფისა ასული მშობელთა მდიდართაჲ ... (57v-58v).
- 14.1. **თუესა დეკენბერსა კა წინაღლე ქრისტეს შობისაჲ, ბ გუერდი** – ანგელოზთა დღე. დღესასწაულობს ყოველი დაბადებული და ზეცისანი ჩუენ თანავე იხარებენ, რამეთუ შემოქმედი ქალწულისაგან იშვების ... (58v-62v).
- 14.2. **თუესა დეკენბერსა კბ ნამებაჲ წმიდისა მონამისა ანასტასიასი** [...] დეოკლიტიანეს – ზე მეფისა, ნათესავით ჳრო[...] მშობელთა] ღმრთისმსახურთა და მორწმუნეთაჲ ... (62v-63v).

- 14.3. **თუესა დეკენბერსა კვ წინადლე ქრისტეშობისაჲ, ბ გუერდი** – ანგელოზთა დღეს. აჰა ესერა კრავი [...] სოფლისა ბრალთაჲ ბაგასა მიყვანებად ... (63v-68r).
15. **თუესა დეკენბერსა კვ წმიდათა** – ათთა მონამეთა ორნი ინამნეს კრიტს ... (68r-v).
- 15.1. **თუესა დეკენბერსა კვ წინადლე ქრისტეშობისაჲ, ბ გუერდი** – ანგელოზთა დღეს. ნეფსითი მოსდრიკენ ცანი და გარდმოიჴედ და ქალწულებრივი საშოიჲ გამოუკლველად ... (68v-71v).
- 15.2. **მასვე დღესა წმიდათა ათთა მონამეთა კრიტე(!). ჴმაჲ დ** – მ[...] ...] ათეული ღმრთივბრწყინვალე და ათმნათობ[...] [...]მჰა-რი, რომელი საღმრთოთა ნათლითა განანათლებს ეკლესიისა სავესებასა ... (71v-73v).
16. **თუესა დეკენბერსა კვ წინადლე ქრისტეს შობისაჲ** – ხოლო უკუეთუ წინადლე ქრისტეს შობისაჲ მარხვათა დღე იყოს, ესრეთ იქმნას ნესი ჟამთა ლოცვისაჲ: კანკელსა წინაშე დაუსუჴნონ ხატი ქრისტეს შობისაჲ ... (73v).

წყდება: ... დანყებასა მესამისა ჟამისასა დაჰრეკონ ძელსა და შეკრბენ ეკლესიად და ილოცონ ორი ჟამი მზისა და სამჟამისაჲ. ხოლო მზისასა [...] (73v).

მინაწერები:

1. **ნუსხური:** „ღმერთო, შეინყალე სული ფრიად ცოდვილისა **ასთანდარის** და ძმანი უდღეგრძელენ“ (15v, ქვედა არშია).
2. **მხედრული:** „ქ. ესე თვენი წმინდი **შიოსი** ყო. ახლა მე ვიშოვნე ღთის შეწვევითა. ღმერთო, მშვიდობაში მოაჴმარე. შენმა მადლმან და სახელმან, შენი მადიდებელი ვარ, **ოთარაშვილი შიო**, დიაკვანი, გეხვეწები“ (36v, ქვედა არშია).
3. **მხედრული:** „ნელს **ჩღე** ქორონიკონს **უბთ**“ (39v, ქვედა არშია, მხედრული).
4. **მხედრული:** „ესე ეტრატი სვეტისცხოვლისა არს“ (34r, ზედა არშია).

გაურკვეველი შინაარსის მინაწერები:

5. **მხედრული:** „ქ. მიყვ[ა]რდი ჩემი მეგონე მზეს [...] მზეს შენზე“ (1r, მარჯვენა არშია).
6. **მხედრული:** „ქ. ქრისტემან წინაშე ღეთონ (!) ზმრეს (!) მას დედსთნს (!) გუღეს ანის წმინდის მღღლის აღმზრდელის ძუძუებს ვემთხვევი“ (1r, ქვედა არშია).

7. **მხედრული:** „ტკბილის (!) რძის აღმაგდინეს ძუძ...“ (3v, ქვედა არშია).
8. **მხედრული:** „ქოთრიცი მომიკითხეთ ასე მოახსენე ჩემ მიაართ ჩემს გიავ შენ ათრის ახალციხე ამმინ“ (4r, ქვედა არშია).
9. **მხედრული:** „ქ. წმინდათ მოწამეთ მინასი, ერმოგინესი და ევლრაფასი ესე წმიდამან ყო მაქსიმე...“ (8r, ქვედა არშია).
10. **მხედრული:** „ქ. მამაო ჩვენო,რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა [იყვეს სახელი შენი, მოვედით სუფევა შენი, იყავნ ნება შენი ვირცა ცათა“ (13v, მარცხენა არშია).
11. **მხედრული:** „აბგდევზთიკლმნოპჟრსტუფ..უფალო ღაღტყო, შენდამი, ის-მინე ჩემი! უფალო, მოხედენ ჳმ[ა]სა ჩ[ე]მსა! [.....]უფალო, წარმიმართე [...] ჩემი ვირცა (!)ს[ა]კმეველი შენ წინ ჳელთა ჩემთა[...]“ (17r).
12. **მხედრული:** „ქ. ნათელი მხიარული წმინდის დიდებულის უკვდავის მამის ზეცთს (!) წმითდ (!) მ[ა]ცხოვრი ჩვენი იესო ქრისტე, მოსრულისა და ს[ულ]ს მზისას ვიხილოთ ნათელის სამწ[უ]ხრო, ვაქებთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, ღირს ვართ ყოველს ჟამს“ (34v, ქვედა არშია).
13. **მხედრული:** „გ[ი]გ[ა]ლბოდ შენდა ძეო ღმრთისაო, ცხოვრების მომცემელო, რომლისათვისცა ყოველი სოფელი შენ გადიდებს“ (35r).
14. **მხედრული:** „ესე თვენი წმინდა გ[ი]ორგისი იყო ახლა მე ვიშოვნე ღთის შეწვენით, ღმერთო მშვიდობაში მოაწმარე შენს მ[ა]დლმ[ა]ნ და სახელმან. შენი მადიდებელი ვიშო ოთარაშვილი, შიო დიაკვანი გეხვენები“ (38v, ქვედა არშია).
15. **მხედრული:** „ნათელი მხიარული წმიდისა და დიდებულისა უკვდავისა. უკვდავი უკდაისამაგისა წმინდა“ (47v, ქვედა არშია).

ვარჯიში წერაში:

1. **მხედრული:** ქართული ანბანი (7v, ქვედა არშია; 9r, ქვედა არშია).

ტიქსტუტან დაკავშირებული შენიშვნები:

1. ტექსტში შედის შემდეგი საგალობლები: მესმასა, განძლიერდასა, აკურთხევედითსა, ღაღადყავსა, ადიდებდითსა, სტიქარონები.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 16
2. გაბიძაშვილი ენრიკო, ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2011, გვ. 111.

ალექსანდრიანი [XVIII-XIX]

1446/28

ტიქნიკური აღწერილობა:

31 ფ. ცარიელი ფურცელი – 25ა. ზომები: ყდა – 355×230, ქალაღი – 334×208/214×174, ტექსტი – 335×202/202×165, სისქე – 5; სტრიქონებს შორის მანძილი – 8/4. ცისფერი ფერის, სხვადასხვა ფორმატის ქალაღი, მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. აქვს ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 23/26/31/35. განკვეთილობის ნიშნები – **ჟ, •, •**. ხელნაწერი თავნაკლულია, რესტავრირებული, ფურცლები კარგად არის შემონახული. [XVIII-XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ახლავს მელნით შესრულებული უმნიშვნელო ჩანახატები (25ა, 31ვ). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ბარბარე თუმანიშვილისაგან ხელთუბნიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: ... მიერ და დიდისა და სასყიდლისა მიღებად და მაკედონელთაგან დიდად ხელოვნად წოდებად, ხოლო ესმა რა ესე ნევთნაფს დედოფლისა მისგან და ხედვიდა რა გამოუთქმელსა მშვენიერებასა მისსა ... (1r).

მინაწერები:

1. მხედრული, სხვა ხელით: „თქვენო მოწყალებაჲ, კნიაზო **დავით ზაზას** ძევ, წელან თქვენს ბრწ.“ (25ა საპირისპირო მხარეს, ცარიელ გვერდზე).
2. მხედრული (სხვა ხელით), გაირჩევა: „დედაოვ **ქეთევანი**“ (25ა).

ტიქსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. ტექსტი შავი ვარიანტის შთაბეჭდილებას ტოვებს. შიგადაშიგ ნასწორებია. კონკრეტული ადგილები გამოყოფილია საგანგებო მონიშვნით, რომელშიც ჩანერილია: „აქ უნდა დაიხატოს“ ან „აქ დაიხატოს დედაკაცი“ და ა.შ. ცალკეული თავები გამოკვეთილად გამოყოფილი არ არის.
2. ხელნაწერი შეიცავს **არჩილის** თარგმანის ტექსტს, თითქმის სიტყვასიტყვით, მცირე ვარიანტული სხვაობით, მისდევს ეროვნულ არქივში დაცულ 1446/123 ხელნაწერს. თუმცა ამ ნუსხისგან განსხვავებით წინამდებარე ტექსტი სრულია.
3. ძალიან ახლოს დგას ტექსტი 1446/19-თან. ამ უკანასკნელში გამეორებულია შენიშვნაც კი, რომელიც 1446/28-ში როქსანას გოდებაშია ჩანერილი: „აქ დაიხატოს ალექსანდრეს ცხედრის წაღება“. შესაბამისად, 1446/19 უფრო გვიან არის გადაწერილი და შესაძლოა 146/28-დანაც.
4. ტექსტი ნაწერია მთელ ფურცელზე ისე, რომ არშიები არ ეზომება.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 10-11.
2. ალექსანდრიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა, თბილისი, 1980.

ყარამანიანი [XVIII-XIX]

1446/29

ტიქნიკური აღწერილობა:

8 ფ. ზომები: ყდა – 226×180, ქალაღი – 223×172, ტექსტი – 170×120, სისქე – 4; სტრიქონებს შორის მანძილი – 6; არშიები: ზედა – 23, ქვედა – 15, მარჯვენა – 36, მარცხენა – 17. ქალაღი – ცისფერი. მელანი – შავი, წითელი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. აქვს ჭვირნიშანი. განკვეთილობის ნიშნები – **•, ♄**. სტრიქონების რაოდენობა – 23. ხელნაწერი თავბოლონაკლულია, ფურცლები კარგად არის შემონახული, რესტავირებული. [XVIII-XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია **ბარბარე თუმანიშვილი-საგან ხელთუბნიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: ... ჳელმწიფეს მუხლსა აკოცა. ბძანა ჳელმწიფემ: ლხინსა და სმასა შე[ე]ქცნენ. ხელმწიფე, სარდალნი, დიდებულნი, ფალავანნი და სხვან[ი] ყოველნი **ყარ[ა]მანს** ქებას შეასხმიდიან. იმ ღამეს ამყოფა, ქცევით შე[ე]ქცნენ. იქით მხარესა რაიაზამ ომიდამ გაბრუნებული დაღონებული თჳსა სადგომსა მივიდა და განისვენა ... (1r).

წყდება: ... რა იგინი ყარამანმა ქვეითად ნახა, აღარ ეომა და ეგრე უთხრა: ფალავანნო, ერთმანერთის ძლიერება ხომ გავშიჯეთ. ან თუ მე დ[ა]გხოცოთ, ვინ უნდა განახოსთ და თუ თქვენ მომკლავთ, ვინ დაგვინახავსთ ... (1v-8r).

ტიქსტი შედგება შემდეგი თავებისაგან:

1. აქა **არყასისა და სალასალის** მოსვლა რაიაზამის შემწედ (1r-2r).
2. აქა **უშანგშაჳასი** მოიხსენეთ (2r-4r).

3. აქა წიგნი **სალსალისა** და **არყასისა უშანგშაჰასთან** და **ყარამანთან** მონწერილი (4r-5v).
4. აქა არყასისა და სალსალის აიარის **ფანდიერჯან** შუზისაგან აიარის სიკვდილი (5v).
5. აქა **ფანდიერ ჯანშუზის** არაისაგან გარდანქეშანის განმზადება (5v-6v).
6. აქა ომი არყასისა და **უშანგის** ჯართა და არყასისაგან მრავალთა ფალავანთა შეპყრობა (6v-7v).
7. დასრულდა ომი (7v).
8. აქა ომი სალსალისა და უშანგის ჯართა (7v).
9. აქა **ბარამჯიბილისა** და სალსალის ომი (7v-8r).
10. აქა ომი სალსალისა და ყაირანისა (8r).
11. აქა **ყარამანისა** და ორთა ძმათა – არყასისა და **სალსალისა** – ომი ფიცხელი (8r-v).

ტიქსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

ტიქსტი „ყარამანიანის“ მოკლე რედაქციაა.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი II, თბილისი, 1941, გვ. 309-310.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 17.

მსოფლიო ისტორია [XIX]

1446/30

ტიქნიკური აღწერილობა:

20 ფ. ზომები: ყდა – 32×214, ქალაღი – 315×205, ტექსტი – 35×13, სისქე – 5; სტრიქონებს შორის მანძილი – 5; არშიები: ზედა – 36, ქვედა – 45, მარჯვენა – 56, მარცხენა – 22. ქალაღი – თეთრი და მომწვანო ფერის. მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. აქვს ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 23/26. აღრიცხვა – გვერდობრივი, აღნიშნული არაბული ციფრებით, რამდენჯერმე გადაშლილი და გადაკეთებული, ხშირად შეცდომით მითითებული. განკვეთილობის ნიშნები – ♪, •, ♫. რესტავირებული, ფურცლები ალაგ-ალაგ დალაქავებული. ხელნაწერი თავბოლონაკლულია; აკლია შემდეგ ფურცლებს შორისაც – 6v-7r, 12v-13r. კალიგრაფიული მხედრულით შესრულებულ სათაურს ახლავს მარტივად დეკორირებული თავსამკაულები: 2r, 8r, 10r, 12v, 16r, 18v, 20r. გადამწერი – **დავით თუმანიშვილი** (ხელის მიხედვით). [XIX] დათარიღების საფუძველი – გადამწერის მოღვაწეობის პერიოდი. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია **ბარბარე თუმანიშვილისაგან ხელთუბნიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: ... წარყუვანილ იქმნა სრულიად იუდიანითურთ ტყულობასა ბაბილოვნელთასა, განთავისუფლდნენ იგინი ტყულობისა მისგან, განთავისუფლდნენ იგინი გამოსულითა სამეოცდა ათისა წლისათა ... (1r).

წყდება: ... რავდენგზის შევიდა ჭრიდერიკი იტალიასა შინა მხედრობითა? ექუსჯერ; პირველად: გვრგვოსან იქმნა, მეორედ: დაამშვიდა აღშფოთებული ქალაქი მედიოლანი და კრემონი მოაოხრა საფუძველადმდე, გარნა უკუწ ... (20v).

ტიქსტის შედგენილობა:

1. ნაწილი მეორე, სამთავროთათჳს (2r-4r).
2. ნაწილი მესამე, სამთავროსათჳს სპარსეთისა (4v-6v).
3. ნაწილი მეოთხე, სამთავროსათჳს ბერძენთასა (6v-8r).
4. ნაწილი მეხუთე, სამთავროსათჳს რომისა (8r-10r).
5. კოროლისათჳს, რომელ არს გამგენი (10r-12v).
6. კეისართათჳს საქსონიელთა სახლისა (16v-18r).
7. კეისართათჳს ფრანკიელთა სახლისა (18v-20r).
8. კეისარნი შვაბელთაგან სახლისა (20r-v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 18.

ეპროვის გამოგრაფია [XVIII]

1446/31

ტიქნიკური აღწერილობა:

8 ფ. ზომები: ყდა – 353×233, ქალაღი – 345×220, ტექსტი – 210×140, სისქე – 5; სტრიქონებს შორის მანძილი – 7; არშიები: ზედა – 78, ქვედა – 58/72, მარჯვენა – 24, მარცხენა – 25. ქალაღი – მოლურჯო ფერის. მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ყავისფერი ყდა, ახლადრესტავრირებული. დამწერლობის სახეობა – მხედრული. შეემჩნევა განკანონების ხაზები. აქვს ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 18/28. აღრიცხვა – რვეულებრივი და გვერდობრივი. რვეულებრივი აღრიცხვა აღნიშნულია მხედრული გრაფემით. შემორჩენილია მხოლოდ ერთი ბ (მე-2) რვეული. გვერდობრივი – არაბული ციფრებით. განკვეთილობის ნიშნები – ♣, •, ✪. ფურცლები კარგად შემონახული. რესტავრირებული, თავბოლონაკლული, თავების დასაწყისში ახლავს თავსამკაულები, გაფორმებული, ჩარჩოში ჩასმული მოლურჯო-მომწვანო ყვავილებითა და ორნამენტებით (1r, 5v, 6v, 7v, 8r, 8v). გადამწერი – [დავით თუმანიშვილი]. მთარგმნელი რუსულიდან – [დავით ბატონიშვილი]. [XVIII]. დათარიღების საფუძველი – დავით თუმანიშვილის მოღვაწეობის პერიოდი. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს ბარბარე თუმანიშვილისაგან ხელთუბნიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: ნაწილი ა. საჯელმწიფოთა საკოროლოთა და რესპუბლიკათათს ევროპიისათა. I. გერმანიისათს – გერმანიასა აქუს 200 მილი სიგრძე, 100 მილი სიგანე, ხოლო სიმგურგლე 680, ჰაერი არს მუნ კეთილი და მრთელი, გარნა ცივი ქუწყანა – ნაყოფიერი, უფროსლა პურითა და პირუტყვთ საჭმლითა, ვენახი არა ყოველგან თანაჰსწორ მოქმედებს, ტყენი რომელნიცა არა მცირედ არიან და ვრცელ უხუჭბენ მფრინუჭლითა და სხუჭთა ცხოველითა ... (1r).

წყდება: ... ჟამითი ჟამად მიინია შეკრებულება ესე დამცირებასა შინა ესრეთ ... (8v).

ტიქსტი შედგება შემდეგი თავებისგან:

1. სათვთმპყრობელოთა სამფლობელოთა იმპერიისა ღერმანიისათჳს (2r-5v).
2. სამფლობელოთათჳს ავსტრიის სახლისათა ღერმანიასა შინა (5v-6r).
3. ავსტრიის ნიდერლანდთათჳს (6v-8r).
4. ქალაქთა ანსიატისათა, ანუ ზღჳს პირისათა (8v).

ტიქსტიტან დაკავშირებული შენიშვნები:

1. ხელნაწერი წარმოადგენს **დავით თუმანიშვილის** ავტოგრაფულ ნუსხას (შდრ. 1446/52; იხ. ანდერძი).
2. ხელნაწერში შემორჩენილია მთლიანი თხზულების მხოლოდ დასაწყისი, კერძოდ, **გერმანიის** აღწერა.
3. ხელნაწერში შემორჩენილი საკუთარი გვერდობრივი აღრიცხვა უჩვენებს, რომ მას წინ აკლია 12 გვერდი. აღწერილობაში მითითებული ინფორმაცია, რომ ეს ხელნაწერი გადაწერილია 1446/111-ისაგან, სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს, ვინაიდან 1446/111-ში აღრიცხვა პირველივე ნომრით იწყება და პირველივე გვერდზე შუა ტექსტია მოტანილი. შესაბამისად, უფრო შესაძლებელია, რომ სწორედ 1446/111 იყოს გადაწერილი ამ ხელნაწერიდან. თხზულება ნათარგმნია რუსულიდან **დავით ბატონიშვილის** მიერ (იხ. ხელნაწერი 1446/111, თავფურცელი).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 18.

თეიმურაზ I ლეჩხთა კრებული [XVIII]

1446/32

ტიქნიკური აღწერილობა:

8 ფ. ცარიელი ფურცელი – 7v. ზომები: ყდა – 350×230, ქალაღი – 347×222, ტექსტი – 143×230, სისქე – 3; სტრიქონებს შორის მანძილი – 7; არშიები: ზედა – 47, ქვედა – 67, მარჯვენა – 42, მარცხენა – 32. ქალაღი – თეთრი. მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ყავისფერი ყდა, ახლადრესტავრირებული. დამწერლობის სახეობა – მხედრული. შეემჩნევა განკანონების ხაზები. აქვს ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 26/30. აღრიცხვა – გვერდობრივი, აღნიშნულია არაბული ციფრებით. განკვეთილობის ნიშნები – •, ♣, ხელნაწერი თავბოლონაკულია. ახლად რესტავრირებული. თავსამკაულები და ტექსტების დასასრულები გაფორმებულია ჩარჩოში ჩასმული მომწვანო, მოლურჯო და მონითალო ყვავილებითა და ორნამენტებით (2r, 7r, 8r). სათაურები შესრულებულია კალიგრაფიული მხედრულით (2r, 8r). ავტორი: **მეფე თეიმურაზ I** (2r, 8r). გადამწერი – **დავით თუმანიშვილი** (2r, სქოლიო). [XVIII] დათარიღების საფუძველი – ავტორისა და გადამწერის მოღვაწეობის პერიოდი. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ბარბარე თუმანიშვილისგან ხელთუბნიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: ... ლექსი სათარგმნელი ქება და მკობა მეფის **ალექსანდრესი** და დედოფლის **ნესტან-დარეჯანისა** ნათქუამი მეფის **თეიმურაზ პირუჭლისა** მაჯამად – რადგან არ ვჰსცხრები ქებასა, ვგონივარ ამათ მისანი; ან ჩემთა გულთა ლახვარი, სათი მაქვს საათთ მისანი ... (2r-7r).

წყდება: ... და ნუ მოეშვები შენ ჩემთვის, სამოთხის კარსა დაყრასა ... (8v).

ტიქსტის შედგენილობა:

1. ლექსი სათარგმანებლი ქება და მკობა მეფისა ალექსანდრესი და დედოფლის ნესტანის დარეჯანისა ნათქუამი მეფის თეიმურაზის პირუელისა მაჯამად (2r-7r).

შენიშვნები:

- სტროფების რაოდენობა – 304.
 - სათაურს ახლავს **დავით თუმანიშვილის** მიერ შედგენილი შემდეგი სქოლიო: „**ალექსანდრე** იყო ძე **ლეონ მეფისა**. **ლეონ** იყო ძე **ავგიორგისა**. ხოლო ესრეთ იუწყეთ, მკითხველნი: **ალექსანდრე** ვიდრე გამეფდებოდა, მამასა მისა **ლეონ** მეფესავე მოგევარა მისთვის ცოლად ასული **ბარძიმ ამილახორისა**, რომლისაცა სახელი **ნესტან-დარეჯანობითა** არა არს ხსენებულ ცხოვრებასა შინა. ესე **ალექსანდრე** გამეფდა წელსა ქრისტესსა 1561-სა და ჰყვანდნენ მას ძენი (მას **ბარძიმის** ასულსა თანა) ოთხნი: **დავით**, რომელი იყო მამა ამა **თეიმურაზ** მეფისა, **გიორგი**, **ერეკლე** და **კოსტანტინე**. **დავითსა** ჰყვა ცოლად ასული **აშოთან** მუხრანისბატონისა **ქეთავან**, რომელი ეწამა **შააბაზისაგან**. **გიორგი** მოიკლა და **ალექსანდრე** მეფე **კოსტანტინესაგან** და **კოსტანტინე** – კახთაგან. **ალექსანდრე** მეფეს, ზემორე ვახსენე, არა ესვა დედოფალი სახელით **ნესტანდარეჯან**, არამედ ასული ჰყვა ფრიად შვენიერი და კეკლუცი, რომელი მისცა ცოლად **ალექსანდრემ მანუჩარ დადიანსა** წელსა ქრისტესსა 1591-ს, რომელიც მოკუდა შობასა ზედან მისა **ლეონისა** და მე ესრეთ ვგონებ მწერლისაგან შემცდარი იყოს დედოფლის ხსენება და არის ესე ზემორე თქმული ქებანი მეფეს **ალექსანდრესა** ზედან და ასულსა მისა **ნესტანდარეჯანსა** ზედა და არა დედოფალსა ზედან. **დ. თუმანოვი**“ (2r).
2. ანბანთქება სრული და უკლები თქმული პირველის მეფის თეიმურაზისაგან (8r-v).

შენიშვნები:

- სტროფების რაოდენობა – 14. ტექსტი არასრულია, აკლია 22 სტროფი.

ტიქსტებთან დაკავშირებული შენიშვნები:

ხელნაწერს ყდის ზედა ფრთის ფორზაცზე ახლავს უმნიშვნელო შინაარსის მინაწერები.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, 1933, გვ. 154-159.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 19.
3. ჩვენი საუნჯე, შედგენილი ა. გვახარიას და ლ. მენაბდის მიერ, ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით, ტომი IV, თბილისი, 1960, გვ. 87-92.

საისტორიო ნაწარმოებთა კრებული, 1813-1826 წწ.

1446/33

ტიქნიკური აღწერილობა:

384 ფ. ცარიელი ფურცლები – 95v, 150v, 214v, 226v, 298av, 325v-326v, 350v-353v, 354v, 368v-369v, 378v. ზომები: ყდა – 330×215, ქალაღი – 320×210, ტექსტი – 232×148, სისქე – 70; სტრიქონებს შორის მანძილი – 7; არშიები: ზედა – 45, ქვედა – 45, მარჯვენა – 44, მარცხენა – 26. ფილიგრანული ქალაღი, მოყვითალო და ცისფერი. მელანი – შავი, წითელი. ტვიფრული, ტყავგადაკრული მუყაოს შავი ფერის ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, საზედაო გრაფემები მთავრულით, სათაურები – თხზული მთავრულით. აქვს ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 31. აღრიცხვა – რვეულებრივი და ფურცლობრივი. ქვედა არშიაზე რვეულებრივი აღრიცხვა აღნიშნულია ერთი რვეულის დასაწყისსა და მეორე რვეულის დასარულსს. იწყება პირველი რვეულით (6 ფურცელი), თანმიმდევრობით გრძელდება 8-8 ფურცლიანი რვეულებით და სრულდება 50-ე ნაკლული რვეულით (2 ფურცელი). ფურცლობრივი აღრიცხვა გვხვდება ზედა არშიაზე, მხოლოდ 1-200 გვერდი არის თანადროული, შესრულებულია ყავისფერი მელნით, გვიანდელი 201-384 – აღრიცხულია ვასილ ბარნოვის მიერ წითელი მელნით, დაუნომრავია ტაბულები. ხელნაწერი სრულია, რესტავრირებული. ახლავს ფერადი საღებავებით შესრულებული ტაბულები (95ar; 175ar; 250ar; 298ar), [1813-1826 წწ] (299v). გადამწერი: **დავით თუმანიშვილი** (1-324) (299v). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია **ბარნაბ თუმანიშვილისაგან (ხელთუბანი, ქართლი)**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. [ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება]

დასაწყისი: ტომობა და ჰშთამომავლობა ქართველთა ნოეს ძის იაჭეთის თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა ...“ (1r-96r).

თხზულება შემდეგი თავებისგან შედგება:

- 1.1. ტომობა და ჰშთამომავლობა ქართველთა (1r-8v).
- 1.2. აღწერა სამეფოსა **საქართუჭლოხსა** (9r-95r).

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს ჩართულია **დავით თუმანიშვილის** მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულა შემდეგი ანდერძით:

„უნწყებულება ქარტისა ამის მკითხუჭლთათჳს: **ნოე**დამ ვინყე ქარტა ესე, ხოლო, მკითხუჭლნო, იუნყეთ ესრეთ, რომელ ყვითლის ფერითა არიან ქართლოსიანნი: მას ზედან მოშაოდ ყვითლითა – არშაკუნიანნი, მწვანითა – ნებროთიანნი, ლურჯითა – ხოსროვიანნი, პირისფერითა – ბაგრატიონნი, ხოლო ამათ შორის რომელნიცა მეფენი და მთავარნი არიან, მათ რიცხვი უსხედს და მისდევს. მით იგულისხმეთ და რომელთაც არ უსხედს, ისი ძენი მისნი და ძმანი მათნი არიან, არა მეფენი და მთავარნი და ფოთლათ წითელი თუ სხუაფერი სამკუთხედი აბიათ, ისინი ცოლნი და ქაღნი არიან. ქარტა ესე არს წარმომჩენელი, ვიდრე 78 მეფის გიორგისადმდე და მის დროს რა განჰსქდა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ საქართუჭლო ქრისტესა 1465 წელსა, მის შემდგომნი მეფენი თჳსთა ისტორიათა შინა ჩამირთავს ეს სახედვე, რომელიცა ვიმუშაკე თავით ჩემით და არა სხვადმ გარდმოლებით მე თავადმა მდივნის ეგნატის ძემ ნადვორნის სოვეტნიკმან დავით თუმანოვმან, ქრისტესა 1826 წელსა“ (95არ).

- 1.3. უწყებულება მკითხუჭლთათჳს (96r-100v).
- 1.4. აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღურით, მითით, მდინარეებით და ადგილთა და მას შინა შენებულებთა (101r-176r).

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს ჩართულია **დავით თუმანიშვილის** მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულა: „უნწყებულება მკითხუჭლთათჳს: შემდგომად განხეთქილებისა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ, დასჯდა საქართუჭლოს ნაწილსა ზედა ქართლის მეფედ ძე **გიორგისა 79 კოსტანტინე** და ვინყე მისგან ვიდრე უკანასკნელ მეფის გიორგისადმდე ქმნა ქარტისა ამის: ესრედ შეისწავედ, მკითხუჭლნო, რომელთაც რიცხვ მისდევს, მეფენი არიან და რომელთაც ა აქესთ რიცხვი, ისინი ძმანი და ძენი არიან და რომელთაც ჯუარი უსხედსთ, ისინი სამლუდელონი არიან, პირისფერით ქართველთ მეფეთ ბაგრატიონნი არიან და ალისფერით კახთ მეფეთ ბაგრატიონი **ნაზარალი ხანი**დამ და ისფრად ფოთოლნი – ცოლნი და ქაღნი არიან, ვქმენ ქარტა ესე თავადმა მდივნის ეგნატის ძემ, ნადვორნის სოვეტნიკმა **დავით თუმანოვმან**, 1826 წელსა ქრისტესსა, დავით“ (175არ).

1.5. აღწერა **ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა**, კუალად **თუშეთისა და დიდოეთისა** (176r-190r).

1.6. აღწერა ანინდელთა მეპატრონეთა (190v-215r).

შენიშვნა: ტექსტს ახლავს ვასილ ბარნოვის ავტოგრაფული მინაწერი წითელი მელნითა და მხედრულით: „რიცხვები აღარ ესხდა და მე დაუსხი აქედან. **ვასილ ბარნოვი**“ (201r, ზედა არშია).

1.7. აღწერა ანინდელისა ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა (215r-222v).

1.8. აღწერა საჩინოთა ადგილთა სამცხე-საათაბაგოსთა (223r-250v).
ცხოვრება სამცხე-საათაბაგოსი (234r-250r).

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს ჩართულია **დავით თუმანიშვილის** მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულა:

„წარმოჩენა მკითხუვლთათჳს: ხოლო ოდეს მოვიდა **დავით წინასწარმეტყუვლის** გუარისა შჳდთა ძმათაგანი გუარამ ძე სოლომონისა, დაესიძა მირდატს, ძესა ვახტანგ გორგასლანისასა და მან მისცა და თჳსი ცოლად და ტაოს ერისთოვბა. შემდგომად სიკუდილისა მირდატისა და ძმისა მისისა ლეონისა და ძეთა მათთა, დაუმკვდრესთ სამკვდრებელი თჳსი ძესა ბაგრატისსა, გურამს მეფობა ქართლისა და კურატპალატობა ქრისტესსა 586 წელსა. ამან იწოდა მამისა თჳსისა სახელით ბაგრატიანობა და ძენი მისნი და ჰშთამომავლობანი ზოგნი ქართლსა ისხდნენ მეფეთ, ზოგნი – სამცხე-კლარჯეთსა, ტაოსა და სხუათა ადგილთა და სომეხთა მეფეთა სამეფოთა ზედა და სხუანი ერისთავად და ერისთავთ ერისთავად, რომელნი ისხდნენ ქართლს მეფენი, გინა მთავარნი, მათ უსხედსთ რიცხჳ და სხუათა სამცხესა, გინა სხვათა ადგილთ მეფეთა ერისთავთა არა უსხედს .ესე ყოველნი არიან პირისფერითა ბაგრატოანნი და შემდგომად დროსა თამარ მეფასასამან(!) **იოანეს** უწოდა ათაბაგობა **ზაქარია ამირსპასალარის** ძმასა, მხარგრძელსა, ვიდრე **სარგის ჯაყელისადმდე** იყუნენ მხარგრძელნი ათაბაგად, ესენი არიან ყვითლისფერითა და მწუანითა არიან **სარგის ათაბაგის ჯაყელი ციხისჯუარელი** და ჰშთამოსრულნი ვიდრე უსუფ ფაშამდისა, ათაბაგი უსხედს **იოანედამ** რიცხჳ ათაბაგთა ანუ ფაშაუმყოფთა, იგინი არიან ფაშანი და თაბაგნი ესრეთ იგულისხმე, მკითხველო: ხოლო ყუარყუარეს სრულიად არღარა მორჩილ ექმნენ მეფეთა ქართლისათა და არღარა მორჩილ ექმნენ და დაიბყრეს ???ად ქრისტესა 1451 წელსა. ხოლო კუალად რა განიყუვს ქუვყანანი **სულტან მურადმან** და **შაჰსეფი ყაენმან**, დაჰშთა სულთანსა სამცხე-საათაბაგო და იმერეთი ქრისტესა 1636 წელსა. უმეტეს განიმკვდრეს ათაბაგთა, ხოლო ოდეს იქმნა მახმედიან 21 ათაბაგი ბექა და უწოდეს

საფარფაშა შერიათმახმედიანობა და შემდგომად 23 ათაბაგისა **როსტომისა** იქმნენ სრულიად მახმედიან. იქმნა ქარტა ესე ჳელითა თავადის **ეგნატის** ძის ნადვორნის სოვეტნიკის **დავით თუმანოვისაგან** ქრისტესსა 1826“ (250არ).

1.9. **აღწერა ეგრისის ქუეყანისა ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა** (251r-299r).

ცხოვრება ეგრისისა აფხაზეთისა ანუ იმერეთისა (267r-299r).

შენიშვნები: ა) ტექსტის ბოლოს ჩართულია **დავით თუმანიშვილის** მიერ შედგენილი ეგნეალოგიური ტაბულა:

„წარმოჩენა მკითხუჭლთათჳს აფხაზთა და იმერთა მეფეთა:

დაიპყრა რა მკლავითა თჳსითა 33 მეფემან ვახტანგ გორგასლან ეგრის მდინარეს იქით და ვითარმედ მოსცა კეისარმან მზითუადვე ვახტანგ გორგასლანსა და ეპყრათ ხოსროვიანთა, ვიდრე 40 სტეფანოს მთავრისადმდე ქრისტესსა 600 წელსა. ამავე წელსა მიულო სტეფანოს მთავარსა კეისარმან ეგრის მდინარეს იქით. და დასუა ერისთავი თჳს ცვალებითა და უწოდა აფხაზეთი. ხოლო მოსლუასა მურუან ყრუსასა ქრისტესა 663 წელსა იყო ერისთავად ლეონ. ამან ლეონ ისტუმრა მეფენი მირ და არჩილ და მსახურებდა მეფებრ. შემდგომად უკუქცევისა მურუან ყრუსა, კეისარმან მოჰსცა **ლეონს** მკვდრად ერისთობა და გვრგინი და შემდგომად **არჩილ მეფემანცა** მისცა ასული **მირ** მეფისა ცოლად და მორჩილებდა მეფეთა. მოკუდა ესე **ლეონ**, დასჯდა ძმისწული ამისივე **ლეონ**. ესე **ლეონ** იყო ხაზართა მეფის ასულის წული, რომლითა შემნებითა უმეტეს განიმკვდრა ს[ა]ერისთავო, ვინაჲდგან ბერძენთაცა მიღებოდათ ძალი. შემდგომად სიკუდილისა მთავართა 45 **ჯუანშერ** და **იოანეს**, განჰსდგა ესე **ლეონ** და მიიტაცა ლიხის მთიდამ ვიდრე ზღუადმდე და იწოდა აფხაზთა მეფედ ქრისტესსა 786 წელსა და იყუნენ მეფენი ვიდრე მეფის თეოდოსადმდე. ხოლო დროსა ამას აფხაზთა, ითხოვეს დავით მეფის კურატპალატისაგან, რომელსა ეპყრა **ტაო** და სომეხთა მეფეთა სამეფო, 53 მეფის გურგანის ძე მეფე ბაგრატ შკლობილი თჳთ დავით მეფისა, რომელიცა მოსცა და აკურთხეს მეფედ აფხაზთა ქრისტესსა 985 წელსა და იყუნენ მეფენი ერთ მეფობითა ბაგრატოანნი ვიდრე **ლაშას ძის დავითისა** და **რუსუდანის ძის ნარინ დავითისადმდე** და იწოდა იმერთა მეფედ, ხოლო ამა **ნარინ დავითი**დამ ვიდრე უკანასკნელ **არჩილის** ძის მეფის **სოლომონამდის** ისხდნენ მეფენი ერისთავნი, ბაგრატოანნი, ეგრეთვე **ქართიოს** მეფენი და ძენი ესენი არიან პირისფერნი და შერეულნი არიან ლურჯნი და აფხაზთა მეფენი არიან მწუანენი, **ლეონ აფხაზთა** მეფიდამ, ვიდრე უკანასკნელ მეფის **სოლომონისადმდე** რაოდენ მეფენი ანუ ერისთავნი ყოფილან ყოველთავე რიცხჳ უსხედს და რომელთაც არ

უსხედს, ისინი არ არიან. ესრეთ გულისხმა ჰყავ, მკითხველო და მხილველო, ქარისა ამის, იქმნა ქარტა ესე ჴელითა თავადის მდივნის ეგნატის ძის, ნადვორნის სოვეტნიკის დავით თუმანოვისაგან ქრისტესსა 1826 წელსა, ტფილისს“ (298არ).

ბ) თავის ბოლოს **დავით თუმანიშვილის** ჩანართი ანდერძით:

ვინ ვისი სამწყსონი არიან (299v).

ანდერძი: „ეს ზემო წერილი ამ ქართლის ცხოვრებაში არ იყო. მე ერთ ადგილს ვპოვე და გარდმოვსწერ, შთაუმატე ამ ქართლის ცხოვრებას მე, **ეგნატი მდივნის ძემ**, თავადმა კოლლეჟიკის სეკრეტარმა **დავით თუმანისშულმან** წელსა ქორონიკონსა 1813, ხოლო ქართულსა ქორონიკონს ფა იანურის 10 დღესა“ (299v).

1.10. [ქრონიკა] (300r-311r).

შენიშვნა: ვახუშტისეული ტექსტი მთავრდება 1753 წლით, შემდეგ უკვე მოსდევს დავით თუმანიშვილის ტექსტი ანდერძით:

„მანყუერელი უფროსი და ბისონიანი ...“ (311r).

ანდერძი: „ესეც მე ვიპოვე და ამას შეუმატე, თუმცა თვს ადგილს არ არის შთანერილი, გარნა დაუკარგელობისათვს ვქმენ ესე ამისთვის დამგმობთ. თავადი **დავით იგნატის ძე თუმანოვი**. თვესა ფებერვალსა 25-სა, 1820-სა წელსა, ტფილისი“ (311r).

შენიშვნა: ბიბლიოგრაფია: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, 1973, გვ. 47-914.

2. [სინქრონული ტაბულა XVIII ს-ის შუამდე] (311v-320r).

3. სომხითის სოფლები ქრისტეანეთა და თათრისობა (320v-325r).

შენიშვნა: ბიბლიოგრაფია: ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1997, გვ. 194-325.

4. [ომან ხერხეულიძე] შემოკლებული ისტორია მეფის თეიმურაზისა და ძისა მისისა მეფის ირაკლისა (327r-349v).

შენიშვნა: ბიბლიოგრაფია: ა. მეფობა **ირაკლი მეორისა, მეფის თეიმურაზის** ძისა, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, სპბ, 1854.

ბ. **ომან ხერხეულიძე**, მეფობა **ირაკლი მეორისა**. ტექსტი გამსოაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბილისი, 1989.

5. ქალაქებისა და სოფლების სია (354r)
6. ქალაქნი საქართუჭლოასანი უწინარეს განყოფილებისა და შემდგომად განყოფილებისა სამ სამეფოდ ... (355r-368r).
7. ციხენი საქართუჭლოასანი უწინარეს განყოფილებისა და შემდგომად განყოფილებისა სამ სამეფოდ, შენნი და უშენნი, აღწერილ არს ანბანსა ზედა მხოლოდ სახელნი ციხეთანი ... (369v-371r).

შენიშვნა: ახლავს შემდეგი ანდერძი: „თუმცა არიან ციხენი მრავალნი უსახელობის გამო დამკშთნენ, რომელნიმე და რომელნიმე იქმნება შემცდა, რომელ აქ ვერ მოვიხსენე. უკეთუ გნადდესთ აღწერასა შინა იძიეთ და ეგრეთვე ზემოხსენებულთა ციხეთა აღშენებად თუ ვისგან აღშენებულან, მუნ ჰსცნობთ. დავით თუმანოვი“ (371v).

8. მდინარენი უდიდესნი რომელნიმე უწინარეს განყოფილებისა საქართუჭლოასა არიან. ანუ რომელთა ჰქონან თევზნი, ანუ სახელნი რით ეწოდათ, აქავე მოიხსენიებიან ... (371v-374v).
9. ხოლო რაოდენნი ტბანი არიან დიდნი და მცირენი, თევზიანნი და უთევზონნი (374v-375r).
10. მეფენი საქართუჭლოასანი (375v-378r).
11. წესი და განგება კურთხევისათჳს მეფისა. დროსა მასა თუ ვითარ დასხდნენ მღუდელთმთავარნი სრულიად საქართვეჭლოსნი (379r-v).
12. უცხო ხელმწიფეთა სიები (379v-382v).
13. წესდებულთათჳს მთავრობათასა გუართა ჰაიოსთა ანუ სხუათა და სხუათა გუართა, გინა მაზრაპანთა ანუ თუ კერძთმპყრობელთა სომხითისათა (383r-384v).

მიწაწერები:

მხედრული: ვ. ზ. ბარნოვი (1r, ქვედა არშია).

ზომბადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბ., 1949, გვ. 20.

კრეპული [XVI, XVIII]

1446/34

ტიქნიკური აღწერილობა:

100 ფ. ცარიელი ფურცლები – 12v, 13v. ზომები: ყდა – 152×188, ქალაღი – 148×103, ტექსტი – 114×77, სისქე – 34; სტრიქონებს შორის მანძილი – 8; არშები: ზედა – 18, ქვედა – 20, მარჯვენა – 15, მარცხენა – 18. ქალაღი. მელანი – შავი, წითელი. ტყავგადაკრული, ტვიფრული ყავისფერი ყდა, გაცრეცილი. დამწერლობის სახეობა – ნუსხური, საზედაო გრაფემები – მთავრულით. სტრიქონების რაოდენობა – 15/16/17. აღრიცხვა – რვეულებრივი, იწყება 14r-დან ა (პირველი) რვეულით და მთავრდება ია (მე-11) რვეულით, გრაფემა ზოგჯერ ჩასმულია რამდენიმე მხრიდან მზის ფორმის ტიპის ნერთილებსა და ჯოხებში. განკვეთილობის ნიშნები: ♀, •, ♀. ძირითადი ტექსტის ბოლოს – ჰ, ო. ხელნაწერი კარგ მდგომარეობაშია, აკინძული, ფურცლები კარგად შემონახული, ბოლონაკლული. ხელნაწერის როგორც ზედა, ისე ქვედა ყდას ფორზაცზე დაკრული აქვს მისი თანადროული ნაჭერი. პირველი ნაწილის გადამწერია მარკოზ ჩაჩანიძე (12r). [XVI, XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია ბერ-შუეთის ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. **განგება ნყლის კურთხევისაჲ, რომელ არს აიაზმაჲ** – მოიღონ ემბაზი, გინა ფეშხუმი ანუ სხუაჲ რამე წმიდაჲ ჭურჭელი, შინა შთაას(!) წყალი და ასუჴნ ძელი ცხორებისა ჯუარი პატიოსანი ... (1r-12r).

შენიშვნა: ტექსტში ჩართულია შემდეგი ოდები – უგალობდითსა, განძლიერდასა, მესმასა, ღაღადყავსა, ღამითგანსა, კურთხეულარსა, აკურთხევდითსა, ადიდებდითსა, ასევე ებრაელთა მიმართ ეპისტოლე პავლე მოციქულისა.

ტექსტის ბოლოს დართულია ანდერძი: „მე გლახაკმან სულითა მარკოზ ჩაჩანიძემან დავნერე წმიდანი ესე აიაზმა სულთა განმანათლე-

ბელი. ცოდვილი, სანყალი შენდობით მომიხსენეთ ღვთისათვის სიყუარულისა, ვინცა მომიწესნეთ, უფალმან კეთილი საუკუნოს მოგაგო(!), ამინ“ (12r).

2. **სჯულისკანონი იოანე მმარხველისაჲ** – მოიდრიკნეს მუჴლნი მონანულმან და ჰრქუეს მოძღუარსა თვისსა ცრემლით და სულთქუმით: აღგიარებ, მეუფეო ჩემო, ცოდვათა და ბრალთა ჩემთა წინაშე შენსა ... (14r-54v).

კანონში შედის: კანონი უზიარებლობისა (25r), ნათელღებულთა გამცნებ (27r), სწავლანი წმიდისა იოანე ოქროპირისა, თქმული წმიდისა იოანე ოქროპირისა (31v), თქმული წმიდისა [... ..] (34v), ალაჯორთ კვრიაკესა, შვილნო და ძმანო (39v), გამოკრებული სჯულის კანონი ესე არს მართალი და ჭეშმარიტი (41v).

3. **სახელითა ღვთისათა იწყებიან ათორმეტი საუფლო სახარებაჲ და სამოციქულო გამოკრებულნი** – თუესა მარტსა კე, წმიდისაჲ ღმრთის-მშობლისა, ფსალმუნი ა: იხარებდით დღითიდღე. ადიდებს სული ჩემი უფალსა. დასდებელი: რამეთუ მოხედნა სიმდაბლ. ებრაელთა მიმართ ებისტოლე პავლე საკითხა. ძმანო ... (55r-99v).

წყდება: ... შრომითა და რუდუნებითა და მღვდარებითა მრავალგზის შიმშილითაჲ და წყურვილითა და მარხვითა, მრავალგზის ყინელითა ... (99v).

მინაწერები:

1. მხედრული: „ბერშუეთის ეკლესია“ (1r, ზედა არშია).
2. მხედრული, გვიანდელი ხელით: „მილხინე, უფალო, და შემინყალე მე [...]“ (13r, ტექსტის დანარჩენი ნაწილის ამოკითხვა ვერ ხერხდება).
3. ნუსხური, ტექსტის ხელით: „ღმერთო, კარგარეთელსა უშველე“ (20v, მარცხენა არშია).
4. ნუსხური, ტექსტის ხელით: „ღმერთო, შენ ჰკითხე, ვინცა ეს წიგნი ცნის(!)“ (44v, ზედა არშია).
5. მხედრული, გვიანდელი ხელით: „ქ. ღმერთო, შეუნდევე შეჭირვებულსა ზერეკიძესა პავლესა“ (62v-63r, ზედა არშია).
6. ნუსხური, ტექსტის ხელით: „[...] ღმერთო, მოხედენ“ (98v, მარცხენა არშია).
7. ნუსხური: „[...] ჴორციელთაო, რომელი შენთა [...]ვლთა, კარგო კარგარეთელო კრ[...]“ (99v, მარჯვენა არშია).

ტიქსტუქტუან დუკუვუიუიუი უნიუუუუუ:

1. ხელნაწერი სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ტექსტისაგან შედგება: პირველი – „წყლის კურთხევის განგება“ საღვთისმსახურო შინაარსისაა; მეორე – სჯულისკანონი, უფრო ზუსტად, სჯულისკანონი იოანე მმარხველისა, კანონიკური შინაარსისაა, ხოლო მესამე – გამოკრებილი სახარება – სამოციქულო, ლიტურგიკული შინაარსის.
2. სჯულისკანონი იოანე მმარხველისა შედის „მცირე რჯულისკანონში“, რომელიც ეფთვიმე მთანმინდელმა შეადგინა ბერძნული კანონიკური მწერლობის სხვადასხვა წყაროს მიხედვით მეთავე საუკუნის ბოლოს. მცირე რჯულისკანონი სულ ოთხი თავისაგან შედგება.
3. 90v-91r ქვედა არშიაზე მინაწერი ნაშლილია.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 33-34.
2. მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, თბილისი, 1972.

სადღესასწაულო [XIII]

1446/35

ტიქნიკური აღწერილობა:

141 ფ. ზომები: ყდა – 243×180, ეტრატი – 228×163, ტექსტი – 165×106, სისქე – 49; სტრიქონებს შორის მანძილი – 3; არშიები: ზედა – 20, ქვედა – 39, მარჯვენა – 30, მარცხენა – 27. ეტრატი. მელანი – ყავისფერი, წითელი. კოლენ-კორგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. სტრიქონების რაოდენობა – 22. აღრიცხვა – რვეულებრივი, რვეულის დასაწყისის ზედა მარჯვენა კუთხეში, ხოლო დასასრულის ქვედა მარცხენა კუთხეში მონიშნულია ოთხივე მხრიდან პარალელური ხაზებით შექმნილი მართკუთხედში ჩასმული მთავრული გრაფემები. ხელნაწერი იწყება არასრული ე (5) და მთავრდება ასევე არასრული კზ (28) რვეულით; რვეულები შემდეგი თანმიმდევრობითაა შემორჩენილი: ვ, ზ, ზ, თ, ი, ია, იზ, იგ, იზ, იზ, ით, კ, კა, კბ, კვ, კდ, კე, კზ; რამდენიმე თითქმის მთლიანად აკლია. განკვეთილობის ნიშნები – •, •, •. ხელნაწერი ნაკლულია; ფურცლები ძლიერ დაზიანებული, ზოგიერთი ფურცელი ზოგან მხოლოდ ფრაგმენტულადაა შემორჩენილი (ფფ. 1, 80-84), დალაქავებული, ზოგან ტექსტი ისეა გალეული, წაკითხვა შეუძლებელია (1r, 48r, 49v, 102v). [XIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. გადამწერი: **პაპილი** (101v). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია **ვარია-ნის** ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. **[თუესა ნოენბერსა ა წმიდათა უვეცხლოთა მსახურთა კოზმან და დამიანესთა]** – ... და ევედრებიან ყოველთა მაცხოვარსა ქრისტესა და მარადის მეოხ არიან [...]ბისათვს სულთა ჩუენთაჲსა ... (2r-5v).
 - **შენიშვნა:** 1r-v-ზე გაბმული ტექსტი არ იკითხება.
2. **თუესა ნოენბერსა ჭ წმიდათა მთავარანგელოზთა სეკდენბრისა, უფალო ღალადყავსა.**

თუესა ნოენბერსა ი წმიდისა მთავარმონამისა გიორგისა, ჳმაჲ ა გუერდი – გიხაროდენ, ღუანლისა მძლეო, მწნეო გიორგი, მონამეთა დიდებაო ... (5v-12r).

3. თუესა ნოენბერსა იგ წმიდისა იოანე ოქროპირისაჲ იანვარსა კზ ჰპოო.

თუესა ნოენბერსა კა ტაძრად მიყვანებაჲ ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, ჳმაჲ ა – ეჰა, დიდებული დღეს განსცხრებოდეთ, მორწმუნენო, გალობით შესხმითა ... (12r-17v).

4. თუესა დეკენბერსა დ წმიდისა მონამისა ბარბარაჲსი და წმიდისა იოანე დამასკელისაჲ, ჳმაჲ ა – მამისაგან [...]. რაჟამს იხილა სამსჯავროს მას საშინელსა ... (17v-23v).

5. თუესა დეკენბერსა ე წმიდისა დიდისა საბაჲსი, გ გუერდი – გიხაროდენ, სამკვდრებელო შუწნიერო ჭემარიტისა ღუანლისაო ... (23v-28v).

6. თუესა დეკენბერსა ვ წმიდისა მამისა ჩუენისა ნიკოლავაზ(!) [...] მკრონლუკიაჲსი – ეკლესიისა შვილნი სწავლითა [...], ვითარცა მართუწნი ზეცისა ბუდისანი ... (28v-34r).

7. თუესა სეკდენბერსა თ მუცლადღებაჲ ანნაჲსი, ჳმაჲ დ. მწნეონი – იხარებენ ზეცისანი, იშუჭბენ ქუეყნისანი, რამეთუ დღეს ესერა ზოგადი სიხარულით ... (34r-38v).

8. თუესა დეკენბერსა კ წინადლე ქრისტეშობისაჲ, ბ გუერდი – ანგელოზთა დღ. იხილნა რაჲ დღეს იოსებ ზეცისა ძალნი თაყუანისცემად ... (38v-44v).

9. თუესა დეკენბერსა კე გან[...] შობაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი ყოვლად წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან [...] ა – შენ. სიტყ. მოვედით და მივიწინეთ ყოველნი დღეს ბეთლემად ... (44v-51v).

- სხუანი გალობანი [... ..] – სასწაულითა საშოთ წმიდისაოთ სიტყუაჲ ღმრთისაჲ გამოჩნდა ... (49v-51v).

10. თუესა იანვარსა ა წინადაცუჭთაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი [...] წმიდისა და მამისა ჩუენისა დიდისა ბასილი – ხორცითა რაჲ იმევ ჩუენთვს, ქრისტე მეუფეო ... (51v-56v).

11. თუესა იანვარსა ე წინადლე განცხადებისა ჳმაჲ ბ გუერდი – ანგელოზთა დღეს წინა უძლოდეთ ძალნი ბეთლემით გამო ... (57r-62r).

12. **თუესა იანვარსა ვ განცხადებაჲ და ნათლისღებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, ჳმაჲ ბ** – მამისაგან შობილ. [...] მოხუჭდ წყალთა მათ ზედა იორდანესთა ... (62r-63v).
13. **[40 მონამეთა]** – [...]ოცთა განყინვაჲ წრტიალი დათმინეს ტბასა მას შინა მხიარულთა მადლობით ... (64r-65v).
14. **თუესა მარტსა კე ხარებაჲ [... ...]** – ეჰა, დიდებული საკრველი, რამეთუ მალღისა საყდართაგან ... (65v-74r).
15. **პარასკევსა მწუხრი დასდებელნი ლაზარეს აღდგომისანი. ჳმაჲ დ** – ჰ, სასწაული საკრველთაჲ, რამეთუ ბეთანიაჲ ბანაკად სიმართლისად იხილვების ... (74v-79v).
16. **[...] ბზობისანი** – ნათელი ნათლისაგანი მოვლინებული კიცუსა ზედა მჯდომარე ... (79v-85v).
 - **ბზობისა კვრიაკესა მწუხრი, უფალო ღალადყავსაჲ ჳმაჲ ა** – [...] გამოუკულებელი ქრისტე, ყოველთა უფალო, რომელი იშვევ ჳორცითა ... (83r-85v).
17. **დიდსა ორშაბათს მწუხრი, ჳმაჲ ა** – სასწაულთმ. გუშინ ბაჲათა გაქებდეს კრებულნი ჰურიათანი ... (86r-88r).
18. **დიდსა სამშაბათსა მწუხრი, ჳმაჲ ა** – შენ სიტყუაჲ. გიხაროდენ ზრახვაჲ ღმრთივშუჭნიერი განიზრახა ღირსმან ცოდვილმან დედაკაცმან ... (88r-90v).
19. **დიდსა ოთხშაბათსა მწუხრი, ბ გუერდი** – ყოველი სასოებაჲ. [...] სიბრძნისამან, მოტევებისა წყარომან ... (90v-92r).
20. **დიდსა ხუთშაბათსა ცისკრად ალილუიასა ზედა გ-ჯერ** – მჯდომარე. რაჟამს-იგი დიდებულნი მონაფენი საბანელსა მას სერობისასა განათლდებოდეს ... (92r-95r).
21. **დიდსა ხუთშაბათსა მწუხრი [...]** – სტიქარონთანი (95r-97r).
22. **დიდსა პარასკევსა მწუხრი, ჳმაჲ [...]** – [... ...]. ყოველნი ბუნებანი იცვალდებოდეს [...], რაჟამს გხედვიდეს შენ ჳვარსა ზედა ... (97r-101v).
23. **დიდსა შაბათსა მწუხრი, ჳმაჲ [...]** – ეჰა, დიდებული. ნათელი [...] სამწუხროჲ გამოუჩნდა [...] ბნელისათა ... (101v-107r).

24. ახალკვრიაკესა მწუხრი, უფალო ღალადყავსა, ჳმაჲ ა – შენ სიტყუაჲ. ყოველთა დღესასწაულთა უდიდებულესი, ბრწყინვალედ შუჴნიერი და გვრგვნშემოსილი ახალკვრიაკე ... (107r-111r).
25. მესამესა კვრიაკესა აღვსებითგან წმიდათა მენელსაცხებლეთა დედათა და იოსებისა, ჳმაჲ ბ – მამისაგან შობილ. [...] ნათელი ბრწყინვალე აღმობრწყინვებული საფლავით, ქრისტე ღმერთი ჩვენი ... (111r-115r).
26. [მეოთხესა] კვრიაკესა განრღვეულისაჲ, ჳმაჲ ა – შენ [...]. [...] რაჲ ქრისტე ქალაქად იერუსალჴმდ მიიწიე წყალსა [...] ცხოვართა საბანელსა ... (115r-122r).
27. [მეხუთესა კვრიაკესა სამარიტელისაჲ, ჳმაჲ] – მწნეონი. [...] ესრეთ ეტყჳს სამარიტელსა, ვითარმედ: უკუჴტუმცა იცოდი შენ ნიჴი ღმრთისაჲ ... (122r-125v).
28. მეექუსესა კვრიაკესა შობითგან ბრმის განკურნებისა, [ჳმაჲ ა] – [...]. რომელი ქალწულისაგან ჳორცითა განჴკაცენ, ქრისტე [...] და მიჴმადლე ნათელი შობითგან ბრმასა მას ... (125v-126v).
29. [ნიკეას კრება] – [...] და სიტყუად და თანაარსად გაქებდეს წმიდათა მამათა აღბეჴდილთა საღმრთოჲთა ნელსაცხებელითა ... (127r-128r).
30. [... ...] შაბათსა წსენებაჲ ყოველთა [... ...] ჳორციელისა შაბათსა ჴპოო, მუნით იტყოდი.
31. მეერგასესა დღესა მოსლვაჲ სულისა წმიდისაჲ [...], ჳმაჲ ა – შენ სიტყუაჲ. განახლდებიან ენანი ღმრთისა დიდებისა სიტყუად უცხოთა ჳმითა ცეცხლის სახედ ... (128r-133v).
32. მეცხრესა კვრიაკესა [...] წმიდათა [... ...] – [...] და ქრისტეს მონამეთა სახსენებელსა [...] პატივსცემდეთ ... (133v).
33. თუესა ივნისსა შობაჲ წმიდისა იოანე ნათლისმცემელისაჲ დ. მწნეონნი – დაუსაბამოიჲსა [მ]ამისა სიტყჳსა მქადაგებელსა ... (136v).
34. თუესა ივნისსა კთ წმიდათა და ყოვლად ქებულთა პეტრე და პავლესი – ეჴა, გვრგვნო ქებისანო, შემკობილნო თქუენ – პეტრე და პავლე გუამთა თჳთებითა ... (140r-141v).

წყდება: ... და მაცხოვარი ქრისტე ჳუარცმული, ერსა შორის ჳუარისმცემელთაჲსა ... (141v).

მინაწერები:

1. **ნუსხურით, ტექსტის ხელით:** „პაპილსა [შეუნდვნეს ღმერთმან]“ (101v, მარცხენა არშია).
2. **გვიანდელი, არაკალიგრაფიული ნუსხური:** „მოიხსენე ხეჩიკ, მისი ცოლი ეფფენი და ვარვარი; მემრე იაკობი, მისი ცოლი მართ(ა) და მერმე ოსპირი, მის(ი) ცოლი ცდო და მემრე ასლანი, მისი ცოლითურთ, მერმე აშოა და მემრე ოვანა და მემრე მანილა და მემრე აგისა, ამის მწერ(ა)ვს შეუნდვნეს ყულსა იორდანაჲ ...ნერ, ღმერთო“ (9r, მარჯვენა და ქვედა არშია).
3. **ნუსხური, სხვა ხელი:** „ღმერთო, შეინყალე ფრიად ცოდვილი ესრათ და გულფაიკ, ამინ. ღმერთო, შეინყალე რომანოზ, ამინ“ (41r, ქვედა არშია, უკულმა).
4. **ნუსხური:** „ევსტათის შეუნდვნეს ღმერთმან, ამინ. ნ. ესე წმიდაჲ წიგნი თათართა მოიტანეს და იორდანე იშუაჲ“ (41r, ქვედა არშია, უკულმა).
5. **მხედრული:** „ღმერთო, შეინყალე სული რუმისა“ (41r, მარჯვენა არშია).
6. **ნუსხური, გვიანდელი, არაკალიგრაფიული ხელი:** „[...]თმურას შეუნდვნეს ღმერთმა“ (74v, ზედა არშია).
7. **გვიანდელი, არაკალიგრაფიული ნუსხურით:** „[...]ორდნს შეუნდვნეს“ (76r, ქვედა არშია).
8. „ესე წიგნი ემს[... ..] სულისათჳს მისცა თუ შე[ნ]დობა მიბრძა[... ..] ამ წიგნის [...], წყეულიმც იყოს [... ..] ესე, ამინ“. აქვე ქვედა არშიაზე: „[...]] მისის სულისათჳს [... ..]“ (82v, მარცხენა და ქვედა არშია).
9. **მხედრული, კალიგრაფიული:** „ღმერთო, შეინყალე წინამძღუარი იოვანე, ამინ. მსასოებელი ჩუენი“ (90v, ქვედა არშია).

ტიქსტიან დაკავშირებული შენიშვნები:

1. ტექსტი პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ა) უძრავ და ბ) მოძრავ დღესასწაულთა მსახურებები. უძრავ დღესასწაულებში შედის სათვეო ნაწილი, ძირითადი ქრისტიანული დღესასწაულები, ხოლო მოძრავ დღესასწაულთა ნაწილში მთლიანად არის ჩართული ზატიკი.
2. ხელნაწერი ძლიერ ნაკლულია, ამიტომ სათვეო ნაწილში მხოლოდ ნოემბრის, დეკემბრის, იანვრის, მარტისა და ივნისის მსახურებებია შესული (ერთგან სექტემბერიცაა), ამ მსახურებათა უმეტეს ნაწილს არშიაზე მიწერილი აქვს: „უქმი“.

3. ხარების მსახურების შემდეგ პირდაპირ არის მიბმული მოძრავ დღესასწაულთა მსახურება, კერძოდ ხარებას მოჰყვება ლაზარეს აღდგინება, შემდეგ ბზობა და მსახურებები ვნების შვიდეულიდან სულთმოფენობის ჩათვლით, ხოლო შემდეგ ისევ ივნისის მსახურება გრძელდება.
4. როგორც სათვეო ნაწილი, ისე ზატიკი მთლიანად განყოფილია ცხრაოდიან სისტემაზე. სხვა საგალობლებიდან მასში შესულია სტიქარონები, ლიტანიისაჲ, წარდგომები, იბაკოები, გამოავლინებები, კონდაკები.
5. ტექსტს ორი მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს: ა) მასში არ არის მოტანილი არც ერთი საკითხავი; ბ) ზატიკის მსახურებები მხოლოდ ძირითადი დღესასწაულების სახითაა წარმოდგენილი და არ არის სადაგი დღეების მსახურებები.
6. ხელნაწერის ტექსტი, სავარაუდოდ, აწყობილია კონკრეტული ტაძრისთვის და მორგებულია კონკრეტულ წელიწადს, როცა ხარება და ლაზარეს აღდგინება დაემთხვა ერთმანეთს, ან ერთმანეთს მიჰყვა. ბ) ზატიკის ტექსტი ადრეული რედაქციის უნდა იყოს, როცა მასში მხოლოდ ძირითადი დღესასწაულები შედიოდა და არა სადაგი დღეების მსახურებებიც.
7. ტექსტი შიგადაშიგ აღდგენილია გვიანდელი, უხეში ნუსხურით.
8. ზოგიერთ ადგილას მითითებულია საგალობლების ავტორები **ანდრია** (86v), **ბასილი** (54v), **კოზმან** (89v, 93r).
9. ფურცლების აღრიცხვისას იყო მექანიკური ნახტომი 132-დან 134-ზე. შესაბამისად ხელნაწერში ფურცლების რაოდენობა არის 140 და არა 141.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. სადღესასწაულო, 1865 წ.
2. ლილი ხევსურიანი, ზატიკის ორი ძველი ქართული რედაქცია, წიგნში ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, 1/2008. გვ. 223-348.
3. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 24.

კურთხევანი [XVII]

1446/36

ტიქნიკური აღწერილობა:

150 ფ. ზომები: ყდა – 215×158, ქალაღი – 208×160, ტექსტი – 160×122, სის-ქე – 28; სტრიქონებს შორის მანძილი – 4; არშიები: ზედა – 20, ქვედა – 38, მარჯვენა – 25, მარცხენა – 16. ქალაღი. მელანი – შავი, წითელი. კოლენკორ-გადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. სტრიქონების რაოდენობა – 22. აღრიცხვა – რვეულებრივი, იწყება ი რვეულით და მთავრ-დება არასრული ფ რვეულით, რომელშიც შედის მხოლოდ ექვსი ფურცელი. განკვეთილობის ნიშნები – •, •. ახლავს თავსამკაულები; ხელნაწერი თავბოლო-ნაკლულია. [XVII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელ-ნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს ქართლის ერთ-ერთი ეკლე-სიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] კეთილად შეერთებითა უფლისაჲ. შენ გვაცხოვნენ. ყო-ვლად წმიდისა. მღუდელმან: მშვენის შენდა ყოველი. დიაკონ. უფლისაჲ მიმართ. ღმერთო საუკუნეთაო, რომელი განყოფილთა შეკრებ ერთად და საკრველითა სიყვარულისათა შეკრავ განუწყნელად ... (1r).

წყდება: ... ჴორცისაჲ და სისხლისა მისისა და განსაწმენდელად ცხოვრე-ბისაჲ საუკუნესა დამკვიდრებად სასუფეველსა ცათასა განყოფილისა მათთვის რომელნი სუ[...] (150r).

ტიქსტის შედგენილობა:

1. [ქორწინებაჲ] (1r-5r).
2. კურთხევა ზეთისა (5r-27r).

3. კურთხევა მცირისა აიაზმისა (27r-35v).
4. წესი დიდისა აიაზმისა წმიდისა ღმრთისაჲ განცხადებისა წინა დღესა ღმრთის განცხადებისასა შემდგომად ამბონისაჲ(!) ლოცვისა ... (35v-45v).
5. სვიმეონ თესალონიკელისა მიერ თქმული ჯერ არს მოძღვრისა მიერ, რაჲთა ქონდეს ადგილი განმზადებული და მუნ აღუვარებდენ (45v-48v).
6. ლოცვაჲ სულთბრძოლისა (48v-53v).
7. წესი, რომელი აღესრულების ერისკაცსაჲ ზედა შესუენებულისაჲ, რაჲამს განვიდეს ამიერ სოფლით (53v-75r).
8. ლოცვა და წესი მღვდელსა ზედა მიცვალებულსა (75r-102v).
9. წესი, რომელი აღესრულების მონაზონსა ზედა ... (102v-116r).
10. წესი, რომელი აღესრულების ჩჩვილსა ზედა აღსრულებულსაჲ ... (116r-124r).
11. წესი, რომელი აღესრულების პანაშვიდსა ზედა ახლად თარგმნილი ბერძელისაგან, რომელსაჲ აღვასრულებთ მიცვალებულსა ზედა ... (124r-131v).
12. ლოცვაჲ შემდგომად სიკუდილისა შესანდობელი მოძღვრისა მიერ ... (131v).
13. შენდობის წიგნი მღვდელთმთავართა მიერ ვისთვისაც ენებოს ... (131v).
14. წესი სულის წმიდის მოსლვისა კვრიაკესა მწუხრად წმიდისაჲ მეერგასისა ... (132v-145v).
15. წესი, რომელი იქმნების მოქცევასა ზედა სარკინოზთაგან წმიდისა მომართ და ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა ჩუენ ქ[რისტ]ეანეთა მოქცევა მამადიანთა ... (145v-150v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. გაბიძაშვილი ენრიკო, ლიტურგიკა და ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2011, გვ. 115-116.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 24.

3ნებისა და აღდგომის კვირიაკითა საკითხავები [XVII]

1446/37

ტიქნიკური აღწერილობა:

10 ფ. ზომები: ყდა – 155×115, ქალაღი – 150×110, ტექსტი – 130×90, სისქე – 10; სტრიქონებს შორის მანძილი – 3; არშიები: ზედა – 10, ქვედა – 15, მარჯვენა – 20, მარცხენა – 15. ქალაღი. მელანი – შავი, წითელი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. სტრიქონების რაოდენობა – 18. აღრიცხვა – რვეულებრივი, შემორჩენილია მხოლოდ ნდ (54-ე) რვეული. განკვეთილობის ნიშნები – •, •. ხელნაწერი თავბოლონაკლულია, აკლია შემდეგ ფურცლებს შორის: 9-10. [XVII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია **ქართლის** ერთ-ერთი ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] მსახურებად ღმრთისაჲ ცხოველისა. სახარებაჲ ლუკასი – მას ჟამსა შინა შეკრბეს მოხუცებულნი ერისანი, მღდელთმძღუარნი და მწიგნობარნი და აღიყვანეს საკრებულოსა მათსა და ეტყოდეს: უკეთუ შენ ხარ, მითხარ ჩუენ ... (1r).

წყდება: ... აღდგომასა უფლისა ჩუჴნისა იესუს ქრისტესსა. ფსალმუნი: ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან ... (10v).

ტიქსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

ხელნაწერში შემორჩენილია მხოლოდ დიდი პარასკევისა და აღდგომის საკითხავები ფრაგმენტულად.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 25.

მარხვანი [XIV-XV]

1446/38

ტიქნიკური აღწერილობა:

504 ფ. ზომები: ყდა – 262×190, ქალაღი – 250×180, ტექსტი – 196×125, სისქე – 111; სტრიქონებს შორის მანძილი – 10; არშიები: ზედა – 161, ქვედა – 30, მარჯვენა – 29, მარცხენა – 28. ქალაღი, მელანი – შავი, წითელი. კოლენ-კორგადაკრული მუყაოს მუქი ყავისფერი ფერის ყდა. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. სტრიქონების რაოდენობა – 20. აღრიცხვა – ფურცლობრივი. განკვეთილობის ნიშნები – •; •; ••. ხელნაწერი თავბოლონაკულია. ფურცლები დალაქავებული, კიდებმობხეული. [XIV-XV] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს გორიჯვრის ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] მღუდელთმოძღუარნი, მეფენი და მთავარნი, მონაზონნი და [...] და ყოველი ჰასაკი ერისკაცთაჲ: ჩჩვლთა და ქაბუკთა, დადაანესენ იგი ზეცათა შენსა სასუფეველსა ... (1r).

ნუსხური:

1. ტექსტის ხელით: „ესე სწ[...] აქა დამრჩა და ბოლოს ამავე ფურცლის სწერია“ (48r, მარჯვენა არშია).
2. ტექსტის ხელით: „ესე სანინასწარმეტყველო დედას არ ეწერა, თავს ესე უნდა მერმე ესე ზემო თქვთ“ (49r, მარჯვენა არშია).
3. ტექსტის ხელით: „ესე იბაკოჲ ყველთა მწუხარეთა სერობისა ხუ-ჭდრთა ზედა საქმ და ჩუენთაჲ ეკლესიათა შინა აჰგრე ვიტყვთ და თქუენ რაჲცა გენოდოს იგიცა ბრძანეთ ჩუენი არა საქმეა“ (220r, მარჯვენა არშია).

4. ტექსტის ხელით: „ესე სამოციქულო მღუდელთმოძღუართა თვსცა ითქუმის ოდესცა გინდეს“ (229v, მარცხენა არშია).
5. ტექსტის ხელით: „გალობათა სასრულად და მე ორივე დამინერია გალობანი სრულად და ხუჭდრნიცა სრულად წესისაებრ მათისა ნუვის უცხო გიჩინს, ნუცა გვნილობის თქუმაჲ ყოველი შაბათ სუბუქარსა გარნა ეს დიდ და მიძიმე დაწერისაგან თქუმაჲ უადვილეს არს შენდობაჲ ყავთ ყოველივე რამეთუ ესე ჩანს წინაშე თქუენთაჲ მე არა“ (292r, ქვედა და მარჯვენა არშია).
6. ტექსტის ხელით: „გალობანი მარხვისა კე პოვნე დნი წიგნად სიტყვსა ღმრთისა“ (335r, მარჯვენა არშია).
7. ტექსტის ხელით: „სან[....] სახარებაჲ ამ სნ[...]" (358r, მარჯვენა არშია).
8. ტექსტის ხელით: „ოდეს ჯუარი ტურფაა დაჭირელად ბრძანეთ თქუენსა კეთილსა, თუცა ძნელად ს..... მე არა (337r, ქვედა არშია).
ტექსტის ხელით: „უნყებაჲ ვითარმედ არა გვსწავიეს პალესტინეს შინა წმიდა ამას დღესა ქმნა განახლებისაჲ, არცა სრულისა ყოვლის წირვისა არცა განგებაჲ ტრაპეზისა, არცა ერთს ვგამთ ყოვლად რაჲთურთით უკუეთუ ვისმე ფრიადისა უძღურებისაგან ვერ ეძლოს ამისი ქმნაჲ შემდგომად მზისა დასლვისა მიეცეს მას პური და წყალი, რამეთუ ესრეთ გვსწავიეს განწესებასა შინა ყოველთა წმიდათა მოციქულთასა ღმერთშემოსილნო (344r, ქვედა არშია).
ტექსტის ხელით: „მემცა უბრალო ვარ ტვბიკონსა ესრეთ ეწერა, ჰ ღმერთშემოსილნო“ (344r, მარჯვენა არშია)
9. ტექსტის ხელით: „ქრისტე ღმერთო მშვდობით აწმარე წმიდაჲ ესე წიგნი პატოსანს შუწნიერს“ (351r, მარცხენა არშია)
10. ტექსტის ხელით: „ებ..“ (443r, მარჯვენა არშია)

მხედრული:

1. ფანქრით: „ქ. ეს მარხვანი წმინდის გიორგის გორისჯვრისა, ვინც მოიპაროს ისიმც რისხამს“ (505r)
2. ფანქრით: ქ. მარხვანი არის ვინც მაიპაროს ამის [...] (505r)

3. ფანქრით: მოიხსენე სული ასე ვინც წაიკითხოს სუ ღმერთმან გაიგრი [...]" (505r)
4. ვარჯიში წერაში (505r)

შენიშვნა: ხელნაწერში შედის დიდმარხვის მსახურებები ხორციელის შაბათიდან აღვსების კვირიკემდე. რედაქციული თავლსაზრისით ტექსტი განსხვავდება შედარებით ახალი მარხვანებისაგან. გამლილი სახით არის წარმოდგენილი როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის საკითხავები.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 25.

ქალვაჟიანი [XIX]

1446/39

ტიქნიკური აღწერილობა:

6 ფ.; ზომები: ყდა – 255×204, ქალაღი – 250×194, ტექსტი – 160×202, სის-ქე – 2, სტრიქონებს შორის მანძილი – 8; არშები: ზედა – 25, ქვედა – 17, მარჯვენა – 16, მარცხენა – 22; ქალაღი. მელანი – შავი, წითელი; კოლენ-კორგადაკრული მუყაოს, მოლურჯო, ახლადრესტავრირებული ყდა; დამწერ-ლობის სახეობა – მხედრული; შემწნევა განკანონების ხაზები; სტრიქონების რაოდენობა – 25; აღრიცხვა – გვერდობრივი; აკინძული, თავბოლონაკლული, ფურცლები – კარგად შემონახული. [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეო-გრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს გორისჯვრის ეკლესიიდან.

შინაარსობივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] ნებული წიგნებო უნდა მიუტანო და ის ჴემწიფე, დიას, დიდს წყალობას მიბოძებსო და ან შენ წაილე ეს წიგნებო ... (1r).

წყდება: ... შენ ჩემი ხარ, მე შენი ვარო და მოიწონეს ყოველთა დარბაი-სელთა და აქორწილეს ვაჟი და ქალი ხემწიფემ [...] (1r-6v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 35.

თეოდორე აღმსარებელი, სულიერნი სწავლანი [XVI]

1446/40

ტიქნიკური აღწერილობა:

69 ფ. ზომები: ყდა – 260×189, ქალაღი – 250×183, ტექსტი – 166×136, სისქე – 25; სტრიქონებს შორის მანძილი – 9; არშიები: ზედა – 26, ქვედა – 60, მარჯვენა – 20, მარცხენა – 23. ქალაღი. მელანი – შავი, წითელი. კოლენკორგადაკრული მუყაოს მუქი ყავისფერი ყდა. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. სტრიქონების რაოდენობა – 20. აღრიცხვა – რვეულებრივი, იწყება ა (1) რვეულით, წარმოდგენილია მისი 7 ფურცელი, გრძელდება ბ (2) რვეულით – 8 ფურცელი, შემდეგ გ (3) რვეულით – 6 ფურცელი, (4-9) 8-8 ფურცლიანი რვეულებით და არასრული ი რვეულით, რომლის მხოლოდ 1 ფურცელია. რვეულებრივი აღრიცხვა აღნიშნულია ნუსხური გრაფემებით, თავზე ქარაგმით, რვეულის დასაწყისსა და დასასრულს. ზოგჯერ გრაფემას ქარაგმასთან ერთად ახლავს სამწერტილი მარჯვენა და მარცხენა მხარეს (მაგ. ბ, დ რვეულები). განკვეთილობის ნიშნები – ⋈ , ⋉ , ⋊ . ხელნაწერი თავბოლონაკლულია. [XVI] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. გვიანდელი მიწანერის მიხედვით, ხელნაწერი **გორიჯვრის წმიდა გიორგის** ეკლესიისთვის შეუწირავს **დავით ამილახვარს**. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **გორიჯვრის** ეკლესიიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. **სწავლანი სულიერნი წმიდისა და ნეტარისაჲ მამისა ჩუენისა თეოდორე აღმსარებელისა სტოდიელთა წინამძღურისანი თვსთა მონაფეთა მიმართ, ყუჭლიერისა კვრიაკითგან ვიდრე დიდად ოთხშაბათამდე, რომელნი წარიკითხვან დიდთა მარხუათა შემდგომად სერობისა ლოცვსაჲ და ისმენენ ყოველნი ძმანი ზე დგომით, მდუმრიად ყოვლითა ლმობიერებითა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, სახიერი ღმერთი ჩუენი, რომელი მომცემს ჩუენ ცხორებაჲსა და წლითინლად მომიყუანებს ჩუენ ჟამსა ამას მარხვსასა ... (1r-2r).**

ტიქსტის შედგენილობა:

2. **ორშაბათსა ა მარხვათასა უვნებლობისა, რომელი ითქუა დაწყებასა მარხვათასა. გუაკურთხენ, მამანო – ძმანო და მამანო, მარხვსა ესე ჟამი ყოველსავე შინა წელიწადსა შერთებული(!), მსგავს არს ნავთსაყუდელსა რაფსამე ... (2r-3v).**
 - 2.1. **სამშაბათსა ა. ზ. წსენებისათვს სიკუდილისა და სიტყვსგე-ბისათვს საქმეთა ჩუენთასა წინაშე საშინელისა მას სამშჯავ-როსა [...], გუაკურთხენ – ძმანო და მამანო, ყოველსა ჟამსა და ყოველსა დღესა სარგებელ არს წსენება სიკუდილისა ... (3v-5v).**
 - 2.2. **ოთხშაბათსა ა. ზ. მოთმინებისათვს ვნებათასა და სიკუდი-ლისათვს სულიერისა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, მოწვენილი ესე ჟამი მარხვსა ჟამი არს შრომათა და ოფლთა ... (5v-8r).**
 - 2.3. **ხუთშაბათსა ა. ზ. განშუწნებისათვს უხრწნელისა სამკვდრე-ბელისა ჩუენისა სათნოებათა სამკაულითა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, სოფლისა ამის კაცნი რაჟამს სახლ-თა მრავალსაყიდლისათა ... (8r-9v).**
 - 2.4. **პარასკევსა ა. ზ. საღმრთოჲსა მოქალაქეობისათვს. გუაკურ-თხენ, მამაო – ძმანო და მამანო, ყოვლადვე ჯერ არს ჩუენდა ზრახვად სულიერთათვს მოწსენებად თქუენდა და ზრახვად სულთა სარგებელისა ... (9v-11r).**
 - 2.5. **შაბათსა ა. ზ., რაფთა მწნედ მტკიცე ვიყვნეთ მართალსა ში-ნა სარწმუნოებასა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, წინამდებარე არს ჩუენდა დღითიდღეთა ამათ შინა მარხვსათვს ზრახვად ... (11r-12v).**
 - 2.6. **კვრიაკესა ა. ზ. წმიდათა მარხვათასა, რაფთა გამოვზარდოთ ხედვათა მიერ სულიერთა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, ვინაფთგან ყოველი დასაბამი ძნელ არს, დაწყებაცა მარხვსა შეცვალებისათვს ჭამადთასა და მოსწრაფებათასა სიფიცხესა და სიმყვრტესა შეიქმს ... (12v-13v).**
3. **ორშაბათსა ბ. ზ., რაფთა არა გვყუარდეს სოფლისა ამის ზრუნ-ვანი და საშუჭბელნი და სურვლისათვს საუკუნეთა კეთილთასა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, სარბიელსა წმიდათა მარხ-ვათასა წინამდებარედ აქუს ლუანლი მარხვსა ... (13v-15r).**

- 3.1. **სამშაბათსა ბ. ზ. სულიერისაჲ დღესასწაულისთვის და რაჲთა მივემთხვნეთ სასუფეველსა ცათასა. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, ვითარცა სოფელსა შინა იქმნებიან კრებაანი აქა და იქი წლითინლად, რაჲთა შინა მირბიან კაცნი განსყიდად და მოსყიდად ... (15r-16r).**
- 3.2. **ოთხშაბათსა ბ. ზ., რაჲთა დავიცვათ სული გამხრწნელთაჲ ვნებათაგან. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, ვი-მარხეთ რაჲ პირუელი იგი შვედელი სხუჭბრ რაჲმე ... (16r-17r).**
- 3.3. **ხუთშაბათსა ბ. ზ. რაჲთა [...] და კუროსთავნი ვნებათა, არა-მედ რაჲთა [...] სათნოებათანი გამოვიხუნეთ. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, რაჲ ვთქუაჲ, ანუ რასა ვიტყოდი უახლესსაჲ წმიდათა მათ თქმულისაჲ დღითიდღე ... (17r-18v).**
- 3.4. **პარასკევსა ბ. ზ., ერთობისათვის და სიყუარულისა და მწნედ ტვრთვად ტკივილთა სათნოებათაჲ და მიმთხუცვად სასუფე-ველსა ცათასაჲ. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, მიხა-რის თქუენთვის გლახაკსაჲ ამას, რამეთუ ზოგებით სცხოვნდე-ბით ... (18v-19v).**
- 3.5. **შაბათსა ბ. ზ. მოქალაქეობისათვის კეთილისაჲ და წსენებისათვის სიკუდილისა და მერმისა მისთვის მოსაგებელისაჲ. გუაკურ-თხენ, მამაო – ძმანო და მამანო, მნებავს უწყებაჲ სიყუარუ-ლისაჲ თქუენისაჲ ... (19v-22r).**
- 3.6. **მეორესაჲ კვრიაკესა მარხვათასაჲ, რაჲთა მშვდობაჲთ აღ-ვასრულებდეთ დღეთა მარხვასათაჲ სასოებითა საუკუნოსაჲ ცხორებისათვის. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, კე-თილ არს მარხვაჲ, უკუეთუ აქუნდეს თვსებაჲ თვისი, რომელ არს მშვდობაჲ ... (22r-23r).**
4. **ორშაბათსა გ. ზ. სიმდაბლისათვის და მოთმინებისაჲ. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, რომელთა-ესე სნეულად მგზებარედ გუაქუს სიყუარული ქრისტესი ... (23r-24v).**
- 4.1. **სამშაბათსა გ. ზ. არა ხოლო ჭამადთაგან, არამედ ყოველთაჲ ვნებათაგან. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, [...] სწა-ვლაჲ პატიოსანთა მიმართ სასმენელთა თქუენთა შეურაცხთა სიტყუათა ჩემთაგან ... (25r-27r).**

- 4.2. **ოთხშაბათსა გ. ზ. მყისა [...]** განსლვსა ჩუენისათვს, რაათა კრძალულად დავიცუნეთ საცნობელნი და გონებაჲ უჯეროთა გულისსიტყუათაგან. **გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, წმიდისა ამის მამისაჲ და მოძღურისაჲ აქა ყოფასა, არა ჯერ არს ჩემდა ზრახვად ... (27r-28r).
- 4.3. **ხუთშაბათსა გ. ზ., რაათა მადლობით მოვითმენდეთ მწუხარებათაჲ მომავალთა ჩუენ ზედა.** **გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, საქმეთა ჩემთა მიხედენ, რამეთუ ბოროტ არიან და ვიცი და უძღურმან ამან სიტყუაჲმან ჩემმან ვერარა შეუძლოს რგებად თქუენდა ... (28r-29r).
- 4.4. **პარასკევსა გ. ზ. მოთმინებისათვს, განსაცდელთათვს მარხვსაათაჲ.** **გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, გუშინ შფოთმან მომიცუნა და დღეს დაწყნარებაჲმან, გუშინ ანდერძის წერამან და დღეს მყუდროებაჲმან ... (29r-30r).
- 4.5. **შაბათსა გ. ზ., რაათა არა უდებ ვიქმნეთ თვისსა ცხორებისათვს, ვიდრე სიკუდილაჲდმდე.** **გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, მენავთმოძღურისა თვისი არს წარმართებაჲ ნავისა წინამდებარისა ... (30r-32r).
- 4.6. **კვრიაკესა დ(!). ზ., რაათა [...]** ჩუენთაგან ყოველი მოწყინებაჲ და ვდგეთ საქმედ სულიერად. **გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო და შვილნო, ვითარცა თვთუელისაჲ თქუენისაჲ თანაჲც თვისსა მსახურებისაჲ საქმე ... (32r-34r).
5. **ორშაბათსა დ. ზ., რაათა განვეკრძალნეთ სწავლათაგან და მხილებათაჲ წმიდათა მამათასაჲ.** **გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, ვინათგან ჩუენდა საქმედ და მსახურებაჲდ სიტყუაჲ მოცემულ არს სწავლისა ... (34r-35v).
- 5.1. **სამშაბათსა შუამარხვსასა საშინელისა დღისა და სჯულისა და მერმისა მისთვის მოსაგებელისა.** **გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო და შვილნო, უკუეთუ უნდოსა ამის სწავლისა ჩუენისაგან ირგებთ რასა თქუენ ... (35v-38r).
- 5.2. **[...] შუამარხვსასა ვითარმედ აღვსებაჲ ესე სახე არს საუკუნოსა აღვსე[...].** **გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, აჰა ესერაჲ, მარხვანი წარვლენ და უხ[... ..] სულსა მოწვევისათვს აღვსებისაჲ ... (38r-39r).

- 5.3. ხუთშაბათსა შუამარხვასა მადლობისა და წესიერებისათჳს. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო და შვილნო, მოგინოდს თქუენ სწავლაჲდ და მნებავს, რაათამცა მრავალსახე და თვთოფერი მქონდა ... (39r-41r).
- 5.4. პარასკევსაჲ შუამარხვასაჲ, ვითარმედ მოკუდინებითა [...] თათა [...] ...რღღაჲ დღესასწაულობაჲ და ზატიკობაჲ. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, აღვსებისა დღე მოგუჭახლების, ვინაცა შეწვენითაჲ ღმრთისაჲთა განზოგებაჲ მარხვათაჲ განვლეთ ... (41v-42v).
- 5.5. შაბათსა დ, ვითარმედ თანა-აც წინამძღუარსაჲ, რაათა ასპარეზსა შინა სათნოებისასა, რომელი მოსწრაფედ მოიყვანებს მტერთა მიმართ ძლევა აღიღონ და გვრგვნი საუკუნონი ღუანლისა დამბაჲდებელისა ღმრთისაჲგან მოიხუნენ. გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, ჴორციელთაჲ მათ მორბედთა ზედამდგომელნი რაჲმე არიან, რომელნი ასწავლიან ღუანლთა მიმართ ... (43r-46v).
- შენიშვნა: ეს თავი ორჯერ არის დაწყებული. ერთგან შაბათის საკითხავის ნაცვლად გადამწერს შეცდომით პარასკევის საკითხავის გადმოწერა დაუნყია.
- 5.6. კვრიაკისაჲ დ, რაათა მადლობით თავს ვისხნეთ [...] ეულ [...] მწყემდელებისაჲ კადნიერებისათჳს. გუაკურთხენ – მამანო და ძმანო ჩემნო, ამისთვის შემოგყვანნა ჩუენ [...] ამას, რაათა საქმეთა შინა კეთილთა ვმონებდეთ მას ... (46v-49v).
6. ორშაბათსა ე [.....] გუაკურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო და შკლნო, სულიერნო ... (49v-52r).
- 6.1. სამშაბათსა ე. ზ., რაათა ნ[...] ყოველი სიკუდილისაჲ და მას შინა ყოფადისა [...]. გუაკურთხენ, მამანო – შვილნო ჩემნო და ძმანო და მამ[...] [... ...], კუალად პირი ჩემი და მიგცე თქუენ სიტყუაჲ ... (52r-53v).
- 6.2. [ოთხშაბათსა ე.ზ.] – [...] წყლულებასა მას უკურნებელაჲდ, ვინათგან სიკუდილი მპარავი არს და უწყით, რომელსა ჟამსა მპარავი მოვალს ... (54r-v).
- 6.3. ხუთშაბათსა ე. ზ., ვითარმედ ჯერ არს ჩუენდა ყოველთა წად... [.....] ...ინებითა ვიქმოდეთ ცხორებასაჲ ჩუენსა. გუა-

კურთხენ, მამაო – ძმანო და მამანო, ყოვლისავე საქმისა ჟამი არს მსგავსად წერილისა ... (54v-56r).

- 6.4. **პარასკევსა ე. ზ., ვითარმედ არა ჯერ არს, რაჟთა განულოთ კარი ეშმაკსა [...]** გულისსიტყუათათა. **გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, არა უშრომელად გეტყვ თქუენ მცირედთა ამათ სიტყუათაჲ ... (56r-57v).
- 6.5. **შაბაჲთსა ე. ზ., რაჟთა გულისმოდგინედ წინააღუდგეთ ბრძოლათა უკეთურთა ეშმაკთასაჲ.** **გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, ვინაჲთგან დღეთაჲ ამათ მარხვსათაჲ შემოვლენ ჩუენდაჲ ჰამბავნი ჯორციელთა საქმეთანი ... (57v-59r).
- 6.6. **კვრიაკესა კაცთმოყუარებისათჳს ქრისტეს ... და სათნოდ წარმართებისათჳს გონებისა გამოუთქმელთა მათ [...]** **გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, მცირედ არიან მსმენელნი, რამეთუ ძმანი ვიეთნიმე წარუდეს ... (59r-60v).
7. **ორშაბათსა ვ. ზ [... ..] – ძმანო და მამანო, დღეთა ამათ შინა წმიდათაჲ მარხვათსაჲ ყოველ თანა-მაც სწავლაჲ ...** (60v-62r).
- 7.1. **სამშაბათსა ვ. ზ. სიყუარულისათჳს და მორჩილებისაჲ** – ძმანო და მამანო, რომელი-იგი პირველსა მას სწავლასაჲ წარმოვსთქვ, მაშინ მოსრულთა მათთჳს წარმოვთქვ ... (62r-63v).
- 7.2. **ოთხშაბაჲთსა ვ. ზ. წსენებისათჳს სიკუდილისაჲ.** **გუაკურთხენ** – ძმანო და მამანო, რამცა იყო ესრეთ კეთილ და სარგებელ სულისა ... (63v-66v).
- 7.3. **ხუთშაბაჲთსა ვ. ზ. დღისა მისთჳს დიდისა, გამოჩინებისა უფლისაჲ** – ძმანო და მამანო, აჰა ესერა, ორმეოცთა დღეთა დასასრული მოიწიაჲ ... (66v-68r).
- 7.4. **პარასკევსა ბზობისასა, ვითარმედ რომელთა ჭირთა შინა [...]** **[.....] შინა იშუჭბდენ.** **გუაკურთხენ, მამაო** – ძმანო და მამანო, ყოვლისავე კაცისაჲ დასაბაჲმი სიტყვსათჳს, გინა საქმისაჲ დაწყებაჲსა ჭირით და ურვით იქმნების ... (68r-69v).

წყდება: ... რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი დაუსჯელად მიწევნად და თაყუანისცემად [...] კეთილსა ქრისტეს იესუს მიერ უფლისაჲ ჩუენის ... (69v).

ანდერძი:

გვიანდელი ნუსხურით: „ეჰა, ყოვლად პატიოსანო და სახელოვანო, მონამეთა შორის წარჩინებულო და სასწაულთა მოქმედო, მწნეო მწედარო უფლისაო, დიდო მონამეო **გიორგი**, მე, ფრიად ცოდვილმან ამილახორის შვილმან **დავით**, შემოგწირე მცირე ესე შესანიერი მარხვანი, რაჟთა მეოხ ეყო ცოდვილსა სულსა ჩემსა და მეუღლესა ჩემსა **დიასამიძის ასულს გუქას** და ძეთა და ასულთა ჩუენთა, უკუნიითი უკუნისამდე, ამინ“ (52r, ქვედა არშია).

მინაწერები:

1. **ნუსხური, ტექსტის ხელით:** „ქ. მოიხსენე, უფალო, სასუფეველსა შენსა სახლის ხუცესი გიორგი“ (18r, ქვედა არშია).
2. **ნუსხური, ტექსტის ხელით:** „ღმერთო, მოხედენ“ (37r, ქვედა არშია).
3. **ნუსხური, ტექსტის ხელით:** „ღმერთო, შეინყალე“ (40r, 65r, ქვედა არშია).
4. **ნუსხური, ტექსტის ხელით:** „ღმერთო, შეინყალე ცოდვილი“ (64r, ქვედა არშია).
5. **ნუსხური, ტექსტის ხელით:** „ღმერთო, შეინყალე ფრიად ცოდვილი გაიანე“ (67r, ქვედა არშია).
6. **მხედრული:** „ქ. ესე წმინდა მარხვანი გორისა ჯვრისა არის, ღმერთმან მოახმაროს“ (12v, ქვედა არშია).
7. **მხედრული:** „ქ. ეს მარხვანი თომასი არის“ (16r, ქვედა არშია).
8. **მხედრული:** „ქ [...] შინა“ (48r, ქვედა არშია).
9. **მხედრული:** „[...]შვილი სოლომონ“ (61r, ზედა არშია).
10. **გვიანდელი მხედრულით:** „ქ. წმინდის გიორგის გორიჯვრისაისიმც არის მც(ი)რის ამ[ა]ს, ვინც გამოახვას იმის ეკლესიას“ (1r, ქვედა არშია).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგომიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 26.

მცირე რჯულისკანონი [XVII]

1446/41

ტიქნიკური აღწერილობა:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 48.

გამოკრებილი საკითხავნი და ცხორებანი [XVII]

1446/53

ტიქნიკური აღწერილობა:

230 ფ. ზომები: ყდა – 149×102, ქალაღი – 14×98, ტექსტი – 117×71, სისქე – 40; სტრიქონებს შორის მანძილი – 2. არშიები: ზედა – 13, ქვედა – 11, მარჯვენა – 15, მარცხენა – 11. ქალაღი. მეღანი – შავი, ყავისფერი. ხელნაწერს აქვს ტყავის დაზიანებული ყდა, ალაგ-ალაგ გადაქექილი. დამწერლობის სახეობა – ნუსხური, სათაურები და საზედაო გრაფემები – სინგურით. სტრიქონების რაოდენობა – 30. აღრიცხვა – რვეულებრივი, იწყება ზ (მე-7) რვეულით და მთავრდება ლე (35-ე) არასრული რვეულით. განკვეთილობის ნიშნები: •, ❦, ❧, ♪. ხელნაწერი რესტავირებულია, დალაქავებული, თავბოლონაკლული. ზოგიერთი თავის დასასრული მომდევნო თავის დასაწყისისაგან გამოყოფილია შავი და წითელი მეღნით შესრულებული ნიშნებით. [XVII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია სოფელ მერეთიდან 1924 წელს ისაია ფურცელაძისაგან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. თუჯსა კუალად სეკდენბერსა ჴ საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჭნისა თეოდორე აღმსარებელისა სტუდიელთა წინამძღურისა. შობისათვის ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუჭნისა ღმრთისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისაჲ. გვაკურთხენ, მამაო – ბრწყინვალედ დღესასწაულობს დღე ესე დიდებული, რომელსა მოუგის ახლად ცად ქალწული ყოვლად ქებული, რამეთუ ჩჩვლად იშვაჲ ქუეყანასა ზედა სულიერი პალატი ცათა მეფისა, მხილველ იქმნაჲ ნათლისაჲ, უმცხინვარესი იგი მზისა შარავანდედითა კრთომისა ბერნისაგან აღმოგვბრწყინდა ყოვლად დიდებული სახელი ქალწულებისაჲ ... (1r-10r).

შენიშვნა: კორნელი კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი V, თბილისი, 1957, გვ. 57-58.

2. **თუჴსა სეკდენბერსა იდ წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ანდრია მთავარებისკოპოსისა, სიტყვაჲ ყოვლად მსოფლიოსათჴს ამაღლებისა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისაჲ. მამაო, გვაკურთხენ** – ჯვარისა კრებაჲსა აღვასრულებთ და ყოველივე ეკლესიისა განბრწყინდების, სავსებაჲ ჯუარისაჲ კრებაჲსა აღვასრულებთ და სიხარულისა კამკამებითა ელვარეობს პირი ყოვლისა სოფლისაჲ ... (10r-15v).

შენიშვნები:

1. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 500-501.
 2. მთარგმნელი – ექვთიმე ათონელი.
 3. ტექსტი გამოცემულია: ნ. გოგუაძე, ძველი მეტაფრასული კრებულები, თბილისი, 1986, გვ. 309-315.
3. **თუჴსა ოკდონბერსა კვ წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მონამისა დიმიტრისა. მამაო, გვაკურთხენ** – მას ჟამსა შინა უსჯულომან მეფემან მაქსიმანე დაიმორჩილნა გუთნი და სავრომატნი და მოვიდა თესალონიკელთაჲ ქალაქსა და მუნ იმყოფებოდაჲ ... (15v-20r).

შენიშვნები:

1. კიმენური რედაქცია. მთარგმნელი ექვთიმე ათონელი.
 2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბილისი, 2004, გვ. 173-174.
4. **თუჴსა ნოენბერსა კა საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი ნიკომიდიელისა, რიტორისა ტაძრად მიყვანებისათჴს ყოვლად წმიდისა დედუფლისა ჩუენისაჲ ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. მამაო, გვაკურთხენ** – ბრწყინვალე არს მიზეზი ამის კრებისა, რომლისა მიმართ მიუწდომელისა მის ნათლისა მიმართ აღინევიან აქაჲ შემოკრებილნი ესე ... (20v-28r).

შენიშვნა: ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 403.

5. **თუჴსა ნოენბერსა ლ მიმოდასლვაჲ მოციქულთა ოდეს-იგი წარავლინა უფალმან მოციქული ანდრიაჲ სოფელსა მას კაცისმჭამემელთასაჲ გამოყვანებად მათესაჲ საპყრობილით. მამაო, გვაკურთხენ** – მათ ჟამთა ოდეს იყვნეს მოციქულნი ყოველნი ერთად

შეკრებილ და განიყოფდეს თითოეულად თავისაჲ მათისა ... (28r-40v).

6. **თუცა დეკენბერსა დ წამებაჲ წმიდისა ბარბარასი. მამაო, გვაკურთხენ** – იყო მათ ჟამთა მეფე ვინმე, რომელსა სახელი ერქუა მაქსიმანოს და ჴელმწიფე ვინმე იყო აღმოსავალით კერძო კაცი, რომელსა სახელი ერქუა მარკიანე და უბრძანა მას, რაჲთა უკუეთუ ვინმე იპოოს კაცთაგანი, რომელნი თაყუანის-სცემდენ ქრისტესა, რაჲთა ტანჯუნენ იგინი მრავალფერითა სატანჯველითა ... (40v-47v).

შენიშვნები:

1. კიმენური რედაქცია.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 152.

7. **თუცა დეკენბერსა ვ ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა და საკრველთმოქმედისა მამისა ჩუენისა ნიკოლოზ მთავარების-კოპოზისა მირონ ქალაქისა, რომელ არს ქუეყანასა ლუკიისასა. მამაო, გვაკურთხენ** – ხოლო ცხორებანი და მოქალაქეობანი ღმერთშემოსილთა და წმიდათა მამათანი მსგავს არიან მაგალითსა მხატვართასა, რამეთუ ვითარცა იგინი განიცდიან პირველ გამო-სახულსა მას სახესაჲ და ჴელოვნებით მიამსგავსებენ გამოწერილსა მას და შუწნიერად განანესებენ მრავალფერთა სახეთა ... (47v-65v).

შენიშვნები:

3. კიმენური II რედაქცია.
4. მთარგმნელი: ექვთიმე მთანმინდელი.
5. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 296.

8. **თუცა დეკენბერსა თ. საკითხავი, თქმული წმიდისაჲ და ნეტარისაჲ მამისა ჩუენისა ეპიფანე კვპრელ მთავარებისკოპოზისა, მუცლადღებისათჳს ანნასა, რაჴამს ეხარა შობაჲ წმიდისა ღვთისმშობელისაჲ. მამაო, გვაკურთხენ** – რაჲ არს საიდუმლოჲ ესე, ახალი დადებული ღმრთისაჲ ქუეყანად გარდამოსლვაჲ დაძულებულისა მის ბუნებისა ბრწყინვალედ განახლებაჲ ზარებითა ბუნებაჲსა მას არსსა ... (65v-71v).

9. **სწავლა სიყვარულისათჳს, წინაჲ კვრიაკესა ქრისტეს შობისა საკითხავი. მარგალიტისგან, რომელი იკითხვების მამათმთავართათჳს. მამაო, გვაკურთხენ** – არა რაჲ არს სათნობათა შორის უზემთაჲს

სიყვარულისაჲ, რამეთუ თავადსაცა მეფესა და ღმერთსა ყოველ-
თასა სიყვარულ ეწოდების ... (71v-75r).

შენიშვნები:

1. ავტორი: იოანე ოქროპირი.
2. მთარგმნელი: ექვთიმე მთაწმინდელი.
3. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბი-
ლისი, 2009, გვ. 379.

10. **თუჴსა დეკენბერსა კე უწყებათაგან პირველთა დიდთა გამოწუ-
ლილვითა, შეკრებილი ნეტარისგან იოანე ხუცისა და მონაზონისა
დამასკელისა, სიტყვაჲ ყოვლად ქებულისა შობისათჴს უფლისაჲ
ჩუენისა იესუ ქრისტესსა. მამაო, გვაკურთხენ – რაჴამს ზაფხუ-
ლი მოიწიოს ყოვლისაჲ სოფლისა, ნივთნი კუალად განახლებაჲდ
მოიქცევიან და კაცნი წესიერებითა აგებულეებისათა შეზავებულნი
სიმრთელესა გუამისსა შეინყნარებენ ... (75r-84v).**

შენიშვნები:

1. მთარგმნელი: გიორგი მთაწმინდელი.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბი-
ლისი, 2009, გვ. 459.

11. **თუჴსა იანვარსა ა გრიგოლი ღვთისმეტყველისა, ეპიტაფიად ბა-
სილისსა სტიხოსნი იროიკონი პარაფრასნი ნიკიტა ფილოსოფო-
სისანი. მამაო, გვაკურთხენ – ეჴა, ქრისტესმოყვარეო და მსახუ-
რო და მონაო მისო ერთგულო ბასილი, ვჴგონებდი თუ ნუჴუჴჴ და
ჴორცნი თვნიერ სულისა ცხოვნდენ ... (84v-86r).**

შენიშვნა: ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია,
თბილისი, 2004, გვ. 158.

12. **თვესა იანვარსა ვ. წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი
ღმრთისმეტყველისა, სიტყვაჲ ნათლისღებისათჴს. მამაო, გვაკურ-
თხენ – კუალად იესუ ჩემი და კუალად საიდუმლოჲ საიდუმლო(!)
არა საცთურეანი, არცა უმკობელი ... (86r-93r).**

შენიშვნები:

1. მთარგმნელი: ექვთიმე მთაწმინდელი.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბი-
ლისი, 2009, გვ. 292.

13. **თუცსა ფებერვალსა ბ. საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისაჲ მამისა ჩუცნისა ამფილოქე იკონიელისა, მიგებებისათჳს უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესა. მამაო – მრავალნი დიდთა მათ სახელოვანი კაცთაგანნი საკრველ ჰყვენ ქალწულებსა და არსცაჲ ჭემმარიტად საკრველ ... (93r-99r).**

შენიშვნები:

1. მთარგმნელი: ეფრემ მცირე.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 244.

14. **თუცსა მარტსა თ. წამებაჲ წმიდათა ორმეოცთა სევასტიას წამებულთაჲ, რომელთა სახელები ესე არს. გვაკურთხენ, მამაო – დომენტინოს, კვრილე, ვალენტი, ევტუქი, ევლიკოს, ვალენტიანოს, ფლაბიოს, სამარაგდოს, სისინოს, ლეონტიოს, მელენტიოს, სევრინს, ფელენტიმონ, ანგიას, ჰერაკლოს, ეგდიკოს, კვირიონ, ვალენტიანოს, ალექსანდრიოს, აგაკიოს, ნიკოლას, ვალენტიოს, ევტუქიოს, იოჰანე, გაბიანოს, ქონდიონ, ლუსიმახოს, გალიონ, კლავდიონ, კანდიკოს, ელიას, საკერდონ, დომნოს, გურგუანოს, ათანასი, თეოდოლე, პრისკოს, თეოფილოს, მელიტონ, ანგიას ... (99r-103v).**

15. **თუცსა მარტსა კე იოანე მთავარებისკოპოსისა თესალონიკელისა სიტყვაჲ განკაცებისათჳს უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესსა და ხარებისათჳს ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ. მამაო, გვაკურთხენ – ღამე წარჴდაჲ, ხოლო დღე მოგუჴახლაჲ – ჳმობს მოციქული, უჩინოჲ იქმნა ღამე ცოდჴსაჲ ... (103v-106r).**

შენიშვნები:

1. მთარგმნელი: ეფრემ მცირე.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 108.

16. **თვესა აპრილსა კვ წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მთავარმონამისა გიორგისი. მამაო, გვაკურთხენ – რაჟამს-იგი დაეპყრა კერპთმსახურებასა ეშმაკისასა ყოველი სოფელი, იყო ბერძენთა ზედა მეფე, რომლისა სახელი მისი დეოკლიტიანე ... (106r-115v).**

შენიშვნები:

1. კიმენური I რედაქცია.
2. ტექსტი გამოცემულია. იხ. ენრიკო გაბიძაშვილი, წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, თბილისი, 1991, გვ. 42-73.

3. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბილისი, 2004, გვ. 163.

17. **თუცსა ივნისსა კთ წმიდათა შორის მამისა ჩუენისაჲ, ნეტარისა იოანე ოქროაპირისა, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა. შესხმაჲ წმიდათა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი. მამაო, გვაკურთხენ – ცისა და ქუეყანისა ურთიერთას შესწორებისათჳს ჳდომასა ვხედავ დღეს მონევენულსა ამას დღესასწაულსა ... (115v-120r).**

შენიშვნები:

1. წინარეათონური თარგმანი.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 308.

18. **თუცსა აგვსტოსსა ვ წმიდათა შორის ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა, სიტყუაჲ ფერისცვალებისათჳს უფლისა ღმრთისაჲ და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. მამაო, გვაკურთხენ – აგარაკისაგან მკაჲ სიხარულისაჲ, ხოლო ვენაჳსგან ნაყოფნი სანოვაგეთანი და წერილთაგან სწავლანი ცხოველსმყოფელნი აგარაკსა. ერთი ჟამი აქუს მკისაჲ ... (120r-124v).**

შენიშვნები:

1. ტექსტი გამოცემულია. იხ. ივანე იმნაიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, თბილისი, 1966, გვ. 11-19.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 413.

19. **თუცსა აგვსტოსსა იე მიცვალებჲა წმიდისა ღმრთისმშობლისა ქუეყანით ზეცად, თქმული წმიდისა მამისა კესარიელისა ბასილისი. გვაკურთხენ, მამაო – წინაშე ღმრთისაჲ და მაცხოვარისა, რომელმან საიდუმლოჲ საკრველი აღასრულა ცასა ქუეშე და ქუეყანისა ღმრთისა მიერ დედისათჳს ... (124v-141v).**

20. **თუცსა აგვსტოსსა კთ თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ანდრიასა იერუსალჳმელისა კრიტელ მთავარეპისკოპოსისა თავისკუჭთისათჳს წმიდისა და დიდებულისა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემლისა იოანესსა. მამაო, გვაკურთხენ – ჰკრთების სიბერე, ვითარცა მრავალსახედ მორთხმული ძარღუეზბითა გულსმოდგინებისათა და სიტყუაჲ უძღური განძიერდების აღმღესველთა მსმენელთა წადიერებისათა ... (141v-156r).**

შენიშვნა: ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 171.

21. **კვრიაკესა ჯორცთა აღებისასა, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა. მეორედ მოსლვისათჳს უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესისა. მამაო, გვაკურთხენ –** საყვარელნო, ნურაჲრას პატივს-ცემ უფროჲს შეუორგულებელისა სიყვარულისა, რამეთუ ფრიად ვსცთებით დღითიდღე ყოველსავე ჟამასა ღამისა და დღისასა ... (156r-165r).

შენიშვნები:

1. მთარგმნელი: ეფრემ მცირე.
 2. ტექსტი გამოცემულია. იხ. ილია აბულაძე, მამათა სწავლანი X-XI ს-თა ხელნაწ. მიხედვით, თბილისი, 1955, გვ. 206-214.
 3. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 238.
22. **პირველსა შაბათსა წმიდათა მარხვათასა, წმიდისა მამისა ჩუენისა ნეკტარი კოსტანტინოპოლელ მამათმთავრისა. საკითხავი ესე, რომელი აღწერაჲ სასწაულისა მისთჳს, წმიდისა თეოდორეს მიერ აღსრულებულისა, რომელი-იგი აღასრულა ყოვლად ქებულმან და უძლველმან მოწამემან ჟამთა ივლიანე განდგომილისათაჲ, რომელი იკითხვების პირველსა შაბათსა მარხვათასა. მამაო, გვაკურთხენ –** ბრწყინვალე არს და შუენიერ დღეს მგალობელთა მთავრისა დავითის თანა გალობად ჩუენდა და თქმად ... (165r-172r).

შენიშვნები:

1. მთარგმნელი: გიორგი მთაწმინდელი.
 2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ.161.
23. **შაბათსა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ანდრია იერუსალ-ცმელისა კრიტელ მთავარებისკოპოსისა, სიტყვაჲ ლაზარესთჳს, ოთხ დღე მომკვდარისა, რომელი აღადგინაჲ უფალმან. მამაო, გვაკურთხენ –** ლაზარე შემოკრიბაჲ აწინდელი ესე შესაკრებელი და ეგულების სერობისა ყოფად და ტაბლასა განმჰზადებს ღირსებით ტრფიალთათჳს სათნოებისათა ... (172r-183r).

შენიშვნა: ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 196.

24. **თქმული ნმიდათა შორის ნეტარისაჲ მამისა ჩუენისაჲ იოანე ოქროაპირისა, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა საკითხავი ბზობისათჳს. გვაკურთხენ, მამაო – საკრველთაგან საკრველებად და სასწაულთაგან სასწაულთა მიმართ უფლისათა ვიდოდით, ძმანო ... (183r-187r).**

შენიშვნები:

1. მთარგმნელი: თეოფილე ხუცეს-მონაზონი.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 101.

25. **თქმული იოანე მდაბლისა მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა, სიტყვაჲ ლელჳსათჳს განწყელისა და იგავისა მისთჳს ვენაჴისა. აღმოთქუა, რომელი ესე იკითხების დიდსა ორშაბათსა. გვაკურთხენ – აღმძრავს მე სიტყვად ერთარსი სიტყვაჲ მამისა, რამეთუ იგი მამათა წიაღთა არაოდეს განემორა ... (187r-190v).**

შენიშვნები:

1. მთარგმნელი: ეფრემ მცირე.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 198.

26. **თარგმანი, მათეს თავი უჴ. სწავლა, რომელი იკითხვების დიდსა სამშაბათსა. მამაო, გვაკურთხენ – მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათა ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს სანთელნი თვისნი და განვიდეს მიგებებაჲდ სიძისა ... (190v-192v).**

27. **სწავლა სიყვარულისათჳს და სიმშჳდისა – გულისჴმად ვყვნეთ სიტყვანი ესე, ძმანო, ვიდრელა გუაქუს ჟამი და ვიზრუნოთ, ცხორებაჲ სულთა ჩუენტა მოვიგოთ ... (192v-193r).**

შენიშვნა: ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 375.

28. **საკითხავი დიდსა ოთხშაბათსა. მათეს თარგმანი, თავი 3, სწავლაჲ – ხოლო იესუ იყო რაჲ ბეთანიას სახლსა სიმონ კეთროვანისასა, მოუჴდა დედაკაცი, რომელსა აქუნდა ალაბაჲსტრითა ნელსაცხებელი მრავალსასყიდლისა ... (193r-196r).**

შენიშვნა: ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 133.

29. **სწავლა ვეცხლისმოყვარეობისათვის** – ისმინეთ ყოველთა ვეცხლის-
მოყვარეთა, რომელნი შეპყრობილ ხართ სენითა იუდაისითა, ისმი-
ნეთ და განეკრძალენით ბოროტისა ამის ვნებისგან ... (196r-197v).

შენიშვნები:

1. მთარგმნელი: ექვთიმე მთაწმინდელი.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბი-
ლისი, 2009, გვ. 151.

30. **თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქრო-
პირისა, სიტყვაჲ დიდსა ხუთშაბათსა განცემისათვის იუდაისგან
და მიცემისათვის წმიდათა საიდუმლოეთასა და არა რაჲ ვწმობდეთ
ძვრსაჲ. გვაკურთხენ, მამაო, უფალო იესუ ქრისტე – მცირედ
საჭირო არს დღეს თქუენისა მიმართ სიყვარულისა თქუემად, ხოლო
მცირედ საჭიროებაჲ ვთქუ, არა ამისათვის, რომელ დაიმძიმებთ
თქუენ სიმრავლესა სიტყვათასაჲ ... (197v-202v).**

31. **დიდსა პარასკევსა საკითხავი ჯუარცმისათვის და დაფლვისა
უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესსა, თქმული ნეტარისა მამისა
ჩუენისა გიორგი ნიკომიდელ მთავარეპისკოპოსისა. გვაკურთხენ,
მამაო – მაღალსა და აღმატებულსა სახილველსა აღინიაჲ ქადაგებაჲ
იგი სახარებისა და ვითარცა წმამაღალითაჲ ნესტუსა ღალადებითა
სასმენლად თვისსა ტკბილსა სწავლასა ყოველთაჲ მოუწოდს დაბა-
დებულთა ... (202v-210v).**

შენიშვნები:

1. მთარგმნელი: ექვთიმე მთაწმინდელი.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბი-
ლისი, 2009, გვ. 496.

32. **წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ეპიფანე კვპრელ მთავარეპის-
კოპოსისაჲ, საღთოთა წორცთა უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტე-
სითა დაფლვისათვის და იოსებ და ნიკოდიმოსისთვის და ჯოჯოხე-
თად შთასლვისათვის უფლისაჲ ყოვლად განმაცხოველებელისა
ვნებისა მისისა, რომელი-ესე იკითხების დიდსა შაბათსაჲ. გვა-
კურთხენ, მამაო – რაჲ არს ესე დღეს დუმილი ქუეყანასაჲ ზედა,
დუმილი მრავალ ქუეყანასა ზედა და მყუდროებაჲ მრავალი ... (210v-
217v).**

33. **აღვსებესა შემდგომად ამბორის-ყოფისა ესე საკითხავი ერსა
ზედა იკითხების, თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქრო-**

პირისა. გვაკურთხენ, მამაო – რომელნი ხართ ქრისტეს მოყუარენი და მორწმუნენი, მიიღეთ კეთილისა ამის დღისა კრებაჲ ... (217v-218r).

34. **წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყველისა, პასხასათჳს და დაყოვნებისათჳს აღდგომისა. მამაო, გვაკურთხენ** – აღდგომისაჲ დღე და დასაბამი მარჯუჴს და განვბრწყინდეთ კრებასა ... (218r-219v).

შენიშვნები:

1. მთარგმნელი: ეფრემ მცირე.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 306.

35. **წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა, სიტყვაჲ ამაღლებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. მამაო, გვაკურთხენ** – ბრწყინვალე ყოველი დღესასწაული უფლის განგებულებისა და განმაბრწყინებელ გულებსა მორწმუნეთასა ... (219v-221v).

შენიშვნები:

1. მთარგმნელი: ეფრემ მცირე.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 66.

36. **წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი ღვთისმეტყველისაჲ მეერგასისათჳს და სულის წმიდისათჳს. გვაკურთხენ** – დღესასწაულისათჳს მცირედ ვფილოსოფოსობდეთ, რათა სულიერად ვდღესასწაულობდეთ, რამეთუ სხუათა სხუაჲ კრებაჲ, ხოლო სიტყვსმსახურისა სიტყუაჲ ... (221v-226v).

შენიშვნები:

1. მთარგმნელი: ექვთიმე მთაწმინდელი.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009, გვ. 235.

წყდება: თუჴსა სეკდემბერსა აქვს დღე ლ, დღეთა აქვს ჟამი იზ და ლამეთა ჟამი იზ.

37. **თუესა სეკდემბერსა ა. გვრგვნი წელიწადისა დაწყება ინდიკტიონისა და ჴსენებაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ მასინეს შინა. და წამებაჲ წმიდათაჲ მ. დედათა მონესეთა და მონამეთაჲ, რომელნი**

იყვნეს ერთსა მონასტერსა შინა და ინამნეს და მათ თანა ინამნეს ამონცა დიაკონი და აითალა, ხოლო იყვნეს **ანდრიაპოლით მაკედონისა** ქუწყანასა და აღესრულნეს **ლიკინიოზის** ზე მეფისა და **ვაედოს** მთავრისა. და ვსენებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა **სვიმეონ მესუჭტი[სა]** [...] (226v).

მინაწერები:

1. მხედრული: „ღმერთო, შეინყალე ცოდვილი [...]“ (106r, ქვედა არშია).
2. მხედრული, გვიანდელი, არაკალიგრაფიული ხელით: „**სოლომონ რატიევის** {ასული?} **ევდუქსი** დაიბადა ჩყლგ წელსა ივლისის იე-სა დღესა, მთვარესა ია. ღმერთმან ბედნიერ ჰყოს მრავალჟამიერ და მისცეს კეთილ შვილიერთა უკუნითი უკუნისამდე, ამინ“ (ზედა ყდის ფორზაცი).
3. მხედრული: „**ქუმსი მალრადის** ძე **გიორგი** დაიბადა წელსა ჩყკგ, ენკენისთვეს იგ, დღეს ხუთშაბათსა, მთვარესა კ“.
 „**ნიკოლოზ ფურცელადის** ძე **ალექსანდრე** დაიბადა წელსა ჩყლა, დღესა ღვინობისთვის კე, მთვარისა ერთსა, კვირეს“ (227r).
4. მხედრული: „**ნიკოლოზ ფურცელადის** ძე **მიხაილ** დაიბადა ჩყლდ-სა წელსა, აპრილის ივ, დღესა მთვარის კ, ორშაბათსა“.
 „**ნიკოლოზ ფურცელადის** ასული **ისმარად** [დაიბადა] ჩყლ{ვ} [წელსა], მაისის ა, მთვარის ...“ (227v).
5. მხედრული: „ქ. **იასონ სრესლის** ძე **გრიგოლ** დაიბადა თვესა აპრილსა იზ-სა, წელსა ჩყკა-სა, დღესა ორშაბათსა, მთვარესა კზ სა“.
 „**იასონ სრესლის** ასული **მარინა** დაიბადა წელსა ჩყკგ, თვესა იანვარსა ე, დღესა ხუთშაბათსა, მთვარესა ვ“.
 „**ზაქარია ფურცელადის** ასული **ზინობია** ... დაიბადა ჩყლ[დ-სა] წელსა ...“
 „... **გიორგი ფურცელადის** ძე **სფირიდონ** დაიბადა წელსა ჩყ[ემბ-სა, აპრილის ბ“ (228r).
6. მხედრული; „**ზაქარია ფურცელადის** ასული **ზინობია** დაიბადა წელსა ჩყლწ, მარტის იზ, მთვარის კთ“.
 „ჩყლთ წელსა, ნოემბრის ა დღესა, **ნიკოლოზ ფურცელადის** ძე **ანტონი** დაიბად[ა]“.
 „**ნიკოლოზ ფურცელადის** ძე **კოსტანტინე** დაიბადა ჩყმგ წელსა, აპრილის ა.“ (228v).

7. მხედრული: „**სოლომონ რატიევის** ასული **ერმონია** დაიბადა წელსა ჩყკე-სა, ოკდომბრის ა სა დღესა, მთვარესა ბ-სა. ღმერთმან ბედნიე...“
 „**სოლომონ რატიევის ძე ნიკოლოზ** დაიბადა სეკდებრის იდ-სა დღესა, ჩყკჳ-სა, მთვარესა იზ სა“.
 „**სოლომონ რატიევის ძე ვასილ** დაიბადა ჩყლა წელსა, იანვრის ა დღესა, მთვარესა ბ-სა. ღმერთმან ბედნიერ ჰყოს“.
 „**ნიკოლოზ ფურცელაძის ძე ალექსანდრე** დაიბადა წელსა ჩყლა, ღვინობისთვის კე, მთვარის [...]“ (229r).
8. მხედრული: „**სოლომონ რატიევის** ასული[...]] დაიბადა ჩყლგ წელსა“.
 „ქ. **რატის შვილის სოლომონის ძე დიმიტრი** დაიბადა აგვისტოს გ წელსა ჩყივ...“ (ხაზები აქვს გადასმული).
 „ქ. **რატის შვილის სოლომონის** ასული **ელენე** დაიბადა ოკდომბრის კჳ, წელსა ჩყიჳ“.
 „ქ. **რატიევი სოლომონის ძე გიორგი** დაიბადა წელსა ჩყკა-სა, თვესა მარ[ტსა] ია-სა, დღესა შაბათსა, მთვარესა კა“.
 „ქ. მოურავ **სოლომონ რატიევის ძე დ...** დაიბადა წელსა ჩყკგ-სა, თვესა აგვისტ[ოსა] ვ, დღესა ორშაბათსა, მთვარეს იზ“ (229v).
9. მხედრული: „ჩყმ წელსა, დეკენბრის იგ დღესა, **ზაქარია ფურცელაძის** ასული **კონია** დაიბადა“.
 „**ზაქარია ფურცელაძის** ასული **ნატალია** დაიბადა წელსა ჩყმგ, ოკდომბრის იბ“. მხედრულად, მთელ გვერდზე (230r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 49-50.

მცირე სჯულისკანონი, 1735 წ.

1446/54

ტიქნიკური აღწერილობა:

142 ფ. ცარიელია – 141v. ზომები: ყდა – 155×105, ქალაღი – 145×90, ტექსტი – 100×62, სისქე – 27; სტრიქონებს შორის მანძილი – 3. არშიები: ზედა – 22, ქვედა – 25, მარჯვენა – 24, მარცხენა – 10. ქალაღი. მელანი – შავი, ნითელი. ტყავგადაკრული ხის ყდა, დაზიანებული, ალაგ-ალაგ გადაქეპილი. დამწერლობის სახეობა – ნუსხური. სტრიქონების რაოდენობა – 18. აღრიცხვა – რვეულებრივი, აღნიშნულია ნუსხური გრაფემებით ერთი რვეულის დასაწყისსა და მეორე რვეულის დასასრულს. იწყება ა (1) 7 ფურცლიანი რვეულით, შემდეგ გრძელდება თანმიმდევრობით 8-8 ფურცლიანი რვეულებით და სრულდება ით (მე-19) ნაკლული რვეულით (2 ფურცელი). განკვეთილობის ნიშნები – •, ❦, ❧. გადამწერი – კერძოდიაკონი **დავით** (141v). 1735 წ. (141v). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ისაია ფურცელაძისაგან** სოფელ **მერეთიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. **რჩულისკანონი ახლად თარგმნილი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმისი** – წესი და განგებაჲ და რჩულისკანონი მეექუსისა კრებისა ... (1r-87r).
2. **კანონი შეცოდებულთანი აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანეს მიერ კოსტანტილეპოვლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა ეწოდა მმარხველ** – უწყებულ იყვნით, ვითარმედ ესე ნეტარი იოანე მმარხველი უკანასკნელ იყო ყოველთა მათ, რომელთა რჩულისკანონისა წესნი დაწერნეს ... (87r-102v).
3. **კანონნი შეცოდებულთანი განწესებულნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე მმარხველისა მიერ კოსტანტინეპოვლელ პატრიარ-**

ქისა – უკუეთუ ვისმე შეემთხვნენ ბუნებითნი ცოდვანი, ესე იგი არს სიძვანი დედათა თანა გინა თუ ქურივთა, ანუ მწვევალთა ანუ მეძავთა, წესითა მით ბუნებითისა ... (102v-127v).

4. წესი, რომელი აღესრულების აღმსარებელსა ზედა თვსთა ცოდვა-თათვს – პირუელად შეიყვანოს იგი მღუდელმან ეკლესიად და და-ჰკრძალნეს კარნი ... (127v-141r).

ანდერძი:

ნუსხური, ტექსტის ხელით: „დაინერა მაისს კ ჩღლე. ღმერთო, შეიწყალე ამისი მჩხაბავი ცოდვილი **დავით** კერძოდიაკონი. ხელრთვით: **ბალულა**“ (141r, ქვედა არშია).

მინაწერები:

1. ნუსხური, ტექსტის ხელით: „მწერალსა შენსა ღმერთმან ამისსა“ (87r, ჩართულია ტექსტში).
2. მხედრული, ფანქრით: „ჩყლი წელსა ნოემბრის დ-სა დღესა ნიკოლოზ ფურცელაძის ძე **ანტონი** დაიბადა“ (141v).

ტიქსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

ხელნაწერი ზუსტად მისდევს ეროვნულ არქივშივე დაცულ სხვა ნუსხას (1446/41).

ზომადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 50.
2. მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, თბილისი, 1972.

რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1823 წ.

1446/55

ტიქნიკური აღწერილობა:

106 ფ. ცარიელია – 1^ა, 1^ბ, 100r-105r, 106v. ზომები: ყდა – 338×222, ქალაღი – 332×214, ტექსტი – 303×18, სისქე – 27, სტრიქონს შორის მანძილი – 5. არშიები: ზედა – 12, ქვედა – 17, მარჯვენა – 46, მარცხენა – 30. ცისფერი ქალაღი. მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული ლურჯი მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, რუსული. შეიმჩნევა განკანონების ხაზები, აქვს ჭვირნიშანი. ტექსტი ნაწერია ორ სვეტად. სტრიქონების რაოდენობა – 38. აღრიცხვა – გვერდობრივი, არაბული ციფრებით. ხელნაწერი რესტავრირებულია. გარკვეული პერიოდი ხელნაწერი ეკუთვნოდა სიღნაღის სასულიერო სასწავლებლის მონაფეს **ნიკოლოზ გარაყანიძეს** (1^ა). 1823 წ. (106r). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ისაია ფურცელაძისაგან** სოფელ **მერეთიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: А союзъ; А – ხოლო, არამედ და Агнец – კრავი ანუ ტარიგი (2r).

მინაწერები:

1. მხედრული: „ესე წიგნი ლექსიკონი ეკუთვნის **ნიკოლავოზ გარაყანიძეს**, **სიღნაღის** სასულიერო სასწავლებლის მონაფეს. Сия книга принодлежитъ **Николаю Караканидзему**“ (1^აr).
2. იქვე: „Целлариусъ Ученика Тифлискаго Духовнаго Уезднаго училища **Николая Караканидзе** 1823 года Марта 29 дня“.
3. მხედრული: „ეს წიგნი ლექსიკონი რუსული ქართულითურთ **თფილისის** სასულიეროს სასწავლებლის მონაფესა მესამისა კლასისა **ნიკოლავოზ გარაყანიძეს** ლუთისა მიერ წელსა ჩყკგ-სა აპრილის გ-სა დღესა“ (1^აv).

4. მხედრული: „შესავალი ვის რაჲ შეეფერების. მის აღმატებულებას უფალს ღენერალს ლეიტენანტს **საქართველოს** მთავარგანმგებელს და ორდენტა კავალერს **ივან ალექსანდრიჩს ველიამონოვს**. მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოებას უწმინდესის და უმართებელისის სინოდის ჩლენს ორხიეკისკოპოზს **ქართლისას** და კახეთისასა და სრულიად **საქართველოს** ექსარხოზს და კავალერს **იონას**. მის მაღალ კეთილშობილების **სიღნაღის** ოკრუჟნის ნაჩაღნიკს, კოლჟსკის ასესორს **კოსტანტინ ვასილიჩს** და კავალერს **როვენსკის**. **სიღნაღის** ოკრუჟნის დროებითის სუდსა შინა. მათს მაღალ ყოვლად უსამღვდელოებას **სიღნაღის** და **ქისიყის** მიტროპოლიტს და კავალერს, **ზოდბელს იოანეს**. მის აღმატებულებას უფალს ღენერალს ოტინფანტერს მთავარმართებელს საქართველოსას სხუა და სხუათა ორდენტა კავალერს **ალექსეი პეტროვიჩს ერმოლოვს**.

ყოვლად უგანათლებულესს და უთვთმპყრობელსს დიდსა ჴელმწიფესა ჩვენსა იმპერატორსა **ალექსანდრეს პავლეს** ძეს მპყრობელსა ყოვლისა **როსსიისასა** ყოვლად მონყალესა. დიდება მამასა და ძესა და წმინდასა სულსა ამინ“ (105v, მხედრული).

5. მხედრული: „ეს ლექსიკონი ეკუთვნის **კობულოვს** და თვითონ გარდანერა ჩყკდ წელსა. მის კეთლშობილებას [...] ესე წიგნი ვმონმობ, რომელ წიგნი დამტკიცებულ არს .. არს შენის შვილის **სოსიასა** უჩიტელისაგან თვითონ დიდად შრომითა და გარდანერა. პატივი მაქვს თხოვად, რომელ სიყვარულობისთვის მათხოვო მე, გარდავწერე ესე ვითარ სადიდებული რამეთუ შენი არს დაპირება ჭეშმარი აღუსრულებლად ორს მშვენიერი თუ უნაყოფო სათნოება ორს ესე კეთილისა. ესე წიგნი ეკუთვნის **იოსებს კობულოვს**, ესე წიგნი ეკუთვნის დროებითის სამსჯავროს პისმოვოდიტელს“ (106r).

6. „Сей лексиконъ принадлежит [...] и Сам написалъ 1823 год. Свидѣтельствую, что Сей утверждая от своево учителя принадлежит [...]. Сам великимъ трудомъ прилежений переписалъ другого такового а по симу я честь имею просить, что для любви брата одолжить мне до перепишусь таковой же [...] наука которая [...] есть объщание безъ исполнения ить от прекрасное дерево безъ плода [...] котора[...] математика [...] прошение нижегородскаго Драгунска милостивейши Государь. (писмоводителю)“ (106r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 50-51.

პრეპული [XIX]

1446/56

ტიქნიკური აღწერილობა:

17 ფ. დაუნერელია – 11v, 12v, 14v, 15v, 16r. ზომები: ყდა – 22×175, ქალაღი – 215×170, ტექსტი – 20×156, სისქე – 7, სტრიქონებს შორის მანძილი – 17. არშიები: ზედა – 16, ქვედა – 30, მარცხენა – 15. ქალაღი – ლურჯი. მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ლურჯი ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 19/20. აღრიცხვა – ფურცლობრივი. აქვს ჭვირნიშანი. ხელნაწერი რესტავრირებულია. [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია XIX საუკუნეში ისაია ფურცელაძისგან სოფელ მერეთიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. ღვთისმსახურების რუსულენოვანი ტექსტი ქართული ტრანსკრიპციით – ამინ, ღოსპოდი პომილუი, ღოსპოდი პომილუი, ამინ ... (2r-4v).

შენიშვნა: ტექსტს შიგადაშიგ ქართული თარგმანები ახლავს.

2. თეიმურაზ II, „ხილთა ქება“ –
მარწყემან თქვა: მოვალ პირველად,
მე ვერ მომასწრებს ხილია,
ფერად მსგავსი ვარ ლალისა,
მერმე საჭმელად ტკბილია...
წყდება ... სიმდაბლითა ნუ მიწუნებ, მე არა ვარ აგრე ბნელი... (5r-7v).

3. ლექსი – უსათაურო –
მიჯნურთათვის რა გშურს ნუთისოფელსა,
ყოვლით მოლექსის დამდუმებელსა ... (8v).

შენიშვნა: ლექსი ფურცელზე წერია უკუღმა.

4. [.....]

დასაწყისი: სანამ გაძლება ეგ გიჟი ქართველი, სანამ კი არას იტყვის, როცა გაძლება და ხელს გამოიღებს და სმას მომატებ, ახლა

აზარფემაზედ დაუსხა **თათომ** დალია და აზარფემა ჯიბეში ქნა, ახლა მათარას უყურებს შენი ქართული (9r).

წყდება: ფულს ვინა ჩივის რახან ჩვენ და ჩვენი ცხენები მოვრჩით ამა ტანისამოსები გვენანებოდა. ესრე, ჩემო ბატონებო, წამოვედით ისევ შინ ცარიელი. მასუკანაც ბევრჯელა ვნახეთ ამ ქალაქში, მაგრამ ხმაც ვერ გავეცით, კიდევაც გვეშინოდა (10v).

შენიშვნა: ტექსტი გაუმართავია, როგორც პუნქტუაციური, ასევე ორ-თოგრაფიული თვალსაზრისით.

მინანქრები:

1. „Родительный падеж есть то, которое означает, соответствует при личному вопросу, чеи, чия, чие, кого или чего, например: чей совет полезен? человека умнаго. Кого не хвалить? человеку(!) порочного. Чего невозможно прошедшаго времени“ (12r).
2. „Поди въ пустыню, сын мой, посмотри на младую цаплю, въ степи. Да укоренится то въ сердць твоємъ, она несеть на крылахъ своихъ престарѣлаго отца **Иоиль Пурцеладзевъ**“ (17r-v).
3. „Государь мой, Димитрий Орбелияни“ (10v).
4. მხედრული: „ჩყკზ-სა ივლისის ი-სა დღესა მოვდიოდი მუშიდამ, **შალია-შვილის** კარებზედ იჯდა **ბასილა ლონიშვილი** და ყოველისთვის უდანაშაულოდ უპატიურის სახიდ მლანძღა, მე ვსწამობდი **ტურია იმერლიშვილს** და იმან დაიფიცა უჩვეულითა სახითა და დასდვა ბრალი ბასილას, **რატი რატიევიც** იქ ბრძანდებოდა რომელ დასდვა ბრალი **ბასილა ლონიშვილსა ტურია იმერლიშვილმა**. აქვე – **შენ ავთანდილ კორინთელო** ჭირვეულო ავო კაცო [...]“ (8r).
5. მხედრული: „შენ, **ავთანდილო კორინთელო**, ჭირვეულო ავო კაცო შენ ეგ უფლება ვინ მოგცა რომ **ნენია** მოიტაცო“ (10v).
6. უმნიშვნელო ხასიათის მინანქრები და მინაჩხაპნები ქართულ და რუსულ ენებზე (1r-v, 11r, 14r, 15r, 16v, 17r).

ზომადი ბიბლიოგრაფია:

1. თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული გიორგი ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, 1939, გვ. 109-112.
2. ქართული პოეზია, ტომი V, თბილისი, 1976, გვ. 433-438.
3. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 59.

ლექსების კრებული [XIX-XX]

1446/57

ტიქნიკური აღწერილობა:

27 ფ. ცარიელი ფურცელი – 23r-v. ზომები: ყდა – 184×23, ქალაღი – 217×18, ტექსტი – 19×14, სისქე – 10, სტრიქონებს შორის მანძილი – 8. არშიები: ზედა – 28, ქვედა – 16, მარჯვენა – 27, მარცხენა – 30. ქალაღი – თეთრი. მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული ლურჯი მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. აღრიცხვა – გვერდობრივი, არაბული ციფრებით. ტექსტი ძირითადად ნაწერია ორ სვეტად. ხელნაწერი რესტავრირებულია, აკინძული. [XIX-XX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს ისაია ფურცელაძისგან სოფელ მერეთიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. ილია ჭავჭავაძე, რა ვაკეთებ რას ვშვრებოდით? ანუ საქართველოს ისტორია XIX საუკუნოსი – ერთხელ მე და პაპაჩემი ერთს ადგილსა შევიყარენით ... (1r-3r).

შენიშვნები:

- ლექსი დაწერილია 36 სტროფად.
- ბოლოში მინაწერია ტექსტისავე ხელით: „24 აგვისტოს 1871 წ. ქ. დუშეთით“.
- ხელნაწერის ტექსტი გამოცემულთან შედარებით გარკვეულ ვარიანტულ სხვაობებს უჩვენებს.

ბიბლიოგრაფია:

- ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, მიხეილ გედევანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1914, გვ. 80.

- ილია ჭავჭავაძე – ლექსები, პოემები – იოსებ გრიშაშვილის რედაქციით, თბილისი, 1937, გვ. 64.
 - ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი, 1980. გვ. 75.
- 2. ილია ჭავჭავაძე, გამოცანები –**
ულვაშსრულ ი, მელოტია
უთაური თავიანი ... (3r).
- შენიშვნა:** თითოეული გამოცანის ბოლოს მიწერილია იმ პიროვნების ვინაობა, ვინც გამოცანაშია ნაგულისხმევი (**რევაზ ანდრონიკაშვილი, გიორგი მუხრანბატონი, ივანე მუხრანბატონი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ჯორჯაძე, იასე ანდრონიკოვი, ბესარიონ ლოლობერიძე, გრიგოლ ორბელიანი**).
- ბიბლიოგრაფია:**
- ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, მიხეილ გედევანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1914, გვ. 87.
 - ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი I, თბილისი, 1987. გვ. 131.
- 3. ილია ჭავჭავაძე, შემდეგში დამატებული „გამოცანები“ –**
ფუქსავატი, ლაქათაა,
გრძლად გალეული მელია ... (3r-5r).
- შენიშვნები:**
- თითოეული გამოცანის ბოლოს მიწერილია იმ პიროვნების ვინაობა, ვინც გამოცანაშია ნაგულისხმევი (**ლორის მელიქოვი, ლევან მელიქოვი, მიხეილ თუმანიშვილი, დიმიტრი ყიფიანი**).
 - დასაწყისის პირველი სიტყვა გამოცემაში არის „ონიზაზი“ „ფუქსავატის“ ნაცვლად.
- ბიბლიოგრაფია:**
- ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, მიხეილ გედევანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1914, გვ. 91.
 - ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი I, თბილისი, 1987, გვ. 141.
- 4. გრიგოლ ორბელიანი, „პასუხი“ –**
კოლო-ბუზებო, ლიბერალებო,
ჭკუით გლახებო პატრიოტებო! ... (5r-6r).

ბიბლიოგრაფია:

ჩვენი საუნჯე, ქართული მწერლობა, ტ. 6, გ. ჯიბლადის რედაქციით; თბილისი, 1960, გვ. 54.

5. ილია ჭავჭავაძე, „პასუხის პასუხი“:

ჩვენ უჩინონი,
ჩვენ უჩინონი ... (6r-8r).

ბიბლიოგრაფია:

- ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, მიხეილ გედევანიშვილის რედაქციით; თბილისი, 1914, გვ. 97.
- ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი I, თბილისი, 1987, გვ. 141.

6. [ნინო ორბელიანი], „პასუხის პასუხის პასუხი“

ნუ ჰკიცხავთ სხვათა,
მტერთა თუ ძმათა (8r-9v).

შენიშვნა: ლექსის დასასრულს მინაწერია: ნინო ორბელიანისა (9v).

7. აკაკი წერეთელი, „ხარაბუზა ლენერალს“:

იარანალო ხარა-ბუზა,
სიტყვით სნორო, საქმით კუზა (9v-11r).

ბიბლიოგრაფია:

- აკაკი წერეთელი ტომი I, თბილისი, 1950, გვ. 224-227.
- აკაკი წერეთელი, ხუთტომეული, ტომი I, თბილისი, 1988, გვ. 123.

8. ილია ჭავჭავაძე, „ბედნიერი ხალხი“ / იტალიელი პოეტის ჯუსტის მიზაძვა:

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი? (11r-v).

შენიშვნა:

- სათაური „ბედნიერი ხალხი“, გამოცემებშია, როგორც „ბედნიერი ერი“.

ბიბლიოგრაფია:

- ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, მიხეილ გედევანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1914, გვ. 85.
- ილია ჭავჭავაძე – ლექსები, პოემები, იოსებ გრიშაშვილის რედაქციით, თბილისი, 1937, გვ. 69.
- ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი, 1980, გვ. 79.

9. აკაკი წერეთელი, „მუხამბაზი“:

ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე,
სიტკბოზედა მწარე მეტი დავლიე ... (12r-v).

შენიშვნა: ახლავს ეპიგრაფი: „ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!“ – გ. ორბელიანი.

ბიბლიოგრაფია:

- აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტომი I, თბილისი, 1950, გვ. 255.
- აკაკი წერეთელი, ტომი I, თბილისი, 1988, გვ. 133.

10. გ. ჭალადიდელი, „გორდის მთაზე“:

მალლა ცაზე მშვიდ დარია
და კაშკაშებს ვარსკულავ-მთვარე ... (12v).

ბიბლიოგრაფია: გ. ჭალადიდელი, კრებული, თბილისი, 1947, გვ. 44.

11. „ჩიტი“:

გალია ყველა ერთია,
ოქროსი იყოს გინდა ხისა ... (14r).

შენიშვნა: დასასრულ მიწერილი აქვს ინიციალები „დ. მ.“ (შესაძლოა დუტუ მეგრელი).

12. ილია ჭავჭავაძე, „ს...ჩ...სას“:

სატრფოვ! ხშირად ლალი ფიქრი
გამიტაცებს სუბუქ ფრთითა ... (14v).

ბიბლიოგრაფია:

- ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I. მიხეილ გედევანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1914, გვ. 63.
- ილია ჭავჭავაძე, ლექსები, პოემები – იოსებ გრიშაშვილის რედაქციით, თბილისი, 1937, გვ. 51.
- ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი I, გიორგი ციციშვილის რედაქციით, თბილისი, 1987, გვ. 101.

13. გიორგი ერისთავი, სატრფიალო ლექსი „დავა“ (ნაწყვეტი):

„აგერ ცაში მზე ბრწყინვალეებს
და გაჰფანტა ლამე ბნელი...“ (14v).

ბიბლიოგრაფია: თ. გიორგი დავითის ძე ერისთავი, თხზულება, თბილისი, 1884, გვ. 196.

14. ნიკოლოზ ბარათაშვილი, „თავადის ქავ...ის ასულს ეკა...ნას“:

ხმით მშვენიერით
ტკბილის სიმღერით ...“ (15r).

ბიბლიოგრაფია:

- ჩვენი საუნჯე, ქართული მწერლობა, ტომი VI, თბილისი, 1860, გვ. 110.
- ქართული მწერლობა, ტომი IX, თბილისი, 1994, გვ. 375.

15. აკაკი წერეთელი, „ნადირობა“ (ვუძღვნი ჩემს ძალს):

კუდ ქიცინა და შავ-ყურა,
ჩემო ძალლო, ჩემო მურა ... (15r-17r).

ბიბლიოგრაფია:

- აკაკი წერეთელი, ტომი I, ლექსები, გიორგი აბზიანიძის რედაქციით, თბილისი, 1950, გვ. 141-145.
- აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტომი I, თბილისი, 1988, გვ. 81.

16. ლექსი, ხალხური:

„ასსა ლიტრასა რკინასა კბილსა მოუჭირებ, კნატს უზამო,
იქით მთასა და აქეთსა ხელსა მოუჭირებ, რახტს უზამო,
ალაზნსა და იორსა დავენაფები, ყლაპს ვუზამო,
თავსა გასულსა დიაცსა კი, მე იმას ვერას ვუზამო“ (17v).

17. ლექსი, ხალხური

ჭავჭავაძემ დამპატიუა
ღვინო მასვა ტკბილი (17v).

შენიშვნა: გამოცემულია, იხ. დროების კალენდარი, 1875 ლიტ. ნან., გვ. 10.

18. აკაკი წერეთელი, „უდარდო კაცი“:

ყველასათვის კარგი მსურს,
ბოროტების მტერი ვარ ... (17v-18r).

ბიბლიოგრაფია:

- აკაკი წერეთლი, ლექსები ტ. I, გიორგი აბზიანიძის რედაქციით, თბილისი, 1950, გვ. 146.
- აკაკი წერეთელი თხზულებანი, ტომი I, თბილისი, 1988, გვ. 86.

19. ალექსანდრე ჭავჭავაძე, „თავსა უფლად“:

თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ,
ერთ გზის თქვენცა ტრფიალება ... (18r-v).

ბიბლიოგრაფია:

- ჩვენი საუნჯე, ქართული მწერლობა, ტომი VI, გ. ჯიბლაძის რედაქტორობით, თბილისი, 1960, გვ. 34.

20. დიმიტრი ბაგრატიონი, „რუსულის ხმაზედ“:

ვაქო პირად ბადრია, განა თუცა ადრეა
მაგრამ ველარ მოვითმენ, შევიქნები მკიდრია...

წყდება: მე სურვილით ხელობა ვისთვის დამენამისა ... (18v-19v).

ბიბლიოგრაფია:

- ცისკარი N I, თბილისი, 1853, გვ. 52.
- დიმიტრი ბაგრატიონი, დიმიტრიანი, ლექსები და პოემები რარა ნაკაშიძის რედაქტორობით, თბილისი, 1978, გვ. 39.

შენიშვნა:

- ლექსს ახლავს მინაწერი: „ლექსი თქმულია ბაგრატ ბატონიშვილის ქალის დაბადებაზედ“.
- ხელნაწერს ბოლო სტროფი აკლია.

21. მამია გურიელი, „ალავერდი“:

მეგობრებო, ჯერ უსურვოთ
ჩვენს სამშობლოს დღეგრძელობა ... (20r-v).

ბიბლიოგრაფია:

- ქართული პოეზია, ტომი X, თბილისი, გრ. აბაშიძის რედაქციით, 1978, გვ. 360-363.

შენიშვნა:

- გამოცემაში სათაურად არის „ჩემი ალავერდი“.

22. მამია გურიელი, „ადამიანს“:

ვინც გინდა იყო, ჩემი მსმენელი,
ქალი, კაცი, გინდ გასათხოვარი ... (20v-21r).

ბიბლიოგრაფია:

ქართული პოეზია, ტ. 10, თბილისი, გრ. აბაშიძის რედაქციით, 1978, გვ. 358-359.

შენიშვნა:

გამოცემაში ლექსის სათაურია „ადამიანი“.

23. იმერული სახუმარო, ხალხური:

ქალი ვიყავ მოწიფული
გამიტაცა სურვილებმა ... (21r).

24. რომანსი:

ლამის ნიავი, წყნარად მფრინავი
თავს დასტრიალობს მძინარ ქვეყანას ... (21v).

შენიშვნა: მინაწერი ლექსის ბოლოს: „ცახელი“.

25. რაფიელ ერისთავი, „სნეული ოჯახი“:

ობრავს გოგონა ნინუა, ქმარიც ავად ჰყავს, შვილიცა
რა ქნას მარტოკამ, უკვნესის მოხუცი დედამთილიცა ... (22r).

ბიბლიოგრაფია:

- თ.რ.დ. ერისთავისა, ლექსები ტომი II, ტფილისი, 1890, გვ. 24.

26. რაფიელ ერისთავი, „ზარხოში“:

დასაწყისი: ნურას უკაცრავათ, თქვენი ჭირიმეთ! ცოტა ქეიფიანათ
გახლავართ!....

წყდება: ... ახლა კი ნავალ და ერთი კაი ძილს გამოვაცხოებ ... თორემ
... ღამე მშვიდობისათ!.. (გადის) (22r-v).

ბიბლიოგრაფია:

- ივერია, 1879, N3, თბილისი, გვ. 68-69.

ლექსების კრებულთან დაკავშირებული შენიშვნები:

კრებულს ერთვის სხვა ხელნაწერის ნაწილი:

ამოცანა:

ორთა ბროლის ბურჯთა შიგან ერთი უფასო თვალია
მუნ იაგუნდის აუზი, შიგან ვერცხლისა წყალია (24r-27v).

შენიშვნა:

დანართს შემდეგი მინაწერი ახლავს: „ეს ისეთი უნმანური და გარყვნილი კაცის თხზულებაა, რომ დასაწვავია. არ დავსწვი იმიტომ, რომ ნახონ რა მოცლილი მბლაჯუნელები გვყოლია ძველად; ამ ხელნაწერის დანვა რამდენჯერმე დავაპირე, მაგრამ ვსთქვი: სხვებმაც დააფასონ ძველების უსაქმური ცხოვრება“.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 53-57.

მოსურ-ქართული სასაუბრო [XIX]

1446/58

ტიქნიკური აღწერილობა:

39 ფ. ზომები: ყდა – 227×182, ქალაღი – 221×168, ტექსტი – 201×155, სისქე – 8, სტრიქონებს შორის მანძილი – 10. არშიები: ზედა – 12, ქვედა – 16, მარჯვენა – 14, მარცხენა – 10. მოყვითალო ფერის ქალაღი. მელანი – შავი. მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 19. ძირითადად ნაწერია ორ სვეტად. აღრიცხვა – გვერდობრივი, არაბული ციფრებით; თავნაკლული; ოსური სიტყვები ქართული ტრანსკრიპციით. ზოგიერთ სიტყვას ახლავს რუსული თარგმანი (1r-5v). [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია **ვახტანგ ფიცხელაურისაგან** სოფელ იკოთადან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: ასკუტა – განყვიტა;

თოაგ – მჟავე – кислый;

ადჯინ – ტკბილი – сладкий (1r).

მინაწერები:

მხედრული:

1. „მადლობ ღმერთსა დავესწარით გაზაფხულსა,
კარგი ჭინახულია, ნუ გავიტეხთ გულსა,
ძალიან პირი აქვს და აიღებს პურსა,
ქერებიც მოვიდა, მით მოვიდგამთ სულსა.

ჰე, კაცო! ჩვენ ვცხოვრებთ დედამიწისაგან,
მაგრამ ჩვენ ვერ გავძეხით პურისაგან,

ამიტომ რომ ხელი ავიღეთ ღვთისაგან,
ჩვენ სულყოველი ცუდი უნდა გვჭირდეს ენისაგან.

ეგ მართალია, მაგრამ არ აიღებს ღმერთი ხელსა,
ყანებს თუ არ მოგვგრის, მოგვგრის სიმინდს, ფეტვსა,
იმ ერთისგან დაარჩენს მარცვალსა ცეტასა,
დღეს ხვალ დაგვითმოს მონყალე ღმერთმა ჩვენა
ერთათ გვიკრიფოს მიზეზი ნახე შენა,
როგორც შენს სახლიკაცს უთმე შენა
და ველარ ითმინე [...] უხსენე შენა“ (5v).

2. „მე შენგნით მოველი სიცოცხლეს,
მივდივარ შორსა, ვანებებ სოფელს,
ვშორდები სრულებით ჩემს საყუარელს“ (22r).
3. „ვინც ხელს დამიქნევს მე ...
ყმანვილებო, ნუ ისჯებით მე ...
გეაჯებით, მე ნუ გამწირავთ ...
ამა ლექსისა მთქმელი თვითვე მე ვარ,
სხვას ნურას დააბრალებთ შინაური ვარ“ (37r).
4. „კაცის ურვა არვინ უწყის, რა არის,
ფიქრობს და ფიქრობს და არაფერი არ არის
რასაც ფიქრობს, მიიღებს, გაეხარდების,
რა მიიღებს მერე სხვისთვის ნუხდების.
კაცის გული არაფრით აივსების,
როგორც ოკეანე ფულით არ აივსების,
ელის რასმე რალასაცა სიცოცხლენი,
ვერაფრით კმაყოფილია თავის დღეში“ (38r).
5. „ვთხოვოთ ჩვენ და ღმერთს, გვიხსენ ამპარტავნებისაგან, რომ
მან შორს გასდევნოს სატანა ჩვენის გულისაგან, დაგვიხსენ და
დაგვიფარე ყოვლის ბოროტებისაგან, ამპარტავნება მოვიშალოთ
მდაბლისაგან ვიცხოვროთ“ (39v).

რუსული:

6. „1869 году июня 23 числа я по желанию [...] моей вышел из семинарии, и приготовил себя грузино-церковное чтение [...], которое в год [...] в экзамену [...] Вашего Высокому [...] **В. Ке** определить меня в коли [...]]Эпархии иды находятся предная [...]“ (20v).
7. „Его блгородию господину **Шию Циклаурову**, 1859 году хотя мы отлучились от другодруга, и живём особо вист любовство мя отлучился, за это я очен поминаюь что вы ни какое письмо не пишете меня, сам меня ходь, что вы действуйте“ (22r).
8. „Манвелидзе, Харатова, Лотаур [...]“ (23v).
9. „Тбилиси, Мачаров, **მაჭაროვი**“ (24r)
10. „Захарий Лашауров“ (33v, 37v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 57.

„ვეფხისტყაოსანი“, 1853 წ.

1446/59

ტიქნიკური აღწერილობა:

132 ფ. ცარიელი გვერდი – 116v. ზომები: ყდა – 330×200, ქალღი – 325×200, ტექსტი – 145, სისქე – 24, სტრიქონებს შორის მანძილი – 10. არშიები: ზედა – 40, ქვედა – 40, მარჯვენა – 20, მარცხენა – 20. ქალღი. მელანი – ყავისფერი. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 24/28. აღრიცხვა – გვერდობრივი, აღნიშნულია არაბული ციფრებით ზედა არშიაზე 1853 წ. – (132r). ხელნაწერი ეკუთვნოდა **ევა მიხაილ ფიცხელაურისას** (1v). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ნინო პეტრია-შვილისაგან** სოფელ **იკოთიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა, ზეცითა მონაბერიითა ... (2r).

ანდერძ-მინაწერი:

ანდერძები:

მხედრული: „ღმერთო, ადიდე ხელმწიფე, იმპერატორი ჩვენია, **ნიკოლოზ პავლეს** ძეი მხნე, ძლიერი და ბრძენია, მონყალე და მოსამართლე უხვი **რუსეთის** მთენია, და მის ჟამს განეგო ქართველთვს ძველთა წერილთა ბჭენია, მისსა დიდებულებისა აკადემიამ სწავლის ვით ფუტკართ შემკრებთ სხვადასხვათ ყვავილთგან თაფლთამდენისა, ან უქმნა ქართველთ წერილითაც აღყვავილება მცენისა და რომელი იყო დაზრული ხორშაკით მტერთა წყენისა, ვით იყო პირველთა ჟამთა ქებული სიბრძნე ქართველთა, კვლავ იქმნა განახლებული თვსსავე აღვალს სართველთა. შრომისმოყვარება მისცემს კაცს სიბრძნის ნაყოფთა ქველთა

და ყვავილოვან ჰყოფს გონებას და ვრცელ ჯთ სამოთხის ველთა.
მოლარეთჳუცესს დიდსა მას ვიტყვი პატივს ქართველსა
გვარ ჩინებულსა **შოთასა** მას უწოდებდეს სახელსა,
დიდსა **მეფის თამარისა** ჩინებულს თანამზრახველსა,
და ამ ლექსთა ტურფა თხზულებით სიბრძნითა გამომხატველსა.
მითთა იშვა **სამესხეთოს** დაბასა შინა ქებული,
მას **რუსთავად** უწოდებდეს ძველთაგან იყო გებული,
ეს წიგნი ვეფხვისტყაოსნად მისგან არს სახელდებული,
და ბრძენთ ღარმონია დატკობით მით იშვებს ყოველთ კაცთ კრებული.
მე გვარ-ტომობით **ქრანცუზი ბროსეტ** მზრუნველი ქართველთ ენისა,
სწავლათ აკადემიის ვარ მე წვერი მირთმად ძღვენისა,
თქვენდა მსხვერპლად ქართველთ ერის მარად მზის წველ შესაძენის,
და ამაღ ვითხოვ შენდობის თქმას, ვედრებას ვყოფ ვითა შვენის.
ესე წიგნი ღვანლით ჩვენით ან მეორედ დაიბეჭდა,
პირველ **ვახტანგ** მეფის ჟამსა ან **პეტერბურს** კვლავ ვჰყავ ვბეჭდა,
ზოგნი ახლად ძველ ხელწერილთ ვპოვე იგი ზედ და მეტა
და მსახურება ქართველთა მსურს ამაზედა ვინა მეჭვდა.
კვლავ **ფალავანდოვი** ჩემთან და **ჩუბინოვიც** მღვწელია,
დავბეჭდეთ ჩვენის ხარჯითა, განახლდა ესრეთ ძველია.
მესტანზე **სვიმონ** ტ ... დაზედ იყო მცდელია
და საუნჯის ესე ვითარ ... დიახ, ძნელია,
შესრულდა ბეჭვდა სტიხთა ამას ქორონიკოს ფარყანთანსა,
დიდთა გინა მცირე ქართველთ სახეთ **პეტრებურლს** მყოფთაგანსა,
მოატყვებდა გრძნობა გულით სიხარულსა შინაგანსა
და აქებდეს და ნატრიდიან **შოთას**, ბრძენთა წინამძღვარსა“ (131v-132r).

მხედრული: „ჩყნგ ნელსა მაისის კ დღესა“ (132r).

მინანერები:

1. მხედრული: „ეს წიგნი ეკუთნის **ევა მიხაილ ფიცხელაურისასა**.
ეს წიგნი მიერთოს **მიხაილ ფიცხელაურსა**“ (1^v).
2. მხედრული: „ამ ამბისა დასაწყისი პირველ ამოდ სასამენელად
მშვენიერი სწავლისათვის მოშაიერთსა **ტარიელისა** და
ნესტან-დარეჯანის ვეფხვისტყაოსნობით უხმობენ“ (2r, ზედა არშია).

ტიქსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

„ვეფხისტყაოსანი“ მეორედ **პეტერბურგში** 1841 წელს **მარი ბროსეს**, **ზაქარია ფალავანდიშვილისა** და **დავით ჩუბინაშვილის** რედაქციით გამოიცა; ეს

გამოცემა, ჩვეულებრივ, „ბროსეს გამოცემის“ სახელითაა ცნობილი; ხელნაწერი გადმონერილია მეორე (1841 წ.) გამოცემიდან.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 58.
2. შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი, პეტერბურგი, 1841.
3. შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი, ხელნაწერი მემკვიდრეობა, თბილისი, 2013, გვ. 313.

ქორწინებისათვის და დაღვინებითი გრამოტა [XVIII]

1446/60

ტიქნიკური აღწერილობა:

63 ფ. ცარიელი ფურცლები – 34r-v, 35v, 61v-62r, 63v. ზომები: ყდა – 2055×150, ქაღალდი – 195×150, ტექსტი – 145×110, სისქე – 20, სტრიქონებს შორის მანძილი – 3; არშიები: ზედა – 20, ქვედა – 30, მარჯვენა – 10, მარცხენა – 25. ქაღალდი. მელანი – შავი. მუყაოს მარტივორნამენტებიანი ყდა. დამწერლობის სახეობა: მხედრული, საზედაო გრაფემები – მთავრულით. სტრიქონების რაოდენობა – 24. განკვეთილობის ნიშნები – ♪, ♫, ♪ [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. მთარგმნელი – საქართველოს მეფის ძე ლენერალ-მაიორი **დავით** (1ბრ). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისაგან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. ქორწინებათათვის მართლმადიდებელთა პირთასა და სხუა სარწმუნოებისათა თანა. განსჯა უწმინდესსა შინა მმართველსა სინოდისა. შეთხზული დაბეჭდილ არს ბრძანებითა მეფობითის დიდებულები-სა **პეტრე პირველისა** სრულიად როსიის იმპერატორისათა, ხოლო კურთხვითა მისვე უწმინდესის მმართველის სინოდისათა – უწმინდესი მმართველი სინოდი სრულიად როსიისა მართლმადიდებლისა ეკკლესიისა ძეთა, გიხაროდენ, უფლისა მიერ. უწმინდელსა ჩღკა წელსა, მაისის ვ დღესა ჩვენ, მმართველსა სინოდსა მოგვერთუა ბერლ-კოლლეგიით მოხსენება, ხოლო მას შინა აღწერილ არს ... (2r-8r).

სახენი მორწმუნეთა პირთა შეუღლვლთანი ურწმუნოთა თანა ანუ სხუა სარწმუნოებისათა საღმრთოხსაგან წერილისა – ა. იაკობ მამამთავარმან შეირთო ასული ლაბან ურწმუნოხსა. შესაქმე კთ. ... (8v-11r).

პირი. მოხსებულთა მუხლთაგან უწმინდესისა სინოდისათა ქვემორე აღნიშნულთა დროთა შინა იმპერატორებითისადმი დიდებულებისა წინადასხმულთა და საკუთრითა ... (11r-25r).

2. **ქორმა მღუდელთმთავრისაგან მისაცემელის ღრამმატისა ახლად ჴელდასხმულისა მღუდლისადმი წყალობითა ღმრთისათა (აქა დაიწერება ტიტული მღუდელთმთავრისა) –** მაღლითა, ნიჭითა და ჴელმწიფებითა ყოვლად წმიდისა და ცხოველთ დასაბამისა სული-სათა ... (26r-30v).
3. **ქორმა მღუდელთმთავრისაგან მისაცემელისა ღრამატისა ჴელ-დასხმულისადმი იპოდიაკონისა წყალობითა ღმრთისათა (ტიტუ-ლი მღუდელთმთავრისა) –** მაღლითა და ჴელმწიფებითა ყოვლად წმიდისა და ცხოველსმყოფელისა სულისათა, მოცემულითა ჩვენდა დიდისაგან მღუდელთმთავრისა ... (30v-31r).
4. **განმარტება უცხოს ენის ლექსთა ამას რელლამენტსა შინა ხმარე-ბულთა –** რელლამენტი, ლათინთ კანონისდება ... (31v-33v).

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მხედრული მინაწერია: „პირისპირ დედნისა ჩაკითხულ და განმართულ იქმნა“ (33v).
5. **უნეტარესსა და უწმიდესსა პატრიარხსა ყოვლისა საქართუჭლო-სასა, მეფის ძის ანტონის ჩლენსა უწმიდესისა სინოდისასა უუ-მონებრესი მოჴსენებაჲ – უწმიდესო მეუფეო,**
ზე აღმავლობა ალისა მასწავებდინ
 და მიმართება კენტროსადმი ნივთთა ... (37r-38r).
6. **ქორწინებისა თავთათუს. თავი სჴა მატეთსი –** ხარისხნი ქორწი-ნებისანი ამად ვიდრემე იწოდებიან ხარისხად, რამეთუ ვითარ იგი კიბეთა ზედა აღვლენ ხარისხად ... (39r-v).
7. **განყოფილებისა ნათესავობისა, თავი სჴბ –** განიყოფების ნათესა-ვობაჲ ხუთად ... (39v).
8. **სისხლისა ნათესავობისათუს, თავი სჴდ –** სისხლისა უკუჭ ნათესა-ვობა განიყოფების სამად ... (40r).
9. **სისხლის ნათესავობისათუს, რომელსა შინა მეშჴდე თავი დაყენე-ბული არს და არ იქორწინების. თავი სჴდ –** სისხლითისა ნათესა-ვობისა მეშჴდე თავი დაყენებულ არს ყოვლითურთ და არ იქორწი-ნების ... (40r).
10. **სისხლითისა ნათესავობისათუს თუ ვითარ მერვე თავი განჯსნილ არს ქორწინებისათუს და რაოდენსა თავსა შინა დაყენების. თავი**

სუე – სისხლითისა ნათესავობისა მიერვე თავი იქმნების ესრეთ ... (41r).

11. იხილე შეერთებათათს – სისხლით ვიდრემე ნათესავობა მერვედ თავადმდე ჯერ არს ... (42r).

ექსანსიტიისათს (ესე იგი არს მძახლობითისა ნათესავობისა), თავი სუე – სისხლითი უკუწ ნათესავობა ადულ განსარჩეველ არს და ნებითა ღმრთისათა დაიდუა იგი ზემორე ... (42v-43v).

12. ბიძისა სახელისათს, რომელიცა სამად ითქმის და სამად განიყოფების და რომელნიცა იქორწინებიან, რომელნიცა – არა. თავი სუბ – ბიძად იწოდების ძმა მამისა ჩემისა და დაა მისი ... (43v-44v).

13. პაპისა და შვილისშვილისათს – ვერცაღა პაპა შეირთავს შვილისშვილისა თვისისა სიდედრსა ... (44v-45r).

ორთა ძმათათს – ორნი ძმანი ვერ შეირთავენ ორთა დათა ... (45r-v).

14. ბიძისა და ძმისწულისთს – ბიძა და ძმისწული შეირთავენ მამის დასა და ძმის ასულსა ... (45v).

15. სამნათესავობისათს, თავი სუწ – ვჰსტუუთ ან უკუწ სამნათესავობისათს. სამნათესავობაეცა მძახლობითე არს ... (46r-47r).

16. შულად სახელისდებისა ნათესავობისათს, რომელიცა არს ესრეთ, რამეთუ აღიყუანენ შულსა სხვასა და შულად თვსად დაანესებენ ეკლესიურითა ლოცვთა და განგებითა ამისი უკუწ ბრძანება ჰჯულისაგან თუ რაოდენსა თავსა შინა ჯერ არს მეულეობად და რაოდენსა შინა დაეყენების. თავი სუთ – შულად სახელისდებასა ჰყოფენ ვიეთნიმე, რომელთაცა არა ჰყავსთ შული ... (47r-48r).

17. ნათლისდებისა ნათესავობისათს, თავი ტ – წმიდა ნათლისდება არს შობა საღმრთო ... (48r-49v).

18. ყრმათათს რომელნიცა აღმოიქუან წმიდისაგან ემბაზისა სუმეონ თესლონიკელისა, თავი ტა – არიან ორნი ვინმე კაცნი, რომელთაცა შორის არა არს ნათესავობა რამე ... (49v-50r).

19. განთავისუფლებულისა მონისათს, ვითარმედ ვერ შეირთავს ცოლად დედოფალსა თვსსა. თავი ტგ – განთავისუფლებული მონა ვერ შემძლებელ არს შერთვად ცოლად ... (50r).

20. თუ ვითარ არა ჯერ არს შერთუა ცოლად ვექილისაგან ქალი უფალი მონაგებთა. თავი ტდ – დაჰშთების რა უჰასაკო ვინმე ობლად და ანუ იგი და ანუ მონათესავე მისი ... (50r-v).
21. სასყიდლითა დადგინებულთათვის თუ ვითარ ვერ შეირთუჴნ დედოფალსა თვისსა. თავი ტე – სასყიდლითა დადგინებულთა არა აქუსთ ჴელმწიფება ... (50v-51r).
22. მროკველთათვის და მომღერალთა, თავი ტვ – მროკუჴლთა და მომღერალთა არა აქუნ ჴელმწიფება, რაჲთა შეირთონ ცოლად სკლკლიტიკოსთა კაცთა ცოლნი ... (51r).
23. კაცმან ვინმე უკეთუ იმრუშოს რომლისამე დედაკაცისა თანა, თუ ვითარ ვერ შეირთავს დედისნაცვალსა მისსა – კაცმან რომელნიმე უკეთუ იმრუშოს დედაკაცისა ვისთანმე, ვერღარა შეირთავს მემრუშისა მის დედაკაცისა დედისნაცვალსა ... (51r).
24. აჰა, მაგალითნიცა ქორწინებისანი, რომელნიცა დაჰსახნა უბრძნესმან და უსიტყვიერესამან დიდმან ხარტოფილაქსმან (ესე იგი წიგნთა მცუჴლმან) უწმინდესისა ქრისტეს დიდისა ეკკლესიისა კოსტანტინოპოლისამან იეროდიაკონთა შორის უფალმან მანუილქსანთინოს – ვერავინ შემძლებელ არს შერთუად ცოლად დისა თვისა ... (52r-61r).

ანდერძი:

1. **ნუსხური:** „სრულ იქმნა დიდება ღმერთსა სრუმყოფელსა ყოველთასა ამინ“ (ნუსხური, 33v).
2. **ასომთავრულით:** „განსრულდა, დიდება ღმერთსა“ (61r).
3. **ნუსხური, აკორსტიხი:** „უღირსი ხუცესი იოანე ოსეს ძე. ბერძენი იოანე მიხაილის ძე ყაპუნისშვილი ქსიფილინოსი. ოკდომბერსა თთუჴსა დღესა 17. წელსა 1785 ტფილისს. ითარგმნა ესე წიგნი წინამდებარე ოდენ ბერძულით ნათესავთ ბერძნისაგან, ამასთანავე, შრომითა და თან ღუწითა ნათხზად ქართულებრ ოსეს ძის მღუდლისაგან ერთნი კიდურთა შაგასანაონ სახელნი“ (38r).
(აკროსტიხი: იოანე)

მინაწერები:

1. **მხედრული:** „თელავის საკრებულო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი **მიხეილ იოსების ძე ხელაშვილი**“ (ზედა ყდის ფორზაცის v; იხ. ასევე 25v, 35r, 51v).
2. **მხედრული:** „წიგნი ესე ქორწინებათათვის ეკუთვნის თელავის სასულიერო სასწავლებლის უჩიტელს **მიხაილ ჯელაევს**.
არავინ არ იკადროს მოპარვა ამისის, ვინაჲთგან მერვე მცნება იტყვის: არა იპარო. ზ. კვ-სა ჩყდ-სა“ (62v).
3. **მხედრული:** „**პეტრე, იოანე, დავით, ელისაბედ, მათე, ნინა**“ (63r).
4. **ნუსხური:** „მოგვეც შენდობა“ (63r).
5. „Учитель Телавского духовного Уездного училища **Михаила Хелаева**. 1964. 23. 07“ (ზედა ყდის ფორზაცზე).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 61.

სანისტორიო თხზულებათა კრებული [XVIII]

1446/61

ტიქნიკური აღწერილობა:

105 ფ. ცარიელი ფურცლები – 42, 43, 105r. ზომები: ყდა – 222×160, ქალაღი – 210×160, ტექსტი – 150×115, სისქე – 24, სტრიქონებს შორის მანძილი – 6; არშიები: ზედა – 20, ქვედა – 40, მარჯვენა – 25, მარცხენა – 20. ქალაღი. მელანი – შავი. ტყავგადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 16. აღრიცხვა რვეულებრივი აღნიშნულია ქვედა არშიაზე მხედრული გრაფემებით. იწყება ა (1) არასრული რვეულით (4 ფურცელი), შემდეგ გრძელდება თანმიმდევრობით, სრულდება ვ (6) არასრული რვეულით (4 ფურცელი), ასევე აღრიცხულია ხელნაწერის მეორე ნაწილი, იწყება არასრული ა (1) რვეულით (7 ფურცელი), შემდეგ გრძელდება ჭ (8) რვეულით. განკვეთილობის ნიშნები: ♣, ♠, ♢. [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს მიხეილ ხელაშვილისაგან (თელავი).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. ტყვეობისათვის დიდებულისა სამეფოსა ქალაქისა კოსტანტინეპოლისა, რომელსა უწოდებენ ახლად ჰრომად, რომელიცა დაატყვევა მახომედ მეორემან სულთანმან თურქთამან მერვემან შემდგომად ქრისტესა წელსა 1453, ჩუნგ – მახომედ სულთანმან თურქთამან რომლისა სახელი მეორე შემდგომად სიკვდილისა მამისა თქსისა ამურატისა აზიასა შინა სამთავროსა ბითონიისასა და ქალაქსა შინა ბურესსა ღირსებისაებრ აღასრულა დაფლვაჲ მისი. და ყოვლითა ბოროტისა შემთხვევადითა საქმითა დაიპყრა სამეფოჲ მამისა თქსისა (1r-41r).
2. ისტორია დარლუჭვისათვს უკანასკნელ წმიდისა ქალაქისა იეროსალიმისა ჰრომაელთა კეისრისა ტიტესგან, ძისა ვესპასიანესა

– ოდეს მიიღო პატივი და ღირსებაჲ კეისრობისა ვესპასიანემა და იქმნა დამტკიცებულ მბრძანებელად ყოვლისა სოფლისა, მყის პირველსავე წელსა მბრძანებლობისა თვისისა იწყო გამოძიებად დაშთომილთა მათ იუდიანთათჳს, რომელთაცა არა ენებათ დამორჩილებად ქუჭშე მისსა (45r-104r).

მინაწერები:

1. მხედრული: „**ლადო მიხეილის ძე ხელაშვილი**“ (ნითელი მელნით, ყდის ზედა ფრთის ფორზაცზე).
2. მხედრული: „ისტორია ჩავიკითხე მონამა, ჯერ მალხინა, მერე ღანვი მონამა“. (ახლავს ხელრთვა ყდის უკანა ფრთის ფორზაცზე).
3. განსხვავებული მხედრულით: „ისტორია ნავიკითხე გვამისა, სახსოვარი არის წამკითხველისა. გრიგოლი“ (უკავია ყდის ფრთა).
4. „Учителя Хелаяева (1865.01.31)“. (105r)

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 62-63.

ცნობა ისტორიული და ლეოღრაჰიული [XVIII]

1446/62

ტიქნიკური აღწერილობა:

3 ფ. ზომები: ყდა – 228×170, ქალაღდი – 220×165, ტექსტი – 194×130, სისქე – 2, სტრიქონებს შორის მანძილი – 4; არშიები: ზედა – 10, ქვედა – 15, მარჯვენა – 20, მარცხენა – 15. ქალაღდი. მეღანი – შავი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, საზედაო გრაფემები – მთავრულით. სტრიქონების რაოდენობა – 30. განკვეთილობის ნიშნები – ♀, ♀, ♀ [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. მთარგმნელი – საქართველოს მეფის ძე – ღენერალ-მაიორი **დავითი** (1ბრ). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისაგან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

შეყუანიღება მეტალოღიისა საზოგადოდ. თავი ე – მეტალოღია ანუ ძველი ზღაპარსიღყუაობა არს მოთხრობა ერთათჳს და ნივთთა და ბუნებითა მოქმედებათა ... (2r-62r).

ტექსტს უძღვის წინასიღყუაობა:

ცნობა ისტორიული და ლეოღრაფიული, ზღაპარსიღყუაობა, შეკრება რაოდენთამე ძველთა ღმერთებთა ეღლინთაგან ღმერთად აღსარებულთა. თარგმნილი რუსუღლისაგან ქართულსა ენასა ზედა. საქართველოს მეფის ძის რუსეთის ღენერალ-მაიორის დავითისაგან. წინასიღყუაობა – სიღყუერთა ცხოველთა ჯერ არს სიღყუერ-ყოფაჲ; გარნა სიღყუერ-ყოფაი გარდა ჳმარებისა წერიღისა არა ეგების. და არაცა რაიღმე საქმე წარიღმართების რომელსა ზედაცა არს დამოკიდებულ ბედნიერება ცხოვრებასა შორის კაცისასა. ესე გუარსა შორის და ტკობასა წერიღისასა აღრითგან რომელთამე ერთა ჩუენთა ეწყოთ მოცაღება მას შინა, რომელსაცა შინა შთაჭურეღმან არა რაი მე ვიხიღე მას შინა ნივთი და მაგალითი ურთიერთისად მძღუანვეღობითისა წერიღისა საჳმარად, გარდა მაგალითთა მიერ ნაზავთა საღმრთოთა წერიღთაცა, რომღისცა არა ჯერ არს მოღება და აღზელა ესევეითარსა შინა წერიღსა, გარნა კუაღადცა გარდა ამისსა ჳმარობენ გარეშეთა მაგალითთაცა ყუავიღთა

და ღვინოთა, რომლისაცა შორის არის ფრიადი განყოფილება და რომელიცა ნიშნავს უაზროსა და მოკლესა ჰაზრისა განვრცომისა მიბაძვთა წერილთა სპარსთა, რომელთაცა მოქმედებაი ღრმასა შინა ჰსთაჭურეტასა არა რაიმესა კიდე ნივთისა ცარიელისა და ჰაზრისა გლახაკისა. ამის გამო წერასა შემეცნებისა ერთსა შურიტა შეკრულმან გარდმოვიღე რუსულისაგან ენისა, სტიხთა და ნიგნთა საჭმარი და შესაფერი ესე მაგალითი, რომელ მეტალოლია (ანუ ზღაპარსიტყუაობა) ძველთა ელენთაგან ღმერთად აღსარებულთა, რომელიცა არს მრთელსა საბერძნეთისა და ევროპისა ნაცვლად [...] და ღვინისა ჳმარებული მაგალითი სტიხისა და ნიგნისა ურთიერთარსისად მიმონერისა ჳმარებული, რაჲთა ჩუენცა ქონებითა ესევეითარის მაგალითისათა ვისწაოთმცა გუარი წერისა და სტიხისა შეფერითა აღმქსუჭობითა.

საქართველოს მეფის ძე ღენერალ-მაიორი **დავით** (1ბრ).

მიხატვები:

1. მხედრული: „**ლადო მიხეილის ძე ხელაშვილი ქ. თელავი**“ (1r, 63r).
2. მხედრული: „**მიხაილ ხელაშვილისა**“ (1r, 1^აr, 1^ბr, 1^გr). ქვედა არშიებზე ხელრთვები: იოანნე (10r, 16r, 18r), დავითი (11r).
3. მხედრული: „**მიტროპოლიტი ათანასი ლარაძე**“ (61v, მარცხენა არშია).
4. მხედრული: „**ვლადიმერ მიხეილის ძე ხელაშვილი ქ. თელავი**“ (63r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 62.

ახვუთი [XVIII]

1446/63

ტიქნიკური აღწერილობა:

3 ფ. ზომები: ყდა – 228×170, ქაღალდი – 220×165, ტექსტი – 194×130, სისქე – 2, სტრიქონებს შორის მანძილი – 4; არშიები: ზედა – 10, ქვედა – 15, მარჯვენა – 20, მარცხენა – 15. ქაღალდი. მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, საზედაო გრაფემები – მთავრულით. სტრიქონების რაოდენობა – 30. აღრიცხვა – ფურცლობრივი განკვეთილობის ნიშნები – •, •, •. ხელნაწერი თავბოლონაკლულია. [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისაგან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: კითხვა – ვითარ გულისხმა-იყოფების წერილი იგი წიგნსა მეფეთასა ულუფისა მისთვის, რომლისადა მივიდა საულ კითხვად: უკეთუ ნამდვილვე სამოელისი სული მოიყვანა მან სიტყვს მიცემად მისა ... (1r).

წყდება: ... და ამის მიერ მერმესა მას აღდგომასა მკუდართასა სარწმუნო ჰყოფს, ხოლო აღდგომისა მკუდართასა ყოვლად უზესთაეს არს აღწოცა ცოდვათა, ვითარცა ჰრქვა უფალმან ჰურიათა: რა უადვილეს არს თქმად, თუ მიგეტევენ ცოდვანი შენნი ანუ თქმად (2v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 63.

ჟამნი [XVIII]

1446/64

ტიქნიკური აღწერილობა:

289 ფ. ცარიელი გვერდი – 183v. ყდა – 163×115, ქალაღი – 155×100, ტექსტი – 109×67, სისქე – 37; სტრიქონებს შორის მანძილი – 2; არშები: ზედა – 16, ქვედა – 30, მარჯვენა – 22, მარცხენა – 10. ქალაღი. მელანი – შავი, წითელი. მუყაოს ყავისფერი ყდა, დაზიანებული, ალაგ-ალაგ გადაქექილი. დამწერლობის სახეობა – ნუსხური, სათაურები და საზედაო გრაფემები ასომთავრულით და სინგურით. სტრიქონების რაოდენობა – 26/30. აღრიცხვა – რვეულებრივი. იწყება ა რვეულით (1), არის 6 ფურცელია, შემდეგ გრძელდება თანმიმდევრობით 8-8 ფურცლიანი რვეულებით და სრულდება ლზ (37-ე) რვეულით, რომელიც არასრული 3 ფურცელია. განკვეთილობის ნიშნები – ♀, ♀, •; ფურცლები ზოგან დალაქავებული და კიდებმობეულია. ხელნაწერში ჩართული ცხრილების გადამწერი – **სიონის დეკანოზისშვილი ნიკოლაოზ**. [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ მიხეილის ძე ხელაშვილისაგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. **ჟამნი ძილითა ღმრთისა ყოველი** – რაოდენი აქუს ლოცვაჲ მსგავსად წესისა მის წმიდისა იერუსალჴმისა და კეთილთა მონასტერთა. რაჟამს აღსდგე ძილისაგან, განეშორე სარეცელსაჲ და ბრძანეთ – ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთათა, უფალო იესუ ქრისტე ღმერთო ჩუენო, შეგვწყალენ ჩუენ, ამინ ... (1r-15v).
2. **დასაწყისი ცისკრისა** – უკეთუ იყოს დიდმარხვა, პირველად ვიტყვოთ – კურთხეულარსი, წმიდაო ღმერთო ... (15v-33v).
3. **ჟამნი პირუელი მზისა, დასაწყისი** – ვიწყებთ ღმობიერად. მოვედით, თაყვანის-ვცეთ გ, სიტყუაჲნი ჩემნი ყურად-იხვენ, უფალო ... (33v-37r).

4. **ჟამნი მესამე, შემდეგ კურთხეულარსისა თქუაჲნ** – მეუფჳო ზეცათაო, წმიდაო ღმერთო ... (37r-40r).
5. **ჟამნი მეექვსე პირველად ვიტყვით** – მოვედით, თაყვანის-ვცეთ გ, მეტანია გ, ღმერთო, სახელითა შენითა მაცხოვნე მე ... (40r-43v).
6. **განგებაჲ სადილის ჟამნისა** – აკურთხევს სული ჩემი უფალსა, კურთხეულ ხარ შენ უფალო ... (43v-49r).
7. **ჟამნი ცხრა ჟამნისა, შემდგომად კურთხეულარსისა** – მეუფჳო ზეცათაო, წმიდაო ღმერთო ... (49r-52r).
8. **დანყებაჲ მწუხრის ლოცვისა** – მღუდელმან კურთხეულარსი, მოვალს პირუელი იგი მღუდელი და იტყვის ამას ... (52r-56r).
9. **ჟამნი წმიდისა სერობისა** – მღუდელმან კურთხეულარსი, უკეთუ მთავარი იყოს ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთათა ... (56v-69r).
10. **თვეთა მეტყვლებანი ძალითა ღმრთისათა, წლითინლად. თვესა სეკდემბერსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ჟამი იბ და ღამეთა ჟამი იბ** ... (69v-170v).

შენიშვნა: დართული აქვს ცხრილები „სლვა მთოვარისა სამარადისოჲ“, რომლებსაც ახლავს შემდეგი ანდერძი: „ქრისტე, შეინყალე ამისი მჩხაბავი – სიონის დეკანოზის შვილი ნიკოლაოზ (163v-164r).

11. **ქორონიკონი, სანელინდონი ძალითა ღმრთისაჲთა, რომელი ინყეების** ... (171r-181r).

შენიშვნა: ტექსტს ახლავს ანდერძი: „ქრისტე, ქორონიკონი სამოცდაშვიდისა და რვის წლისა არის, გარიგებული და შემკობილი. ამას უკან ვინ ცოცხალი ყოს, მან გაარიგოს“ (181r, ტექსტის ხელით).

12. **ლოცვანი შუალამისნი, თქმული იოსებ გამომეტყველისა მიერ, ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთათა, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგვწყალენ ჩუენ. წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუენო, კირიელისონი იბ, მოვედით, თაყვანის-ვცეთ გ – უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა, ვისა მეშინოდის** ... (184r-206v).

13. იბაკონი წმიდისა ღმრთისმშობელისანი, რომელსა დაუჯდომელ ეწოდების. ჳმაჲ დ გუერდი – ზეშთა მბრძოლისა ჩემისათჳს და მოღვანისა უძღვევლისა ... (207r-214r).

14. სხვადასხვა ლოცვა (214r-289r).

მინაწერები:

1. მხედრული: „თელავის საკრებულო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი მიხეილ იოსების ძე ხელაშვილი“ (1r, ზედა არშია. იხ. ასევე 30v, 87v, 136r, 168r, 183r, 194v, 210r, 232v, 267v, 279v, 289v).
2. მხედრული: „ლადო მიხეილის ძე ხელაშვილი“ (113r, მარცხენა არშია. იხ. ასევე 182v, 289v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 63-64.

ყოვლად საზოგადო ისტორია შრეკკოვისა. ნაწილი მეორე. ისტორია შემდგომად შობისა ქრისტესსა [XIX]

1446/65

ტიქნიკური აღწერილობა:

57 ფ. ზომები: ყდა: 214×165, ქალაღი: 206×163, ტექსტი: 167×112, სისქე: 12, სტრიქონებს შორის მანძილი: 5. არშიები: ზედა – 15, ქვედა – 28, მარჯვენა – 30, მარცხენა – 11. ქალაღი – ლურჯი. მელანი – შავი. მუყაოს მწვანე ყდა. კიდები ტყავგადაკრული. ტყავი დაზიანებული. დამწერლობის სახეობა – მხედრული, საზედაო გრაფემები და სათაურები – ასომთავრულით. სტრიქონების რაოდენობა – 24. [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ავტორი – **შრეკკოვი (1აr)**. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისაგან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

თხზულება შემდეგი თავებისაგან შედგება:

1. ყოვლად საზოგადო ისტორია შრეკკოვისა. ნაწილი მეორე. ისტორია შემდგომად შობისა ქრისტესსა. პერიოდი პირველი. იესო ქრისტეთგან თეოდოსადმდე და დიდად დაშენებადმდე ერთავ ანუ დაფუძნებითდგან ქრისტეანებრისა ეკლესიისა განყოფადმდე რომის იმპერიისა, დაცემადმდე მისსა დასავლეთის ქუწყანათა შინა და დასაბამადმდე ახალთა საჯელმნიფოთა. 1-200 წელნი შემდგომად შობისა ქრისტესსა – ოდეს რომის იმპერია განსუწნებით ჰმორჩილებდა მპყრობელობასა ავლუსტოსისსა; ჰსწავლანი და ჴელოვნებანი მიჰსწუთებოდენ მას შინა კნინლა სრულებადმდე (1აr-16v).
2. სხუადასხუანი აღნიშუნანი ისტორიისათვს პირველისა პერიოდისა (16v-19r).

3. პერიოდი მეორე, თეოდოსიტგან მალომეტადმდე ანუ დიდსა დაშენებისაგან ერთსა, დარღუჭვითგან დასავლეთისა რომის იმპერიისა დაწყებითგან ახალთა სამეფოთასა დაწყებადმდე მალომეტიანებისა სარწმუნოებისა და სამეფოხსა ყოველად შობითგან ქრისტესსა (19v-26r).
4. სხუადასხუანი აღნიშუნანი ისტორიისათჳს მეორისა პერიოდისა (26v-27v).
5. პერიოდი მესამე, მალომეტიგან კარლ დიდამდე ანუ შემოსლვტგან კაცთა შორის მეოთხისა მმუფლებელისა სარწმუნოებისა და დაფუძნებითგან ძლიერისა სახალიჲოხსა დაწყებადმდე ახლისა დასავლეთის იმპერიის ფრანკთასა. შემდგომად შ. ქრისტესსა 622 წლითგან 800 წლადმდე (28r-35r).
6. სხუადასხუანი აღნიშუნანი ისტორიისათჳს მესამისა პერიოდისა (35r-36r).
7. პერიოდი მეოთხე, კარლ დიდითგან გრიგორი მეშვიდედ და ლოტტჲფრიდ იუილინადმდე ანუ აღდგინებითგან რომის იმპერიისა დასავლეთსა შინა ჲრანკთა მიერ მას დროდმდე, რომელსაცა შინა სულიერი ანუ სამღდელო მეუფება პაპისა მისწუთა სრულებასა თჳსსა და დაწყებადმდე ჯუართთა გალაშქრუათა შემდგომად შ. ქ. 800-1096 წლადმდე (36v-58v).

მინაწერები:

1. „Свящ. Хелаева; 2. ლადო მიხეილის ძე ხელაშვილი“ (1r, ხელნაწერის ფორზაცზე).
2. მხედრული: „ლადო მიხეილის ძე ხელაშვილი“ (19r).
3. მხედრული: „ვლადიმირ მიხეილის ძე ხელაშვილი, ქ. თელავი“ (26r, 57v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 63.

პრიბული, 1862 წ.

1446/66

ტიქნიკური აღწერილობა:

38 ფ. ცარიელი ფურცლები – 1v, 7v. ზომები: ყდა – 230×190, ქალაღი – 225×183, ტექსტი – 198×178, სისქე – 10, სტრიქონებს შორის მანძილი – 7; არშიები: ზედა – 5, ქვედა – 10, მარჯვენა – 20. ქალაღი – თეთრი. მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული ლურჯი მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, რუსული. სტრიქონების რაოდენობა – 20/38. აღრიცხვა – ფურცლობრივი. გადამწერი – **მიხეილ ხელაევი** (7r, 11r-v, 14r, 34v, 36v, 38v). მთარგმნელი – **მიხეილ ხელაევი** (7r, 11r, 34v, 36v). [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნული არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. **განსჯა ტანჯუათათვს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი** (1r-7r).

დასაწყისი: საიდგან იწყო წინად სიკუდილითნი ტანჯუანი უფლისა ჩუენისა?

იერუსალიმს. სად გათავდნენ ეს ტანჯუანი? **გოლგოთაზე ...**

შენიშვნა: ტექსტი რუსულიდან არის ნათარგმნი, სათაურს თავზე მიწერილი აქვს რუსულად: Перевод с русского.

2. **ლოცუა ჭაბუკისა შემოქმედისადმი** (8r).

დასაწყისი: შენდამი, უფალო და შემოქმედო, მოვილტვი ჩემის გამოუცდელის სულითა ...

3. **გალობა ღვთისმშობელისა მიმართ ჟამსა საფარველის გამოცხადებისა** (8r-9r).

დასაწყისი: მოახლოვდენ ახლოს საბერძნეთისა მტერნი,
ემუქრებიან მას წარსაწყმედლად ჯარნი ...

4. **ლოცვისათვის, დარიგება ერთის წმიდის მოხუცისა (9r-v).**

დასაწყისი: ლოცუა სულსა ზეცასთან შეაერთებს
იგი საუკუნობისთვის წინდია ...

5. **ქრისტეს შობაზედ (10r-v).**

დასაწყისი: წევს შეხვეული სახვეველითა
ქვაბსა შინა იგი, რომელმან სამყარო ზეცათა ...

6. **ძღვევის გალობა ღვთისმშობელისა მიმართ (10v).**

დასაწყისი: შენ, ზესთა მბრძოლისა, შენ,
ძღვეათა წინამძღვარსა შენ,
ყოვლად წმიდასა და ყოვლად ქებულსა ...

7. **გალობა ღვთისმშობელისა (10v-11r).**

დასაწყისი: დედაო უმაღლესო, მაღალთა გონებათაო
მათ საუკუნო დიდებაო – ქებათაო ...

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია რუსულად. Перевел с
русского языка ученик высшего отделения семинарии **Мих. Хелаев**
(10v-11r).

8. **ქადაგებები და ლოცვები (11v-36v).**

8.1. **სარჩევი, რუსულ ენაზე (11v).**

დასაწყისი: „Слово на день введения во Пресвятыя Богородицы...“

ბოლო: [...]Песень к Богородиць. Перевель уч. Бог. **Мих. Хелаев.**

8.2. **Глава VI Указатель для изяснения иностранных слов и выражений
в священном писании (12r-14r).**

დასაწყისი: „Аввадон – евр. губитель, это имя усвоятся ангелу
бездны ...“.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს ხელმოწერაა რუსულად – Писаль **Михаил
Хелаев.**

8.3. **21 ноября. Введение во храм Пресв. Богородицы (14v-16v).**

დასაწყისი: ყოველნი დიდებულნი დღესასწაულნი, პატივისათვის
წმიდათა ბრწყინავენ მსგავსად [...].

- 8.4. **Слово 2-е на день Иоана Богослова (17r-18r).**
დასაწყისი: რას შეუძლიან დაედაროს ამა ნეტარებასთან, რომელი იყოს შეყვარებული უფლისაგან, გარნა [...].
- 8.5. **Слово 3 На Новый год (18v-21v).**
დასაწყისი: და ვითარ აღესრულნეს დღენი იგი რვანი წინადაცუჭთისა მისისანი [...].
- 8.6. **Памяц 13 ноября 4-ое слово на день Иоанна Злестоуста (21v-22v).**
დასაწყისი: მიყვარს მე ძველი წიგნი, ზადიკი, მიყვარს მისთვის, რომელი მას შინა იპოების ქება წმ. იოანე ოქროპირზედ [...].
- 8.7. **Слово 5. На день Иоанна Боговлова (22v-24v).**
დასაწყისი: რომელსა არა უყვარდეს ძმა თვისი, რომელი იხილა ღმერთი, რომელი არა უხილავს ვითარ ძალუძს [...].
- 8.8. **Слово 6. На день св.великомученина Георгия (24v-26v).**
დასაწყისი: მონამენი და ანგელოსნი განირჩევიან ურთიერთას მხოლოდ სახელითა, ხოლო თვთ საქმით იგინი თანასწორ [...].
- 8.9. **Слово 7. На день св. ап. Петра и Павла (26v-28r).**
დასაწყისი: მსგავსად რომლისამე დიდის სხეულისა, რომის ქალაქსა აქუნან ორნი ნათელნი თვალნი, სხეულნი წმიდათა [...].
- 8.10. **Слово 8. На день рождества Иоанна Кребшени. Лук. 15 (28r-29v).**
დასაწყისი: დღეს ვდღესასწაულობთ ჩვენ, საყვარელნო ძმანო, შობასა იოანე ნათლიმცემელისასა [...].
- 8.11. **Благовещение пресвятыя Богородицы (29v-33r).**
დასაწყისი: და თუცსა მეექვსესა მოივლინა **გაბრიელ** ანგელოსი ღმრთისა მიერ ქალაქად **გალილიასა**, რომლისა სახელი ნაზარეთ [...].
- 8.12. **Воздвижение честного и животворящего креста (33v-34v).**
დასაწყისი: თუმცა ყოველი საკვირველთმოქმედება ქრისტესი უზომო, ღვთაებრივ და საკვირველ არს, გარნა ყოველზე [...].
შენიშვნა: ტექსტის ბოლოს არის წითელი მელნით რუსულად ხელმონერა – **Михаил Хелаев**.

9. სიტყვა ქრისტეშობაზედ (35r-36v).

დასაწყისი: განეხუნა ცაჲ, დიდებამან უფლისამან განაბრწყინვა ქუ-
წყანა, გამოცხადნენ ურიცხვნი სიმრავლენი ზეციურის [...].

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს არის ხელმოწერა – **Михаил Хелаев.**

10. წმიდა წმიდათა (37r-38v).

დასაწყისი: რაოდენისამე წამის წინათ გესმათ, ქრისტიანენო, ეს
სიტყვები, მაგრამ ეს სიტყვები „წმიდა წმიდათა საკუთრად [...]“.

მინაწერები:

ტექსტს აქვს უმნიშვნელო შინაარსის მინაწერები (1r, 38v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწე-
რილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკე-
ლიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 65-68.

პრეპული [XIX]

1446/67

ტიქნიკური აღწერილობა:

48 ფ. ცარიელი გვერდი – 48r. ზომები: ყდა – 22×172, ქალღი – 21×165, ტექსტი – 153×120, სისქე – 10, სტრიქონებს შორის მანძილი – 5; არშიები: ზედა – 20, ქვედა – 25, მარჯვენა – 24, მარცხენა – 12. ქალღი. მელანი – შავი, წითელი. ტყავის ყდა, ალაგ-ალაგ გადაქექილი. დამწერლობის სახეობა – მხედრული, საზედაო გრაფემები – მთავრულით. სტრიქონების რაოდენობა – 20/21. აღრიცხვა – ფურცლობრივი. განკვეთილობის ნიშნები – •, •, •. ხელნაწერს ახლავს ყვავილოვანი ორნამენტებით გაფორმებული თავსამკაული (1r). გადამწერი – **იაკობ გარსიევი** (48v). გადამწერის ადგილი – **დავით გარეჯის მონასტერი** (48v). [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია **ვლადიმერ ხელაშვილი-საგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

ტექსტის შედგენილობა:

1. თუესა აგვისტოსა იე მიცვალეა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, თქმული წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილი კესარიელისა, რაჟამს-იგი აღვიდოდა ქუჭყანით ზეცად. გვაკურთხენ, მამაო – რაჟამს სულისაგან წმიდისა ღმრთისმშობელსა მარიაჲს გულისხმა-ეყო ჟამი განსვლისა მისისა ამიერ სოფლით, მაშინ მხიარულ იქმნა სიბრძნითა საღმრთოთა ... (1r-25v).

შენიშვნა: ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, თბილისი, გვ. 446.

2. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა დ[ა] ღმერთშემოსილისა მამისა ჩვენისა დავით გარეჯელისა. მამაო, გუაკურთხენ – სახსენებელსა მართლისასა მომთხრობელთა და მოქალაქობასა წმიდათასა

აღმწერელთა გონებისა სადამე თვალთა განწმენდილად ჯერ იყო ქონება... (26r-47v).

შენიშვნა:

1. ტექსტი წარმოადგენს დავით გარეჯელის „ცოვრების“ ვრცელ რედაქციას.
2. ტექსტი გამოქვეყნებულია. იხ. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი 1955, გვ. 144-196.

ანდერძები:

მხედრული: „ესე წიგნი ეკუთვნის მღვდელს **იაკობ გარსიევსა**, რომელიც არის ნალუაწი მისგან წმიდის **დავით გარესჯის** მონასტერსა შინა“ (48v).

მინაწერები:

1. მხედრული: „თელავის საკრებულო ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი მისხილ იოსების ძე ხელაშვილი**“ (26r, ამავე შინაარსის მინაწერი იხ. 47v. ამ უკანასკნელს გვიანდელი ხელითა და კალმით მიწერილი აქვს 1902).
2. მხედრული: „ესე წიგნი ეკუთვნის დაძმობილებ(!) როგორცა თავი ძმ(!) **გრიგოლ**, იგრეთვე(!) ის არი ჩემი ძმა. ვინც ეთმანეც აწყენისოს, გაუწყრეს მღთების მადლი, რისხამდეს უკუნისამდე ამინ(!): მე კიდევ ხელს ვაწერ. ამავე ფურცლის ქვედა არშიაზე ლურჯი მელნით: „ლადო ხელაშვილი“ (48v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 68-69.

ანტონ კათალიკოზი, რიტორიკა [XVIII]

1446/68

ტიქნიკური აღწერილობა:

39 ფ. ცარიელი ფურცლები – 38, 39. ზომები: ყდა – 219×183, ქალაღი – 208×175, ტექსტი – 155×118, სისქე – 9, სტრიქონებს შორის მანძილი – 6. არშიები: ზედა – 23, ქვედა – 30, მარჯვენა – 33, მარცხენა – 16. ქალაღი. მელანი – შავი. მუყაოს ყავისფერი ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 23. განკვეთილობის ნიშნები – •, •, •; აღრიცხვა – რვეულებრივი, აღნიშნულია არაბული ციფრებით ქვედა არშიაზე. [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისაგან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი – თვს რიტორებისა. §1 რიტორება არს ჳელოვნება, განკარგუათ და საამოვნოდ განცხადებად ჳაზრთა თვსთა ... (4r)

შინაწერები:

1. თხზული ასოებით: „ახალი რიტორება, ინოკენტი, იესე, მათე; 1 Сукринский Священника Ясие; Ваше высокопреподобие; ცუდი ჳელი არის“ (1r).
2. „РИТОРИКА НОВАЯ, მომსრელი სენი, მოროვაი იავზვა“ (3r).
3. მხედრული, მარცხენა არშია, ლურჯი მელნით: „ვლადიმერ მიხეილის ძე ხელაშვილი. 1906 წ.“ (11r).
4. მხედრული: „თელავის საკრებულო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი **მიხეილ იოსების ძე ხელაშვილი. ლადო ხელაშვილი**“ (6r, 22r, 37r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 69.

ფილოსოფიური ნიშნი [XIX]

1446/69

ტიქნიკური აღწერილობა:

10 ფ. ცარიელი ფურცელი – 9. ზომები: ყდა – 350×228, ქაღალდი – 330×215/340×218, ტექსტი – 300×104/330×185, სისქე – 10, სტრიქონებს შორის მანძილი – 2/5; არშიები: ზედა – 15/10, ქვედა – 4/15, მარჯვენა – 25/30/100, მარცხენა – 10/20. ქაღალდი. მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ნაცრისფერი ფერის ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 38/40/42. აღრიცხვა – ფურცლობრივი. განკვეთილობის ნიშნები – •, ♣, ♠. ხელნაწერი ნაკლულია, ფურცლები დალაქავებული, რესტავრირებული. [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: ფილოსოფია მიიღებს განსასჯელად ორგუართა ხატითა, ესე იგი ჰაზრსა შინა მოქმედისა და ჰაზრსა შინა ვნებულისასა ... (1r).

მინაწერები:

1. მხედრული: „მიხაილ იოსების ძე ხელაშვილი“ (1r).
2. მხედრული: „იოსებ ასტრიმიჩისა“, „გრიგოლ მეთიევი(?)“, აქვე: „священника Хелаева“ (10r).
3. მხედრული: „გამოგვეცხადა ბრძანება ზეგანის ნაცვალს და ფაშანისასა კიკოლასა“ (10v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 70.

იონან სინელი, კლემასი [XVIII]

1446/70

ტიქნიკური აღწერილობა:

26 ფ. ზომები: ყდა – 224×185, ქალაღი – 212×173, ტექსტი – 160×145, სისქე – 8, სტრიქონებს შორის მანძილი – 1. არშიები: ზედა – 17, ქვედა – 22, მარჯვენა – 15, მარცხენა – 10. ქალაღი. მელანი – შავი. კოლენკორგა-დაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, საზედაო გრაფემები – მთავრულით. სტრიქონების რაოდენობა – 30/31. აღრიცხვა – რვეულებრივი, ქვედა არშიაზე აღნიშნულია მხედრული (1r, 5v) და არაბული ციფრებით (9r, 17r, 18r); ავტორი – იონან სინელი (1r). [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: „იონანსაგან სინელისა სამათნი. გვარნი კიბისანი, აღსავალ-თაებრ თქმულნი. ვინცა აღსრულხარ, სისრულედ მიწვეწულხარ, ესენი თითო თავისაგან ათ მუხლად მე იოვანე, დავლექსენ პირის პირად – გნებავს გამოხუალ, თუ ოდესცა ამას ჰყოფ, არსსა ვით ხედავ უმეცარი, არ მართალი ... (1r).

წყდება: ... ნუ სადა მწარედ მგლოვიარეთა გულითა ნეტარნოდებით ნუგეშინის გვცეს ღმერთმან (26v).

მინაწერები:

მხედრული: „დეკანოზი მიხეილ იოსების ძე ხელაშვილი“ (3r, მარცხენა არშია).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, თბილისი, 1941, გვ. 263.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 70.

პარაბაღინი [XIX]

1446/71

ტიქნიკური აღწერილობა:

21 ფ. ზომები: ყდა – 175×141, ქალაღი – 164×105, ტექსტი – 132×105, სისქე – 2, სტრიქონებს შორის მანძილი – 4; არშიები: ზედა – 8, ქვედა – 18, მარჯვენა – 12, მარცხენა – 7. ქალაღი. მელანი – შავი, ნითელი. კოლენკორგა-დაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 16/17. აღრიცხვა – ფურცლობრივი. განკვეთილობის ნიშნები: •, •. ხელნაწერი რესტავრირებულია, ფურცლები დალაქავებული. [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია **ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან.**

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...]და ბევრი პაქსიმატი სჭამოს, ორსავ არგებს და უშველისო. ფეტვის პური ხმელი და გრილი არის ...(1r).

ტექსტის შედგენილობა:

1. [...]და ბევრი პაქსიმატი სჭამოს, ორსავ არგებს და უშველისო. ფეტვის პური ხმელი და გრილი არის ... (1r-2r)
2. კაცს რომ შარდი შე[ე]კრას და ქარი ქონდეს (3v-4r).
3. რაც აწყენს ან არგებს ქარს (4r).
4. იარაყიანის წამალი (10r).
5. სისხისა(!) და სიმსივნის წამალი (11r).
6. ფუშის წამალი (12r).
7. ცხვირში რომ სისხლი ორს ნეშტში დიოდეს (12v).
8. ყოველისგან უკეთესი ტლე და წამალი (13r).
9. წელისა და ბოქვენისა ტკივილის და ფუშისა (13r).
10. ფირტვის თირკმლის და შირმის წამალი (15v).
11. გულისტკივილისა ფეთქისა წამალი (16v).
12. სიცვიისა და სიგრილისაგან კაცს რომ გული სტკიოდეს (17v).
13. წამალი თავის ტკივილისა თავისთვის (18r).

14. თვალის ტკივილისა (19v).

15. ყურის ტკივილისა (20v).

16. კბილის ნამალი (21v).

წყდება: ... ხმელი ყურძენი უნდა დანაცოთ, რძით მოხარშოთ, ნელთბილი პირში იგუბოთ, კბილები დაათეთროს და დაამაგროს ... (21v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 71.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის ნიშნი [XVIII]

1446/72

ტიქნიკური აღწერილობა:

130 ფ. ცარიელი ფურცლები – 1r-3v, 91v, 102v-130r. ზომები: ყდა – 210×110, ქალაღი – 208×175, ტექსტი – 150×115, სისქე – 23, სტრიქონებს შორის მანძილი – 5; არშიები: ზედა – 30, ქვედა – 31, მარჯვენა – 23, მარცხენა – 20. ქალაღი. მელანი – შავი. ტყავის ყავისფერი ყდა, ყდაზე გაირჩევა ორნამენტები. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 13. აღრიცხვა – გვერდობრივი. განკვეთილობის ნიშნები – •, ♣ [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: სამართალი. პირუჭლი შესავალი ბატონისშვილის ვახტანგის ნაბრძანები – მყოფისა უმყოფობასა არსისა და უარსესისა მქეები, არა თუ ღირსად, არამედ შეძლებისა ჩემისაებრ მქეებელი და მმონებელი ... (1r-14v).

1. კარი თეთრის გარიგებისა (14v-53v).
2. ან ვინყოთ კარი ქურდობისა და სამართალი მისი (53v-56v).
3. კარი ნასყიდობისა (56v-92r).

შენიშვნა: მხედრული მინაწერი: „საყვარელნო ძმანო და მეგობარნო! აქ რიცხვი არეული არის მაგრა, გთხოვთ მოტევენასა, ამისთვის რომ საიდგანაც გადმოვწერეთ, იქ ასე იყო“ (77v, მარჯვენა არშია).

4. საძიებელი (92r-100v).
5. ქორონიკონი (100v-101r).

მინაწერები:

1. მხედრული, ტექსტის ხელით: „საყვარელნო ძმანო და მეგობარნო! აქ რიცხვი არეული არის, მაგრამ გთხოვთ მოტევებასა, ამისთვის რომ საიდგანაც გადმოვნერეთ, იქ ასრე იყო. სდჴ“ (77v, მარჯვენა არშია).
2. მხედრული: „უფლისა არას ქვეყანა და სახსება მისი“ (129v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 71.
2. ქართული სამართლის ძეგლები, I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1963, გვ. 478-479, 485-549.

მაქსიმე აღმსარებელი, სნავლანი [XVIII]

1446/73

ტიქნიკური აღწერილობა:

45 ფ. ზომები: ყდა – 230×190, ქალაღი – 220×170, ტექსტი – 170×130, სისქე – 20, სტრიქონებს შორის მანძილი – 2; არშიები: ზედა – 30, ქვედა – 25, მარჯვენა – 33, მარცხენა – 23. ქალაღი. მელანი – შავი, ნითელი. მუყაოს შინდისფერი ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, ნუსხური. სტრიქონების რაოდენობა – 16. აღრიცხვა – ფურცლობრივი. განკვეთილობის ნიშნები – **ა, ე, ი**. ხელნაწერი ბოლონაკლულია, აკლია შემდეგ ფურცლებს შორის: 6-7. [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: წმიდისა მამისა ჩვენისა **მაქსიმეს** თქმულთაგან, რომელსა ჰკითხავდა **თალასი** მღუდელ მამასახლისი. კითხვა: ნებანი ესე გულის-თქმა, გულისწყრომა, მწუხარება და შიში მსგავსნი მათნი თავით თვისით არიან ბოროტ, ანუ ვითარცა ივმარნეს ... (1r).

წყდება: ... იტყვს **ვასილის** მოძღუარი, ვითარმედ მივალს სიკუდილი კაცისა, რაჟამს აღივსნენ დღენი მისნი და განსრულდეს საზომი მისი და საზომი ყოველთა კაცთა ცხოვრებისა. ბრძანება ღმრთისა არს და წოდება მისი ვითარ-იგი პირუჭლად ჰსთქუჴს: რავალნ (!) ჰგონებენ ვითარმედ, ვერ შესაძლებელ არს აღდგომა... (45v).

მინაწერები:

1. მხედრული: „მის. ხელაშვილი“ (1r, ზედა არშია).
2. მხედრული: „ლადო ხელაშვილი“ (24r, 32r, ქვედა არშია).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 72.

ლეოლრაჭია [XVIII]

1446/74

ტიქნიკური აღწერილობა:

7 ფ. ცარიელი გვერდი – გვ. 7. ზომები: ყდა – 230×188, ქალაღი – 222×177, ტექსტი – 190×149, სტრიქონებს შორის მანძილი – 3/5; არშიები: ზედა – 15, ქვედა – 20, მარჯვენა – 11, მარცხენა – 25. ქალაღი – მწვანე, მელანი – შავი. მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სათაურები და საზედაო გრაფემები – მთავრულით. სტრიქონების რაოდენობა – 23. აღრიცხვა – ფურ-ცლობრივი. განკვეთილების ნიშნები – •, ••, •••. [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისაგან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

ლეოლრაჭია ესე იგი აღწერა ქუჭყანისა ქუეყნიერისათჳს სფერაჲსა გინა ბურთისა. მსოფლიო სჭერა ან ბურთი შეიცავს თავსა ზედა თჳსსა 7200 მილსა, აღრაცხე ყოველსა მილსა შინა 3000 ნაბიჯი გეომეტრიული (1r).

მინაწერები:

მხედრული: კარბელაშვილის ხელმწერა (6v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 73.

კრიპული [XIV-XV]

1446/75

ტიქნიკური აღწერილობა:

147 ფ. ცარიელი ფურცლები – 69v, 85ra, 86r. ზომები: ყდა – 144×109, ქალაღდი – 138×104, ტექსტი – 115×76, სისქე – 34; სტრიქონებს შორის მანძილი – 3; არ-შეები: ზედა – 15, ქვედა – 25, მარჯვენა – 27, მარცხენა – 19. ქალაღდი. მელანი – შავი, ნითელი. მუყაოგადაკრული ტყავის შავი ყდა. დამწერლობის სახეობა – ნუსხური, მხედრული, სათაურები და საზედაო გრაფემები – ასომთავრულითა და სინგურით. სტრიქონების რაოდენობა – 14/15/18/20/21/22. აღრიცხვა – რვეულებრივი: 8-8 ფურცლით, იწყება ით (მე-19 რვეულით) და სრულდება ლჷ (38-ე) სრული რვეულით. აკლია კთ, ლ, ლგ რვეულები, არასრულად არის წარმოდგენილი კბ (24-ე) რვეული (4 ფურცელი). განკვეთილობის ნიშნები – •, •, ••. თავბოლონაკლული, აკლია შემდეგ ფურცლებს შორის – 2-3, 122-123, ფურცლები ზოგან დალაქავებული და კიდებმობეულია. ხელნაწერში რამდენიმე ხელი გაირჩევა: ნუსხური – 1) 1r-27v [XIV-XV], 2) 29r-81v [XIV-XV], 87r-146v [XIX], მხედრული – 3) 82r-85v, 85av, 96v. [XIV] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. გარკვეული პერიოდი ხელნაწერი ეკუთვნოდა იერონიმე ალექსეევს (ყდის ზედა ფრთის ფორზაცი). 1885 წლის 26 ნოემბერს ხელნაწერი სოლომონა მენვრილმანისაგან შეუძენია მღვდელ მიხეილ ხელაშვილს. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოვიდა 1924 წელს ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. [...] (1r).

დასაწყისი: [...]სა შინა მოწსენებულ არიან და ალაჯორთა შკდეული კვრიაკე ვსნილი არის ყოვლითურთ ... (1r).

წყდება: ... რომელთა წინა კვრიაკე დაემთხუჭოდეს პირუელად აღდგომისა ითქუმის ... (1r).

2. [...] (2r-16r).

დასაწყისი: [...]ო კეთილი რომელი წარვიდა და. გ ხუასტაგითა გარდაიწადო. დ ასესხო და ძნელად მოგცეს ... (2r).

3. **ესე არს გამოცდა სიზმართა** – უკუეთუ ძილსა შინა წინასწარმეტყუელთაგანი ვინმე იხილო და გზრახვიდეს, ცოდვილი იყო, სინანულსა ეწიო ... (16r-21r).

4. **კითხვა-მიგება** – ეგების ერისაგანისა ხუცისაგან მონაზონისა კურთხევამ ანუ დამონაფებამ კაცისა ანუ აღსაარებისა მოსმენა? ... (21v-23v).

5. **ალაჯორის კვრიაკესათვს, შვილნო და მამანო** – რომელ არს განყოფილებამ უსჯულოთა მწვალებელთა და მორწმუნეთა, რამეთუ მორწმუნეთათვს განაწესეს შვდეული ესე ხსნილად ... (24r-25r).

6. [...] (26r-27v).

დასაწყისი: [...]რებად ბზობად დიდსა ხუთშაბათსა სწირვიდა. ჟამთა მრემლთა(!) მარხვასა ლოცვასა და სინმიდესა შეუთუალევი ... (26r).

წყდება: ... უკუეთუ ვინმე კრულ იყოს ებისკოპოსისაგან ანუ ქორაბისკოვისაგან(!), ეკლესიას ნუ შეუშვებ და მის თანა ჟამსა ნუ სწირავ, ნუცა მის თანა პურსა სჭამ, ნუ ეუბნები წავიდ[...]. (27v).

7. **სიბრძნისაგან მრავალთა ფილოსოფოსთასა ძუჭლნი** – არისტოტელი თქუა ვითარმედ ყორანთასა მლიქნელნი უბოროტეს არიან, რამეთუ ყორანნი მკუდართა, ხოლო მლიქნელნი ცოცხალთა შესჭამენ ... (29r-41r).

8. **სწავლანი მრავალთა ფილოსოფოსთანი შუჭნიერნი, გარნა უფროსნი სოლომონისნი არიან** – სიბოროტე, რომელი იხილო სხუამთა თანა და ძუნად აგიწინდეს, განეკრძალე ... (41r-53v).

9. **მოპოვნებაანი ჯელოვნებათანი** – ევლკლიდის(!) ქუჭყანისა მზომელობამ ... (53v-69r).

10. **იამბიკო საუფლოთა მცნებათა სახარებისათამ** – რისხვამ სასჯელის რა კრებულით განწადისა ... (70r-71r).

11. **გოდებამ დავითისი საულ და იონათანისა, ოდეს-იგი მოიკლნეს უცხოთესლთა მიერ მახვლთა. მაშინ აღმოთქუა ტირილით გოდებამ ესე და რამეთუ ძუჭლსა სჯულსა შინა აღასრულნა სიკეთითა**

გონებისთა დავით ახლისა სჯულისა სახარებისა მცნებაანი: არავე მიაგო ბოროტი ბოროტისა წილ ცხორებაესა შინა თვსსა – ძნობდინ იერუსალჴმ დაცემულთა შენთათჴს, რომელნი-იგი დაეცნეს წყალობითა [რ]აბამ ძლიერნი მძლენი ბრძოლასა შინა ... (71r-72v).

12. ვისცა ნაიარევსა სწამ[ლ]ობდუ – დასუი სოლომონის ბეჭედი და ყოველსა თუალსა ... (72v-73v).

13. ლოცვა აღისა – ჩუენ ვიყვენით სამნი ძმანი – ელმონოზ და აღბზნოზ და ელკანოზ და მოვიდოდით მთასა ზედა ... (73v-74v).

14. კარბაჲდინთაგან – ლელჴსა სძე, რომელი ჯერეთ არა დამნიფულ იყოს, ძაღლისა ნაკბენსა სცხო, დიდად ერგების ... (74v-81v).

წყდება: ... მუცელი, რომელსა შეედვას ეკალ, ძუალისა ძირი შეაგებუ და სამსა დღესა უზმასა ასჴ, ვის მუცე[...]. (81v).

15. თვალის ტკივილისა – ვინც კვერცხის გული ცარიელ წყალში მოხარშოს, ცოტაოდენი ზაფრანა და ვარდის წყალი გაურიოს და თვალზედ დაადვას, ყველაფერს თვალის ტკივილს უშველის ... (82r-85v).

შენიშვნა: ჩანართი გვიანდელი, XIX საუკუნის მხედრულით.

აქვე გვიანდელი ჩანაწერი (XX საუკუნის I ნახ.) – „ყრუისათვის“, ჩამწერი: ახალქალაქში მცხოვრები პავლე მაისურაძე (85av).

16. კითხვა-მიგებაჲ – კითხვაჲ: ნელსაცხებელისა დამსხმელი დედაკაცი ვინ იყო, ანუ რისა იყო, ანუ ფასი მისი სით მიიღო? ... (87r-92v).

17. სიტყუაჲნი სულისა სარგებელნი სულმცირედ შემოკრებილნი – მოციქულისა. ჟამთა გამოიფრდით, რამეთუ დღენი ბოროტნი არიან. ესე არს გამოფრდაჲ ჟამთა, რაჲთა შიშითა უცნაურად სიკუდილი-სათა კაცმან ყოს დღითიდღე ღმრთისმსახურებაჲ ... (93r-103v).

18. სამთუარეო სნეულსა – მთვარისასა დღე კეთილ ყოვლისა საქმისათჴს, რომელი დასნეულდეს ... (104r-109v).

19. თუ ვითარ ჯერ არს აღწერით შეჩუენებაჲ წმიდად ღმრთისა ეკლესიად მომავალთა მანიქეველთა წვალეებისაგან – შეჩუენებულმცა არს მანიწრულისაგან არიან მანიქეველნი და ყოველნი წვალებაჲნი მისნი ... (109v-113v).

20. აღსარება და უწყება და სასწაული მართლისა სარწმუნოებისა და წმიდათა კრებულთათვის, რომელთა დაამტკიცეს მართალი სარწმუნოება რომელი-ესე ჯერ არს ყოველთა ქრისტიანეთათვის, რაათა კეთილად და გამონულილვით მეცნიერ იყვნენ – მრწამს ერთი ღმერთი – მამა ყოვლისამპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა ... (114r-146v).

შედის:

- წმიდისა ფოტი პატრიარქისა აღწერილი ესრეთ (115v-130v).
- ესე უკუჭ კრებაჲნი ექმნეს უწინარეს ნიკიისა კრებისა (131r-141r).
- მიქაელ სვკელისა იერუსალჴმელ მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქმა (141r-146v).

წყდება: ... რომელმან მოსცა იგი მორწმუნეთა სასუმლად და საჭმლად მოსატევებელად ცოდვათა. შევინყნარებ ყოველთავე ეკლესიისა წესთა [...] (146v).

მინაწერები:

ნუსხური:

1. „ცოდვილი **მოსე** გევედრები: მიწყალე, ღმერთო“ (68v, მარცხენა არშია, ტექსტის ხელით).
2. „ცოდვილი **მოსე**, გევედრები შემწყალე, ძეო ღმრთისაო“ (142v, მარცხენა არშია, ტექსტის ხელით).
3. ნუსხური: „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას და შემწყალე“ (1v, მარცხენა და ქვედა არშიებზე).

მხედრული:

4. გვიანდელი ხელით: „წიგნი ესე ეკუთვნის **იერონიმე ალექსიევს** (ყდის ზედა ფრთის ფორზაცი).
5. აქვე გვიანდელი ხელით: „ეს წიგნი ვიყიდე სოლომონა მენწრიმალის დუქანში 26 ნოემბერს სამშაბათს დღეს 1885 წ. იმ დროს ვაჩნაძიანის მღუდელი ლაზარე აბრამოვიც იქ იყო. **მღუდელი მიხეილ ხელაშვილი**“ (ლურჯი მელანი).
6. **აქვე:** „ლადო მიხეილის ძე ხელაშვილი“ (წითელი მელანი, იხ. ასევე 49r, 101r, 147r).

7. „შენისა [...] მონაზონი თამარი, [...] ...]. ღმერთო, შეიწყალე სული თამარისა [...]. ღმერთო, მაისაისა(!) და ძისასა, შეიწყალე საძვალონი ამისა ადგილისა. უფალო, იახლე თამარი და [...] მისა ძმა [...]. ადღევრძელო ძმა სტეფანე, საძვალოც მამაისა [...]" (1v).
8. [...]] (28r, შავი მელანი).
9. „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი და სანყალობელი **ულუმპია**, ამინ. ვაჟ, მე ცოდვილსა და ვინცა ბრძანოთ შენდობა ჩემ ცოდვილსა და [...] გლახაკისათვის, თქვენაც შეგიწყალნეს უხვად მომნიჭებელმან და შემწყალებელმან ყოველთა ღმერთმან, ამინ“ (28v).
აქვე: „ქ. ღმერთო, შეიწყალე სული ფრიად ცოდვილისა [...]] ცოდვილისა, მიშველე, ღმერთო“.
10. „ღმერთო, გამიმარჯვე ყოველსა საქმე შიგან, საღმრთოსა და საკაცობოსა შიგან, ორშიგანვე და წიგნი თუ მადლია“ (38r).
11. აქვე იმავე ხელით: „ღმერთო, შემეყუარე თავ ჟამ შენსა მეფობისა მადლსაჲ“.
12. „თელავის საკრებულო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი მიხეილ იოსებისძე ხელაშვილი“ (69r, შავი მელანი, მარცხენა არშია. იხ. ასევე 36r, 115r, 141r).
13. „პატარიძე“ (92v, ქვედა არშია).
14. გადაშლილი: „1830-სა წელსა ოკდომბრის 10 ნარვიკითხე. მღუდელმონაზონმა ტარასი“ (146r, ქვედა არშია).
15. „არა რა არს ესრეთ დასავინყებელ, ვითარ კაცი“ (146v, მარცხენა არშია).
16. უმნიშვნელო მინაწერები მხედრულით – 25v, 80v, 81r, 91v, 92v.

შენიშვნები:

1. ხელნაწერი სინკრეტული ხასიათისაა. მასში შედის როგორც ლიტურგიკული შინაარსის ცალკეული ტექსტები, ისე საისტორიო, ასკეტიკურ-მისტიკური, კანონიკური, სამედიცინო თუ ხალხური შინაარსის თხზულებები.
2. ტექსტები გაუმართავია, ხშირ შემთხვევაში აზრის გარჩევაჭირს.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 73.

დიალექტიკა [XVIII]

1446/76

ტიქნიკური აღწერილობა:

147 ფ. ცარიელი ფურცლები – 1v, 2r-v, 3v-5v, 154v-157v. ზომები: ყდა – 155×105, ქალაღი – 15×102, ტექსტი – 96×62, სისქე – 22, სტრიქონებს შორის მანძილი – 1; არშიები: ზედა – 18, ქვედა – 30, მარჯვენა – 25, მარცხენა – 8. ქალაღი. მელანი – შავი, ნითელი. ტყავგადაკრული ხის ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, საზედაო გრაფემები მარტივი გაფორმებით, სათაურები ასომთავრულითა და სინგურით. სტრიქონების რაოდენობა – 17. აღრიცხვა – რვეულებრივი, არაბული რიცხვებით ქვედა არშიაზე; სულ 19 რვეული. განკვეთილობის ნიშნები – •, •, •, • ხელნაწერი რესტავრირებულია, ფურცლები დალაქავებული. [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

ტექსტის შედგენილობა:

1. დაწყებასა შორის დიალექტიკისასა საჭმარ არს კითხვისათჳს მცირისა რაჲსმე თქმად, რომელსა განსაზღურებს არისტოტელი ესრეთ. კითხუა არს ძიება მიგებისა – ან უკუჴ დალაცათუ მრავალ არიან სახენი კითხვსანი, გარნა აქა საჭმარ არიან ჩუჴნდა ... (1r-65v).
2. თხზვისათჳს, რომელ არს ნაკუჴთი ბ, თავი ა – თხზუა, ვიდრემდე არს შენმასნა მარტივთა ჴმათა აღმომჴმობელ შინაგან მდებარისა სიტყვისა ... (66r-87v).
3. სილოგიზმისათჳს, რომელ არს ნაკუჴთი მესამე – სილოგიზმი არს სიტყუა, რომელსა შინა რომლითმე ცნობილითა უცნაური იცნობების ... (88r-154r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგაშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, ტომი I, 1949, გვ. 76.

სამოქალაქო ნიგნი [XVIII]

1446/77

ტიქნიკური აღწერილობა:

16 ფ. ცარიელი გვერდი – 1რ. ზომები: ყდა – 162×108, ქალაღი – 161×102, ტექსტი – 126×68, სისქე – 4, სტრიქონებს შორის მანძილი – 5. არშიები: ზედა – 1, ქვედა – 2, მარჯვენა – 15, მარცხენა – 11. ქალაღი – მწვანე; მელანი – შავი. მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 18/19. აღრიცხვა – ფურცლობრივი. განკვეთილობის ნიშნები – •, ❦, ♣ ხელნაწერი რესტავრირებულია, ფურცლები დალაქავებული, რესტავრირებული. [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: სამოქალაქო ნიგნი.

მღვდელმან აღიღოს აიაზმა, ოლარი, ჯვარი და კურთხევანი და შევიდეს სნეულთან და სთქვას ... (1v-16v)

წყდება: ... არცა ერისკაცთა ქრისტიანეთა ჯერ არს ყოველსავე ამის საქმისა ქმნად. დიდდიდი საბრალობელი არის, ხოლო რომელი ამას იქმოდეს მღვ[დელი] [...] (16v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 77.

მხითარ სეხასტიელი, რიტორიკა, 1892 წ.

1446/78

ტიქნიკური აღწერილობა:

103 ფ. ზომები: ყდა – 175×110, ქალაღი – 171×106, ტექსტი – 114×72, სისქე – 21, სტრიქონებს შორის მანძილი – 4; არშები: ზედა – 18, ქვედა – 4, მარჯვენა – 18, მარცხენა – 15. ქალაღი – ყვითელი, ლურჯი. მელანი – შავი, ნიითელი. ყავისფერი ტყავის ტვიფრული ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, სათაურები და საზედაო გრაფემები – ასომთავრულით. აქვს ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 20. ავტორი – **მხითარი** (1r). გადამწერი – **ალქატი იოსები** (102r). მთარგმნელი – **ანტონ I** (102r). 1892 წ. (102r). ხელნაწერი ეკუთვნოდა **ვლადიმერ ხელაშვილს**. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ მიხეილის ძე ხელაშვილისაგან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. **მიხითარ ყოვლად ბრძნისა მოძღურისა სომეხთასა სევასტიელისა ქმნილი წიგნი რიტორიკა სარგებელად ყრმათა სხოლის შინათა ქართულსა ჯმასა ზედა გარდამოცემით შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოზისა ყოვლისა საქართუჭლოესა დავითიან-ბაგრატიონისა, დროსა უმაღლესისა მეფისა ირაკლი მეორისა ყოვლისა საქართუჭლოესასა, მამათმთავრობასა ანტონისასა ...**
2. **თვს ჴელოვნებისა სარიტოროესა (ესე იგი სამჭევრმეთქუოესა). წიგნი ა. თვს საზღურისა სამჭევრმეთქუოესა და წუალეებისა ნაწილთა მისთასა. თავი ა – მჭერმეთქუჭობა, რომელიცა ითქმის რიტორებად, არს ჴელოვნება საკეთილმეთქო ... (6r-13v).**
3. **თვს პირველისა ნაწილისა სამჭევრმეთქუოესა, ესე იგი პოვნისა, წიგნი ბ. თვს მრჩობლისა მსახურებისა სამჭევრმეთქუოესა, რომელი არს პოვნასა შინა და რომელთამე თ ხოვილთათვს პოვნისაგან, თავი ა (13v-48r).**

4. თვს მეორისა ნაწილისა სამჭევრმეთქოჲსა, ესე იგი განკარგვსა, წიგნი გ. თვს უმთავრესთა ნაწილთა თქმულთასა და ვითარმედ რაჲ არს დაწყება, თავი ა (48r-59r).
5. თვს მესამისა ნაწილისა სამჭევრმეთქოჲსა, ესე იგი უხუსიტყუაობისათვს, წიგნი დ. მისთვს, ვითარმედ რაჲ არს უხუსიტყუაობა და რანი არიან თვსებითნი კანონნი მისნი, თავი ა (59r-92v).
6. თვს მეოთხისა ნაწილისა სამჭევრმეთქოჲსა, ესე იგი მეხსიერებისათვს, წიგნი ე. მისთვს, ვითარმედ რაჲ არს მეხსიერება და რაოდენად იწუალების, თავი ა (92v-96v).
7. თვს მეხუთისა ნაწილისა სამჭევრმეთქოჲსა, ესე იგი წარმოჩენილისა, წიგნი ვ. მისთვს, ვითარმედ რაჲსათვს წარმოჩინება და რაოდენ სარგებელ არს, თავი ა (96v-100v).

ანდერძები:

მხედრული: აღინერა ჴელითა ალქატის იოსებისათა. ხოლო ვინყე ნოენბერს კთ და აღვასრულე წერით დეკემბერს ვ, ქორონიკონს უჰ (102r).

მინაწერები:

1. მხედრული: „ვლადიმერ მიხეილის ძე ხელაშვილი“ (ყდის ზედა ფრთის ფორზაცი. იხ. ასევე 62r, 102v).
2. მხედრული: „დეკანოზი მიხეილ იოსების ძე ხელაშვილი“ (8r, 24v, 37r, 58v, 64r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 78.

სნავლა-მოქვრება [XVIII]

1446/79

ტიქნიკური აღწერილობა:

6 ფ. ზომები: ყდა – 214×17, ქალაღი – 204×168, ტექსტი – 137×132, სისქე – 5, სტრიქონებს შორის მანძილი – 7; არშიები: ზედა – 42, ქვედა – 25, მარჯვენა – 30, მარცხენა – 32. ქალაღი. მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ლურჯი ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, ზოგიერთი გრაფემა – მთავრულით. შეიმჩნევა განკანონების ხაზები და ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 20/25. განკვეთილობის ნიშნები – •, •, •, •—, ••. ხელნაწერი ნაკლულია. გადამწერი – **რაფიელ (5v)**. [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისაგან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი:

ადამ.

კი: რაჲსაგან შექმნა იგი ღმერთმან?

მი: მიწისაგან.

კი: ვითარ სახედ ჰქმნა იგი?

მიგება: მსგავსა თვისა გონიერთა სულითა.

კი: რაჲ გულისგმა-იყოფების მსგავსებისა ძლით?

მი: ესე ვითარმედ დაბადებულ არს კაცი სრულებით კეთილად, წმიდად და მართლად ... (1r)

მინაწერები:

1. მხედრული: „დეკანოზი **მიხაილ იოსების ძე ხელაშვილი**“ (1r, მარცხენა არშია).

2. მხედრული: „**ლადო ხელაშვილი**“ (6v, ქვედა არშია).
3. უმნიშვნელო მინანურები: 4r, 5v.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 79.

**პარაკლისი სავედრებელი წმიდისა
მღუდელთმთავრისა ნიკოლაოსისი მკროქალაქელისა
საკრველთმოქმედისა დიდისა, 1803 წ.**

1446/80

ტიქნიკური აღწერილობა:

12 ფ. ცარიელი გვერდი – 12v. ზომები: ყდა – 160×108, ქალაღი – 151×100, ტექსტი – 115×77, სისქე – 1, სტრიქონებს შორის მანძილი – 1. არშიები: ზედა – 9, ქვედა – 2, მარჯვენა – 1, მარცხენა – 9. ქალაღი. მელანი – შავი, წითელი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ცისფერი ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, სათაურები – ასომთავრულით. აქვს ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 22/23. ხელნაწერი რესტავრირებულია, ფურცლები დალაქავებული; ახლავს მარტივად დეკორირებული ორნამენტი (1r), ყვავილოვანი ორნამენტი ერთგან სახის გამოსახულებით (11v). გადამწერი – **მღუდელი ნიკოლაოსი (12r)**. მომგებელი/დამკვეთი – **ნიკოლაოს ჩოლაყოვი (12r)**. 1803 წ. (12r). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: უპირატესი ანუ მღუდელი იტყვის; კურთხეულარსა და ჩუჴნ: წმიდაო ღმერთო ... (1r).

ანდერძები:

მხედრული: „იმისმა უბრწყინვალესობამ, თავადმა **ჩოლაყოვმა ნიკოლაოსმა** აღმანერინა პარაკლისი ესე წმიდის ნიკოლაოსისა მე“.

აქვე: „ყოვლად უღირსს მღუდელს ნიკოლაოსს, დეკანოსის გიორგის შვილს **მიხეილოვს** წელსა 1803 ნოემბერს 30-ს. ნიკოლაოსმა“ (ხელრთვა) (12r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 79.

კურთხევენი [XVIII-XIX]

1446/81

ტიქნიკური აღწერილობა:

7 ფ. ცარიელი გვერდი – 7v. ზომები: ყდა – 230×181, ქალაღი – 215×162/220×150/213×155, ტექსტი – 200×155/200×112/220×150, სისქე – 8; სტრიქონებს შორის მანძილი – 1/4/5. არშიები: ზედა – 10/20/90, ქვედა – 10/60/80 მარჯვენა – მარცხენა – 10/15/30. ქალაღი. მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. აქვს ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 21/23/25/29. აღრიცხვა. ხელნაწერი რესტავრირებულია, ფურცლები დაზიანებული, დალაქავებული. [XVIII-XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

ტექსტების შედგენილობა:

ნაწილი 1.

დასაწყისი: „წესი, რომელი იქმნების კურთხევასა ზედა წიგნის მკითხველისასა და მგალობელსა ზედა. მოიყვანენ წინაშე მღვდელთ მთავრისა ესრეთ...“ (1r-5v).

1. წესი, რომელი იქმნების კურთხევასა ზედა წიგნის მკითხველისასა (1r).
2. წესი, რომელი იქმნების ხელთ დასხმასა ზედა კერძო დიაკონისასა (1r-2r).
3. წესი, რომელი იქმნების კურთხევასა ზედა დიაკონისასა (2r-3r).
4. წესი, რომელი იქმნების კურთხევასა ზედა მღვდელისასა (3r-4v).
5. წესი, რომელი იქმნების ხელთდასხმასა ზედა ეპისკოპოზისა (4v-5v).

ნაწილი 2.

კურთხევა ახლად შექმნილისა ბარძიმისა და ჭეშუმისა(6r-v) – განსხვავებული ხელით, შესაძლოა სხვა ხელნაწერიდან.

დასაწყისი: „იტყვის მღვდელთმთავარი: კურთხეულ არს მეუფება...
ერმან: ამინ. იწყებს დიაკონი: მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.
მგალობელთა...“

ნაწილი 3.

[ათორმეტი განცხადება]

დასაწყისი: „ რეკთ მეორესა ჟამთა დღისასა და შევკრებებით ეკკლესიად, ხოლო ღუდელი შეიმოსების და ჰყოფს დაწყებასა...“ (7r) სხვა ხელნაწერის ნაწილია.

ანდერძები:

ასომთავრული: „განასრულა კურთხევა ეპისკოპოზისა. დიდება ღმერთსა მხოლოსა ამინ“ (5v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. გაბიაშვილი ენრიკო, ლიტურგიკა და ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2011, გვ. 115-116.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 80.

პატრია ბაბრატომონისთვის, XIX

1446/82

ტიქნიკური აღწერილობა:

2 ფ. ზომები: ყდა – 225×174, ქალაღდი – 220×164, ტექსტი – 160×110, სისქე – 3, სტრიქონებს შორის მანძილი – 6; არშიები: ზედა – 30, ქვედა – 30, მარჯვენა – 45, მარცხენა – 20. ქალაღდი – ცისფერი. მელანი – შავი. კოლენ-კორგადაკრული ლურჯი მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, საზედაო გრაფემები – ასომთავრულით. შეემჩნევა ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 24. აღრიცხვა – გვერდობრივი, აღნიშნული არაბული ციფრებით. ხელნაწერი თავნაკლულია. ლექსს დასაწყისში აკლია ოთხი ტაეპი, იწყება მეხუთე ტაეპიდან (1r). ავტორი – **ნიკოლოზ ახვერდოვი** (2v). მთარგმნელი – **ალექსანდრე ჭავჭავაძე** (2v). ხელნაწერი ეკუთვნოდა დეკანოზს **მიხაილ ხელაშვილს**. [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] დუნაიისა, მდინარის კიდეთ ზედა,
განსაცვფრონი შემუსრნა სიმაგრენი ... (1r).

ანღერძები:

1. მხედრული: „თქმული **ნიკოლოზ ახვერდოვისაგან 1812-ს წელსა**“ (2v).
2. მხედრული: „ხოლო თარგმნილ არს რუსულითგან ქართულსა ენასა ზედა მისის ბრწყინვალეების თავადის **ჭავჭავაძე ალექსანდრესაგან**. თთუჴსა იანუარსა რიცხუსა 16 წელსა 1813“ (2v).

მინაწერები:

მხედრული: „დეკანოზი **მიხაილ ხელაშვილი**“ (2v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ალექსანდრე ჭავჭავაძე, ლექსები და თარგმანები იოსებ გრიშაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1949.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგომიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 80.

**გნოსის არისტოტელეზიტთა კატილორიათა
გარდამოცემისა შრომითა ანტონი
არხიეპისკოპოსისა დავითიანისათა [XVIII]**

1446/83

ტიქნიკური აღწერილობა:

14 ფ. ზომები: ყდა – 200×160, ქალაღი – 180×150, ტექსტი – 130×100, სისქე – 3, სტრიქონებს შორის მანძილი – 3; არშიები: ზედა – 30, ქვედა – 25, მარჯვენა – 33, მარცხენა – 23. ქალაღი. მელანი – შავი. მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, საზედაო გრაფემები და სათაურები – სინგურით. სტრიქონების რაოდენობა – 17. აღრიცხვა – გვერდობრივი. ხელნაწერი ბოლონაკლულია, რესტავირებული, ფურცლები დალაქავებული, აკლია მე-8-მე-9 ფურცელს შორის. [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **დიმიტრი დეკანოზიშვილისაგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

გნოსის არისტოტელეზიტთა კატილორიათა გარდამოცემისა შრომითა ანტონი არხიეპისკოპოსისა დავითიანისათა – ვინაჲთგან სათანადო ვჰქმენით ჩუენდა გარდამოცემანი არისტოტელეზიტთა შესმენათანი, უფრორე ჯეროვნად ჰრაცხს და კუჭთებისა ამის (ანინდელისა) მიზეზის განხილუა, რაჲთა არისტოტელეზიტ ვინყეთმცა ... (1r).

წყდება: ... განწუალებასა [...]ყვს განყოფითთა განყენებათა მოქმედება, რომელიცა შეგუამეცნებს კუალად სხუა არს უნათესავესი და სხვა [...]... (14v).

ტექსტი შემდეგი თავებისაგან შედგება:

1. **თვს საზოგადოსა და სათვთოჲსა** – საზოგადო იგი არს, რომელი რაჲცალა არს, ანუ ვითარიცალა თვსსა შინა მდგომობასა ... (1v-2r).

2. **თვს ყოვლადისა და კერძოჲსა** – ყოვლადად იზედწოდების ყოველი საზოგადოჲ ... (2r-v).
3. **თვს შეზავებულისა და მარტივისა** – ყოველი შეზავებული არს, რომელიცა წარმოდგა კერძოთაგან სამთა განსაზიდათა ... (2v-3v).
4. **თვს თანამოსახელეთა** – იტყვს ფილოსოფოსი: თანამოსახელედ ითქმინან, რომელთა სახელი ოდენ საზოგადოდ ... (3v-4r).
5. **თვს ერთსახელთა** – იტყვს ფილოსოფოსი: ერთსახელ ითქმინან, რომელთა სახელნი საზოგადო და სახელდობრ სიტყვაჲცა არსებითი საზოგადო და საღმრთო ... (4r).
6. **თვს სახელწართულთა და მრავალ სახელთა** – იტყვს ფილოსოფოსი, სახელ წართულ უკუჲ ითქმინან, რომელთა ერთგზის განუყოფელნი ბრუნვათა სახელისაებრ აქუსვე ... (4r-14v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 90.

წმიდა ალექსი ღვთისკაცის ცხოვრება [XIX]

1446/84

ტიქნიკური აღწერილობა:

16 ფ. ზომები: ყდა – 23×182, ქალაღი – 22×175, ტექსტი – 20×161, სისქე – 3. სტრიქონებს შორის მანძილი – 12. არშიები: ზედა – 1, ქვედა – 1, მარცხენა – 7. ქალაღი – თეთრი. მელანი – ყავისფერი. კოლენკორგადაკრული ლურჯი მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. შეემჩნევა ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 14/18. ხელნაწერი აკინძული, რესტავრირებული. გადამწერი – **აბრამ კობიაშვილი** (16v). [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი გარკვეული პერიოდი იყო **აბრამ კობიაშვილის** კუთვნილება. ხელნაწერი ეროვნული არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] ქალაქს კაცი იყო **სტამბოლს** შინა [...] ხსენებული და მეტიტ მრავლის მქონე ... (1r-16v).

ანდერძები:

მხედრული: „წელსა ჩყლვ-სა მარტის კა დღესა გამინერია მე **აბრამ კობიაშვილს** [...] მოიპაროს, გაუნყრეს [...] მაღლი“ (16v).

ტიქსტუტთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. ტექსტში ჩართულია: ა) ლოცვები (5v-8r). ბ) ლექსები (8v-10r). გ) იავნანა (15v-16v).
2. წმიდა ალექსი ღვთისკაცის ამ ხელნაწერში შეტანილი „ცხოვრება“ გვიანდელი, პერიფრაზული ვერსიაა.

ზომადი ბიბლიოგრაფია:

1. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბილისი, 2004, გვ. 127.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 81.

ღვთისმშობლის მიძინების აპოკრიფი [XVIII-XIX]

1446/85

ტიქნიკური აღწერილობა:

6 ფ. ზომები: ყდა – 225×175, ქალაღი – 221×170, ტექსტი – 165×115, სისქე – 10, სტრიქონებს შორის მანძილი – 2; არშიები: ზედა – 30, ქვედა – 25, მარჯვენა – 35, მარცხენა – 30. ქალაღი. მელანი – შავი. მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 16. აღრიცხვა – ფურცლობრივი. ხელნაწერი თავბოლონაკლულია, რესტავირებული, ფურცლები დალაქავებული, დაზიანებული. [XVIII-XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] ხოლო **მარიამ** მოძღვარი მათი აღმკული პირად პირადითა სათნოებითა, ნმიდათა უნმიდესი და განკაფულ მარადის ლოცვითა და მღვდარებითა. ესე არ განემორებოდა საფლავსა უფლისასა ყოვლადვე, ხოლო დღესა სამშაბათსა, ჩვეულებისაებრ, მივიდა საკმეველისა კმევად და ასხა საკმეველი და აღანთნა სამნი სანთელნი ... (1r).

წყდება: ... მეყსეულად მოუვლინა უფალმან **იოანე მახარებელი** და ღვთისმეტყველი ღრუბლით **ეფესოდ სიონად** წამსა შინა. ინია და ჳმაჳყო ჳმითა დიდითა: მშვიდობა შენდა, დედაო ღმრთისა მალლისაო, და მჳსნელო წყევისა და მომნიჭებელო კურთხევისაო, მაშინ ჳმა[-ჳყო] უბიწომან, აჳა, ძე ქუხილისა ... (4v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 92.

ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, თბილისი, 2009, გვ. 445-446.

კრიპტული, 1789, 1799 წ.

1446/86

ტიქნიკური აღწერილობა:

74 ფ. ზომები: ყდა – 335×225, ქალაღი – 326×213, ტექსტი – 248×131, სისქე – 22, სტრიქონებს შორის მანძილი – 10; არშიები: ზედა – 33, ქვედა – 41, მარჯვენა – 64, მარცხენა – 66. ქალაღი. მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ლურჯი ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, სათაურები და ცალკეული გრაფემები – მთავრულით. აქვს ჭვირნიშანი. აღრიცხვა – გვერდობრივი; იწყება 63-ე გვერდიდან და 172 გვერდის ჩათვლით მიჰყვება ერთმანეთს. 172-დან გვერდების აღრიცხვა შემდეგნაირად მიდის: 172, 193, 194, 203, ხოლო 210 გვერდის შემდეგ მოდის 213 და აქედან გვერდები ბოლომდე, ანუ 240 გვერდის ჩათვლით მიჰყვება ერთმანეთს. განკვეთილობის ნიშნები – •, •, •, •. ხელნაწერი თავბოლონაკულია, ზოგიერთი ფურცელი დალაქავებული და დაზიანებულია. გადამწერი – **გაიოს** (12v, 13r, 28v, 29r, 61r, 73v, 74r). გადანერის ადგილია – **კრემენჩუკი** (12v, 13r, 28v, 29r, 61r, 73v); **მოზდოკი** (74r). 1789, 1799 წწ. (12v, 61r). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

ტექსტის შედგენილობა:

1. **[წიგნი სინანულისათვის]** – მოგავლენ შენ მე სახლისადმი უსროლისა განმამწარებელისადმი ჩემისა, რომელმანცა განმამწარა მე. თვთ მათ და მამათა მათთა უარ-მყვეს მე ვიდრე დღეისამდე და არქუ მათ, ესრეთ იტყვს **ადონაჲ**: უფალო, ნუუკუჴ ისმინონ და შეიშინონ, გარნა არა უწყოდა უფალმან, შემძლებელ არიანა, ანუ ვერ შემძლებელ არიან იგინი მოქცევად ... (1r-12v).

შენიშვნა: ახლავს მხედრული მინაწერი: „დასასრული მეორისა წიგნისა სინანულისათვის. დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოველთასა. სრულ ვჰყავ წელსა 1789 იულის 21 კრემენჩუკს. **გაიოს**“ (12v, ტექსტის დასასრულს).

2. **წმიდისა მამისა ჩუენისა ამბროსი მედიოლანის ეპისკოპოსისა. მიცვალებისათჳს ძმისა მისისა სატირისა. წიგნი პირველი** – ან უკუეჴ, საყუარელნო ძმანო, განვამგზავრეთ ჩუენ მსხუცრპლი, მსხუცრპლი უბინო და სათნო ღვთისა, უფალი და ძმა ჩემი სატირ ... (13r-28v).

შენიშვნა: სათაურთან ახლავს მხედრული მინაწერი: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. ვინყე წელსა 1789 იულისს 30, კრემენჩუკს, გაიოს“. (13r, ზედა არშია).

ტექსტის ბოლოს: „დიდება შენდა, მიმღებლო ყოველთაო, უფალო. სრულ ვჰყავ წელსა 1789 აგვისტოს 1, კრემენჩუკს. გაიოსი.“ მხედრულად (28v, ტექსტის დასასრულს).

3. **წიგნი ბ. სასოებისათჳს აღდგომისა** – პირველსა შინა წიგნსა რაოდენმე შეუდევით ჩუენ ვნებათა ჰაზრითა მით, რაჲთა ფიცხელითა წამლითა ახალი წყლული არა დავაგესლოთ უფრო, ვიდრეღა შევამსუბუქოთ სნეულება ... (29r).

შენიშვნა: მხედრული: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. წელსა 1789 იულისს 21, კრემენჩუკს“ (29r, ზედა არშია).

წყდება: გულისხმა-ჰყავ პატივი შენი, კუალად მართალთა აღეთქმისთ მადლი. იტყვს და მესმა ხმა დიდი ზეცით მეტყუჴლი: აჰა, კარავი ღვთისა კაცთა თანა და დაემკვიდროს მათ თანა და იგინი ერად მისა იყუნენ და თვით ღმერთი იყოს მათ თანა ღუთად მათდა და აღჴოცოს ღმერთმან ყოველი ცრემლი თუალთაგან მათთა და სიკუდილი მიერთგან არღარა იყოს. არცა გოდება, არცა კდოვნება, არცა საღმობა იყოს მერმელა.

შეათანასწორე ან, უკეთუ სათნო გიჩნს, ცხოვრება ესე მის ცხოვრებისა თანა და აღირჩიე, უკეთუ ძალგიდს სამარადლე ჴორციელი [...] (55v).

4. **დასაწყისი:** ... და ესრეთ გლახაკ არს იგი, არანაკლუღევანებისა ძლით რაჲმესა, არამედ გლახაკ სულითა, ვითარცა თქმულ არს: ნეტარ იყუნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა ... (56r).

წყდება: ... ვჰხედვდით ჩუჴნ, ვითარითა სულითა იყო იგი მეგობართადმი თჳსთა. ახლა განვიხილოთ, თუ რაოდენ ფრიად უყუარდა ღვიძლნი დანი თვისნი; იყუნენ იგინი ნუგეჴად სულისა მისისა და განსუჴნებად გულისა. ჰსთხოვდა მათ: უკეთუ მან ყრმებრითა სიტყვითა განამწაროს იგინი რაჲმესა ზედა, მიუტეონ ... (56v).

5. **დასაწყისი:** ... მივჰყვენ სუნნელებასა ქრისტესსა, სხუათა უკუჲ შეამკონ იგი შროშნითა, ხოლო ჩუენი შროშანი არს ქრისტე, რომლისა მიერ განვჰსწმედ დანაშთომსა მისსა, მის მიერ ვაქებ კეთილმოქმედებასა მისსა. არა განვჰყოფ სახელთა კეთილმსახურთა ძმათასა ... (57r-61r).

6. **„წმიდისა მამისა ჩუენისა ამბროსი მედიოლანის ეპისკოპოსისა, სიტყუა მიცუალებასა ზედა თეოდოსი დიდისასა – ამისთვის გუჲქადოდა ჩუენ ფიცხელი იგი რყევა მინისა და დაუცხრომელნი წვიმანი ესე ურუჲშულობით ღრუბლიანი ჰაერი წინაგჰყოფდა ჩუჲნ ... (61r).**

შენიშვნა: მხედრული მინაწერი სათაურთან: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. წელს 1789 იულისს 14, კრემენჩუკს. გაიოს“ (61r, ზედა არშია).

7. **სამლუდლო ისტორია.** კ. 1. ღმერთმან შექმნა სოფელი ესე არა რაჲმესგან სიტყვითა თჳსითა, დიდებად სახელისა თჳსისა და ცხადყოფად ქმნილთა სახიერებისა თჳსისათა ექუსსა შინა დღესა ... (74r).

შენიშვნა: მხედრული მინაწერი სათაურთან: „სრულ ვჰყავ წელსა 1789 იულისს 15, კრემეჩუკს. გაიოსი“ (73v).

მხედრული მინაწერი სათაურთან: „ვინყე წელსა 1799 თებერუალსა 28. გაიოს. მოზდოკს. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ“ (74r, ზედა არშია).

წყდება: ... ფიცარნი ესე დაცულ იყუნენ კიდობანსა შინა მოოქროვილსა, რომელიცა ადგა კარავსა შინა სანამებლისასა და ... სანამებლისა საკურთხეველი, რომელთაცა ზედა ... (74v).

მინაწერები:

1. მხედრული: „დეკანოზი **მიხეილ იოსების ძე ხელაშვილი**“ (2r, ზედა არშია).
2. მხედრული: „თელავის საკრებულო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი **მიხეილ იოსების ძე ხელაშვილი**“ (28v, 61r, ქვედა არშია).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 82-84.

წმიდათა ცხოვრება, 1819 წ.

1446/87

ტიქნიკური აღწერილობა:

73 ფ. ცარიელი ფურცლები – 12v, 35v, 38v. ზომები: ყდა – 355×220, ქალაღდი – 340×212, ტექსტი – 297×181, სისქე – 12. სტრიქონებს შორის მანძილი – 11. არშიები: ზედა – 18, ქვედა – 23, მარჯვენა – 11, მარცხენა – 12. ქალაღდი – ლურჯი, მელანი – შავი, ლურჯი. მუყაოს ქრელი ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, საზედაო გრაფემები მთავრულით. აქვს ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 28/29/30. განკვეთილობის ნიშნები – •, ♣, ♠, ♣, ♠, ♣, ♠, ♣. ტექსტებში ნახსენებია ცალკეული თხზულების ავტორები – ლუსიმასო (12r); 2. ტიმოთეოსი (21v); 3. დიმიტრი ბაგრატიონი (22r); 4. გრიგოლ მუხრანბატონ იოვანეს ძე (31v). 1819 წ. (31v). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

ტექსტის შედგენილობა:

1. თვესა ივნისსა კე. წამება წმინდისა ფებრონიასი. გვაკურთხენ, მამაო – იყო დღეთა დეოკლიტიანე მეფისათა ანთიმოს მთავარი და იყო იგი უძღურ ხორცითა. და იდვა ცხედარსა ზედა და მოუწოდა სელინოსს, ძმასა თვისსა ... (1r-12r).

შენიშვნები: 1. ტექსტი კომენტური რედაქციისაა, ავტორი: თომაიდა.

2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, 2004, გვ. 349.

2. თვესა ივნისსა იზ. წამება წმინდისა მონამისა მარინასი – შემდგომად აღდგომისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და დიდებით ამალღებისა მისისა მამისა ზეცად, ნეტართა მისთა მოციქულთა აღასრულეს ყოველი მცნება მოძღვრისა ... (13r-21v).

შენიშვნები: 1. ტექსტი კომენტური რედაქციისაა, ავტორი: თეოტიმოს.

2. ტექსტი გამოცემულია: იხ. ივ. იმნაიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, თბილისი, 1963, გვ. 30-43.
3. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰავიოგრაფია, 2004, გვ. 274.

3. მისს უგანათლებულესობის უმონყალეს ხელმწიფას, საქართველოს მეფის ირაკლის ასულს ქეთევანს. მოსკოვით სანკთ-პეტერ ბურღს –

მეფის ასულო, ქველ კეთილ სულო,
 ძვირ უფასულო, ქეთევან რქმულო,
 ზნეობით სრულო, მწვე უნაკლულო,
 ქებით აღმკულო, სახელგანთქმულო,
 რტო დავითულო, მის შტოსვე რგულო,
 ეფვრატით რწყულო, კონლებ დასხმულო,
 მონარგიზულო, ჯერ არდაძრულო,
 პირ მომანგულო, სარდაფ განხმულო.
 ... (22r).

4. ან ახლადთქმული წამება ქეთევანისა დიდისა, ქვეყნად ღვანლისა ბრწყინვისა, ცად ნათლათ დაუბინდისა, მოსახელისა შენისა, მის ნეტარისა წმინდისა, სამშობლო საქრმეულობით ორკერძო მისა სიმისა.

დიმიტრი
წამება ქეთევან დედოფლისა, ახლადთქმული თავადის, დიმიტრი ბაგრატიონის მიერ –
 შენ უწინარეს ყოველთა საუკუნეთა მყოფელო,
 თვისისა დასაბამისა თვით თავსა შორის მყოფელო ... (22r-30v).

შენიშვნა: ტექსტს ახლავს მიძღვნილი მინაწერი: „მის მაღალ ბრწყინვალეობას, უმონყალეს ხელმწიფეს, თავადს დიმიტრი გიორგის ძეს ბაგრატიონს, სანკთ-პეტერბურღით მოსკოვს“ (30v).

5. თავადის, დიმიტრის გიორგის ძის ბაგრატიონისადმი -

მაღალ ბრწყინვალეს თავადს დიმიტრი ბაგრატიონსა,
 ერთისა ძირით შთამოსრულს გჭყრეტ მრავლად მაშვრალოვანსა,
 დიდისა ქეთევანისთვის ბრძნეულებ რიტორებრ ხმოვანსა,
 მსმენნი ესდენ ძვირფასთ ლექსთა, გაქებდეთ დიდგვაროვანსა ...
 (31r-v).

6. **ეპისტოლე ავგაროსთ მთავრისა ქალაქსა ედესიისასა, რომელი მიუწერა უფალსა ღმერთსა ჩვენს, იესო ქრისტეს და წარსცა ანანიას მიერ მოციქულისა იერუსალიმს – ავგაროსი მთავარი ედესიისა ქალაქისა, იესოს მაცხოვარსა სახიერსა გამოჩინებულსა ქალაქსა იერუსალიმისასა გახარებ:** მესმა შენთვის და კურნებათა შენთათვის, რომელ ვითარმედ თვინიერ წამალთა და თივათა იქმ კურნებათა ... (32r-35r).

შენიშვნები: 1. ვრცელი რედაქცია. მთარგმნელი: **გიორგი მთაწმინდელი.**

2. ტექსტი გამოცემულია: იხ. ნ. ჩხიკვაძე, ავგაროზის ეპისტოლე, ძვ. ქართული რედაქციები, თბილისი, 2007, გვ. 144.

3. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, 2009, გვ. 392-393.

7. **თქმული წმინდისა ათანასი ალექსანდრიელ მთავარ ეფისკოპოზისა მელქისედეკისთვის მეთოკისა – მელქილს, ვითარცა ვსთქუთ, ესხნეს ორნი ძენი, ერთი მელქილ სახელისაებრ თვისისა და მეორესა მელქისადეკ, ხოლო მამასა უყვარდა უხუცესი მელქილ და დედასა უყვარდა მელქისადეკ უმცროსი ... (36r-38r).**

შენიშვნები: 1. მთარგმნელი: **ექვთიმე ათონელი.**

2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, 2009, გვ. 291.

8. **თვესა სეკდენბერსა ოცდა ათსა წამება წმინდისა გაიანესი და მოყვასთა მისთა – და იყო მათ ჟამთა ოდენ ეძიებდა ცოლსა დეოკლიტიანე კეისარი და წარავლინა ყოველთა მიმართ საბრძანებელთა მისთა, გამომხატველნი ჭეშმარიტებით ასაკისა ფიცართა ზედა, რათა ვითარცა იყოს ჰასაკი და ქმნილკეთილობა პირისა და ხატი წარბთა ქმნილებისა მისისა, ვინაცა იყოს და მიუპყრან იგი ... (39r-50r).**

შენიშვნები: 1. კიმენური რედაქცია.

2. ტექსტი გამოცემულია. იხ. ილია აბულაძე, შრომები, IV, თბილისი, 1985, გვ. 91-105.

3. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, 2004, გვ. 320.

9. თვესა აგვისტოსა მეთხუთმეტსა. მიცვალემა ყოვლად წმინდისა უხრწნელისა და უმეტეს კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ხვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. თქმული წმინდისა მამამისა(!) ჩვენისა ბასილ კესარიელ მთავარეფისკოპოზისა. გვაკურთხენ, მამაო – სამებამან წმინდამან, ცხოველმან, დიდებულმან, დაუსაბამომან, დამბადებელმან ყოველთა დაბადებულთამან, რომელ არს მამა, ძე და სული წმინდა, ერთი უფალი და ერთი ღმერთი, ამან სახიერმან ღირს მყო მე ძიებად საშინელისა საიდუმლოსა ... (50r-73r).

შენიშვნა: ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, 2009, გვ. 445.

მინაწერები:

მხედრული: „წელსა ჩყით, ივლისის ა დღესა [...]“ (31v, ქვედა არშია).

ტიქსტთან დაკავშირებული შენიშვნა:

ქეთევან დედოფლის წამებას წინ უძღვის ლექსი, მიძღვნილი **დიმიტრი ბაგრატიონის** მიერ **ქეთევან** ბატონიშვილისადმი, მისს უგანათლებულესობის უმონყალეს ხელმწიფას, საქართველოს **მეფის ირაკლის** ასულს **ქეთევანს**. **მოსკოვით სანკთ პეტერბურღს** (22r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 84-87.

ეპიტაფია კნენა ბარბარე ანდრონიკოვისა თჰსის შვილის მერეხისადმი, 1880 წ.

1446/88

ტიქნიკური აღწერილობა:

6 ფ. ცარიელი გვერდები – 1v, 6v. ზომები: ყდა – 364×228, ქალაღი – 361×224, ტექსტი – 290×190, სისქე – 2; სტრიქონებს შორის მანძილი – 10. არშიები: ზედა – 30, ქვედა – 52, მარჯვენა – 11, მარცხენა – 22. ქალაღი. მელანი – შავი. კოლენკორგადაკრული ლურჯი მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 12/14. აღრიცხვა – ფურცლობრივი. გადამწერი – მღვდელი **დიმიტრი მექანარე (მექანაროვი) (1r, 6v)**. ავტორი – **მღვდელი დიმიტრი მექანარე (მექანაროვი) (1r, 6v)**. 1880 წ. (1r, 5v). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **მიხეილ ხელაშვილისაგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: ეპიტაფია კნენა ბარბარე ანდრონიკოვის შვილის მერეხისადმი „საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი“ – დაბნელდა მზე, შუქი არ მცა, დამეცა სევდის ზარია, მოვიდა მკაცრად სიკვდილი, გული შემექმნა ბზარია ... (2r)

შენიშვნა: ეპიტაფია მოიცავს 27 სტროფს.

მინაწერები:

1. მხედრული: „ეპიტაფია კნენა ბარბარე ანდრონიკოვისა თჰსი შვილის მერეხისადმი. მთებრ ლექსად თქმული მღუდლის დიმიტრი მექანარეს მიერ. 1880-სა წელსა (1r)“.
2. მხედრული: მიხეილ ხელაშვილი (1r).
3. მხედრული: „თვთ მშობელი დედობრივის გულის გრძნობით უძღუჰნის მიცვალებულსა და არა გარეშე პირი – ამ ჰაზრით საგულისხმოა სიტყვის მიღებანი მერეხისადმი“ (2r, ქვედა არშია).

4. მხედრული: „მღვდელი დიმიტრი მექანარე დასრულდა. 1880 წელი, 18 სექტემბერი“ (5v).
5. მხედრული: „ვ[ი]ნა შენი ნეტარ ჰყოს, ენითა გამოუთქმელო“ (6r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 87.

ქართული ელექსირის შემზადებისათვის], XIX

1446/89

ტიქნიკური აღწერილობა:

2 ფ. ცარიელი გვერდი – 2v. ზომები: ყდა – 358×225, ქალაღი – 345×218, ტექსტი – 166×170, სისქე – 1 სტრიქონებს შორის მანძილი – 5; არშიები: ზედა – 35, ქვედა – 145, მარჯვენა – 28, მარცხენა – 15. კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა. ქალაღი – ცისფერი. მელანი – შავი. დამწერლობის სახეობა – მხედრული, საზედაო გრაფემები მთავრულით. აქვს ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 20/24. აღრიცხვა – ფურცლობრივი, არაბული ციფრებით. ხელნაწერი თავბოლონაკლულია, ფურცლები დაზიანებული და დალაქავებული. [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] ცუდმადსა ხილთასა და ბულსა, რომელთაცა მიზეზითა არ მოიხარშვიან საქმელნი, წინათვე დაიცუამს სევდისაგან ... (1r).

შინაწერები:

1. „Принадлежит Михаилу Хелаеву“ (2r).
2. „Михаил Хелаев“ (2r).
3. მხედრული: დეკანოზი მიხეილ იოსების ძე ხელაშვილი (2r).
4. მხედრული: „ესე ნუსხა პოებულ იქმნა შუჭთიის დოხტურისა სხუათა და სხუათა წერილთა შორის **ერნესტა პერნესტასა**, რომელიცა მოკუდა შობით თვისთგან 104 წლისა გადმოვარდნით და დაწიხვნისაგან ცხენისა. ესე საიდუმლო წამალი დაცულ იყო შთამომავლობასა და სახლეულსა შინა მისსა რაოდენსამე ასს წელიწადს. ამა წამლისა გამო იცოცხლეს პაპამან მისმან 130 წელიწადი, დედამან მისმან 107 წელიწადი, ხოლო მამან მისმან 112 წელიწადი. ხმარობდნენ იგინი ელექსერსა ამას, რომლისაცა მიღება

სათანადო არს რვის წუჭთისა, ანუ ცხრისა ყოველს დილას და საღამოს
წითელის ღვინით, ჩაით, გინა წუჭნით.

დაიბეჭდა სანკტ-პეტერბურლსა, ლუბერცკის პრავლენიის სტამბასა შინა
წელსა 1805“ (2r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 87-88.

ნუსხა ნამღების ელექსირიასი [XIX]

1446/90

ტიქნიკური აღწერილობა:

6 ფ. ცარიელი ფურცლები – 3v, 4, 5, 6r. ზომები: ყდა – 225×175, ქალღი – 215×170, ტექსტი – 185×155, სისქე – 1; სტრიქონებს შორის მანძილი – 6. არშიები: ზედა – 10, ქვედა – 10, მარჯვენა – 2, მარცხენა – 10. ქალღი. მელანი – ყავისფერი. კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 19/22. ყველა ფურცელი ჩასმულია შავი მელნით შემოხაზულ ჩარჩოში. [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

ნუსხა ნამღებისა ელექსირიასი, გრძლად მაცოცხლებლისა და თვისებისა მისისა – სახელნი წამალთა: 1. ლათინური: ალოვსუკოტორიანი, რუსულად: ჩისტალო საბრი, ქართულად: განმენდილი საბრი ... (1r-3r).

მინაწერები:

მხედრული: „დეკანოზი მიხეილ იოსების ძე ხელაშვილი“ (3r, ტექსტის ბოლოს).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 88.

ბერდია ალუდაურის ლექსების კრებული, 1902 წ.

1446/91

ტიქნიკური აღწერილობა:

26 ფ. ცარიელი ფურცლები – 1v, 25v, 26r-v. ზომები: ყდა – 183×120, ქალაღდი – 180×112, ტექსტი – 173×100, სისქე – 3; სტრიქონებს შორის მანძილი – 1; არშიები: ზედა – 5, ქვედა – 13. ქალაღდი – თეთრი. მელანი – შავი, ლურჯი. კოლენკორგადაკრული ლურჯი მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 17. აღრიცხვა – ფურცლობრივი. ავტორი – **ბერდია ალუდაური (1r)**. 1902 წ. (1r). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. **ბერდია სამუკას ძე ალუდაურისაგან ნათქვამი სოფელ ხახმატში (2r-v).**

დასაწყისი: ალუდათაი მგელაი საგუმარდოში თქვიანო

აიქაც რაიმ ეგდების, შენ სახელად მგელა ჰქვიანო [...] (2r).

შენიშვნა: ტექსტი ძირითადად შავი ფანქრით არის დაწერილი, სათაური და პირველი სტროფი – ლურჯი მელნით (2r).

2. **ბერდია სამუკას ძე ალუდაურის ნათქვამი (2v-3r).**

დასაწყისი: რა გიჭირსთ, აჭიონებო, ეხლა თქვენია კა დარი,

ვაჟა დგინდგლია თქვენა გყავთ, კაცი არა ჰყავ ბადალი [...] (2v).

წყდება: [...] მაჩვენეთ სულეთის ღმერთი, სიტყვა შესთვალა სამია, სულეთის ღმერთასთან მიჰყავის ამაყად მოუბარია, შესჩივლა სულეთის ღმერთსა [...] (3v).

შენიშვნა: ხელნაწერში მეორე და მესამე ფურცელი პირიქითაა ჩაკერებული; ტექსტი დაწერილია შავი ფანქრით.

3. **ბერდია ალუდაური და მისი პოემა დეკანოზები (4r-v; 22r-25r).**

დასაწყისი: ხევსურთ არ უყვარს მოლექსე, ფინთად იციან მტე-
რობა,

მათ უყვარს დეკანოზობა, ხუცობა, ხვეისბერობა [...] (4r).

შენიშვნა: შუაში ჩართულია სხვა ტექსტი (5r-21v).

4. [ამბავი ტარიელისა და ავთანდილისა] (5r-21v).

დასაწყისი: სცხოვრობდა ორი მეფე ფარსადანი და სარიდანი. ერ-
თხელ ესენი თავიანთ სამეფოში [...] (5r).

წყდება: [...] დაინახა, რომ ერთი დედაკაცი ჯარას ხელუკუღმა ართა-
ვდა და იქიდან სულ შეიარაღებული კაცები გამოდიოდნ [...] (21v).

შენიშვნა: ტექსტს ზემოთა არშიაზე აწერია – სოფელ მატან-მა-
რილისში ჩაწერილი;

ტექსტი სხვა ხელით არის დაწერილი;

ტექსტს რამდენიმე ფურცლის ქვედა არშიაზე აქვს სქოლიო (7v,
8r, 9v, 10v).

მინაწერები:

მხედრული: „ლექსები ნათქვამი ბერდია სამუკას ძე ალუდაურისაგან, სო-
ფელ ხახმატში /ზემო ხევსურეთი/ 1902 წ. 4 მარიაშობის თვეს
„ლადო ხელაშვილისა“ – მწვანე მელნით“ (1r, მწვანე მელნით).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექ-
ციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ,
აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 88-89.

შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ [XIX]

1446/92

ტიქნიკური აღწერილობა:

57 ფ. ზომები: ყდა – 224×173, ქალაღი – 215×17, ტექსტი – 180×145, სისქე – 20. სტრიქონებს შორის მანძილი – 10; არშიები: ზედა – 15, ქვედა – 16, მარცხენა – 15. ქალაღი – თეთრი, მეღანი – ყავისფერი, წითელი. ყვითელი მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 20. აღრიცხვა – ფურცლობრივი. ხელნაწერი – თავბოლონაკლული, აკინძული, რესტავირებული. ზოგიერთი სტროფი გაფერმკრთალებულია (51r-v). ტექსტს ტრადიციულად ბოლო რითმა აქვს გამოტანილი. ყოველი სტროფი დანომრილია მხედრული გრაფემებით, ხოლო ახალი თავები და საზედაო გრაფემები გამოყოფილია წითელი მეღნით. [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **დიმიტრი ხელაშვილისგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [ავთანდილისგან შერმადინის საუბარი]

[...] სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:

პირველ ნდომა სიახლისა სიშორისა ვერ მოთმენა ... (1r).

წყდება: [ტარიელისგან ქვაბსავე მისვლა მეორედ და საჭურჭლეთ ნახვა]

[...] ერთმანერთი მოიმაღლეს, მათ ერთსაცა არ ეწყინა ... (57v).

ტიქსტთან დაკავშირებული შენიშვნა:

ტიქსტი ვახტანგისეული რედაქციაა.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ხელნაწერი მემკვიდრეობა, თბილისი, 2013. გვ. 331.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგომიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 89.

თეიმურაზ ბატონიშვილი. საქართველოს ისტორია, 1862 წ.

1446/93

ტიქნიკური აღწერილობა:

98 ფ. ზომები: ყდა – 230x184, ქალაღი – 222x178, ტექსტი – 185x150, სისქე – 15, სტრიქონებს შორის მანძილი – 4. არშიები: ზედა – 19, ქვედა – 18, მარჯვენა – 10, მარცხენა – 9. ქალაღი – ყვითელი. მელანი – შავი. ლურჯი მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, სათაურები და საზედაო გრაფემები ასომთავრულით. სტრიქონების რაოდენობა – 24. აღრიცხვა – გვერდობრივი, შესრულებული არაბული ციფრებით. ხელნაწერი ნაკლულია, აკლია შემდეგ ფურცლებს შორის – 33-108. ხელნაწერი კარგად არის შემონახული. გადამწერი – კონია ერისთავი-ამილახვარი (98r). ავტორი – თეიმურაზ ბაგრატიონი (1r). გადანერის ადგილი – სოფელი ქვეში (98r). 1862 წ. (98r). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს დიმიტრი დეკანოზიშვილისგან თელავიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დაწყებითგან ივერიისა ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა,

ქმნილი საქართველოს მეთაქამეტის მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან

უძველესთა მოთხრობათაგან ამფიბიასა გინა ოანესისთვს(!) გამოსრულისა ატლანდთაგან კავკასიისათა: მოუთხრობს ბუნებითი ისტორია ასურასტანისა, სტატია 1 – სირიანელთა და ეთიოპელნი, მყოფნი გრძლად შემდგომად მცხოვრებელთა ნილოსის კიდეთასა ... (1r-98r).

ანდერძები:

მხედრული: „აღწერილ არს წიგნი ესე „ქართლის ცხოვრება“ ჯელითა კნეინა კონია ერისთავისაგან ამილახვარის ასულისაგან. „ქართლის ცხოვრება“ ესე ვინც წაიკითხოთ, შენდობა უბრძანეთ და თუ რაიმე შეცდომა ნახოთ, ნუ მწყევთ ამისთვის, რომ ვიყავ წლისა სამოცდა მესამისა და თვალთაც მაკლდა და ამისთვის მომიტყევთ: წელსა ჩყაბ-სა ოკდომბრის კდ-სა დღესა, ქვეშის სოფელსა“ (გვ. 98).

შენიშვნა: ტექსტი გადაწერილია შემდეგი გამოცემიდან – თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, ქმნილი საქართველოს მეთა-ცამეტის მეფის გიორგის-ძის თეიმურაზისაგან, სანკტპეტერბურგი, 1848.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორ-გისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, ქმნილი საქართველოს მეთა-ცამეტის მეფის გიორგის-ძის თეიმურაზისაგან, სანკტპეტერბურგი, 1848.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 89.

წმინდანთა საგალობლები, კრებული [XVIII]

1446/94

ტიქნიკური აღწერილობა:

33 ფ. ცარიელი გვერდი – 34r. ზომები: ყდა – 215×167, ქალაღი – 201×166, ტექსტი – 146×115, სისქე – 5; სტრიქონებს შორის მანძილი – 2. არშიები: ზედა – 25, ქვედა – 36, მარჯვენა – 20, მარცხენა – 30. ქალაღი. მელანი – შავი, წითელი. მუყაოს მუქი ლურჯი ყდა. დამწერლობის სახეობა – ნუსხური, სათაურები და საზედაო გრაფემები ასომთავრულითა და სინგურით. სტრიქონების რაოდენობა – 25. აღრიცხვა – ფურცლობრივი. განკვეთილობის ნიშნები – •, •. ხელნაწერი თავნაკლულია, ზოგიერთი ფურცელი დალაქავებული. [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს დიმიტრი დეკანოზიშვილისაგან თელავიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...] სტრატიოტებთა ზეცათა ერევთერობ. მოთმინებითა მოამე იყოფებოდენ ქუჭნათა ზენა განსნა[ვ]ლებს სავანეთა. ყოფადთა მცნობი, ბრძენი და ახოვანი მეფე ლუარსაბ დღეს იდიდებოდენ.

1. თუესა მარტსა კ ლუარსაბ. ნამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მეფისა ჩუენისა ლუარსაბისი (1r-4v).
2. თუესა მაისსა იგ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვიმი მთაწმიდელისაჲ – უფალო ღაღადყავსა. ზ, სასნაული. მამაო წმიდაო ეფთვმი, აღილე შენ სიწოთაგან ჯუარი შენი მჰართა შენთა და შეუდგე ქრისტესა ... (4v-11v).
3. საგალობელი წმიდისა და ცხოელსმყოფელისა სუჭტისა ცხოელისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა. ჳმაჲ, ა გუერდი – გიხაროდენნი. გიხაროდენ, სუჭტო ცხოველო, რომელი წმიდა და წმიდაჲ მყოფელსაჲ მირონსა უწყაროებ სულსა მორწმუნეთასა ... (11v-13r).

4. თუესა იანვარსა ლ წსენებაჲ იოანე ნათლისმცემელისა და წმიდისა მოწამისა აბოსი, რომელი ეწამა ქალაქსა ტფილისსა ქართლს. **ვმაჲ დ მოგიცემიეს, ღმერთო (ორ-ორ ჯერ)** – იყო ოდესმე აბო ნელსაცხებელთა შემზავებელ გუამთა შემასურნელებელ, ხოლო ოდესმე მოინია ქრისტეს სამწყსოთა მორწმუნეთა თანა, ნათელ-ილო ... (13r-16v).
5. თუესა ივნისა ლ წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა უფალო ღალადყავსა. **რვათა მუხლთა ზედა, ვმაჲ, დ მწნევანი.** ღმრთის მეტყუტლებისა წყაროდ იოანე დიდებული გაქუნდა შენთა შემწედ საიდუმლოთა მათ წმიდისა ღმრთისმშობელისათა და ესრეთ შუჭნიერად სთარგმანებდი მრავალთა წიგნთა ... (16v-21r).
6. თუესა ნოენბერსა ით წმიდისა ღმერთშემოსილისა ილარიონ ქართველისა უფალო ღალადყავსა. **ვმაჲ დ მწნევანი** – აღვახუნეთ დღეს, მორწმუნენო, ბაგენი ჩუჭნი გალობად წსენებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა **ილარიონისა** ... (21r-24v).
7. თუესა იანვარსა იდ წმიდისა დედისა ჩუენისა ნინოსა. **ვმაჲ დ, მწნევანი** – აღზრდილი უბინოებით, მტკიცე სარწმუნოებით, მოძღუარი ქართლისა, სანატრელი ნინო, მწვევალი ყოველთა მწსნელისა, რომელი კუალსა მისსა შეუდგაჲ ... (24v-30v).
8. თუესა აგვსტოსა გ წმიდისა მოწამისა რაჟდენისა, **ვმაჲ** – ჭ, სასწაულისა კვ. ქრისტეს მორწმუნენო, მოვედით, დღესასწაულსა ამას ღუანლისა მძლისა რაჟდენისა გალობითა ღმრთის ბრწყინვალესა ყოველნი ვაქებდეთ, რამეთუ ესე ქრისტესთჳს იწამა ... (31r-33r)

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 90.

სასონარკვეთილება ლამარტინისა [XIX]

1446/95

ტიქნიკური აღწერილობა:

6 ფ. ზომები: ყდა – 356×225, ქალაღი – 345×220, ტექსტი – 300×180, სისქე – 10, სტრიქონებს შორის მანძილი – 2; არშიები: ზედა – 15, ქვედა – 20, მარცხენა – 25. ქალაღი. მელანი – შავი. მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. სტრიქონების რაოდენობა – 23. აღრიცხვა – ფურცლობრივი. ხელნაწერი რესტავრირებულია, ფურცლები დალაქავებული. [XIX] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს დიმიტრი დეკანოზიშვილისაგან თელავიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

სასონარკვეთილება ლამარტინისა კაცი ლორდ ბაირონსა! ნამდვილი სახელი შენი, რომელიცა ქუეყანასა მას არა უცვნია, საიდუმლო ნიჭო, მომაკუდაო ანგელოზო, ანუ მაცთურო ბაირონო, ვინმცა რა ხარ კეთილი, ანუ საუბედურო გენია ... (1r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 92.

ღვთისმშობლის დაუჯდომელი, 1811 წ.

1446/96

ტიქნიკური აღწერილობა:

97 ფ. ცარიელი გვერდი – 97v. ზომები: ყდა – 110×85 ქალაღი – 103×80, ტექსტი – 70×50, სისქე – 20, სტრიქონებს შორის მანძილი – 5; არშიები: ზედა – 14, ქვედა – 20, მარჯვენა – 15, მარცხენა – 10. ქალაღი – ცისფერი. მელანი – შავი, წითელი. ტყავგადაკრული ხის ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, საზედაო გრაფემები ნუსხურით. აქვს ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 10. აღრიცხვა – რვეულებრივი. აღნიშნული მხედრული გრაფემებით პირველი რვეულის ბოლოსა და მეორე რვეულის დასაწყისში ქვედა არშიაზე. ხელნაწერი თავნაკულია, ფურცლები დალაქავებული, ზოგან დაზიანებული, რესტავრირებული. ზოგან სათაური გაფორმებულია მარტივი ორნამენტით (22r). გადამწერი – **სოლომონ ჭავჭავაძე** (79r). 1811 წ. (97r). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **დიმიტრი დეკანოზიშვილისაგან თელავიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

იზაკონი წმიდისა ღმრთისმშობელისანი, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების – ზესთა მბრძოლისა ჩემისათჳს ... (1r-22r).

ხელნაწერი შემდეგი თავებისგან შედგება:

1. ლოცვა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა მიმართ თქმული ღირსისა ფილოთეოს კოსტატინეპოლელ არხიეპისკოპოზისა (22r-31v).
2. სხვა ლოცუა ღმრთისმშობელისა მიმართ (31v-34v).
3. ლოცუა დღითიდღე სათქმელი წმიდისა ღმრთისმშობელისა მიმართ, უკეთუ გსურის მისი ჟამსა სულისა შენისა განყოფისასა (34v-41v).
4. ლოცვა განთიად და მიმწუხრი სათქმელი წმინდისა იოანე დამსკელებისა (41v-46r).
5. პარაკლისი ახლად თარგმნილი ბერძულისაგან სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელის მიმართ (46v-74r).

6. ლოცვა ძილად დაწოლისა სავედრებელი ყოვლადწმიდისა ღუთისმშობელისა მიმართ სამარადისო (74v-76r).
7. კალენდარული ცნობები – „აღდგომას უკან ორმოცდაცხრა დღე უკუ სთვალე, ყველიერის ღამე იქნება. იმის უკანა სწორი ჯორცის აღების ღამე იქნება...“ (76v-97r).

ანდერძები:

მხედრული: „აღწერა ივნისის ი. ნელთა ჩყია, ჴელითა თავადი **სოლომონ ჭავჭავაძისათა**“ (97r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ლოცვანი და დაუჯდომელი ღმრთისმშობლისაჲ, ახალი შესწორებული გამოცემა მოამზადა ედიშერ ჭელიძემ, „საეკლესიო ბიბლიოთეკა, ტომი III, თბილისი, 2006.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 93.

ყოველდღიური განსჯანი (კათოლიკე ეკლესიისა) [XVII]

1446/97

ტიქნიკური აღწერილობა:

123 ფ. ცარიელი ფურცლები – 17r-18r, 31v, 35v-36r, 52r, 70r, 120r-v. ზომები: ყდა – 139×93, ქალაღი – 135×88, ტექსტი – 94×61, სისქე – 30, სტრიქონებს შორის მანძილი – 6. არშიები: ზედა – 8, ქვედა – 14, მარჯვენა – 12, მარცხენა – 11. ქალაღი. მელანი – ყავისფერი, წითელი, მწვანე. შავი ტვიფრული, ტყავადაკრული ხის ყდა, დაზიანებული, რესტავრირებული. დამწერლობის სახეობა – მხედრული, სათაურები სინგურით. ტექსტი ჩასმულია ჩარჩოში. სტრიქონების რაოდენობა – 12/14/15. აღრიცხვა – გვერდობრივი, აღნიშნულია არაბული ციფრებით ზედა არშიაზე. იწყება მე-5 გვერდიდან. ძველი პაგინაციის მიხედვით აკლია აგრეთვე: 11, 12, 21, 22, 35, 36, 43, 44, 45, 46, 79, 80, 81, 82, 113, 114, 115, 116, 145, 146, 183, 184, 192, 193, 194, 227, 228 გვერდები. განკვეთილობის ნიშნები – Ⴆ, Ⴇ, Ⴈ, Ⴉ, Ⴊ, Ⴋ. ხელნაწერი ნაკლულია. მთელი ტექსტი ჩასმულია ორმაგ ჩარჩოში. სათაურები წარმოდგენილია წითელ და მწვანე ფერებში. [XVII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს დიმიტრი დეკანოზიშვილისაგან თელავიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

